



ბუნება

მასწავლებლის წიგნი

ლელა მიქიაშვილი • მაია ლევიძე • გიორგი კვანტალიანი

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ბუნება 1
მასწავლებლის წიგნი
თბილისი, 2018

ავტორები: ლელა მიქიაშვილი, მაია ლევიძე, გიორგი კვანტალიანი

რედაქტორები: მაკა სესკურია, ელენე ბერიაშვილი
დიზაინერი ია მახათაძე
ილუსტრატორი გიორგი მაღრაძე
ტექნიკური დიზაინერი თინათინ ბერბერაშვილი

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-039-4

The Natural Science 1
Teacher's Book

© Sulakauri Publishing, 2018
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

1. შესავალი.....	5
2. სახელმძღვანელოს აგების პრინციპები.....	8
3. დეტალური კომენტარები სახელმძღვანელოს თითოეულ სტრუქტურულ ელემენტთან (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) დაკავშირებით და მათი გამოყენების წესი.....	9
4. სასწავლო თემები.....	10
5. I კლასის ბუნებისმეტყველების სტანდარტი.....	11
6. შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.....	18
7. სახელმძღვანელოს გამოყენების წესი.....	21
8. უნარ-ჩვევების განვითარება.....	22
მიმდინარე გაკვეთილების თანმიმდევრობა.....	24
9. ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდები.....	149
10. როგორ შევაფასოთ მოსწავლე?.....	153

„დანყებით კლასებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უფრო მეტად იქნეს გამოყენებული სულხან-საბას და გოგებაშვილის მიერ განმარტებული ბუნების მოვლენები და მათ მიერ მოწოდებული ცნებები, ტერმინები.

მათში შენარჩუნებულია ბუნების მთლიანობაში განხილვის წესი და ბუნებასთან ადამიანის ემოციური დამოკიდებულების სფეროები“.
გურამ რამიშვილი

ჩვენ ვიზიარებთ ეპიგრაფში გამოთქმულ იმ აზრს, რომ ამ ასაკში მიზანშეწონილია მთლიანობითი შეხედულების ფორმირება მოსწავლეთა ინტელექტუალურ-შემეცნებითი განვითარების გზაზე. მას საფუძვლად უდევს პერცეფციის ფსიქოლოგიური თეორია, რომლის მიხედვითაც თავდაპირველად ყალიბდება მთლიანი წარმოდგენები, შემდეგ კი ზუსტდება დეტალები, მთელის ნაწილები; აღქმის ბუნებას შეესაბამება ცოდნის შექმნა პრინციპით – „მთლიანი წარმოდგენებიდან კერძო წარმოდგენებამდე“. აქ ჩვენ ისევ ვუბრუნდებით დანყებით კლასებში ინტეგრირებული და მთლიანობითი სწავლების გოგებაშვილისეულ ტრადიციას, რაც ნათლად იკითხება იაკობის მემკვიდრის, ლუარსაბ ბოცვაძის, საპროგრამო დებულებაში: „შეუძლებელია, რომ ერთი საგნის ფარგალი განცალკევებული იყოს მეორე საგნისაგან. საზოგადოდ, სწავლების დროს ერთიანობის დარღვევა, საგნების განცალკევება და განკერძოება გადასაცემ ცოდნისა დიდ ნაკლს შეადგენდა სკოლებში. ყოველი საგნის წარმატება დამოკიდებულია იმ ხალისზე, რომელსაც სწავლება ინვესტს ბავშვში, და მის მიზანშეწონილობაზე. სწავლება ხალისიანი და მიზანშეწონილი იქნება მაშინ, როცა იმ ცნებათა შორის, რომლებიც ადგილს იჭერენ გონებაში, მტკიცე კავშირი იქნება დაცული; სხვადასხვა ცოდნა უნდა ავსებდეს და აშუქებდეს ერთმანეთს... როცა მეცადინეობა ამ სახით მიმდინარეობს, ბავშვებს რჩებათ თანმიმდევრული, მთლიანი შთაბეჭდილება და საგნებსაც სრულად გაიცნობენ“ (პირველდანყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამები, თბ., 1919; გვ. 14-15).

გოგებაშვილის მიერ ამ მიდგომისთვის საფუძვლის ჩაყრას ადასტურებს პროფესორი გურამ რამიშვილიც. იგი წერს: „განათლების ეროვნულ კონ-

ცეფციზე საუბრისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ერთი საკითხის ნამოჭრაც. ი.გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „საისტორიო მოთხრობები“ და „ბიბლიური მოთხრობები“ ერთმანეთს ავსებენ. აქ არის საოცარი ერთიანობა, რომელსაც დიდი ზნეობრივი საფუძველი აქვს ჩაყრილი, როგორც ქართველი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსისათვის, ისე ბუნების მკვლევრისათვის. საგნების სწავლებაში ინფორმაციული ნაკადის შემოჭრამ დაარღვია ეს სასიცოცხლო მთლიანობა და პირველკავშირები. აუცილებლად მიგვაჩნია ამ მთლიანობისა და ჰარმონიის აღდგენა-შენარჩუნება. საჭიროა სკოლებში საგანთა სწავლება ისე აიგოს, რომ ცოდნას მთლიანობა შეუნარჩუნდეს, თავდაპირველი კავშირები აღდგეს ადამიანსა და ბუნებას შორის. ეს სიბრძნე ჭეშმარიტი ცოდნის აუცილებელი საფუძველია“ (გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000, გვ. 17).

ბუნებისმცოდნეობის სწავლების ზემოხსენებული პრინციპებიდან (ინტეგრირებულობა და მთლიანობითობა) ლოგიკურად გადავდივართ სამ არსებით მომენტზე, რომლებითაც ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოების აგებისას ვხელმძღვანელობთ.

პირველი არის ის, რომ ბუნებისმცოდნეობის სწავლება უნდა იყოს ეკოლოგიური. ეს არ ნიშნავს მხოლოდ გარემოსდაცვითი შინაარსის ტარებას. ჩვენი გაგებით ეკოლოგია – ესაა მეცნიერული ცოდნა ცოცხალ ორგანიზმთა ურთიერთკავშირებისა და მათი გარემოსთან ურთიერთობის შესახებ, რომელიც სამყაროზე მთლიან წარმოდგენას გვიქმნის და საშუალებას გვაძლევს, ასევე მთლიანობაში განვიხილოთ სასწავლო პროცესი. ბუნებისმცოდნეობის სწავლებისას ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა განიხილება მოსწავლის გარე სამყაროს კონტექსტში. მოსწავლის ასაკობრივ ზრდასთან ერთად, ამ გარემოს საზღვრებიც ფართოვდება.

ბუნების დაცვის ამოცანებიდან გამომდინარე კი ბუნებისმცოდნეობის სწავლების ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ ბავშვს შეაყვაროს ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნება და განუვითაროს მისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, ჩამოუყალიბოს ბუნების დაცვის აუცილებლობის შეგნება და შეაიარაღოს ის გარკვეული შრომითი ჩვევებით. ბავშვის ზოგად განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს

პედაგოგიკურად ორგანიზებულ გარემოში მის მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სისტემატურად შექმნა. მეტად მნიშვნელოვანია გარემოება, რომ გარე სამყაროს შესახებ შექმნილი ცოდნა ცნობათა ჯამამდე არ იყოს დაყვანილი, არამედ იგი ბავშვებს ეძლეოდეს გარკვეული თანმიმდევრობით, მათ პირად გამოცდილებაზე ორიენტაციით და დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის მისანვდომი ფორმით. ამ ასაკის (იგულისხმება 6-დან 10 წლამდე) ბავშვთა აზროვნების განვითარების ძირითადი ხაზი თვალსაჩინო-მოქმედებითი აზროვნებიდან თვალსაჩინო-ხატოვან, ხოლო ამ უკანასკნელიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასვლაში მდგომარეობს. ჩვენთან მიმართებით ეს იმას ნიშნავს, რომ მართალია, ბავშვებს აუცილებლად უნდა შევუქმნათ საბუნებისმცოდნეო წარმოდგენები და შევასწავლოთ ცნებები. ეს წარმოდგენები და ცნებები მოსწავლეებში კონკრეტული ბუნებრივი საგნების მეშვეობით უნდა გამოვინვიოთ, ვინაიდან ამ ასაკში ცოდნის შექმნის საფუძველი თვით საგანი ან მოვლენაა და არა განყენებული წარმოდგენა. ბავშვის აზროვნება უნდა მიემართებოდეს საგნიდან (მოვლენიდან) ცნებისკენ და არა ცნებიდან საგნისკენ (მოვლენისაკენ).

მეორე არსებითი მომენტი ჩვენი მიდგომისა გულისხმობს სასწავლო პროცესის ისე აგებას, რომ მოსწავლის შემეცნებით საქმიანობაში მონაწილეობდეს ბავშვის ტვინის ორივე ნახევარსფერო (ჰემისფერო). ამ მიმართებით ჩვენ მიერ შემოთავაზებული სწავლების მეთოდიკა, პროგრამა, სახელმძღვანელო და რეკომენდაციები ეყრდნობა ადამიანის ტვინის სპეციალურ გამოკვლევებს, რომლებიც მოსწავლის შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების პრობლემებს უკავშირდებიან.

ჩვენი მიდგომის მესამე არსებითი მომენტი გულისხმობს ბუნების შესწავლასა და გარემოსთან სწორი კავშირების დამყარებას პრაქტიკული სამუშაოების მეშვეობით. ამ მიზნით სახელმძღვანელოშიც და მასწავლებლის წიგნშიც შეტანილია მრავალი პრაქტიკული სამუშაო, რომლებიც ხელს შეუწყობენ კვლევასა და ბუნების შესწავლისადმი ინტერესის გაჩენას.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სამივე მომენტი ეყრდნობა ბუნებისმცოდნეობის ჰოლისტიკური ანუ მთლიანობითი (wholly (ინგ.) – მთლიანად, სავსებით) სწავლების კონცეფციას, რომელიც შეიმუშავა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ჯ. ჰასარდმა (Jack Hassard, science experiences, 1990). ჰოლისტიკური სწავლა „სწავლების მოდელი მოსწავლეს განიხილავს როგორც მთლიან პიროვნებას და ემყარება ადამიანის თავის

ტვინის მთლიანობით ფუნქციონირებას. ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროები სხვადასხვა სახის აზროვნებით პროცესებში მონაწილეობენ. თითოეულ ნახევარსფეროს ფუნქციობის დომინანტური არეები აქვს; მარცხენა ნახევარში დომინირებს თანდათანობით და ლოგიკური თანმიმდევრობით მიწოდებული ინფორმაციის აღქმა და დამუშავება, მარჯვენა ნახევარსფეროში ქარბობს არავერბალური, მთლიანობით-სინთეზური, ხატოვან-სახვითი ინფორმაციის აღქმა და დამუშავება (როგორიცაა რიტმი, მელოდია, ფანტაზია, ფერები...).

ჰოლისტიკურ განათლებაში ერთობლივად იგულისხმება მარცხენა ნახევარსფერული ტიპის შემეცნებითი საქმიანობა და მარჯვენა ნახევარსფერული ტიპის შემეცნებითი საქმიანობა. ამასთანავე, ეს კონცეფცია ითვალისწინებს ბავშვებს შორის არსებულ განსხვავებებს მათი გონებრივი შესაძლებლობების სახეების მიხედვით, კერძოდ, ჩვენ ვგულისხმობთ გარდნერის მიერ დადგენილ გონებრივ შესაძლებლობათა რვა სახეს (მრავალმხრივ ინტელექტს). ესენია:

- 1) შიდაპერსონალური – როცა მოსწავლე ითვისებს მასალას ინდივიდუალური გამოკვლევისა და რეფლექსიის მეშვეობით;
- 2) პიროვნებათაშორისი – მოსწავლე სწავლობს სხვებთან თანამშრომლობით;
- 3) მუსიკალური – საგანთა წვდომის საშუალებაა რიტმი და მუსიკალური კანონზომიერებები;
- 4) სივრცული – საგანთა წვდომისთვის მოსწავლე საჭიროებს გრაფიკულ ობიექტებზე დაკვირვებას და მის შემადგენელ ელემენტებზე მანიპულირებას;
- 5) კინესთეტიკური – მოსწავლე სწავლობს მოძრაობით, გადაადგილებით, შეხებით;
- 6) სიტყვიერ-ლინგვისტური – როცა მოსწავლე მასალას ითვისებს გაგონილი და წაკითხული სიტყვების მეშვეობით;
- 7) ლოგიკურ-მათემატიკური – მოსწავლეს აქვს მათემატიკური ფორმულებითა და ლოგიკური კატეგორიებით მანიპულირების უნარი.
- 8) ნატურალისტური – მოსწავლეს ნატურალური შემეცნების განსაკუთრებული ნიჭი აქვს; მას ბუნებრივი საგნებისა და მოვლენების შეცნობისადმი ძლიერი მისწრაფება გააჩნია.

ადამიანში, ჩვეულებრივ, დომინირებს ერთი-ორი ტიპი ამ რვიდან, თუმცა მეტნაკლებად ყველაა წარმოდგენილი. სახელმძღვანელო ხელს უნდა უწყობდეს სასწავლო პროცესის ისეთნაირად წარმართვას, რომ მოსწავლეების გონებრივ შესაძლებლობათა ყველა სახე იყოს აქტივირებული.

ჯ. ჰასარდის თანახმად, ჰოლისტიკური განათლება ითვალისწინებს ბავშვის გონებრივ შესაძლებლობათა ყველა ჩამოთვლილი სახის გააქტიურებას, რასაც ნახევარსფერული ტიპის შემეცნებითი საქმიანობის გარდა, ხელს უწყობს სენსომოტორული ტიპის შემეცნებითი საქმიანობა (რაც ფიზიკურ ობიექტთან უშუალო კონტაქტს გულისხმობს) და ემოციური ტიპის შემეცნებითი საქმიანობა (რაც გრძნობით-ემოციურ სწავლებას გულისხმობს).

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვინაიდან ადამიანებს (მათ შორის, ბუნებრივია, ბავშვებსაც) ახასიათებს სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი უნარი და შესაძლებლობები, ამიტომ სწავლების ჰოლისტიკური მოდელი პედაგოგიურადაც, ფსიქოლოგიურადაც და სოციალური თანასწორობის მხრივაც პროგრესულია და მისაღები.

ბუნებისმცოდნეობის სწავლებას დაწყებით კლასებში განსაკუთრებული აღმზრდელობითი ფუნქცია აკისრია. სპეციფიკური ცოდნის გადაცემასთან ერთად, ბუნებისმცოდნეობის კურსი უნდა ემსახუროდეს მოსწავლეთა ეკოლოგიურ, ესთეტიკურ, პატრიოტულ და შრომით აღზრდას, რაც უნდა გამოიხატოს მოსწავლეებში შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და განწყობა-დამოკიდებულებების გამომუშავებით. ამგვარად, ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოს აღმზრდელობითი ფუნქცია უნდა ჰქონდეს.

სახელმძღვანელოს აღმზრდელობით ფუნქციაში იგულისხმება, აგრეთვე, დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარება. თანამედროვე გამოკვლევებმა პედაგოგიკაში დაადასტურა, რომ ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილებზე, როცა მოსწავლეები დამოუკიდებლად ეძიებენ დასმული ამოცანების გადაჭრის გზებს, არათუ იზრდება საგნისადმი მათი დაინტერესება, არამედ ეფექტურად ვითარდება ისეთი უნარ-ჩვევები,

როგორებიცაა კრიტიკული აზროვნება, ანალიზისა და შემოქმედების უნარი, მიღებული ინფორმაციის სისტემაში მოყვანის უნარი და სხვა.

ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოების აგების ჩვენეული ხედვის სისრულისათვის ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ. გასულ საუკუნეში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაწყებით სკოლას საფუძვლად ედო ის მოსაზრება, რომ დაწყებით კლასებში სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს ცოდნის გარკვეული მარაგის ათვისებაზე, სკოლის მომდევნო საფეხურისთვის საჭირო ინფორმაციის საბაზისო დონის შექმნაზე. თანამედროვე (ისევე როგორც კლასიკური) პედაგოგიური თეორიები უპირატესობას იმ მოსაზრებას ანიჭებენ, რომლის მიხედვითაც დაწყებით სკოლაში განათლებისა და აღზრდის პროცესი პიროვნების განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ჩვენი აზრით, ეს ორი მიდგომა ურთიერთგამომრიცხავი არაა, თუმცა აქცენტი მაინც განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ბუნებისმცოდნეობის პირველი კლასის სახელმძღვანელო შედგენილია ზემოთ ჩამოყალიბებული შეხედულებების საფუძველზე და მისი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს სწავლების შემდეგი ამოცანების განხორციელებას პირველ კლასში: ბუნების შესწავლის ძლიერი მოტივაციის შექმნას, გარემოსდაცვითი შეგნების ჩასახვას, მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის, გაკვირვებისა და აღმოჩენა-შესწავლის გზით გამომწვეული კმაყოფილების გრძნობის განვითარებას, ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმის (თამაშის) სწავლის ქცევით თანდათანობით შეცვლას (ანუ სასწავლო ქცევის ჩამოყალიბებას), შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარებასა და, ზოგადად, სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების გამომუშავებას.

2. სახელმძღვანელოს აგების პრინციპები

- **ინტეგრირება** – სახელმძღვანელოში სინთეზირებულია ნარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ოთხივე მიმართულება (მეცნიერული კვლევა-ძიება, ცოცხალი სამყარო, სხეულები და მოვლენები, დედამიწა და გარე სამყარო), აგრეთვე ზოგიერთი თემა სამოქალაქო აღზრდის სფეროდან;
- **მისაწვდომობა** – გათვალისწინებულია 5-6 წლის ასაკის ბავშვების ფსიქოლოგიური თავისებურებები და საჭიროებები;
- **სისტემატურობა და თანმიმდევრობა** – თითოეული შესასწავლი თემა აგებულია ერთიანი სტრუქტურით და უკუკავშირების გათვალისწინებით;
- **შედეგებზე ორიენტირება** – სახელმძღვანელომ ხელი უნდა შეუწყოს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას სასწავლო წლის ბოლოსთვის;
- **შეგნებულობა და აქტიურობა** – სახელმძღვანელოს გაფორმება და სწავლების მეთოდიკა ისეა მოაზრებული, რომ მათ უზრუნველყონ მოსწავლის მიერ მასალის გააზრებულად ათვისება – ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავების, საკუთარ ძალებში დარწმუნებისა და თანაკლასელებთან თანამშრომლობის გზით;
- **თვალსაჩინოება და გრძობადი აღქმა** – სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას ადამიანის ყველა შეგრძნების აქტიური გავარჯიშება-გამოყენებით;
- **ემოციური აღქმა** – სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის საინტერესოდ და სახალისოდ წარმართვას, რაც ბავშვებში სწავლისა და საგნისადმი დადებით ემოციურ დამოკიდებულებას უზრუნველყოფს;
- **აღმზრდელობითი** – ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო გონებრივი განვითარების პარალელურად უნდა ემსახუროდეს მოსწავლეთა ეკოლოგიურ და ესთეტიკურ აღზრდას, აგრეთვე – უსაფრთხოებისა და ჰიგიენის უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- **სახელმძღვანელოს ფუნქციონალურობა** – ამ პრინციპში იგულისხმება სწავლების მთლიან სისტემაში ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოს, როგორც ამ სისტემის ელემენტის, ფუნქციური დატვირთვა სხვა ელემენტებთან (სასწავლო მასალები, სწავლების საშუალებები, სხვა საგნების სახელმძღვანელოები..) ურთიერთკავშირში;
- **ნორმატიულ დოკუმენტებთან შეთანხმებულობა** – სახელმძღვანელოს თემატიკა და სწავლების მეთოდიკა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებსა და მოთხოვნებს.

3. დეტალური კომენტარები სახელმძღვანელოს თითოეულ სტრუქტურულ ელემენტთან (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) დაკავშირებით და მათი გამოყენების წესი.

I კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო კომპლექტია, რომლის შემადგენლობაშია: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული და მასწავლებლის წიგნი.

მოსწავლის წიგნი სპეციფიკურია. ვინაიდან ეს არის პირველი კლასის სახელმძღვანელო, მასში საერთოდ არ არის საკითხავი ტექსტი. II სემესტრიდან ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ მოკლე და მარტივი ინსტრუქციები იმ ასოების გამოყენებით, რომლებიც უკვე ნასწავლი უნდა ჰქონდეთ იმ დროისთვის. ასე რომ, მოსწავლის წიგნი ძირითადად ილუსტრაციებისა და სავარჯიშოების კომპლექტია, რომელიც მრავალფეროვანი სამუშაოების შესრულებას სთავაზობს ბავშვებს. მოსწავლის რვეული ბუნებისმეტყველება¹ წარმოადგენს სამუშაო ფურცლების კრებულს, რომელშიც მოსწავლე ხატავს, აფერადებს, აკეთებს მარტივ მოდელებს, აჯგუფებს საგნებს და ა.შ.

1 კლასის სამუშაო რვეული, ყდაში თანმიმდევრულად ჩამაგრებული ცალკეული ფურცლების კრებულია. თითოეული მეცადინეობისათვის მოსწავლეს დასჭირდება 1 ან 2 ასეთი ფურცელი. ფურცლები დანომრილია თემების მიხედვით და ასე მათი გამოყენება ბევრად უფრო მოხერხებულია

პირველკლასელთათვის (მასწავლებელს თავისი საჭიროებისამებრ შეუძლია ადვილად ამოახვეინოს ნებისმიერი ფურცელი). დანართის სახით სახელმძღვანელოს ახლავს ფერადი ქაღალდებიც.

მასწავლებლის წიგნში კი დანვრილებით არის წარმოდგენილი ყველა გაკვეთილის სცენარი.

ბუნებისმეტყველების საგნობრივი პროგრამით განსაზღვრულია ის სპეციფიკური უნარ-ჩვევები, რომელთა განვითარება აუცილებელია ამ საგნის სწავლებისას. I კლასში ხელი უნდა შეეწყოს სასწავლო კვლევით უნარ-ჩვევების განვითარებას ელემენტარულ დონეზე, კერძოდ: დაკვირვების, კვლევის, აღწერის, აღრიცხვის, კლასიფიკაციისა და კომუნიკაციის ჩვევების განვითარებას ამ ასაკშივე ჩაეყრება საფუძველი.

შემოთავაზებული მეცადინეობები და აქტივობები ითვალისწინებს I კლასის საგნობრივი სტანდარტის ოთხივე მიმართულებას: **მეცნიერული კვლევა-ძიება, ცოცხალი სამყარო, სხეულები და მოვლენები, დედამიწა და გარესამყარო.**

სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული აქტივობები ხელს უწყობს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა შედეგის მიღწევას.

4. სასწავლო თემატიკა

I კლასის ბუნებისმეტყველებაში ისწავლება თემები, რომლებიც შერჩეულია სპეციალური კვლევის საფუძველზე, პირველკლასელთა ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით. თემები გათვლილია 32 სასწავლო კვირაზე. მასწავლებლისთვის გათვალისწინებულია რამდენიმე გაკვეთილი სათადარიგოდ და გასამეორებლად. ყოველი თემა მოიცავს 2 ან მეტ საკითხს. სულ მოსწავლის წიგნში 58 გაკვეთილია. მოსწავლის რვეული შესაბამისად თემატურად მიჰყვება სახელმძღვანელოს და ეხმარება მოსწავლეებს თემის უკეთ გააზრებაში.

სასწავლო თემების თანმიმდევრობა ასეთია:

თემა: მე და ჩემი სხეული

1. მე და ბუნება
2. სხეულის ნაწილები

თემა: ჩემი სკოლა

3. მოგზაურობა სკოლაში
4. მოგზაურობა სკოლის გარეთ
5. გზა სახლიდან სკოლამდე

თემა: ტრანსპორტი და საგზაო ნიშნები

6. საგზაო მოძრაობის წესები
7. საგზაო ნიშნები და ტრანსპორტი
8. რომელი ტრანსპორტით ვმგზავრობთ?

თემა: ჩვენ ირგვლივ

9. ბუნებრივი და ხელოვნური
10. ცოცხალი და არაცოცხალი
11. ჩვენ ირგვლივ
12. ბუნების სადარაჯოზე
13. საცხოვრებელი გარემო
14. რა რისგან მზადდება?
15. სად ცხოვრობს ოჯახი?
16. ავეჯი და პირადი ნივთები

თემა: შემოდგომა

17. შემოდგომა
18. შემოდგომის ფერები
19. რთველი
20. ჩვენ გვიყვარს ხილი

თემა: საკვები

21. ხილია, თუ ბოსტნეული?
22. ბოსტნეული – სასარგებლო საკვები
23. საკვები პროდუქტები
24. სასმელი

თემა: ზამთარი

25. რას ვიცვამთ?
26. ზამთარი
27. ახალი წელიც მოსულა
28. სახიფათო ნივთები

თემა: შეგრძნების ორგანოები

29. როგორ ამოვიცნობთ საგნებს?
30. ყნოსვა და გემო
31. შეგრძნების ორგანოები

თემა: ჯანმრთელობის სადარაჯოზე

32. ექიმი და ნამლები
33. გინდა ჯანმრთელი იყო?
34. ვივარჯიშოთ ყველამ ერთად!

თემა: გაზაფხული

35. გაზაფხულის მობრძანება
36. დღე და ღამე
37. გაზაფხული ჩვენს ეზოში

თემა: მცენარეები

38. მცენარეთა სამყარო
39. რა ამშვენებს მინდორს?
40. ოთახის მცენარეები
41. ჩვენი ტყე
42. ტყის ბინადარი

თემა: ცხოველთა სამყარო

43. ჩვენი ოთხფეხა „მეგობრები“
44. შინაური ფრინველები
45. ზოგი დადის, ზოგი დახობავს...
46. წყლის ბინადრები
47. ფრინველთა ხმები
48. პატარა ექვსფეხა ცხოველები
49. ზოოპარკში

თემა: კოსმოსი

50. მიკროსკოპი, ტელესკოპი
51. ციური სხეულები
52. მოგზაურობა კოსმოსში
53. რა მოხდება, მზე რომ „ჩაქრეს“?

თემა: ზაფხული

54. ზაფხულიც მოვიდა
55. ჩვენი სოფელი
56. ექსკურსია კლასის „ტყეში“
57. ბუნებაში ქცევის წესები
58. ჩვენი სამშობლო

5.

კლასის ბუნებისმეტყველების სტანდარტი

შედეგების ინდექსი	სტანდარტის შედეგი
1. მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება	
ბუნ.დანყ.(I).1.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
1. მიმართულება: ცოცხალი სამყარო	
ბუნ.დანყ.(I).2.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: ორგანიზმების (მცენარეებისა და ცხოველების) აღწერა და დახასიათება ძირითადი ნიშან-თვისებების მიხედვით; ორგანიზმების დაჯგუფება, ჯგუფების დახასიათება და შედარება, მათი ტიპური ნარმომადგენლების აგებულების, ცხოველქმედებისა და სასიცოცხლო ციკლის თავისებურებებზე მსჯელობა; ორგანიზმების სასიცოცხლო მოთხოვნილებებისა და მათზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების შესახებ მსჯელობა.
2. მიმართულება: სხეულები და მოვლენები	
ბუნ.დანყ.(I).3.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: სხეულებისა და მათი შემადგენელი მასალების/ნივთიერებების თვისებების დახასიათება; ბგერის, სინათლისა და სითბოს წყაროებსა და გავრცელებაზე მსჯელობა; აგრეგატული მდგომარეობის ცვლილებაში სითბოს გადაცემის როლზე მსჯელობა; ადვილად დაკვირვებადი მოძრაობებისა და ძალების დახასიათება.
3. მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო	
ბუნ.დანყ.(I).4.	მოსწავლემ უნდა შეძლოს: ლოკალურ გარემოში ორიენტირება; წყლისა და ხმელეთის მნიშვნელოვანი ობიექტების აღწერა და მათი ამოცნობა სხვადასხვა სახის გეგმასა და რუკაზე; ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობაზე მსჯელობა; ციკლური ბუნებრივი მოვლენების აღწერა და მათ გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობა.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები:

მიმართულება: მეცნიერული კვლევა-ძიება

ბუნ.ი.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;
- აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;
- უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;
- ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;
- აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);

- ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასამულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

მიმართულება: ცოცხალი სამყარო

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“);
- აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“);
- მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებსათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა);
- იყენებს სხვადასხვა მარტივ ხელსაწყოს (ლუბა, ფონენდოსკოპი) შეგრძნების გაძლიერების მიზნით და აღწერს სხეულის თვისებებს, რომლებიც ამ ხელსაწყოების გამოყენებისას გახდა თვალსაჩინო;
- ასახელებს პირადი ჰიგიენის ნივთებს (მაგ., სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი), მსჯელობს ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე.

შინაარსი

გარემოს მრავალფეროვნების აღქმა შესაძლებელია შეგრძნების ორგანოების – თვალის, ყურის, ცხვირის, ენისა და კანის საშუალებით. ყოველდღიურ ცხოვრებაში შეგრძნების ორგანოები ეხმარება ადამიანს, აღიქვას და ამოიცნოს სხეულები მათი მახასიათებლების (მაგ., ფერი, სუნი, ფაქტურა, ფორმა, ხმა) მიხედვით. შეგრძნებები იცავს ადამიანს საფრთხისგან (მაგ., ქუჩაში მოძრაობისას), საშუალებას აძლევს, აღიქვას გარემოში მომხდარი ცვლილებები (მაგ., ამინდის ცვლილება). აუცილებელია, ადამიანი გაუფრთხილდეს შეგრძნების ორგანოებს, დაიცვას ჰიგიენის ელემენტარული ნორმები. ცხოველებისათვის შეგრძნების ორგანოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტრისაგან თავის დაღწევისა და საკვების მოპოვებისათვის.

სარეკომენდაციო აქტივობები

მასწავლებელი:

- უჩვენებს მოსწავლეებს კონკრეტულ საგანს და სთხოვს, დაასახელონ მისი თვისებები, დაუკავშირონ დასახელებული თვისებები შესაბამის შეგრძნების ორგანოებს;
- სთხოვს მოსწავლეების ერთ ჯგუფს, ჩაიფიქროს რომელიმე სხეული და აღწეროს მისი თვისებები, ხოლო მეორე ჯგუფს – გამოიცნოს ჩაფიქრებული სხეული;
- აძლევს მოსწავლეებს დავალებას, ამოიცნონ ნაცნობი საგანი თვალდახუჭულებმა, აღწერონ საგნის თვისებები და ახსნან, როგორ მოახერხეს ამოცნობა;
- სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ საგანი ხმის მიხედვით, რომელსაც ის გამოსცემს (მაგ., მასზე დაკაკუნების შედეგად);

- ასმენინებს მოსწავლეებს აუდიომასალას (მაგ., ცხოველების ხმები, სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის: წვიმის, ქექა-ქუხილის, ზღვის ღელვის თანმხლები ხმები) და სთხოვს, ამოიცნონ, რა გამოსცემს ამ ხმებს;
- რეალურ გარემოში, ვიდეომასალაზე ან კომპიუტერული სიმულაციების გამოყენებით აჩვენებს მოსწავლეებს ქუჩის სიტუაციას. სთხოვს, იმსჯელონ შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე გამაფრთხილებელი ნიშნების აღქმისა და მათზე რეაგირებისათვის;
- სთავაზობს მოსწავლეებს, შეგრძნების სხვადასხვა ორგანოს გამოყენებით გამოიკვლიონ ლოკალური გარემო (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლის ეზო) და აღწერონ კონკრეტული სხეულები;
- აძლევს დავალებას: დახუჭე თვალები და მითხარი, რა ფერია კალამი? არ შეეხო ქიქას და მითხარი, მასში ცივი წყალი ასხია თუ თბილი? რატომ ვერ მეუბნები? ეხმარება მოსწავლეებს, გამოიტანონ დასკვნა, რომ სხეულის რომელიმე თვისების აღქმა შეგრძნების მხოლოდ განსაზღვრულ ორგანოს შეუძლია;
- აძლევს მოსწავლეებს ისეთი ტიპის დავალებებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისინი შეძლებენ გამოიტანონ დასკვნა პირადი ჰიგიენის დაცვის (მაგ., ხელების ხშირად დაბანა, ტანის დაბანა, კბილების გამოხეხვა, კომპიუტერით სარგებლობის ჰიგიენური ნორმების დაცვა) აუცილებლობაზე.

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს საკუთარ თავს, თანაკლასელებს, სხვა ადამიანებს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნების მიხედვით (მაგ., სიმაღლე, თმის ფერი, თვალის ფერი, ჭორფლიანობა);
- აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველს სხეულის ნაწილების (მაგ., თავი, კიდურები, კუდი, ყურები, ნისკარტი, ფრთები, ხორთუმი) მიხედვით;
- ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი);
- აწყობს ფრაგმენტებისგან მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის მთლიანი სხეულის მოდელს;
- აჯგუფებს ცოცხალ სხეულებს მცენარეებად და ცხოველებად, ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას;
- მსჯელობს ადამიანისთვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობაზე (მაგ., მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასაღამაზებლად; ცხოველებისა და ადამიანების მეგობრობა; საკვები პროდუქტები, რომლებსაც გვაძლევენ ცხოველები);
- აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მოხინაძრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად.

ექებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატი, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).

შინაარსი

ცოცხალი სხეულები სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება. მცენარეებს აქვთ ფესვი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი და თესლი. ცხოველების დიდ ნაწილს აქვს თავი, ტანი და კიდურები. ზოგიერთ მათგანს აქვს კუდი, ნისკარტი, რქა, უღვაში და სხვ. მცენარეები და ცხოველები

ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა ნიშნით, მაგალითად, სხეულის ნაწილებით, სივრცეში გადაადგილების უნარით. მცენარეები, ისევე როგორც ცხოველები, ერთმანეთისგან განსხვავდება სხეულის ნაწილების ფორმით, ზომით, შეფერილობით და ა.შ. ადამიანი იყენებს მცენარეებსა და ცხოველებს თავის სასარგებლოდ: საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასალამაზებლად და სხვა.

სარეკომენდაციო აქტივობები

მასწავლებელი:

- სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ და დაასახელონ ადამიანის, ცხოველის, მცენარის სხეულის ნაწილები, იმსჯელონ მათ დანიშნულებაზე;
- აჩვენებს მოსწავლეებს ნაცნობი ან უცნობი მცენარეების/ცხოველების ილუსტრაციებს/ვიდეომასალას. სთხოვს, შეადარონ ისინი ერთმანეთს გარეგნული ნიშნების, ან/და სხეულის ნაწილების მიხედვით;
- აწყობს საკლასო გამოფენას მცენარეების/ცხოველების მრავალფეროვნების თემაზე (მაგ., სთხოვს მოსწავლეებს, წარმოადგინონ ნახატები, ჰერბარიუმები, აპლიკაციები, ფოტოები ცხოველებისა, რომლებიც დადიან/დაფრინავენ/დაცურავენ; მცენარეებისა, რომლებსაც აქვთ ერთმანეთისგან განსხვავებული ყვავილები). სთხოვს, გამოიტანონ დასკვნა ცოცხალი სხეულების მრავალფეროვნების შესახებ;
- სთხოვს მოსწავლეებს, აირჩიონ რომელიმე მცენარე ან ცხოველი (მაგ., საკუთარი შინაური ცხოველი), მოყვენ მასზე ისტორიას და გაუზიარონ კლასელებს გამოცდილება მასთან ურთიერთობების შესახებ, გამოიტანონ დასკვნა ადამიანებისათვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობის შესახებ;
- ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა მცენარეს/მათ ნაწილებს, სთხოვს, გამოიკვლიონ ისინი და შეადარონ ერთმანეთს მითითებული კრიტერიუმის მიხედვით (ფოთლები – ფორმის მიხედვით, ლეროები – სისქის, სიმაღლისა და სიმაგრის მიხედვით, ყვავილი და ნაყოფი – ფერის, ფორმის, ზომის, მიხედვით და ა.შ.);
- იწვევს სტუმარს (ვეტერინარს, კინოლოგს, ცხოველების მწვრთნელს) ცხოველებთან უსაფრთხოდ ურთიერთობის წესებზე სასაუბროდ.
მიმართულება: სხეულები და მოვლენები

ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე (მაგ., მაკრატელი – რკინა, რვეული – ქალაღი, საშლელი-რეზინი);
- ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს;
- ახასიათებს ნივთიერებებს/მასალებს ადვილად დაკვირვებადი თვისებების (მაგ., გამჭვირვალობა, დრეკადობა, ტივტივის უნარი, წყალგაუმტარობა) მიხედვით;
- აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებულ სხეულებს.

შინაარსი

ჩვენ ირგვლივ არსებული სხეულები სხვადასხვა ნივთიერებისგან/მასალისაგან (მაგ., ქალაღი, მეტალი, ხე, რეზინი, პლასტმასა, მინა) შედგება. სხვადასხვა სხეული შეიძლება ერთი და იმავე ნივთიერებისგან/მასალისაგან იყოს დამზადებული, ხოლო ერთი და იმავე დანიშნულების სხეული (მაგ., კოვზი) – სხვადასხვა ნივთიერებისგან/მასალისაგან. ნივთიერებები/მასალები ერთმანეთისაგან განსხვავდება გარკვეული თვისებებით: გამჭვირვალობა, დრეკადობა, სიმყ-

იფე და ა.შ. სხეულის თვისებები დამოკიდებულია არა მხოლოდ მის ფორმასა და ზომაზე, არამედ მისი შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებებზეც.

სარეკომენდაციო აქტივობები

მასწავლებელი:

- აჩვენებს მოსწავლეებს ორ განსხვავებულ სხეულს და სთხოვს, შეადარონ ერთმანეთს; ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ სხეულის თვისებებთან დაკავშირებული სიტყვები (მაგ., დიდი, ნითელი, მძიმე, პრიალა);
- ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთიერებისგან/მასალისაგან (მაგ., ქალაქი, რკინა, მინა, ხე, პლასტილინი) დამზადებულ სხეულებს და სთხოვს, გამოიკვლიონ მათი თვისებები (მაგ., სიგლუვე, გამჭვირვალობა, დრეკადობა, იძირება თუ არა წყალში, ატარებს თუ არა წყალს);
- ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებული სხეულების ნაკრებს და სთხოვს, დააჯგუფონ ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებული სხეულები;
- ურიგებს მოსწავლეების ჯგუფებს ერთნაირ სხეულებს (მაგ., კოვზებს, ბურთულებს) და სთხოვს მათ, დაამზადონ პლასტილინისაგან ამავე სხეულების მოდელი. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს მათ მიერ დამზადებულ მოდელს და ორიგინალს, მასწავლებლის დახმარებით უკავშირებენ გამოვლენილ განსხვავებებს შესაბამისი მასალის თვისებებს.

მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო

ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ჩამოთვლის სასწავლო გარემოში (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ტუალეტი, ბუფეტი, ექიმის კაბინეტი, ადგილი, სადაც უნდა დაელოდოს უფროსს) არსებულ ობიექტებს და საუბრობს მათ დანიშნულებაზე;
- იყენებს შესაბამის მიმართებით ტერმინებს (მაგ., შორს, ახლოს, ჩემგან მარჯვნივ, ჩემ ზემოთ, ქვემოთ) და განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობას საკუთარი თავის მიმართ;
- ასრულებს და თავადაც გასცემს მარტივ ინსტრუქციებს, არა უმეტეს 1-2 მიმართულებისა (მაგ., წინ და მარჯვნივ) სკოლის ტერიტორიაზე ორიენტირებისთვის;
- დაკვირვების საფუძველზე ქმნის სკოლის ნახატს, საუბრობს იმ დეტალებზე, რომლებმაც მისი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია;
- მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელებთან ერთად აყალიბებს და იცავს ლოკალურ გარემოში (მაგ., კლასში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, სახლში) ქცევის წესებს (მაგ., იცავს სკოლის სისუფთავეს);
- ამოიცნობს და განმარტავს ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველ პირობით ნიშნებს, ხსნის მათი დაცვის აუცილებლობას, საუბრობს უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობაზე.

შინაარსი

სკოლაში არსებულ თითოეულ ობიექტს (მაგ., საკლასო ოთახს, სპორტულ დარბაზს, ტუალეტს, ბუფეტს, ბიბლიოთეკას, უსაფრთხოების კიბეს ან/და გასასვლელს) განსხვავებული

დანიშნულება და ადგილმდებარეობა აქვს. ორიენტირებისთვის საჭიროა მიმართებითი ტერმინების (მაგ., შორს-ახლოს, მარჯვნივ-მარცხნივ, ზემოთ-ქვემოთ) ცოდნა და სწორად გამოყენება. სასკოლო გარემოში საჭიროა გარკვეული წესების დაცვა (მაგ., სისუფთავის დაცვა, ხმაურისგან თავის შეკავება). ქუჩაში ფეხით მოსიარულეთა და მანქანების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფისათვის შექმნილია პირობითი ნიშნები.

სარეკომენდაციო აქტივობები

მასწავლებელი:

- სწავლის დაწყების პირველსავე დღეებში, სკოლის გაცნობის მიზნით, მოსწავლეები გაჰყავს სკოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასათვალიერებლად;
- სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ საგნები, რომლებსაც საკლასო ოთახში ხედავენ და ისაუბრონ ამ საგნების დანიშნულების შესახებ. შეადარონ სახლში არსებულ საგნებს, აღმოაჩინონ მსგავსება სახლსა და სკოლას შორის. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ სკოლის გარემო მოსწავლეთათვის საინტერესო და ახლობელი გახდეს;
- სთავაზობს მოსწავლეებს თამაშებს, რომლებიც მოითხოვენ სივრცეში გადაადგილებას მიმართებითი ტერმინების მიხედვით (მაგ., დამალული საგნის მისაგნებლად გადაადგილონ ნაბიჯი წინ, სამი ნაბიჯი მარცხნივ);
- აძლევს მოსწავლეებს კონკრეტულ ინსტრუქციებს, რომლებიც შეიცავენ მიმართებით ტერმინებს (მაგ., ნიგნის მარჯვნივ დადე ფანქარი);
- სთხოვს მოსწავლეებს, შეასრულონ სივრცითი მიმართების შემცველი დავალებები ფურცელზე ან კომპიუტერში (მაგ., მაგიდის ქვეშ დახატე ბურთი);
- სთავაზობს დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლემ თავად უნდა გასცეს მიმართებითი ტერმინების შემცველი მარტივი ინსტრუქცია (მაგ., აუხსენი გიორგის, როგორ მოძებნოს ექიმის ოთახი; აღწერე, როგორ მოვხვდეთ ჰოლიდან საკლასო ოთახში);
- სთავაზობს საგზაო მოძრაობის წესების თემაზე სიმულაციურ თამაშებს საკლასო ოთახში ან სკოლის ეზოში. სასურველია, საგზაო სიმულაციური თამაშებისათვის მანიშნებლები თავად მოსწავლეებმა დაამზადონ.

ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში;
- განასხვავებს დღე-ღამის მონაკვეთებს – დილა, შუადღე, საღამო, ღამე და უკავშირებს საკუთარ აქტივობას/საქმიანობას;
- ასახელებს და აღარებს ერთმანეთს წელიწადის დროებს, მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, საუბრობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე;
- ჩამოთვლის კვირის დღეებს, განასხვავებს კვირის დღეებს მათთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით (მაგ., სასწავლო დღე – უქმე დღე/დასვენების დღე);
- ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლცვენა) მაგალითებს.
- ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით.

შინაარსი

დღე-ღამისა და წელიწადის დროების მონაცვლეობა რიტმული მოვლენებია. დღე-ღამისა და წელიწადის დროების მიხედვით განსხვავებულია ამინდი, მცენარეებისა და ცხოველების ცხოვრების წირი და ადამიანის საქმიანობა.

სარეკომენდაციო აქტივობები

მასწავლებელი:

- სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ დღე და ღამე განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით და დახატონ ღამისა და დღის სურათი;
- სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი დაკვირვების საფუძველზე დაახასიათონ ცხოველების ქცევა დღე-ღამის განმავლობაში (შინაური ცხოველის, მაგ., თუთიყუშის, ძაღლის, კატის ქცევაზე დაკვირვების შედეგების ან ვიდეოფილმის საფუძველზე) და გამოთქვან მოსაზრება, რატომ იქცევა მათი დაკვირვების ობიექტი ასე თუ ისე;
- აჩვენებს მოსწავლეებს წელიწადის დროების ამსახველ სურათებს. სთხოვს, ამოიცნონ და იმსჯელონ მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, დაასახელონ მათთვის საყვარელი წელიწადის დრო;
- სთავაზობს მოსწავლეს, ყუთში ჩაყრილი ფერადი ფურცლებიდან ამოიღოს რომელიმე ერთი ფურცელი და დაუკავშიროს წელიწადის დროს. ახსნას, რატომ დაუკავშირა ეს ფერი დასახელებულ დროს;
- სთავაზობს მოსწავლეებს თამაშს: მოსწავლე ბარათზე დაწერილ წელიწადის დროს უხმოდ, მიმიკით და ჟესტებით განასახიერებს, თანაკლასელებმა კი უნდა გამოიცნონ, წელიწადის რომელი დრო წერია ბარათზე;
- სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, მოუთხრონ თანაკლასელებს საკუთარი დაბადების დღის შესახებ. მასწავლებელი კითხვებით მიმართულებას აძლევს საუბარს: უფრო ხშირად როგორი ამინდია შენს დაბადების დღეზე? რა გაცვიათ შენ და შენს მეგობრებს? ყოფილა თუ არა თოვლი/წვიმა? ხეები აყვავებულია თუ არა და ა.შ. ამ შეკითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ კლასმა უნდა გამოიცნოს, წელიწადის რომელ დროს არის მისი დაბადების დღე.

6. შესაბამისობა ეროვნულ სანსავლო გეგმასთან

გაკვეთილებისა და თემების დასახელება	სტანდარტის მიმართულებები და შედეგები				დედამიწა და გარემომყარო
	მცენარეული კვლევა-ძიება	ცოცხალი სამყარო	სხეულები და მრავალელები	სხეულები და მრავალელები	
გაკვეთილებისა და თემების დასახელება	1. მცენარეული კვლევა-ძიება დინამიკური-სტრუქტურული ცვლილებების აღმოჩენა და აღწერა. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა.	2. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა. 3. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა.	4. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა. 5. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა.	5. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა. 6. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა.	6. მცენარეული ცხოველების ცხოვრების წესის აღწერა.
1. მე და ბუნება					
2. სხეულის ნაწილები					
3. მოგზაურობა სკოლაში					
4. მოგზაურობა სკოლის გარეთ					
5. გზა სახლიდან სკოლამდე					
6. საგზაო მოძრაობის წესები					
7. საგზაო ნიშნები და ტრანსპორტი					
8. რომელი ტრანსპორტით ვმგზავრობთ?					
9. ბუნებრივი და ხელოვნური					
10. ცოცხალი და არაცოცხალი					
11. ჩვენ ირგვლივ					
12. ბუნების სადარაჯოზე					
13. საცხოვრებელი გარემო					
14. რა რისკიან მზადდება?					

	1	2	3	4	5	6
15. სად ცხოვრობს ოჯახი?						
16. ავეჯი და პირადი ნივთები						
17. უემოდგომა						
18. შემოდგომის ფერები						
19. რთველი						
20. ჩვენ გვიყვარს ხილი						
21. ხილია, თუ ბოსტნეული?						
22. ბოსტნეული – სასარგებლო საკვები						
23. საკვები პროდუქტები						
24. სასმელი						
25. რას ვიცვამთ?						
26. ზამთარი						
27. ახალი წელიც მოსულა						
28. სახიფათო ნივთები						
29. როგორ ამოვიცნობთ საგნებს?						
30. ყნოსვა და გემო						
31. გრძნობის ორგანოები						
32. ექიმი და ნამღლები						
33. გინდა ჯანმრთელი იყო?						
34. ვივარჯიშოთ ყველამ ერთად!						
35. გაზაფხულის მოზრძანება						
36. დღე და ღამე						

	1	2	3	4	5	6
37. გაზაფხული ჩვენს ეზოში						
38. მცენარეთა სამყარო						
39. რა ამშვენებს მინდორს?						
40. ოთახის მცენარეები						
41. ჩვენი ტყე						
42. ტყის ბინადარი						
43. ჩვენი ოთხფეხა „მეგობრები“						
44. შინაური ფრინველები						
45. ზოგი დადის, ზოგი დახობავს...						
46. წყლის ბინადრები						
47. ფრინველთა ხმები						
48. პატარა ექვსფეხა ცხოველები						
49. ზოოპარკში						
50. მიკროსკოპი, ტელესკოპი						
51. ციური სხეულები						
52. მოგზაურობა კოსმოსში						
53. რა მოხდება მზე რომ „ჩაქრეს“?						
54. ზაფხულიც მოვიდა						
55. ჩვენი სოფელი						
56. ექსკურსია კლასის „ტყეში“						
57. ბუნებაში ქცევის წესები						
58. ჩვენი სამშობლო						

7. სახელმძღვანელოს გამოყენების წესი

სასწავლო პროცესის დაწყებამდე მასწავლებელი სრულად უნდა გაეცნოს მასწავლებლის წიგნში მოცემულ ბუნებისმეტყველების სწავლების კონცეფციასა და თავისებურებებს.

პირველკლასელთა დიდმა ნაწილმა კითხვა ჯერ არ იცის ან ძალიან უჭირს, ამიტომ, ბუნებრივია, მოსწავლის სახელმძღვანელოში არანაირი საკითხავი ტექსტები არ არის; მათთვის დავალებები ისეა შედგენილი, რომ ისინი, ძირითადად, გამოცდილების მიღებით სწავლობენ, ანუ – სწავლობენ უშუალო დაკვირვებით, გასინჯვით, კვლევით, შეხებით, ხატვით და გაფერადებით, მასალის ხელით დამუშავებით, შემეცნებით ოპერაციებსა და დიდაქტიკურ თამაშებში აქტიური მონაწილეობით, განხილვით, მსჯელობით და მათთვის ახალი ცოდნის „აღმოჩენით“.

ვინაიდან მოსწავლის სახელმძღვანელო უტექსტოა, მასწავლებლის წიგნში თითოეული მეცადინეობა აღწერილია დანვრილებით. მასწავლებელი ეცნობა კვირის თემას, შემდეგ მეცადინეობის თემის სათაურს, მიზნებს, საჭირო მასალას, ბავშვებისთვის საგარეუდო უცხო სიტყვებსა და მეცადინეობის მსვლელობას. ბოლოში მოცემული დამატებითი (ალტერნატიული) აქტივობა მასწავლებელს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს (ან საერთოდ არ გამოიყენოს).

მასწავლებლის წიგნში გაკვეთილების დანომვრა და აღწერა ზუსტად შეესაბამება მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული საკითხების (თემების) თანმიმდევრობას, რაც პედაგოგს გაკვეთილების დაგეგმვას გაუადვილებს. გაკვეთილის მსვლელობის (აქტივობების) აღწერაში გამოყოფილი 3-6 ძირითადი აქტივობა – დასათაურებულია და მონიშნულია დროითი მონაკვეთით. მინიშნებული წუთები საორიენტაციოა და არა სავალდებულო. საგაკვეთილო დროის დაზოგვის შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია,

შეთავაზებული დამატებითი აქტივობაც გამოიყენოს. თუმცა, ყველა შემთხვევაში სასურველია, მასწავლებელმა არ იჩქაროს და ბავშვებს წყნარად მუშაობის საშუალება მისცეს.

კლასში მოსწავლეთა რაოდენობისა და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია, შეთავაზებული ძირითადი აქტივობებიდან შეარჩიოს ის აქტივობები, რომლებიც მისი აზრით ყველაზე უკეთ მიიყვანენ მისაღწევ შედეგებამდე. მოსწავლეებს საშინაო დავალებები არ ეძლევათ. მასწავლებელმა მეცადინეობა ისე უნდა დაგეგმოს, რომ სწავლება-სწავლის პროცესი საგაკვეთილო დროში ჩაეტიოს. ყველა მეცადინეობა უნდა დამთავრდეს მოკლე დასკვნებითა და შეჯამებით, უნდა მოხდეს ე.წ. რეფლექსია. შეჯამებისას, სასურველია, დაფიქსირდეს კავშირები წინა და მომდევნო მეცადინეობებთან.

მოსწავლის რვეულში შესრულებული სამუშაოების ნაწილი, სასურველია, გამოიკრას კედლებზე ან დამაგრდეს კედლის გასწვრივ გაბმულ ძაფზე და დარჩეს ასე მთელი წლის განმავლობაში. ბავშვებს ძალიან მოსწონთ საკუთარი ნახელავის გამოფენა, საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენებაც ადვილი იქნება.

ამრიგად, მასწავლებლის წიგნით პედაგოგებს ვთავაზობთ ბუნებისმეტყველების ჩვენი სახელმძღვანელოთი (ბუნება 1) სწავლების მეთოდუკას, მაგრამ ამით არ ვზღუდავთ მასწავლებლებს. თავიანთი კვალიფიკაციისა და პირობების მიხედვით, მათ დამატებით შეუძლიათ თავად შეარჩიონ სწავლების ის ხერხები და აქტივობები, რომლებიც ამ შემთხვევაში უფრო ეფექტურად მიაჩნიათ და მათი აზრით უკეთ შეუწყობს ხელს თითოეული მეცადინეობის მიზნების განხორციელებას და სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მოსწავლეთა ე.წ. სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება. შევეცადეთ, ისე შეგვედგინა სახელმძღვანელოს შინაარსი და სტრუქტურა, რომ მოსწავლეებს დავხმარებოდით კრიტიკული აზროვნებისა და ბუნებისმეტყველების საგნისათვის სპეციფიკური უნარ-ჩვევების განვითარებაში. იმისათვის, რომ მასწავლებლისთვის ნათელი იყოს, თუ რას ვგულისხმობთ ამ უნარ-ჩვევების ცნებებში, თითოეულ მათგანს მოკლედ დავახასიათებთ.

კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები

კრიტიკული აზროვნების უნარი გულისხმობს მიზეზ-შედეგობითი ცნებებით ფიქრს, რომელიც მიმართულია გადანყვეტილების მისაღებად – რა დაიჯეროს, ან რა მოიმოქმედოს ადამიანი.

„კრიტიკული აზროვნება მოიცავს გააზრების რთულ პროცესს, რომელიც იწყება ინფორმაციის აღქმით და მთავრდება გადანყვეტილების მიღებით. კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ცნებების გააზრებასა და მათი ფარული არსის კვლევას, მათ-დაში სკეპტიკურ დამოკიდებულებას თავაზიანობის ფარგლებში, მათ შეპირისპირებას განსხვავებულ თვალსაზრისთან, სარწმუნო და სანდო სისტემების წარმოდგენას მათი სისწორის დასასაბუთებლად და ამ სტრუქტურებზე დაყრდნობით გარკვეული თვალსაზრისის შემუშავებას. კრიტიკული აზროვნება რთული პროცესია. ხშირად მიაჩნიათ, რომ ამ პროცესში მხოლოდ უფროსი ასაკის მონაფეები უნდა ჩაებან. ეს ასე არ არის. პატარებსაც, თავიანთი განვითარების დონის შესაბამისად, მშვენიერად შეუძლიათ ამ რთულ პროცესში ჩაბმა. ისინი სიამოვნებით მონაწილეობენ რთულ პრობლემათა გადანყვეტაში და მნიშვნელოვან გადანყვეტილებებს იღებენ“ (ჯ. სთილი, ქ. მერედითი, ჩ. თემფლი, „ცნებათა მონახაზი კრიტიკული აზროვნებისათვის“, სახელმძღვანელო I).

სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოები და დავალებები მოსწავლეების წინაშე წამოჭრიან პრობლემებს, სთავაზობენ მათ შესახებ მსჯელობას, გადანყვეტილების გზების ძიებას. მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა წახალისოს, რათა მათ იფიქრონ კრიტიკულად და შემოქმედებითად, გამოსცადონ მიღებული ინფორმაციული ცოდნა, გააანალიზონ

ფაქტები და აწონ-დანაწონ საკუთარი წარმოდგენები. კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებიდან აღსანიშნავია: გააზრება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება.

ბუნებისმეტყველებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური უნარ-ჩვევები

ამ უნარ-ჩვევების განვითარება ხელს უწყობს მეცნიერული კვლევის საფუძვლის ჩაყრას და ცოდნის შეგნებულად დაუფლებას, აგრეთვე – მოსწავლეთა წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრას და მიღებული ცოდნის ახალ სიტუაციებში გამოყენებას.

დაკვირვება

დაკვირვების უნარი ბუნებისმეტყველების შესწავლის ფუნდამენტური უნარია, რომელიც ყველა სხვა სპეციფიკური უნარ-ჩვევის საფუძველს წარმოადგენს. ადამიანი სწორედ დაკვირვების შედეგად აგროვებს ძირითად ინფორმაციას გარემოში არსებულ საგნებსა და მოვლენებზე. დაკვირვება გულისხმობს ყურადღებას, ფიქრს, მოსმენას, შეხებას, შედარებას, მოქმედებას... და იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანი აღწეროს, თუ რას აკვირდება.

კლასიფიცირება

კლასიფიცირების უნარიც უმნიშვნელოვანესი უნარია და დაწყებითი კლასებიდანვე მიზანშეწონილია მისი განვითარება. მოსწავლეები საგნებსა და მოვლენებს აჯგუფებენ ძირითადი მახასიათებლების მიხედვით; დასაწყისში – ერთი რომელიმე ადვილად დაკვირვებადი ნიშნის მიხედვით, შემდეგ – რამდენიმე არსებითი ნიშნის მიხედვით.

კომუნიკაცია

ამ უნარის გარეშე შეუძლებელია დაკვირვების ან მოქმედების (ცდის) შედეგის სხვებისთვის გაზიარება. ამიტომ ის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც კვლევისას, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში. კომუნიკაციის დროს მოსწავლე აღწერს, განმარტავს, აჩვენებს, წერს, ზეპირად გადმოსცემს, გასაგებად საუბრობს.

გაზომვა

გაზომვის უნარის გარეშე კვლევა-ძიება შეუძლებელია. გაზომვის დროს მოსწავლე აგროვებს შედეგებით და რაოდენობრივ მახასიათებლებს. დაწყებით კლასებში მოსწავლეებს სჭირდებათ სიგრძის, წონის, ტემპერატურის და დროის საზომი ერთეულების ცოდნა და მათი გამოყენება.

(პირველ კლასში ჯერ არ მოეთხოვებათ.)

შედარება-შეპირისპირება

შედარებისა და შეპირისპირების უნარი გულისხმობს საგნებსა და მოვლენებს შორის მსგავსი და განსხვავებული მახასიათებლების დანახვასა და დადგენას. ამ უნარის განვითარება ხელს უწყობს ცოდნის სისტემაში მოყვანასა და კრიტიკულად გააზრებას.

დასკვნის გამოტანა

დასკვნის გამოტანის უნარი ეფუძნება უკვე განხილული უნარების განვითარებას; დასკვნის გამოტანა ხდება მოპოვებული მონაცემების, დაკვირვებასა ან ცდის შედეგების ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზირების შემდეგ.

პროგნოზირება

პროგნოზირებისთვის მოსწავლე იყენებს მის მიერ უკვე შესწავლილ და დამუშავებულ ინფორმაციას, რათა ივარაუდოს, თუ რა შეიძლება მოხდეს ამ მიმართულებით მომავალში, ანუ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მოსწავლემ უნდა განჭვრიტოს მოსალოდნელი შედეგები.

გაკვეთილი 1

თემა:	მე და ჩემი სხეული
გაკვეთილის სათაური:	მე და ბუნება
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ ილუსტრაციის მიხედვით სხეულებისა და მოვლენების ამოცნობა, აღწერა და დახარისხება; პირადი მოსაზრებებისა და დაკვირვების შედეგად კითხვებზე პასუხის გაცემა ვარაუდების გამოთქმა; მონაცემების აღრიცხვა-ორგანიზება ცხრილის საშუალებით; კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემთა შეგროვება/ჩანიშვნა; წელიწადის დროზე (ზაფხულზე) და მისთვის დამახასიათებელ ამინდზე საუბარი; პირად მოსაზრებებზე დაყრდნობით კითხვებზე პასუხის გაცემა; კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.
საჭირო მასალა:	თაბახის ფურცლები, ფერადი ფანქრები, ცარცი.

1. საუბარი საგნის რაობისა და დანიშნულების შესახებ (2-3 ნთ)

ბუნებისმეტყველების პირველ გაკვეთილს მასწავლებელი იწყებს საუბრით. იგი აჩვენებს სახელმძღვანელოს და მის გარეკანზე შეაჩერებს ყურადღებას. საუბრობს სახელმძღვანელოს სახელწოდებასა და დანიშნულების შესახებ, თუ როგორ წარმართება ამ საგნის შესწავლა (გაკვეთილები ღია ცის ქვეშ, ცდების ჩატარება, ბუნების მოვლენებზე დაკვირვება, საუბრები და ა.შ.).

2. სახელმძღვანელოს გაცნობა (4-5 ნთ)


მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გადაშალონ სახელმძღვანელო და დაათვალიერონ. სასურველია, გაიმართოს საუბარი დათვალიერებით მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ, მათთვის საინტერესო თემებზე. მეტი ჩართულობისა და კომუნიკაციის მიზნით, შესაძლოა გაიმართოს კითხვა-პასუხიც, სადაც მასწავლებელს შეექმნება შთაბეჭდილება მოსწავლეების წინარე ცოდნის, ინტერესების, გარემოსადმი დამოკიდებულების და ა.შ. შესახებ.

3. სქემის შედგენა (8-15 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, სად და როგორ გაატარეს ზაფხული.

ეს აქტივობა მასწავლებელმა შეიძლება წარმართოს სურვილისამებრ: მსურველებს 2-3 წინა-დადებით მოაყოლოს ზაფხულის შთაბეჭდილებების შესახებ, ან მოსწავლეებმა დახატონ ზაფხულის ერთი დღე.

პარალელურად მასწავლებელი დაფას ყოფს 2 ნაწილად და რადგან მოსწავლეებმა ჯერ კითხვა არ იციან, მარცხნივ სიმბოლურად ხატავს ზღვას, მარჯვნივ კი – მთას. შემდეგ სთხოვს თითოეულ მოსწავლეს, გამოვიდეს დაფასთან და დასვას „+“ იმ მხარეს, სადაც გაატარა ზაფხული. სასურველია, მათ მიერ შესრულებული ნახატების მიკვრაც. საბოლოოდ სქემაზე დაჯგუფდება თითოეული მოსწავლის ინფორმაცია.



დაჯგუფების შემდეგ იმართება კითხვა-პასუხი. მოსწავლეები აღწერენ იმ გარემოს, რომელ სვეტიც აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, ამაში მათ ეხმარება მასწავლებელი შესაბამისი კითხვებით ამინდის, ტემპერატურის, გარემოს, ბუნების და ა.შ. შესახებ.

4. სახელმძღვანელოზე მუშაობა (5-8 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო პირველ გაკვეთილზე, ყურადღებით დააკვირდნენ სურათებს და აღწერონ (ზღვა, ტყე, მთა, მოლაშქრეები...)

ბოლოს კი მასწავლებელი სვამს კითხვას:

- თქვენი აზრით, რა აერთიანებს მათ?
- რას დაარქმევდი მთას, ტყეს, მდინარეს, მინდორს ერთად?

მოსწავლეებმა შეიძლება გამოთქვან უამრავი მოსაზრება, მასწავლებელი მათ კითხვებით ეხმარება მოსაზრებების გამოხატვაში.

5. გაკვეთილის შეჯამება (3-5 წთ)

მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეაჯამებს მოსწავლეთა საუბარს და სვამს კითხვას:

- როგორ გგონიათ, რას სწავლობს ბუნებისმეტყველება?

(სავარაუდოდ: ბუნებას, გარემოს...)

მასწავლებელი ყურადღებით ისმენს ნებისმიერ პასუხს და ყურადღებას ამახვილებს სწორ პასუხებზე (გაიმეორებს მოსწავლის ნათქვამს, შეაქებს მას და ა.შ.)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=HKndoaBDN0w>

გაკვეთილი 2

თემა:	მე და ჩემი სხეული
გაკვეთილის სათაური:	სხეულის ნაწილები
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ ადამიანის (საკუთარი) სხეულის გარეგანი ნაწილების ამოცნობა და დასახელება; მარცხენა-მარჯვენას ამოცნობაში ვარჯიში; მოსწავლეებში დაკვირვების, სინთეზირების და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეებმა შეძლონ შესწავლის ობიექტზე დაკვირვება; პრაქტიკულ აქტივობაში მონაწილეობა; ილუსტრაციასა და რეალობაში სხეულების ამოცნობა, აღწერა, დახარისხება; კითხვაზე პასუხის გასაცემად პირად მოსაზრებაზე და დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობა; გარეგნული ნიშნების მიხედვით საკუთარი თავისა და თანაკლასელების აღწერა; ფრაგმენტებისგან ადამიანის მთლიანი სხეულის მოდელის აწყობა.
ახალი სიტყვები:	წარბი, მხარი, შუბლი, ნამწამები.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება. ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით; უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში; ამოიცნობს, აღწერს და დახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); აღწერს საკუთარ თავს, თანაკლასელებს, სხვა ადამიანებს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნების მიხედვით (მაგ., სიმაღლე, თმის ფერი, თვალის ფერი, ჭორფლიანობა); აწყობს ფრაგმენტებისგან მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის მთლიანი სხეულის მოდელს.
საჭირო მასალა:	მაკრატელი, ნებო, ორი წითელი და მწვანე ლენტი (ან სხვა პატარა საგანი).

გაკვეთილის მსვლელობა:

1. თამაში – „მსგავსი და განსხვავებული“ (3-6 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გამოვიდნენ მითითებულ ადგილას და შეძლებისდაგვარად ჩამწკრივდნენ სიმაღლის მიხედვით (მაღლიდან დაბლისკენ). თითოეულმა მათგანმა თავად უნდა იპოვოს საკუთარი ადგილი და დადგეს.

თუ მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ, შეუძლია მოსწავლეები დააღაგოს თვალის, თმის ფერის ან სხვა ნიშნის მიხედვით. აქტივობის დასრულებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს

დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს, დაფასთან კი ტოვებს ორ მოსწავლეს, პირველსა და ბოლოს. ბავშვებს სთხოვს შეადარონ ისინი ერთმანეთს მსგავსება-განსხვავების მიხედვით. (სავარაუდოდ, მსგავსებაა: ორი ხელი, ორი თვალი, ორი ყური). სამუშაოს შეჯამებისას მასწავლებელთან ერთად (კითხვების დახმარებით) მოსწავლეები აკეთებენ დასკვნას, რომ მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიმაღლით, თმის ფერით ან თვალის ფერით და ა.შ.

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: აბა, ვინ დამისახელებს და მაჩვენებს სხეულის ნაწილებს, ანუ იმას, რაც ყველა ადამიანს აქვს?

მოსწავლეები ასახელებენ და აჩვენებენ ხელებს, ფეხებს, თავს, თითებს და ა.შ. თუ არავინ ახსენა, მასწავლებელი სვამს კითხვას, სად აქვთ შუბლი, ტუჩები, ნარბები, ნაწნამები.

2. თამაში „მარცხენა-მარჯვენას“ ამოცნობაზე (3-5 წთ)

მასწავლებელი:

– რამდენი ფეხი აქვს ადამიანს? ხელი?

– სხეულის კიდევ რომელი ნაწილი გვაქვს წყვილი?

– როგორ განვასხვავო ერთმანეთისგან ჩემი ხელები (ეს რომელი ხელია)? როგორ ვამბობთ? (მარცხენა ხელი ან მარჯვენა ხელი).

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ფეხზე ადგნენ; ისიც მათ შორის დგება. ყველა ერთ მხარეს იყურება. მასწავლებელი აჩვენებს, რომელია მისი მარჯვენა და რომელი – მარცხენა ხელი. შემდეგ ასწავს მარცხენა ხელს და ყველას სთხოვს, ასწავს მარცხენა ხელი, შემდეგ – მარჯვენა ხელს ასწავს.

მასწავლებელი მარცხენა ხელში იჭერს წითელი ფერის ბაფთას (ან რაიმე სხვა საგანს), მარჯვენაში – მწვანე ბაფთას. თან ბავშვებს უთანხმებს: წითელის აწევა ნიშნავს, მარცხენა ხელის აწევას, მწვანეს აწევა – მარჯვენა ხელისას. ასე გაითამაშებენ რამდენჯერმე. შემდეგ მასწავლებელი სახით მოსწავლეებისკენ ტრიალდება და ისევ იმეორებს მოძრაობებს. ბავშვებმა ფერებს უნდა მიაქციონ ყურადღება და სწორად შეასრულონ მოძრაობები.

3. თამაშის გაბრძნობა სხეულის ნაწილებზე (2-3 წთ)

მასწავლებელი ასახელებს სხეულის ნაწილებს მორიგეობით (შეუძლია განმეორებითაც დასახელება) და პაუზებით: მარჯვენა ყური, მარცხენა ფეხი, მარცხენა ხელი, მარჯვენა თვალი, მარჯვენა ლოყა, მარცხენა მხარი...

მოსწავლეებმა ხელი უნდა მიიღონ იმ ადგილას, რომელსაც მასწავლებელი ასახელებს. ბავშვები ერთმანეთს უყურებენ და აკონტროლებენ – სწორად ასრულებენ დავალებას თუ არა. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს თვალყურს ადევნებს და აკონტროლებს.

4. სახელმძღვანელო მუშაობა (3-4 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გადაშალონ წიგნი შესაბამის გაკვეთილზე და აღწერონ იქ მოცემული სურათები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: მაღალი – დაბალი, ქერა – შავთმიანი, შავთვალა – ცისფერთვალა, დიდი – პატარა, გრძელი – მოკლე.

შემდეგ სავარჯიშოში მათ უნდა დაასახელონ ქვედა სურათებზე მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე ნივთები.

5. სამუშაო რეჟიმი მუშაობა – „გაპიცნოთ წიგნის პერსონაჟები“ (10-15 წთ)

ჯგუფებში მუშაობა:

მოსწავლეები სხდებიან მერხებთან მცირე ჯგუფებად, სამუშაოდ იღებენ სამუშაო რეჟიუმის შესაბამის გვერდს და ჭრიან ტეხილ ხაზზე. შემდეგ მათ უნდა გამოჭრან მოცემული ფრაგმენტები (გოგონასა და ვაჟის სხეულის ნაწილები) და ჩააკრან-ააგონ ფიგურები ფურცლის ზედა ნაწილში, რომელზეც მხოლოდ გარეთა კონტურებია შემოხაზული. უნდა გამოვიდეს ბიჭი და გოგონა (ჯგუფს შეუძლია სახელმძღვანელოს ერთ ფურცელზე იმუშაოს ან რამდენიმე ფურცელი გამოიყენოს). მასწავლებლის კითხვები:

– რა (გამოსახულება) მიიღეთ?

– როგორ ფიქრობთ, რა ასაკის არიან ეს ბავშვები?

შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს აუწყებს, რომ ეს პერსონაჟები მათი თანატოლები არიან და კიდევ ბევრჯერ მოუწევთ მათთან შეხვედრა.

6. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს, თუ რა ისწავლეს ამ მეცადინეობაზე, რა იყო მათთვის საინტერესო, რა დაამახსოვრდათ, რა მოეწონათ? კიდევ თუ სურთ ნიგნის პერსონაჟებთან შეხვედრა?

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება) კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

თუ კლასში უნარშეზღუდული მოსწავლეა, მასწავლებელი მიდის მასთან და ეხმარება სხეულის ნაწილების ჩვენებასა და დასახელებაში.

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=pgVfLhsoykU>

გაკვეთილი 3

თემა:

ჩემი სკოლა

გაკვეთილის სათაური:

მოგზაურობა სკოლაში

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებმა შეძლონ ლოკალურ გარემოში ორიენტირება, მისი აღწერა და მიზანმიმართული გადაადგილება;

სასწავლო გარემოში არსებული ობიექტების ამოცნობა, ჩამოთვლა და მათ დანიშნულებაზე საუბარი.

მოსწავლემ შეასრულოს და თავადაც გასცეს მარტივი ინსტრუქციები, არა უმეტეს 1-2 მიმართულებისა.

სკოლაში ქცევის წესების აუცილებლობის გაცნობიერება;

სასკოლო ინვენტარზე, პირად თუ თანაკლასელთა ნივთებზე მზრუნველობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;

აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

ამოიცნობს და ჩამოთვლის სასწავლო გარემოში (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ტუალეტი, ბუფეტი, ექიმის კაბინეტი, ადგილი, სადაც უნდა დაელოდოს უფროსს) არსებულ ობიექტებს და საუბრობს მათ დანიშნულებაზე;

იყენებს შესაბამის მიმართებით ტერმინებს (მაგ., შორს, ახლოს, ჩემგან მარჯვნივ, ჩემ ზემოთ, ქვემოთ) და განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობას;

ასრულებს და თავადაც გასცემს მარტივ ინსტრუქციებს, არა უმეტეს 1-2 მიმართულებისა (მაგ., წინ და მარჯვნივ) სკოლის ტერიტორიაზე ორიენტირებისთვის;

მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელებთან ერთად აყალიბებს და იცავს ლოკალურ გარემოში (მაგ., კლასში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, სახლში) ქცევის წესებს (მაგ., იცავს სკოლის სისუფთავს).

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

1. სკოლის შიდა ტერიტორიის გაცნობა (8-10 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს განუმარტავს ამ გაკვეთილის მიზანს – მათ უნდა დაათვალიერონ სკოლის შენობა და ნახონ, „რა ხდება“ მათი საკლასო ოთახის გარეთ. ამისათვის სთხოვს მოსწავლეებს, არ ჩამორჩნენ ერთმანეთს (სასურველია, ამ ექსკურსიის დროს მასწავლებელმა დაიხმაროს რომელიმე მშობელი ან კოლეგა).

ეს მარშრუტი პირობითია და ამ თანმიმდევრობის დაცვა მასწავლებლისათვის აუცილებელი არაა.

ა) თავდაპირველად ჩაუვლიან მეზობელ საკლასო ოთახს. მასწავლებელი უხსნის, რომ აქ, მათ მეზობლად, ამა და ამ კლასის მოსწავლეები სწავლობენ, ამჟამად ისინი თავიანთ საკლასო ოთახში მეცადინეობენ. შესაძლოა ტერმინის „ახლო“ გამოყენება.

ბ) სასადილოს მონახულების დროს მასწავლებელმა უნდა განუმარტოს, თუ როდის შეიძლება აქ მოსვლა, როგორ დაიცვან რიგი, სისუფთავე და ა.შ., მასწავლებელი ბავშვებს აცნობს სასადილოში მომუშავე ადამიანებს, მზარეულებს. იყენებს ტერმინებს: ჩვენი ოთახის მარჯვნივ, მარცხნივ.

გ) ტუალეტი, როგორც წესი, ცალ-ცალკეა – გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. ბავშვებმა უნდა დაიმახსოვრონ, როგორ გაარჩიონ ისინი ერთმანეთისაგან (ფირნიშით, ნარწერიტ თუ სხვა ნიშნით); მასწავლებელი უხსნის იმ აუცილებელ ჰიგიენურ მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ტუალეტით სარგებლობის შემთხვევაში.

დ) ექიმის კაბინეტის ადგილმდებარეობა ყველამ კარგად უნდა დაიმახსოვროს, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად მიმართონ მას. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ექიმს (ექთანს). სასურველია, ერთი-ორი წინადადებით ისიც გაესაუბროს ბავშვებს. შესაძლოა, აქ დაგჭირდეთ ტერმინები: ზემოთ, ქვემოთ.

ე) დირექტორის ოთახში შესვლაც სასურველია, თუ თავად დირექტორი ამ დროს დაკავებული არაა (მასწავლებელი მას წინასწარ უთანხმდება), ბავშვები შეჰყავს მასთან და ისიც მცირე ხნით გაესაუბრება მათ.

სასურველია, მოესწროს ბიბლიოთეკის, სპორტული და სააქტო დარბაზების მონახულება და მათი ადგილმდებარეობის დამახსოვრება. მასწავლებელმა ასევე უნდა განუმარტოს ბავშვებს შესვენების დროს დერეფანში უსაფრთხოდ მოძრაობის წესები.

2. თამაში – გვჭირდება თუ არა წესები? (3-5 წთ)

მასწავლებელი კლასში დაბრუნებულ მოსწავლეებს წესებზე წინასწარი საუბრის გარეშე სთავაზობს ასეთ თამაშს: ყველა დგება წრეზე. წრე უნდა შემჭიდროვდეს. მოსწავლეებმა ხელები წინ უნდა გაიწვინონ და ჩაჰკიდონ ერთმანეთს – ვის როგორც მოუხერხდება, ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე. შემდეგ ხელების გაუშვებლად ბავშვები უნდა შემოტრიალდნენ.

მოსწავლეები ამ დავალებას (შემოტრიალებას) ვერ შეასრულებენ და აირ-დაირევიან. დაიბნევიან და ახმაურდებიან.

ახლა მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს თამაშის ასეთ წესს:

თითოეულმა წინგაშვერილი მარჯვენა ხელი უნდა გადაადოს თავის მარცხენა ხელს და ასე ჩასჭიდოს ამხანაგის ხელს (გამოდის მარჯვენა და მარცხენა ხელების გადაჯვარედინება. ამ წესის დაცვის შემთხვევაში წრეში მდგომი ყველა ბავშვი შეძლებს ისე შეტრიალდეს, რომ ამხანაგს ხელი არ გაუშვას და არც წრე დაირღვეს (ამ შემთხვევაში ბავშვები ხელჩაკიდებულნი ზურგით დადგებიან ერთმანეთთან). თამაში რამდენჯერმე უნდა განმეორდეს. ისინი, რომლებიც ამ წესს დაარღვევენ, ვერ შემოტრიალდებიან ან ხელები გაეშვებათ, თამაშიდან გადიან.

3. კლასში ქცევის წესების შემუშავება (5-7 წთ)

თამაშის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს განუმარტავს, რომ წესების დაცვას სასურველ შედეგამდე მივყავართ, წესების დაუცველობას კი – არეულობამდე. სკოლაში (და კლასში) ყოფნის დროსაც აუცილებელია სკოლაში ქცევის წესების დაცვა, რათა კარგად ვისწავლოთ და წარმატებას მივაღწიოთ. მოდით, ეს წესები ერთად მოვიფიქროთ, დავიმახსოვროთ და შემდეგ დავიცვათ. მასწავლებელი იწყებს წინადადებას, ბავშვები კი ამთავრებენ. მაგალითად:

I. მასწავლებელი – როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები...

მოსწავლეები – სხვები უსმენენ;

II. მასწავლებელი – როცა რაღაცის თქმა მინდა...

მოსწავლეები – ხელი უნდა ავნიო;

III. მასწავლებელი – როცა კლასში შემოვდივართ...

მოსწავლეები – ვიღიმებით და ერთმანეთს ვესალმებით;

IV. მასწავლებელი – დაუკითხავად მეგობრის ნივთი არ...

მოსწავლეები – უნდა ავიღოთ.

V. მასწავლებელი – როცა მეგობარს უჭირს, უნდა...

მოსწავლეები – დავეხმაროთ.

(სხვა უფრო მარტივი წესების მოფიქრებაც შეიძლება: „მეგობარს არ უნდა ვაწყენინო“, „მასწავლებლის დავალებები შევასრულო“, „უნდა გავუფრთხილდე საკუთარ და სხვის ნივთებს“...)

თითოეული წესის ჩამოყალიბების შემდეგ მასწავლებელმა სასურველია იკითხოს, მათი აზრით, არის თუ არა საჭირო ამ წესების დაცვა? რა მოხდება, თუკი ამ წესს ყველა დაარღვევს?

4. სახელმძღვანელოზე მუშაობა (5 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ საგნები, რომლებსაც საკლასო ოთახში ხედავენ და თუ შეძლებენ ისაუბრონ ამ საგნების დანიშნულების შესახებ. შემდეგ კი შეადარონ ეს ნივთები სახლში არსებულ საგნებს, აღმოაჩინონ მსგავსება სახლსა და სკოლას შორის.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოიძიონ სახელმძღვანელოში ამ გაკვეთილის შესაბამისი გვერდი და დააკვირდნენ ქვედა სურათს, რომელზეც ჩვენი წიგნის პერსონაჟა ცარიელი ჩანთით. აქ დახატულია სასწავლო და არასასწავლო ნივთები. მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს, რომ ერთ-ერთი წესის თანახმად, ჩვენი მოვალეობაა, „გავუფრთხილდე საკუთარ და სხვის ნივთებს“.

– რომელია სასწავლო ნივთები? ვინ დაეხმარება ჩვენს გმირს სასწავლო ნივთების ამორჩევაში?

მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, მოცემული სურათებიდან რომელია სასწავლო ნივთები და დაასახელონ. ამის შემდეგ მასწავლებელი მოკლედ საუბრობს იმის შესახებ, თუ რას შეგვიძლია ვუნოდოთ სასწავლო ნივთები, ბავშვებს ჩანთებში შეიძლება ზოგიერთი ისეთი სასწავლო ნივთიც ჰქონდეთ, რაც წიგნში არ არის დახატული. ამიტომ არც ასეთი ნივთები უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

5. სამუშაო რვეულში მუშაობა (3-5 წთ)

ა) მასწავლებელი სთხოვს გადაშალონ სამუშაო რვეულები. 1 სავარჯიშოში მოცემულია სხვადასხვა საგანი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ლურჯი ფანქრით გააფერადონ ის საგნები, რომლებიც, მათი აზრით, მხოლოდ სკოლაშია საჭირო, მწვანეთი – საგნები, რომლებსაც სახლში იყენებენ. წითლით კი – ის საგნები, რომლებიც როგორც სკოლაში, ისე სახლშიც აქვთ და იყენებენ.

ბ) ქვემოთ მოცემული დავალება საჭიროა მიმართებით ტერმინებზე სავარჯიშოდ.

მაგიდის ქვეშ დახატეთ ბურთი.

თაროზე დადგით ქოთნის ყვავილი.

სკამის მარჯვნივ დახატეთ ხალიჩა.

მერხზე მარცხნივ დადეთ ფანქარი, მარჯვნივ – წითელი.

6. აქტიური სამუშაო (2-3 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ასწიონ ხელი, რომლითაც კოვზს იჭერენ, ხატავენ და ა.შ. ამის შემდეგ იწყება ვარჯიში მარჯვენა და მარცხენა, ზემოთ და ქვემოთ მიმართულებაზე, ახლოს და შორს, წინ და უკან გადაადგილებაზე. მაგ.: დადე ფანქარი წიგნის მარცხნივ, მარჯვნივ კი დადე სათლელი და ა.შ. საბოლოოდ, ასეთი ტიპის სავარჯიშოების საშუალებით მოსწავლეები

ხალისით, ე.წ. თამაშით, მიმართებით ტერმინების გამოყენებით შეძლებენ სივრცეში გადაადგილებას. სასურველია მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ მაგ.: დამალული ნივთის მისაგნებად, ერთდროულად მხოლოდ ორი მიმართებითი ტერმინის გამოყენებაა მიზანშეწონილი: მარჯვნივ/მარცხნივ და წინ და უკან.

7. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

მასწავლებელი კითხვების საშუალებით მოსწავლეებს შეახსენებს გაკვეთილზე გავლილ აქტივობებს და შეძლებისდაგვარად შეაფასებს მათ.

გაკვეთილი 4

თემა:

ჩემი სკოლა

გაკვეთილის სათაური:

მოგზაურობა სკოლის გარეთ

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებმა შეძლონ გარემოში ორიენტირება და მიზანმიმართული გადაადგილება;

გარემოში არსებული ობიექტების ამოცნობა, მოძრავი და უძრავი საგნების აღქმა-დაფიქსირება;

ინსტრუქციის მიხედვით მარტივ კვლევით აქტივობებში მონაწილეობა;

ცოცხალი და არაცოცხალი სხეულების დაჯგუფება;

მიმართებითი ტერმინების გამოყენება;

კვლევის შედეგების ზეპირი ფორმით გადმოცემა;

მოსწავლეთა დაკვირვების უნარის განვითარება;

მარტივი სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას;

აჯგუფებს ცოცხალ სხეულებს მცენარეებად და ცხოველებად, ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას;

ამოიცნობს და ჩამოთვლის სასწავლო გარემოში (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ტუალეტი, ბუფეტი, ექიმის კაბინეტი, ადგილი, სადაც უნდა დაელოდოს უფროსს) არსებულ ობიექტებს და საუბრობს მათ დანიშნულებაზე;

იყენებს შესაბამის მიმართებით ტერმინებს (მაგ., შორს, ახლოს, ჩემგან მარჯვნივ, ჩემ ზემოთ, ქვემოთ) და განსაზღვრავს

სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობას
საკუთარი თავის მიმართ;

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

1. სკოლის ტერიტორიის დათვალიერება (10-20 წთ)

ამ გაკვეთილის დროს მასწავლებელს ბავშვები გაჰყავს სკოლის ეზოში, მოსწავლეები აკვირდებიან და შეისწავლიან სკოლის მიმდებარე ტერიტორიას (სავარაუდოდ: მწვანე ნარგავები, ხეხილი, სათამაშო მოედანი, ქუჩა...), იხსენებენ წინა გაკვეთილზე შესწავლილ ტერმინებსაც: მარჯვნივ/მარცხნივ, წინ/უკან, ახლოს/შორს. სასურველია, ეზოს დათვალიერების დროს მასწავლებელმა მისცეს მოსწავლეებს კონკრეტული ინსტრუქციები, რომლებიც შეიცავენ მიმართებით ტერმინებს. ამის შემდეგ მასწავლებლის მითითებით ბავშვები აკვირდებიან რამდენად სუფთაა ეზო, არის თუ არა დანაგვიანებული ადგილები, სად არის სანაგვე ურნები; მათი აზრით, ვინ ანაგვიანებს გარემოს, რომელი უფრო მიმზიდველია: სუფთა თუ დანაგვიანებული გარემო? შემდეგ მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას მიაპყრობს სკოლის შენობას, მათ უნდა განსაზღვრონ, რამდენსართულიანია სკოლის შენობა, რომელ სართულზეა მათი საკლასო ოთახი. აქვე მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ცნებებზე „შორს/ახლოს“ და ავარჯიშებს ბავშვებს (მაგალითად, ხე უფრო ახლოსაა სკოლის შენობასთან, თუ ღობე?..) მასწავლებელს შემოაქვს კიდევ ერთი ახალი ცნება: „მოძრავი/უძრავი“. მოსწავლეებმა სკოლის ეზოში ყოფნის დროს უნდა ამოიცნონ მოძრავი და უძრავი საგნები, ცოცხალი და არაცოცხალი (მოძრავია როგორც ადამიანი, ფრინველი ან მწერი, ისე ღრუბელი, მოძრავი ავტომობილი, ქარის მიერ ატაცებული ფოთოლი და სხვ.) შესაძლოა, მასწავლებელმა (თუ დრო ამის საშუალებას აძლევს) მოძრავი და უძრავის უკეთ გააზრების მიზნით ბავშვებს შესთავაზოს მათთვის ნაცნობი თამაში ე.წ. „გაშეშობანა“. მოსწავლეები მასწავლებლის ნიშანზე იწყებენ თავისუფალ მოძრაობას, მაგ., ხტუნვა, სირბილი. მასწავლებლის ნიშანზე (ტაში, სიტყვა „სდექ!“, სასტვენის ხმა...) ისინი „შეშდებიან“ გარკვეული დროით. მასწავლებლის ნიშანზე ისევ იწყებენ თავისუფალ მოძრაობას. შესაძლოა ასე განმეორდეს ოთხ-ხუთჯერ. ეს სავარჯიშო ემსახურება არა მარტო მოძრავის და უძრავის გაცნობიერებას, არამედ ყურადღების კონცენტრაციის უნარის გამომუშავებას.

2. სახელმძღვანელოზე მუშაობა – სურათის აღწერა (3-4 წთ)

ფურცლის ზედა ნაწილში მოცემულია ნახატი. ჩანს, რომ ჩვენი თანატოლები ჩანთებმოკიდებულინი მიდიან. მოდით, აღწერეთ სურათი:

- როგორ გგონიათ, ვინ არიან სურათზე გამოსახული ბავშვები?
(მოსწავლეები)
- დამისაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.
(ჩანთები აქვთ, სკოლის შენობა ჩანს)
- თქვენი აზრით, რა შენობაა ეს?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რამდენსართულიანია?
- ეს ბავშვები სკოლის შიგნით არიან თუ გარეთ?
- ჩვენ ახლა შიგნით ვართ თუ გარეთ?
- შეადარეთ ჩვენი სკოლის შენობას.
- როგორი ეზო აქვს?
- როგორია ჩვენი სკოლის ეზო?

3. საშუაო რვეულში მუშაობა (5-8 წთ)

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, გადაშალონ რვეულები, გაიხსენონ ცოცხალი ხნის წინ ნანახი მათი სკოლის შენობა და ჩახატონ. სასურველია, ბავშვებმა გაიხსენონ რამდენსართულიანია მათი სკოლა და ნახატშიც ასახონ, ასევე დახატონ სკოლის ეზო და ის, რაც დაამახსოვრდათ ამ „მოგზაურობიდან“. ბავშვებმა უნდა ხატონ ძალდაუტანებლად, შენიშვნების გარეშე, ისე, როგორც შეუძლიათ და მოსწონთ. გადმოცემის სიზუსტეს ამ შემთხვევაში არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, უფრო საინტერესოა, თუ როგორ ახსნის და განმარტავს ბავშვი თავის ნახატს.

პრეზენტაციაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. სასურველია მოსწავლემ დაწვრილებით აღწეროს საკუთარი ნამუშევარი. მასწავლებელი კი მას ეხმარება კითხვებით, რათა უფრო ამომწურავი და საინტერესო იყოს ნამუშევრის წარდგენა.

4. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

5. საშინაო დავალება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ყურადღებით დააკვირდნენ იმ გარემოს, რომელიც მათი საძინებელი ოთახის ფანჯრიდან ჩანს და შემდეგი გაკვეთილისთვის დახატონ იგი ან უამბონ თანაკლასელებს. ყურადღება გაამახვილონ, დააფიქსირონ რა მდებარეობს მათი სარკმლიდან მარჯვნივ, მარცხნივ და შესაბამისად ასახონ თავიანთ ნამუშევარში.

გაკვეთილი 5

თემა:	ჩემი სკოლა
გაკვეთილის სათაური:	გზა სახლიდან სკოლამდე
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ ლოკალურ გარემოში საჭირო ქცევის წესების გააზრება და დაცვის აუცილებლობის გაცნობიერება; ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველი პირობითი ნიშნების ამოცნობა და დაცვის აუცილებლობის გააზრება; საუბარი უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობაზე.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელებთან ერთად აყალიბებს და იცავს ლოკალურ გარემოში (მაგ., კლასში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, სახლში) ქცევის წესებს (მაგ., იცავს სკოლის სისუფთავეს); ამოიცნობს და განმარტავს ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველ პირობით ნიშნებს, ხსნის მათი დაცვის აუცილებლობას, საუბრობს უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობაზე.
საჭირო მასალა:	კალმები, ფანქრები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი თემაზე – გზა სახლიდან სკოლამდე (6-7 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გადაშალონ სახელმძღვანელო შესაბამის გაკვეთილზე და აღწერონ სურათები. შემდეგ კი გაიხსენონ გზა სახლიდან სკოლამდე – როგორ უხდებათ მოსვლა

ფეხით თუ ტრანსპორტით, დიდი მანძილი აქვთ გასავლელი თუ მცირე, ფართო ქუჩაზე უხდებათ სიარული თუ ვინრო ქუჩაზე, ქუჩის გადაკვეთა თუ უხდებათ და ა.შ. მასწავლებელმა უნდა ნაახ-ალისოს ბავშვები, გაიხსენონ დეტალები თავიანთ გზაზე (ხე, მალაზია, გადასასვლელი, მდინარე, გუბე, ხიდი და ა.შ.).

ამ საუბრის შედეგად მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ დასკვნა, რომ ქუჩა ის გზაა, სადაც ადამიანები გადაადგილდებიან, მოძრაობს ტრანსპორტი.

2. ექსპურსია სკოლის მიმდებარე ქუჩაზე (15-18 წთ)

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, რომ გავიდნენ სკოლის შენობიდან და ნახონ სკოლის მიმდებარე ქუჩა (ქუჩები). მასწავლებელს ორგანიზებულად გაჰყავს მოსწავლეები სკოლის ეზოში ისე, რომ შესაძლებელი იყოს ქუჩაზე დაკვირვება (სასურველია, მასწავლებელმა კოლეგა ან მშობელი დაიხმაროს ამ დროს).

ამ გაკვეთილის დროს მოსწავლეებმა უნდა გაიგონ, რომ ქუჩებს აქვთ სახელები (მათ უნდა დაიმახსოვრონ ის ქუჩა, რომელზეც მათი სკოლა მდებარეობს), შენობებს კი აქვთ ნომრები (ანუ ქალაქებში ქუჩაზე ყველა სახლი დანომრილია). მასწავლებელი აჩვენებს ფირნიშს სკოლის (ან მეზობელი სახლის) კედელზე, უკითხავს ქუჩის დასახელებასა და ნომერს.

სკოლის ტერიტორიას შეიძლება ესაზღვრებოდეს ერთი, ორი ან სამი ქუჩა, სასურველი იქნება ყველა ქუჩის მონახულება და მათ შორის განსხვავებების დაფიქსირება (სავარაუდო კითხვები: – როგორ ფიქრობთ, რომელია უფრო დიდი ქუჩა? სად მოძრაობს უფრო მეტი ტრანსპორტი?..)

შემდეგ მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ქუჩაზე გადასასვლელ ადგილებზე – თუ არის შუქნიშანი, გადასასვლელის აღმნიშვნელი ნიშანი. უნდა ისაუბრონ იმაზე, თუ როდის უნდა გადაკვეთონ ქუჩა – რომელი წესების დაცვაა საჭირო ქუჩაზე უსაფრთხოდ გადასასვლელად, რა ჰქვია ქუჩის ფეხით სასიარულო ადგილს? (ტროტუარი), თბილისის ქუჩებში სკოლებთან სპეციალური ამობურცული წინალობებია გაკეთებული, რათა მანქანებმა მოძრაობა შეანელონ – თუ ასეთი რამ არ არის და მანქანების მოძრაობა ინტენსიურია, იმსჯელონ საჭიროა თუ არა ამგვარი წინალობების არსებობა.

3. დისკუსია თემაზე „ხიფათი ქუჩაში“ (6-7 წთ)

იქვე, სკოლის ეზოში, მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გაიხსენონ, რა ხიფათი გადახდენიათ ქუჩაში ან რისი ეშინიათ ხოლმე ქუჩაში ყოფნისას, რა შემთხვევაში გრძნობენ თავს დაუცველად.

ქალაქის, განსაკუთრებით კი დიდი ქალაქის, ქუჩებში მრავალი საფრთხეა ბავშვებისათვის; იქნება ეს ავტომანქანების ნაკადი, გამონაბოლქვი, გზების აბნევა თუ მრავალი სხვა. დისკუსიის დროს მასწავლებლის დახმარებით უნდა დაზუსტდეს, თუ რომელია რეალური საფრთხე, რომელი – გაზვიადებული ფანტაზიის ნაყოფი.

მასწავლებელი დისკუსიის ბოლოს დასძენს, რომ ამ თემას ხშირად დაუბრუნდებიან და ერთად იფიქრებენ უსაფრთხოების ზომებზე.

4. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

მოკლედ შეაჯამეთ ჩატარებული გაკვეთილი.

გაკვეთილი 6

თემა:	ტრანსპორტი და საგზაო ნიშნები
გაკვეთილის სათაური:	საგზაო მოძრაობის წესები
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ მონაცემთა დაგროვების, დაჯგუფების და ელემენტარული ანალიტიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა; ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობის გაცნობიერება; მსჯელობა ქუჩაში მოძრაობისას მოსალოდნელი საფრთხის დანახვისა და მისი თავიდან აცილების აუცილებლობაზე.

ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველი პირობითი ნიშნების ამოცნობა და განმარტება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელებთან ერთად აყალიბებს და იცავს ლოკალურ გარემოში (მაგ., კლასში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, სახლში) ქცევის წესებს (მაგ., იცავს სკოლის სისუფთავეს);

ამოიცნობს და განმარტავს ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველ პირობით ნიშნებს, ხსნის მათი დაცვის აუცილებლობას, საუბრობს უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობაზე.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. გაკვეთილის მსვლელობა (13-15 წთ)

სახელმძღვანელოს შესაბამისი გაკვეთილის ზედა ნაწილში დახატულია ქალაქის ქუჩა: გზაჯვარედინით, ტროტუარებით, გადასასვლელით, ტრანსპორტითა და ადამიანებით...

თავიდან მოსწავლეები დაათვალიერებენ ნახატს და ფრონტალურად აღწერენ მას. შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს დაავალებს მუშაობას წყვილებში ან ჯგუფებში:

მოცემულია ცხრილი, ნიმუშის მიხედვით მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ მათ უნდა დაითვალონ ნახატზე ცალ-ცალკე ბავშვების, ქალების, კაცების, ხეების, ავტომანქანების, სახლების, ძაღლების რაოდენობა და ცხრილის შესაბამის გრაფებში აღნიშნონ (რაღვან ჯერ წერა არ იციან, შესაძლოა აღნიშნონ წერტილებით ან რგოლებით).

პრეზენტაციის დროს გამოჩნდება, ჯგუფებმა (თუ წყვილებმა) მსგავსი პასუხები მიიღეს თუ განსხვავებული.

(ცხრილის შევსების შემდეგ, სასურველია, მისი მარტივი ანალიზი: ამ ქუჩაზე ვინ (რა) გვხვდება ყველაზე მეტი რაოდენობით? ვინ (რა) – ყველაზე ნაკლები რაოდენობით?)

2. სახელმძღვანელოზე მუშაობის გაგრძელება (5-6 წთ)

მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს, რომ ეზოში ყოფნის დროს მათ ისაუბრეს ზოგიერთი საფრთხის შესახებ. ახლა ისევ ამ თემას უნდა დაუბრუნდნენ.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ისევ დაუკვირდნენ მოცემულ ნახატს, იფიქრონ და იმსჯელონ წყვილებში:

– ელის ვინმეს საფრთხე? ვის?

– რა შეიძლება მოხდეს? (მაგალითად, ბავშვი თუ დედას ხელს გაუშვებს, შეიძლება მანქანის ბორბლების ქვეშ აღმოჩნდეს, ან იმ ძაღლს შეეფეთოს, რომელიც ასევე ბურთისკენ გარბის. თავად ამ ძაღლს და მის პატრონს ელოდება ხიფათი ლურჯი ფერის ავტომობილისგან, რომლის მხოლოდ წინა ნაწილი ჩანს. გადასასვლელზე უდროოდ და სახიფათოდ მოძრაობს აგრეთვე ველოსიპედიანი ბიჭი).

– ურჩიეთ როგორ ავიცილოთ ეს საფრთხე თავიდან?

- როგორ ფიქრობ, საჭიროა თუ არა ქუჩაში მოძრაობის წესების არსებობა? რატომ?
- საჭიროა თუ არა ქუჩაში გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნების არსებობა? რატომ?

3. მოთქვა – „გადავკვეთოთ ქუჩა“ (8-10 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს ასეთ თამაშს. ორი მოსწავლე დგება ოთახის სხვადასხვა კუთხეში. მათ თვალეხი ახვეული აქვთ. თითოეულმა უნდა გაიგნოს გზა და მივიდეს ოთახის საპირისპირო კუთხეში. ამ აქტივობაში საკმარისია 2-3 წყვილის მორიგეობით ჩართვა. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება ამ მოსწავლეებს:

- რას განიცდიდით ამ დროს?
- გრძნობდით თავს უსაფრთხოდ თუ არა? რატომ?
- რა შეიძლება მოუვიდეს ადამიანს, რომელიც ქუჩაზე უყურადღებოდ გადადის?

მასწავლებელი დასძენს, რომ ქუჩაზე გადასვლის დროს ფეხით მოსიარულეებისთვის მთავარ საფრთხეს მოძრავი ავტომობილები წარმოადგენს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ადამიანებმა მოიგონეს შუქნიშანი და სხვა საგზაო ნიშნები.

- როდის და როგორ დაიწყო ყველაფერი?
- დამატებითი (ან ალტერნატიული) აქტივობა
- მასწავლებელი აგრძელებს საუბარს თემაზე, თუ ვის და როგორ უნდა მიმართონ ქუჩაში ბავშვებმა, როცა ამა თუ იმ საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან.

4. ნაწყვეტის კითხვა ნიშნიდან (2-3 წთ)

„საგზაო მოძრაობის წესები“ (რ. იანტბელიძე)

დაახლოებით 100 წლის წინ პირველად გამოჩნდა ქუჩებში ავტომობილები, რომლებმაც დააფრთხეს ფეხით მოსიარულე ადამიანები. „ამიტომაც ლონდონში შემოიღეს მსოფლიოში პირველი, ცოტა არ იყოს სასაცილო, მოძრაობის წესი – იქ, სადაც ხალხი უფრო ხშირად დადიოდა, გზის პირას უნდა მდგარიყო ნითელაღმნიანი „წესრიგის დამცველი“. როგორც კი ეს უკანასკნელი მოახლოებულ მანქანას დაინახავდა, ალამს აღმართავდა და... გზაზე მყოფი ადამიანები თავს შველოდნენ, ვისაც როგორ შეეძლო“. ხალხს გადარბენ-გადმორბენა და თავის შველა უნდა მოესწრო.

იმ დროს შუქნიშანი ჯერ კიდევ არ არსებობდა, მანქანები უწესრიგოდ მოძრაობდნენ, ვისაც როგორ სურდა, ისე მიჰყავდა და აჩერებდა მანქანას – ქუჩებში სრული უწესრიგობა იყო. „1920 წელს ამერიკაში დაიდგა პირველი შუქნიშანი“, რასაც მოჰყვა საგზაო წესების შემოღება.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ ახსოვთ, რა ფერებია შუქნიშანზე? (მწვანე, ყვითელი, წითელი) და სთხოვს მოძებნონ სახელმძღვანელოში შუქნიშანიანი ფურცელი.

- რას ნიშნავს მწვანე ნიშანი? (მოძრაობა ნებადართულია)
- რას ნიშნავს წითელი ნიშანი? (მოძრაობა არ შეიძლება)
- როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს ყვითელი ნიშანი? (გამაფრთხილებელია – იცვლება შუქნიშნის ფერი.)

სამფეროვანი შუქნიშანი ავტომობილების მძღოლებისთვის არის განკუთვნილი, ზოგ შემთხვევაში სამფეროვანი შუქნიშნის გვერდით დგას ორფეროვანი შუქნიშანი ქვეითად მოსიარულეთათვის: მწვანე და წითელ ფონზე გამოსახულია ადამიანის ფიგურა; აქაც „მწვანე“ ქუჩაზე გადასვლის ნებართვას ნიშნავს, „წითელი“ – აკრძალვას (იხილე მოსწავლის წიგნში).

5. გაკვეთილის შეჯამება (3-4 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=Vyy2TKP0X1o>

ბაკვეთილი 7

თემა:	ტრანსპორტი და საგზაო ნიშნები
გაკვეთილის სათაური:	საგზაო ნიშნები და ტრანსპორტი
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ ზოგიერთი საგზაო ნიშნის ამოცნობა; ტრანსპორტის სახეობების გაცნობა; სატრანსპორტო საშუალებების თავისებურებებისა და მათ შორის განსხვავებების გაცნობიერება, ტრანსპორტით გადაადგილების დროს შესაძლო საშიშროებათა დანახვა და უსაფრთხოების ზომების გახსენება; მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა; კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემების შეგროვება/ჩანიშვნა; პირობითი ნიშნების ამოცნობა და შესაბამისი განმარტება.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას; ამოიცნობს და განმარტავს ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველ პირობით ნიშნებს, ხსნის მათი დაცვის აუცილებლობას, საუბრობს უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობაზე.
საჭირო მასალა:	თაბახის ფურცლები, მაკრატელი.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საგზაო ნიშნების სატვა (5-6 წთ)

ჯგუფებში მუშაობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ ნიგნები მე-7 გაკვეთილზე და მათთან ერთად განიხილავს საგზაო ნიშნებს. შემდეგ თვითონაც ამზადებენ მას (იხ. დანართი.)

მასწავლებელი კლასს ყოფს 5 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ურიგებს თითო სუფთა ფურცელს და აძლევს მითითებას ფურცელზე დახატონ თითო საგზაო ნიშანი.

I ჯგუფი – შუქნიშანი წითელი ფერით;

II ჯგუფი – შუქნიშანი მწვანე ფერით;

III ჯგუფი – შუქნიშანი ყვითელი ფერით;

IV ჯგუფი – გადასასვლელი ლურჯ კვადრატში;

V ჯგუფი – „ქვების ცვენა“.

2. თაბაში ნყვილები (5-7 წთ)

მოსწავლეებს უკვე მომზადებული აქვთ ორი საგზაო ნიშანი და შუქნიშნის სამი ვარიანტი (მწვანე, ყვითელი და წითელი ფერებით) ცალ-ცალკე ფურცლებზე.

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები მერხებს ისე აწყობენ, რომ საკლასო ოთახში იქმნება „ცენტრალური ქუჩა“ მერხებს შორის.

მოსწავლეები იყოფიან ნყვილებად, მასწავლებელი დგას „ქუჩის“ თავში და მორიგეობით ხელში იჭერს სხვადასხვა საგზაო ნიშანს. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ ამ საგზაო ნიშნის მოთხოვნა, უსაფრთხოდ და წესის დაცვით გადაადგილდნენ „ქუჩაში“ და ახსნან, რატომ მოძრაობდნენ ასე (ანუ რას მიაწინებდა მათ საგზაო ნიშანი). ის ნყვილი, რომელიც შეცდომას დაუშვებს, თამაშს ეთიშება.

3. სახელმძღვანელოზე მუშაობა (5-6 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გაიხსენონ გზა სახლიდან სკოლამდე.

- ხელი ასწიოს, ვინც ფეხით (ქვეითად) მოდის;
- ხელი ასწიოს, ვინც სხვა საშუალებით მგზავრობს.

თუ ასეთები აღმოჩნდნენ, მასწავლებელი ინტერესდება, თუ რითი მგზავრობენ ეს ბავშვები სკოლამდე (იგულისხმება ავტობუსი, მსუბუქი ავტომობილი, მეტრო). თუ გაკვეთილი სოფლის სკოლაში ტარდება, სადაც ყველა ბავშვი მხოლოდ ფეხით მიდის სკოლაში, მაშინ მასწავლებელი ეკითხება, თუ ყოფილან ქალაქში, რითი უმგზავრიათ და ა.შ.

საბოლოოდ უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ადამიანები ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე ფეხით, მანქანით, მატარებლით ან სხვა საშუალებებით გადაადგილდებიან.

– თუ იცით, რა საერთო სახელი ჰქვია მათ? (ტრანსპორტი) შემდეგ ბავშვებმა სახელმძღვანელოში უნდა მოძებნონ ამ გაკვეთილის შესაბამისი გვერდი და დაათვალიერონ საგზაო ნიშნები, რომელთა ცნობაც აუცილებელია (მასწავლებელი აჩვენებს, თუ რომელია ეს გვერდი).

4. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

სამუშაო გრძელდება მოსწავლის რვეულში. ფურცელზე ჩვენი პერსონაჟები ჩაფიქრებულნი არიან – მათ ამოცანის გადანყვეტაში სწორედ ჩვენი პირველკლასელები უნდა დაეხმარონ. იმავე გვერდზე მოცემულ კვადრატებში ჩახატულია სხვადასხვა საგანი, ბავშვებმა უნდა ამოიცნონ, თითოეულ კვადრატში რომელია ის ერთი საგანი, რომელიც უადგილოდ (ულოგიკოდ) განუთავსებია მხატვარს და შემოხაზონ; ანუ მათ უნდა მონიშნონ (შემოხაზონ) ავტომანქანა, თვითმფრინავი, მატარებელი, გემი და ავტობუსი.

მუშაობა სრულდება ინდივიდუალურად და ამონებენ ნყვილებში.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი კვლავ ეკითხება ბავშვებს;

- დაასახელეთ ის საგნები, რომლებიც შემოხაზეთ;
- რისთვის გამოიყენებს ადამიანი ამ საგნებს?
- ხომ არ იცით, რა საერთო სახელი აქვს გადაადგილების საშუალებებს?

თუ კიდევ ვერაფერს გაიხსენა სიტყვა „ტრანსპორტი“, მაშინ მასწავლებელი ეუბნება ამ სიტყვას და განუმარტავს, რომ ტრანსპორტს მიეკუთვნება ყველაფერი, რასაც ადამიანი გადაადგილებისთვის და ტვირთის გადასატანად იყენებს.

5. საკლასო დისკუსია (3-6 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს დაახასიათონ მათ მიერ მონიშნული ტრანსპორტის სახეობები: ვის უმგზავრია ამა თუ იმ ტრანსპორტით, ჩქარა მოძრაობს თუ ნელა, რა მსგავსი ნიშანი აქვს ზოგიერთ მათგანს (აქვთ ბორბლები, სჭირდება სანჯავი...), რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, უნახავთ თუ არა ტრანსპორტის სხვა საშუალებები და რა იციან მათ შესახებ.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ მათ მიერ განხილული ტრანსპორტი თავისით არ მოძრაობს. მათ ადამიანები მართავენ. ყველა ტრანსპორტის მძღოლს თავისი სახელი აქვს. ფრონტალურად მასწავლებელი დასვამს შეკითხვებს, ბავშვებმა უნდა ამოიცნონ და უპასუხოთ.

- რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ავტომანქანას მართავს? (მძღოლი)

- რა ჰქვია ადამიანს, რომელიც თვითმფრინავს მართავს? (*მფრინავი ან პილოტი*)
- რა ჰქვია ადამიანს, რომელიც გემის მართვას ხელმძღვანელობს? (*გემის კაპიტანი*)
- აქვე შეიძლება დაისვას ასეთი კითხვებიც:
- რა ჰქვია გემზე მომუშავე ადამიანს? (*მეზღვაური*)
- რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ტრანსპორტით მგზავრობს? (*მგზავრი*)
- მასწავლებელი მართავს საუბარს შემდეგი კითხვების გამოყენებით:
- რატომ უკეთებდნენ ძველად გემებს აფრებს?
- რატომ აღარ სჭირდება თანამედროვე გემებს აფრები?
- ნავებს როგორ მიაცურებდნენ? (*ნიჩბების მოსმით*)
- რა მოხდებოდა, ადამიანს ბორბალი რომ არ გამოეგონებინა?
- სჭირდებათ თუ არა მძღოლებს მოძრაობის წესების დაცვა? რატომ?

6. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

7. საშინაო დავალება

აქვე მასწავლებელი აძლევს დავალებას, რომ შემდეგი მეცადინეობისთვის შინიდან წამოიღონ სათამაშო ტრანსპორტი.

გაკვეთილი 8

თემა:	ტრანსპორტი და საგზაო ნიშნები
გაკვეთილის სათაური:	რომელი ტრანსპორტით ვმგზავრობთ?
გაკვეთილის მიზანი:	<p>მოსწავლეებმა შეძლონ ტრანსპორტის ძველი და თანამედროვე საშუალებების გაცნობა;</p> <p>ტრანსპორტით გადაადგილების დროს და უსაფრთხოების ზომების დაცვის აუცილებლობის გააზრება;</p> <p>ფრაგმენტებისაგან მთლიანი მოდელის აწყობა;</p> <p>მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა;</p> <p>სხეულების ამოცნობა, აღწერა, დახასიათება;</p> <p>სხეულების შემადგენელ ნივთიერებაზე, მასალაზე მსჯელობა/ამოცნობა; დახასიათება.</p>
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	<p>ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;</p> <p>ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.</p>
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	<p>აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;</p> <p>უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;</p> <p>ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;</p> <p>აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე (მაგ., მაკრატელი – რკინა, რვეული – ქაღალდი, საშლელი – რეზინი);</p> <p>ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს;</p>

ახასიათებს ნივთიერებებს/მასალებს ადვილად დაკვირვებადი თვისებების (მაგ., გამჭვირვალობა, დრეკადობა, ტივტივის უნარი, წყალგაუმტარობა) მიხედვით;
აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებულ სხეულებს.

საჭირო მასალა: თაბახის ფურცლები, მაკრატელი, ნებო.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სათამაშოების გამოფენა (3-4 წთ)

ჯგუფებში მუშაობა

მასწავლებელი კლასს ყოფს მცირე ჯგუფებად და სთხოვს, მაგიდებზე დაალაგონ შინიდან მოტანილი ე.წ. „ტრანსპორტი“. თითოეული ჯგუფი აწყობს „ტრანსპორტის გამოფენას“. მოსწავლეები მორიგეობით „ენვეციან“ რომელიმე ჯგუფის მაგიდას და ათვალიერებენ ტრანსპორტის სახეობებს. „მასპინძლებმა“ უნდა დაასახელონ თითოეული მათგანი და მოკლედ დაახასიათონ, ძირითადად რისთვის (სამგზავროდ, ტვირთის გადასაზიდად...) გამოიყენება ესა თუ ის ტრანსპორტი (ასე მორიგეობით უნდა დაათვალიერონ ყველა მაგიდა). დასასრულ, სათამაშოები ყუთში უნდა მოათავსონ ან ფანჯრის რაფაზე დაალაგონ.

2. სამუშაო რვეულში მუშაობა – ტრანსპორტის სახეობათა დაჯგუფება (3-4 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე მოცემულია ცხრილი ორ სვეტად და ტრანსპორტის ძველი და თანამედროვე სახეობები (ძველი: ცხენი მხედრით, სპილო მომთვინიერებლით, ეტლი ცხენებით, აქლემი მხედრით, ძაღლების მარხილი.

თანამედროვე ტრანსპორტი: ველოსიპედი, თანამედროვე გემი, ვერტმფრენი, ავტომობილი, მეტროს ვაგონი).

მასწავლებელი კლასს აძლევს დავალებას ჯგუფებში სამუშაოდ:

მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, თუ რა ნიშნით დააჯგუფონ სურათები და თითოეული სურათი ხაზით დააკავშირონ ცხრილის თავისუფალ უჯრეტთან (მარცხენა სვეტში მოხვდება: აქლემი, სპილო, მარხილი, ეტლი; მარჯვენა სვეტში: თვითმფრინავი, ავტომანქანა, მეტრო, გემი).

ამ სამუშაოს წინ უნდა უძღოდეს (შეიძლება შემდეგაც) საუბარი იმაზე, რომ ადამიანები ძველად გადაადგილებისთვის ცხოველებს იყენებდნენ. სხვადასხვა ქვეყანაში ამისთვის სხვადასხვა ცხოველს წვრთნიდნენ. ძირითადად კი, მაინც ცხენს იყენებდნენ, რადგან ცხენი სხვა შინაურ ცხოველზე ბევრად სწრაფია და ადვილად სამართავი.

3. სახელმძღვანელოში მუშაობა (4-5 წთ)

თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებზე საუბრისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული შესაბამისი ილუსტრაციები.

4. სამუშაო რვეულში მუშაობა – მანქანის „აგება“ (14-16 წთ)

მოსწავლეებმა რვეულში უნდა მოძებნონ ის გვერდი, რომელზეც სხვადასხვა ფერით ტრანსპორტის დეტალებია დახატული. მუშაობა გრძელდება ჯგუფებში. ბავშვებმა ფიგურები უნდა გამოჭრან, ამოიციონ, რომელი ტრანსპორტი შეიძლება აიგოს ამ ფიგურებისგან და ჩააკრან სუფთა ფურცელზე (გემის დეტალები ყვითელი ფერისაა, ვერტმფრენის – ლურჯი, ავტომობილის – წითელი).

ჯგუფებს შეუძლიათ სამივე სახეობის ტრანსპორტის აგება ან სურვილისამებრ – მხოლოდ ერთის. სამუშაოს დასრულების შემდეგ სასურველია ნამუშევრები გამოიკრას კედელზე.

5. კითხვა-პასუხი (3-4 წთ)

მასწავლებელი აგრძელებს საუბარს შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- თქვენი აზრით, რისგან ამზადებდნენ ადამიანები უძველეს დროში ბორბალს?
- როგორ გგონიათ, როგორი იქნებოდა ხისგან დამზადებული ბორბალი? (ვის უნახავს ურმის ბორბალი? როგორია?)

- კიდევ რომელ ტრანსპორტში იყენებენ ხის მასალას? რატომ? (გემი, ნავი)
- რომელ ტრანსპორტში იყენებენ რკინასა და სხვა ლითონებს?
- რისგან ამზადებენ ავტომანქანების საბურავებს? (რა არის საბურავი? რა განსხვავებაა ურმის ბორბალსა და საბურავს შორის?)
- რისგან ამზადებენ ავტომანქანის საჭეს? (უმეტესად პლასტმასისაგან). როგორი ფორმა აქვს საჭეს?

6. ტრანსპორტის ამოცნობა (პანტომიმა) (2-3 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს თამაშს ამოცნობაზე, ოღონდ ამ შემთხვევაში მოსწავლეები განასახიერებენ არა მგზავრებს, არამედ თავად სატრანსპორტო საშუალებებს მოძრაობით და ხმებით. სხვებმა კი უნდა გამოიცნონ და დაასახელონ.

თითოეული ჯგუფის წევრები განასახიერებენ პანტომიმის მეშვეობით ამა თუ იმ ტრანსპორტით მგზავრობის (სავარაუდოდ, მატარებელი, ავტობუსი – წყვილად დასხდებიან, მსუბუქი მანქანა, ნავი...) სიტუაციას. სხვა ჯგუფების წევრებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ტრანსპორტით „მგზავრობენ“ მათი ამხანაგები. ვინც ამოიცნობს (ან რომელი ჯგუფის ჯერიც მოვა), ახლა ის იწყებს პანტომიმის გათამაშებას.

7. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=pLnyhPsiNM>

გაკვეთილი 9

თემა:	ჩვენ ირგვლივ
გაკვეთილის სათაური:	ბუნებრივი და ხელოვნური
გაკვეთილის მიზანი:	მონაცემების ორგანიზება, აღრიცხვა, კლასიფიცირება; შედეგების ზეპირი ფორმით გადმოცემა; მარტივი სამეცნიერო ტერმინების გამოყენება; ცოცხალი სხეულების ძირითადი ნიშან-თვისებების აღწერა და არაცოცხალისგან განსხვავება; სიცოცხლის ძირითად ნიშნებზე დაკვირვება და მათი აღწერა; დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
საჭირო მასალა:	თოჯინა, ფერადი ფანქრები.

1. გუნებრივი და ხელოვნური (5-10 წთ)

მასწავლებელი კითხვით მიმართავს კლასს:

- წინა გაკვეთილზე ჩვენ განვიხილეთ გადაადგილების საშუალებები, ტრანსპორტი. კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ცხრილს, რომელიც წინა გაკვეთილზე შეავსეთ. მარცხნივ დააფუთეთ ის ტრანსპორტი, რომლითაც, უმეტესწილად, ძველად (ზოგჯერ ახლაც) გადაადგილდებოდნენ (ცხენი, სპილო, აქლემი, ძაღლი), მარჯვნივ – თანამედროვე ტრანსპორტი.
- თქვენი აზრით, რა აერთიანებს მარცხნივ განთავსებულ ტრანსპორტს?
(გადაადგილდება ცოცხალი ძალით)
- მარჯვნივ განთავსებულს?
(არაცოცხალია – მანქანა)
- რომელია მათ შორის ბუნებრივი და რომელი ადამიანის ხელით შექმნილი, ე.წ. ხელოვნური?
- რას ხედავთ თქვენ ირგვლივ დღისით თუ ღამით?
(სავარაუდოდ: მზეს, მთვარეს, წყალს, მდინარეებს, ზღვებს, მთას, ტყეს, მცენარეებს, ცხოველებს და ჩვენ, ადამიანებს). ეს ბუნებრივია თუ ხელოვნური?
ბუნებრივია ყველაფერი, რაც ჩვენ ირგვლივ, ბუნებაში, თავისთავად არსებობს.

2. ნიბნჯი მუშაობა (3-5 წთ)

ყურადღებით დააკვირდი სურათებს. იმსჯელე, რომელია ბუნებრივი და რომელი ე.წ. ხელოვნური (ადამიანის ხელით გაკეთებული).

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

ყურადღებით დააკვირდი სურათებს და განსაზღვრე, რომელია ბუნებრივი და რომელი არა? რომელიც, შენი აზრით, ბუნებრივია, რგოლი მწვანედ გაუფერადე, რომელიც ადამიანის ხელით არის შექმნილი – ნითლად.

4. გუნებრივი გარემო – ცოცხალი და არაცოცხალი (5-8 წთ)

მასწავლებელი მიუთითებს რვეულში მოცემულ კონტურებზე და აძლევს დავალებას:

გააფერადე ცოცხალი ბუნების ამსახველი სურათები. სამუშაოს დასრულების შემდეგ კი სთხოვე მოსწავლეებს, დაასახელონ ის საგნები, რომლებიც გააფერადეს და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება ერთი არგუმენტით მაინც (სუნთქავს, დადის, დაფრინავს, იკვებება, მრავლდება და ა.შ.).

5. აღწერა – თვალსაჩინოება (5-7 წთ)

მასწავლებელმა, სასურველია, თვალსაჩინოებისთვის მოიტანოს თოჯინა. გამოიყვანოს კლასიდან ერთი მოხალისე და კითხვებით მიმართოს კლასს:

- რომელი მათგანი სუნთქავს?
- რომელი იკვებება?
- რომელი იზრდება?
- რომელი მრავლდება?
- რომელი გადაადგილდება თავისით?

სასურველია, მოსწავლეებმა თვითონ შეაჯამონ თემა:

ადამიანი ცოცხალია, სულიერია, რადგან სუნთქავს, იკვებება, იზრდება, თავისით გადაადგილდება, მრავლდება და სხვ.

არაცოცხალს, უსულოს კი, ყოველივე ეს არ ახასიათებს.

6. გაკვეთილის შეჯამება (3-5 წთ)

მასწავლებელი მოკლედ შეაჯამებს გაკვეთილზე განხილულ მასალას და შემდეგი გაკვეთილისთვის აძლევს დავალებას: დააკვირდი შენს საცხოვრებელ გარემოს. რა არის მასში ცოცხალი და რა არაცოცხალი?

ბაკვეთილი 10

თემა:	ჩვენ ირგვლივ
გაკვეთილის სათაური:	ცოცხალი და არაცოცხალი
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ სულიერი და უსულო სხეულების ძირითადი ნიშან-თვისებების აღწერა და ერთმანეთისაგან განსხვავება; სიცოცხლის ძირითად ნიშნებზე დაკვირვება და მათი აღწერა; ცოცხალი სხეულების ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების გამოკვლევა; მარტივ პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობა; სხეულების ამოცნობა/დახარისხება, აღწერა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.ი.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
საჭირო მასალა:	ფერადი ფანქრები, მაკრატელი, ნებო.

1. კითხვა-პასუხი (5-7 წთ)

დავალების გამოკითხვის შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს:

- გაიხსენეთ, რა არის ბუნება?
- დაუკვირდით სიტყვებს „ბუნება“ და „ბუნებრივი“.
- როგორ გგონიათ, არის მათ შორის რამე საერთო?

მასწავლებელს ბავშვები კიდევ ერთხელ მიჰყავს დასკვნამდე, რომ ბუნებაში არსებულ საგნებს ბუნებრივი ეწოდება და სთხოვს, ჩამოთვალონ, მათი აზრით, ბუნებრივი სხეულები.

2. ცოცხალი ბუნება (5-10 წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადაშალონ წიგნი შესაბამის გვერდზე და ყურადღებით დაუკვირდნენ მოცემულ ფოტოებს, რა ნიშნით არიან ისინი გაყოფილი ერთმანეთისგან. როგორი ბუნებაა მარცხნივ, მარჯვნივ? დაასახელონ საგნები, რომელიც სულიერია, ისაუბრონ, რას ნიშნავს ცოცხალი (სუნთქავს, იკვებება, იზრდება, მრავლდება.).

– შენ რა გჭირდება სიცოცხლისთვის?

3. არაცოცხალი ბუნება (2-5 წთ)

მასწავლებელი სთხოვს, დაასახელონ და დაახასიათონ არაცოცხალი ბუნება (ქვა, მზე, ვარსკვლავი და ა.შ.).

4. პრაქტიკული სამუშაო (5-10 წთ)

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს რვეულში მოცემულ სურათებზე და სთხოვს, გადახაზონ ის სურათი, რომელიც ზედმეტია. სასურველია, ახსნან თავიანთი მოსაზრება.

შემდეგ კი მასწავლებელი ბავშვებს აძლევს დავალებას, დააკვირდნენ მათ რვეულში მოცემულ

სურათებს, დააჯგუფონ და ჩამოთვალონ ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებად. შემდეგ კი შესაბამისად ჩაანებონ რვეულში მოცემულ სქემაში.

5. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილის თემას. შემდეგ მოსწავლეებს აძლევს დავალებას ამჯერად სახლში განსაზღვრონ, რას მიაკუთვნებენ ცოცხალ და რას – არაცოცხალ ბუნებას.

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=UNF7eX84b4E&t=401s>

გაკვეთილი 11

თემა: ჩვენ ირგვლივ
გაკვეთილის სათაური: ჩვენ ირგვლივ
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ დაკვირვების შედეგად ლოკალური გარემოს აღწერა;
საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებული დასაბუთება;
მონაცემების აღრიცხვა-ორგანიზება ნახატების საშუალებით;
შედეგების ზეპირი და ნახატით გადმოცემა;
მიღებული შედეგების გაზიარება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების (ნახატები, ფოტოები) გამოყენებით.
სხეულების ილუსტრაციაზე ამოცნობა, აღწერა, დახარისხება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები: ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;
აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;
ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;
ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

საჭირო მასალა: ფორმატი, ფერადი ფანქრები, მაკრატელი, დაფის მაგნიტები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. ბუნებრივი და ხელოვნური გარემო (5-10 წთ)

მასწავლებელი შეახსენებს ბავშვებს წინა გაკვეთილზე განხილულ თემებს და გამოიკითხავს დავალებას (ნახატის მიხედვით პრეზენტაცია ან ზეპირად აღწერა):

აღწერე გარემო, რომელშიც ცხოვრობ.

2. ნივნუხი მუშაობა (5-8 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გადაშალონ სახელმძღვანელო მითითებულ გვერდზე. დააკვირდნენ, ამოიცნონ და დაასახელონ რომელია ადამიანის ხელით შექმნილი, ე.წ. ხელოვნური საგნები. აქედან გამომდინარე, იმსჯელონ ბუნებრივ და ადამიანის ხელით შექმნილ გარემოზე.

3. პრაქტიკული სამუშაო (5-7 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ყურადღებით შეისწავლონ საკლასო ოთახი, დაუკვირდნენ რა არის ოთახში ბუნებრივი და რა ადამიანის ხელით შექმნილი.

მასწავლებელი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ გარემო, სადაც ვცხოვრობთ არის – როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის ხელით შექმნილი.

4. სამუშაო რვეულში მუშაობა (5-7 წთ)

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს გადაშალონ სამუშაო რვეული და ყურადღება გაამახვილონ შესაბამის გვერდზე მოცემულ ნახატებზე. შემდეგ კი აძლევს დავალებას შემოხაზონ მხოლოდ ის საგნები, რომლებიც, მათი აზრით, ბუნებრივ გარემოს განეკუთვნება.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს თითოეულმა მათგანმა 5 წთ-ის განმავლობაში, გვერდის ქვედა ნაწილში მოცემულ ჩარჩოში დახატოს 1 ბუნებრივი და 1 ხელოვნური, ადამიანის ხელით შექმნილი საგანი და გამოჭრას.

5. პრეზენტაცია (4-5 წთ)

მასწავლებელი დაფაზე გაკრულ ფორმატის ფურცელს ყოფს ორ ნაწილად და სთხოვს მოსწავლეებს, განათავსონ ნახატები შესაბამის მხარეს. რადგან მათ კითხვა ჯერ არ იცინა, მასწავლებელი პირობითად ბუნებრივი საგნების (სხეულების) აღსანიშნავად სქემის მარცხენა მხარეს ხატავს მაგ., ხეს, მარჯვენა მხარეს კი – სახლს. მოსწავლე თავად ახარისხებს ნახატებს შესაბამის მხარეს.

6. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

მასწავლებელი კიდევ ერთხელ განმარტავს ბუნებრივ და ადამიანის ხელით შექმნილ, ე.წ. ხელოვნურ გარემოს. ხაზს უსვამს, რომ ორივე მათგანი იმ გარემოს განუყოფელი ნაწილია, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

გაკვეთილი 12

თემა:	ჩვენ ირგვლივ
გაკვეთილის სათაური:	ბუნების სადარაჯოზე
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ მონაცემების ორგანიზება, აღრიცხვა, კლასიფიცირება; ვარაუდების გამოთქმა; შედეგების ზეპირი ფორმით გადმოცემა; მარტივი სამეცნიერო ტერმინების გამოყენება; ცოცხალი სხეულების ძირითადი ნიშან-თვისებების აღწერა და არაცოცხალისგან განსხვავება; ორგანიზმებზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების გამოკვლევა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

საჭირო მასალა: ფანქრები, ვიდეომასალა ბუნების შესახებ.

1. ნიგნში სამუშაო (5-7 წთ)

მასწავლებელი: ყურადღებით დააკვირდით სურათებს, რას ამჩნევთ?

დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

(ცოცხალია იმიტომ, რომ იბადება, იზრდება, იკვებება, სუნთქავს, მოძრაობს, კვდება...)

2. სამუშაო რვეულში მუშაობა (3-5 წთ)

მასწავლებელი: გადახაზე, რომელია ზედმეტი.

დაასაბუთე

3. სიტუაციური ამოცანა (5-10 წთ)

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ მზე არ ამოვიდეს, ჰაერი გაქრეს, წყალი დაშრეს. თქვენი აზრით, რა მოხდება?

– იცოცხლებენ მცენარეები?

– ცხოველები?

– ადამიანები?

4. მიწი-ლექცია (4-5 წთ)

მასწავლებელი ყურადღებით მოუსმენს მოსწავლეთა ვარაუდებს, არგუმენტად მოიშველიებს რა მათ მოსაზრებებს, დასძენს:

1. მზის სინათლისა და სითბოს გარეშე მცენარეები (მცირე გამონაკლისის გარდა) და ცხოველები, ანუ ცოცხალი ბუნება, ვერ იარსებებენ.

2. წყლის გარეშე ყველა ცოცხალი არსება დაიღუპება.

3. ყველა ცოცხალს სჭირდება ჰაერი.

5. დისკუსია (4-5 წთ)

მასწავლებელი მიმართავს კლასს:

– როგორ გგონიათ, იცოცხლებდნენ ადამიანები არაცოცხალი ბუნების გარეშე?

დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

(სავარაუდოდ: *ვსუნთქავთ ჰაერით, წყურვილს ვიკლავთ – წყლით, ვიკვებებით – მცენარეებითა და ცხოველებით.*)

6. ჩვენ ვიცავთ ბუნებას?! (4-5 წთ)

მასწავლებელი: ყურადღებით დააკვირდით თქვენს ნიგნში მოცემულ სურათებს: რას ამჩნევთ?

ე.ი. სიცოცხლისთვის თევზს სჭირდება სუფთა წყალი, ჩიტს – სუფთა ჰაერი, ცხოველსა და ფრინველს – ტყე, ადამიანს...

7. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილს და დასძენს: ჩვენ ბუნების ნაწილი ვართ, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ იგი.

გავუფრთხილდე ბუნებას, ნიშნავს გიყვარდეს და დაიცვა შენი ქვეყანა.

8. საშინაო დავალება

შემდეგ მასწავლებელი აძლევს დავალებას: აირჩიეთ ერთი ცოცხალი საგანი, აღწერეთ იგი

(შინაური ცხოველი, ფრინველი, ყვავილი), მისი საცხოვრებელი გარემო, რა სჭირდება სიცოცხლისათვის, ვინ ზრუნავს მასზე, მონაწილეობთ თუ არა თქვენ მის მოვლაში, როგორ უვლით და ა.შ.

გაკვეთილი 13

თემა: ჩვენ ირგვლივ
გაკვეთილის სათაური: საცხოვრებელი გარემო
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ცოცხალი სხეულების ძირითადი ნიშან-თვისებების აღწერა;
ცოცხალისა და არაცოცხალის ერთმანეთისგან განსხვავება;
სიცოცხლის ძირითად ნიშნებზე დაკვირვება და მათი აღწერა;
ორგანიზმების სასიცოცხლო მოთხოვნილებების გაცნობიერება;
დაკვირვების შედეგების სხვადასხვა ფორმით ზეპირად გადმოცემა.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები: ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;
ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;
ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად.
ექვს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაცყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატით, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).

საჭირო მასალა: ფანქრები, ზღაპარი ან მულტფილმი „სამი გოჭი“.

1. დავალების შემოწმება (5-7 წთ)

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს საშინაო დავალების გამოკითხვით. მსურველები თანაკლასელებს უამბობენ მათი საყვარელი ცხოველის, ფრინველის ან მცენარის შესახებ. მასწავლებელი შესაბამისი კითხვებით ეხმარება გამომსვლელს (სასურველია, მოსწავლე არა მარტო გარეგნობის აღწერით შემოიფარგლოს, არამედ ისაუბროს, თუ როგორ უვლის მას და ა.შ.).

2. ნიგნუა მუშაობა (5-6 წთ)

გაკვეთილი გრძელდება ნიგნუა მუშაობით. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, ყურადღებით დააკვირდნენ ნიგნუაში მოცემულ სურათებს, შემდეგ კი დაასახელონ ცოცხალი არსებები, რომლებიც სურათებზე არიან გამოსახულნი.

– მიაბზეთ, რა იცით მათ შესახებ?

- სად ცხოვრობენ ისინი?
- რა სჭირდებათ მათ სიცოცხლისათვის?
- რის გარეშე ვერ იცოცხლებენ ისინი?

მასწავლებელმა კითხვების საშუალებით მოსწავლეები უნდა მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ყველა ცოცხალ ორგანიზმს სიცოცხლისთვის სჭირდება წყალი, ჰაერი, საკვები, სითბო, სინათლე.

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (3-4 წთ)

შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს სამუშაო რვეულში მოცემულ სავარჯიშოზე და მოსწავლეებს სთხოვს, აპოვინონ თითოეულ ბინადარს თავისი სახლი (შეაერთონ ხაზებით).

4. კითხვა-პასუხი (3-5 წთ)

თქვენ სურათზე ნახეთ ტყის (ხმელეთისა) და წყლის ბინადრები. ისინი ცოცხალი გარემოს განუყოფელ ნაწილებს შეადგენენ.

- გაიხსენეთ, რით განსხვავდება ცოცხალი გარემო არაცოცხალისაგან?

(სავარაუდოდ, ცოცხალი იბადება, იზრდება, იკვებება, მრავლდება და ა.შ.)

თქვენ, ალბათ, ისიც შეამჩნიეთ, რომ თითოეულ მათგანს სიცოცხლისათვის ესაჭიროება „სახლი“, სადაც თავს დაცულად გრძნობს.

მოდით, გავიხსენოთ: რა ჰქვია ჩიტის „სახლს“ (ბუდე)

დათვის „სახლს“ (ბუნაგი)

მელას „სახლს“ (სორო)

ვეფხვის „სახლს“ (ბუნაგი, გამოქვაბული)

ფუტკრის „სახლს“ (სკა)

ძაღლის „სახლს“ (ბუდრუგანა)

ციყვის „სახლს“ (ფულურო)

5. საკლასო დისკუსია (5-8 წთ)

მასწავლებელი სვამს სადისკუსიო კითხვას:

- თქვენი აზრით, რა უქმნის მათ სიცოცხლეს საფრთხეს?

სასურველია, მასწავლებელმა დაასახელოს ცხოველი, მოსწავლეები კი ასახელებენ იმ ცხოველს, რომელიც ამ უკანასკნელით იკვებება, აქედან გამომდინარე, მისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ემტერება. სავარაუდოდ: თავგს – კატა, ირემს – მგელი, ფუტკარს – ჩიტი, ჩიტს – კატა და ა.შ.

6. თვალსაჩინოება (მულტფილმი „სამი გოჭი“) (5-10 წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს მულტფილმს „სამი გოჭი“, ან უკითხავს იმავე სახელწოდების ზღაპარს. ნანახიდან თუ მოსმენილიდან გამომდინარე, მოსწავლეები ასკვნიან, რომ მათ მტრისგან თავდასაცავად სჭირდებათ „სახლი“.

7. გაკვეთილის შეჯამება (3-5 წთ)

მასწავლებელი მოკლედ შეაჯამებს გაკვეთილს და აძლევს საშინაო დავალებას – შემდეგი გაკვეთილისთვის დახატონ სახლი, რომელშიც ცხოვრობენ.

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=swmbvGmB9R8>

გაკვეთილი 14

თემა:

ჩვენ ირგვლივ

გაკვეთილის სათაური:

რა რისგან მზადდება?

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებმა შეძლონ დაკვირვების საფუძველზე პირადი მოსაზრებების დაფიქსირება;

გავრცელებული ნივთიერებების/მასალების ამოცნობა;
კითხვების დასმა და ვარაუდების გამოთქმა;
ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა;
ირგვლივ არსებული სხეულების აღწერა შემადგენლობის
გათვალისწინებით;
მონაცემების შეგროვება და ჩანიშვნა;
კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება;
ერთნაირი მასალისგან დამზადებული სხეულების დაჯგუფება.

**კავშირი ესგ-ის სტანდარტის
შედეგთან და ინდიკატორები:**

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში
მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების
დემონსტრირება;

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების
მნიშვნელობის გაცნობიერება.

ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემად-
გენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.

**შედეგი თვალსაჩინოა,
თუ მოსწავლე:**

აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების
ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლე-
ნებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო
მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს
დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი,
ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და
კვლევის შედეგების წარდგენისას.

ასახელებს პირადი ჰიგიენის ნივთებს (მაგ., სავარცხელი,
კბილის ჯაგრისი, პირსახოცი), მსჯელობს ჰიგიენის წესების
დაცვის მნიშვნელობაზე.

აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ
შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე (მაგ., მაკრატელი –
რკინა, რვეული – ქალაღი, საშლელი-რეზინი);

ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ
ნივთიერებებს/მასალებს;

აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისგან დამზა-
დებულ სხეულებს.

1. სახელმძღვანელოზე მუშაობა – „სამი გოჭის სახლები“ (5-10 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება, ახსოვთ თუ არა სამი გოჭის ზღაპარი:

– რა ერქვათ გოჭებს? (ნიფ-ნიფი, ნუფ-ნუფი და ნაფ-ნაფი)

მსურველს მასწავლებელი აძლევს შესაძლებლობას, მეგობრებს უამბოს ზღაპარი. მასწავლე-
ბელი საჭიროების შემთხვევაში ეხმარება, შეახსენებს საჭირო დეტალებს.

შემდეგ ბავშვები გადაშლიან სახელმძღვანელოს იმ გვერდზე, რომელზეც სამი გოჭი და მათი
სახლებია დახატული. მოსწავლეებმა ინდივიდუალურად უნდა ამოიცნონ, რომელი სახლი რომელ
გოჭს ეკუთვნის და დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე.

მასწავლებლის კითხვები:

– ჩალის სახლი რომელია? რომელ გოჭს ეკუთვნის ეს სახლი? რატომ ფიქრობთ ასე?

– ხის სახლი რომელია? რომელ გოჭს ეკუთვნის ხის სახლი?

- აგურის სახლი რომელია? რომელ გოჭს ეკუთვნის აგურის სახლი?
- რომელი მასალისგან აგებული სახლია უფრო გამძლე და საიმედო? რატომ?
- რა საფრთხე ემუქრება ჩალის სახლს? (ადვილად აღწევს წვიმა, ქარი, ქარიშხალს ვერ გაუძლებს...)
- რა მოსდის ხის სახლს მრავალი წლის შემდეგ? (ფიცრები ლპება, ჭია ხრავს, ადვილად ჩნდება ხანძარი).
- აგურის გარდა, დღეს რას ხმარობენ სახლების ასაშენებლად? (ბლოკებს).
- აგურის და ბლოკის სახლში რისთვის იყენებენ ხის მასალას?
- რატომ უკეთებენ სახლს სახურავს?..

2. პრაქტიკული სამუშაო (5-10 წთ)

მოდით, ვირტუალურად ავაშენოთ საცხოვრებელი სახლი: მოვიმარაგოთ მასალა და შევუდგეთ... მასწავლებელი აქტივობაში მონაწილე ბავშვების დახმარებით დაფაზე ხატავს სახლს, შესაბამისად, თითოეული მოსწავლე სამუშაო რვეულის მითითებულ გვერდზე, მითითებულ ადგილას სახლს ხატავს.

მასწავლებელმა, სასურველია, ხატვის დროს ყურადღება გაამახვილოს იმ სამშენებლო მასალაზე, რომელსაც „მშენებელი“ იყენებს, თუ რისგან მზადდება სახლის თითოეული ნაწილი. მაგ.: სახურავი – თუნუქის ან კრამიტისაა (თიხა, რკინა); კედლები (აგური, ქვიშა, ცემენტი), კარ-ფანჯარა (ხე), კიბის სახელური (რკინა, ხე) და ა.შ.

ხატვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ უმეტეს შემთხვევაში, ადამიანის ხელით შექმნილი სამშენებლო მასალაც ბუნებრივი შემადგენლობისაა (ხე, ქვა, ქვიშა, თიხა...). თუმცა არსებობს ხელოვნური მასალაც, რომელიც ადამიანმა გამოიგონა (პლასტიკატი, რეზინი და ა.შ.) ამ უკანასკნელში უკეთ გარკვევის მიზნით, სასურველია, მასწავლებელმა მოიშველიოს მათ ხელთ არსებული თვალსაჩინოება, სასკოლო ნივთები (სახაზავი, ფლომასტერი, საშლელი, ე.წ. პასტა), მიუთითოს მეტალო-პლასტმასის ფანჯრებზე, თუ ასეთი სკოლაში არსებობს.

3. დისკუსია (4-5 წთ)

მასწავლებელი სვამს სადისკუსიო კითხვებს:

- როგორ გგონიათ, ადამიანის მიერ გამოყენებული ბუნებრივი მასალა აზიანებს გარემოს?
- გამოთქვით ვარაუდი და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- რას შეცვლიდით, რომ ბუნება გადარჩეს? მოიფიქრეთ გამოსავალი.

დისკუსიას წარმართავს მასწავლებელი, რომელიც საკითხის არსში უკეთ გასარკვევად საჭირო კითხვებით ეხმარება მოსწავლეებს (სავარაუდოდ, რა შეიძლება გამოიწვიოს დიდი რაოდენობით ხის ჭრამ? მდინარის კალაპოტიდან ზედმეტი რაოდენობით ქვიშისა და ქვის ამოღებამ და ა.შ.)

4. სამუშაო რვეულში მუშაობა – ნახატის დასრულება (3-5 წთ)

დავალემა ინდივიდუალურად ან წყვილებში სამუშაოდ:

მოსწავლის რვეულის შესაბამის გვერდზე მოცემულია სახლებისა და ლობის კონტურული ნახატი. ისე ჩანს, რომ პირველი სახლი ლობის იქით არის, მეორე სახლი – ლობის აქეთ. დავალემა ასეთია: მოსწავლეებმა ისე უნდა გააგრძელონ ხატვა, რომ მეორე სახლიც ლობის იქით აღმოჩნდეს. (ბავშვები უნდა მიხვდნენ, რომ ამისთვის ლობეების ერთმანეთთან შეერთება-ჩახატვაა საჭირო). შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს, თუ როგორ შესრულდა დავალემა და სთხოვს მოსწავლეებს, ნახატი გააფერადონ.

დააკვირდით ნახატს გვერდის ქვედა ნაწილში:

- როგორ ფიქრობთ, რისთვის აკეთებს ბიჭი სახლს? შეაერთეთ წერტილები და გააფერადეთ.

5. თამაში მხედველობითი მახსიარების გასაპარჯიშვლად (2-3 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ერთი თვალის გადავლებით (ანუ დაახლოებით 10 თვლამდე)

კარგად დააკვირდნენ იმ ნახატს, რომელიც გვერდის ზედა ნაწილშია და დახურონ წიგნები (ანუ ეს გვერდი გადაფურცლონ). მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და უპასუხონ მასწავლებლის მიერ დასმულ შემდეგ შეკითხვებს:

- რამდენი სახლი იყო ნახატზე?
- რომელ სახლს ჰქონდა საკვამური (მარცხენას თუ მარჯვენას)?
- რამდენი ჩიტი მიფრინავდა?
- რა იჯდა ლობზე?
- რისი ხე იდგა ეზოში? სად მდებარეობდა ვაშლის ხე?
- რამდენი ვაშლი იყო ხეზე?

6. შეჯამება (2-3 წთ)

მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილზე განხილულ თემას.

7. საშინაო დავალება

ყურადღებით შეისწავლე სახლი, რომელშიც ცხოვრობ (რა მასალაა გამოყენებული კედლების ასაშენებლად, კარ-ფანჯრისთვის და ა.შ.) და შემდეგი გაკვეთილისთვის აღწერე იგი. სასურველია, ეს დავალება შესრულდეს ოჯახის წევრებთან ერთად.

გაკვეთილი 15

თემა:	ჩვენ ირგვლივ
გაკვეთილის სათაური:	სად ცხოვრობს ოჯახი?
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ დაკვირვების საფუძველზე პირადი მოსაზრებების დაფიქსირება; ყოველდღიურობაში გავრცელებული მასალების ამოცნობა; კითხვების დასმა და ვარაუდების გამოთქმა; ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; ირგვლივ არსებული სხეულების აღწერა შემადგენლობის გათვალისწინებით; კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება; სხეულის შემადგენლობაზე საუბარი; ერთნაირი მასალისგან დამზადებული სხეულების დაჯგუფება; ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობაზე მსჯელობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება. ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); ასახელებს პირადი ჰიგიენის ნივთებს (მაგ., სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი), მსჯელობს ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე.

აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე (მაგ., მაკრატელი – რკინა, რვეული – ქალაღი, საშლელი – რეზინი);

ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს;

აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებულ სხეულებს.

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები, მაკრატელი, ნებო, დანართის ფერადი ფურცლები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. პრეზენტაცია (3-5 წთ)

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი გამოიკითხავს საშინაო დავალებას, შემდეგ სვამს შეკითხვებს:

– სად ცხოვრობს ოჯახი?

– როგორ სახლებში ცხოვრობენ ადამიანები სოფელში?

– როგორი საცხოვრებელი სახლები გვხვდება ქალაქში?

– რა ჰქვია მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს, სადაც ბევრი ოჯახი ცხოვრობს? (*კორპუსი*) შესაბამისი ფოტოები შეუძლიათ სახელმძღვანელოში დაათვალიერონ.

2. სამუშაო რეჟიმი მუშაობა (10-15 წთ)

ინდივიდუალური სამუშაო

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმუშაონ სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე (მასწავლებელს შეუძლია ბავშვების ნახატების გამოფენა მოაწყოს. ასეთ შემთხვევაში ზემოთ მოცემულ დავალებას ბავშვები თაბახის ფურცელზე შეასრულებენ). ბავშვებმა წიგნის პერსონაჟებს სახლი უნდა „აუშენონ“. ზოგი მოსწავლე ირჩევს ქალაქის სახლს, ზოგიც – სოფლისას. მოსწავლეებმა წიგნის დანართში არსებული ფერადი ქალაქებისგან უნდა გამოჭრან ფიგურები (კვადრატები, მართკუთხედები, სამკუთხედები), დააკრან ფურცელზე და „ააგონ“ სახლები.

შემდეგ შეუძლიათ, გააფორმონ – ფერადი ქალაქებისგან გამოჭრან და ჩააკრან, ან დახატონ მზე, ხეები, ღრუბლები...

3. ნამუშევრების პრეზენტაცია და აღწერა (3-5 წთ)

მასწავლებელი მსურველებს (ორ-სამ მოსწავლეს) სთხოვს, აღწერონ საკუთარი ნამუშევრები, მაგალითად:

– ეს ის სახლია, სადაც... (მაგ., ცხოვრობს ბიჭი);

– ეს ის სახლია, სადაც... (ცხოვრობს გოგონა)

– ამ სახლში... (ცხოვრობენ ორივენი, ბიჭი – II სართულზე, გოგო – IV სართულზე);

– ამ სახლში... (ცხოვრობს ოჯახი: ბებია, ბაბუა, დედა, მამა...) და ა.შ. შეიძლება, სხვა ვარიანტებიც მოიფიქრონ.

საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაციის შემდეგ, თუ მოსწავლეებმა თაბახის ფურცელზე იმუშავეს, მასწავლებელი მათ ნამუშევარს აკრავს კედელზე, ან ამაგრებს კედლის გასწვრივ გაბმულ თოკზე (ამ შემთხვევაში თოკი ისე უნდა გაიბას, რომ მოსწავლეები ადვილად ვერ მისწვდნენ).

4. სახელმძღვანელო მუშაობა – ოთახების აღწერა (8-10 წთ)

ახლა მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს სახლის შიგნით „შეხედვას“ და ოთახების დათვალიერებას. ამისთვის მოსწავლეებმა უნდა გადაშალონ სახელმძღვანელო შესაბამის გვერდზე და დააკვირდნენ ჭრილში მოცემული ოთახების სურათებს:

I ოთახი – საძინებელი – ჩვენი მეგობარი გოგონა იღვიძებს და დგება ლოგინიდან;

II ოთახი – სააბაზანო – ხელ-პირს იბანს;

III ოთახი – სამზარეულო – ბავშვები სადილობენ;

IV ოთახი – სასტუმრო – ბავშვები თამაშობენ ან წიგნს კითხულობენ.

დავალება წყვილებში სამუშაოდ: მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომელ ოთახს რა დანიშნულება აქვს და რა სახელი ჰქვია და ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე.

შემდეგ მოსწავლეები წყვილებში ერთმანეთის დახმარებით (ან მორიგეობით – 2 სურათი ერთი მოსწავლე, 2 სურათი – მეორე მოსწავლე) აღწერენ სურათებს და ასახელებენ ოთახების სახელწოდებებს.

საკმარისია რამდენიმე წყვილის გამოკითხვა, რათა გაირკვეს, თუ რა სახელები აქვს ოთახებს საცხოვრებელ სახლში და რამდენჯერმე გაიმეორონ ეს სახელები.

მოსწავლებელი მიმართავს მთელ კლასს, მაგრამ კითხვებზე სასურველია უპასუხოთ იმ წყვილებმა, რომლებსაც წინა აქტივობაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

სასაუბრო კითხვები (მოცემული სურათების გამოყენებით):

– ვინ მაჩვენებს საძინებელი ოთახის იატაკს? რა არის იატაკი? რა მასალისგან ამზადებენ მას? (ხე, ქვა, ლამინირებული იატაკი)

– იატაკი ზემოთ არის თუ ქვემოთ?

– ვინ მაჩვენებს, სად არის ამ ოთახის კუთხე? ჩვენს საკლასო ოთახში სად არის კუთხე?

– თუ ჩანს ამ ოთახში ჭერი? ჭერი ზემოთ არის თუ ქვემოთ?

– თქვენი აზრით, როგორი ამინდია გარეთ?

– რომელ ოთახში კიდია კედლის საათი?

– სააბაზანო ოთახიდან გასასვლელი კარი მარჯვნივ არის თუ მარცხნივ?

– სად ჩანს კარი? რა დანიშნულება აქვს კარს?

– ვინ მაჩვენებს კარზე სახელურს? რა დანიშნულება აქვს სახელურს?

– რას იყენებენ სააბაზანო ოთახის მოსაპირკეთებლად? რისგან არის დამზადებული კედლები, იატაკი? დაასაბუთე.

5. კითხვა-პასუხი (2-3 წთ)

მოსწავლებელი ბავშვების ყურადღებას ისევ მიაპყრობს სამზარეულოს სურათს.

ამ სურათზე დიასახლისი სანაგვე ვედროში რალაცას აგდება...

მოსწავლელის კითხვები:

– როგორ ფიქრობთ, რას აკეთებს დიასახლისი?

– რატომ გროვდება ოჯახში ნაგავი?

– რა მოხდება, ნაგავი რომ იატაკზე დავეყაროთ და სანაგვე ვედროში არ მოვათავსოთ?

– მოიფიქრეთ და ჩამოთვალეთ, რა შეიძლება ეყაროს ამ სანაგვე ვედროში;

– რა უნდა ვუყოთ სახლში დაგროვებულ ნაგავს? სად წავიღოთ?

– რომელი თქვენგანი ეხმარება მშობლებს და გააქვს ნაგავი?

– შეიძლება ნაგავის ეზოში დაყრა? რატომ?

– რა მოხდება, ყველამ რომ ნაგავი ეზოში დაყაროს?

– რა მოხდება ნაგავი რომ საკლასო ოთახში დავეყაროთ?

დასასრულ, მოსწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მიმოიხედონ ირგვლივ, ხომ არ არის დანაგვიანებული იატაკი – თუ ეს ასეა, აიღონ ქაღალდის ნაგლეჯი ან სხვა რამ, რაც გადასაგდებაა და იატაკზე გდია და მოათავსონ სანაგვე ურნაში.

6. გაკვეთილის შეჯამება (2 წთ)

ბაკვეთილი 16

თემა:	ჩვენ ირგვლივ
გაკვეთილის სათაური:	ავეჯი და პირადი ნივთები
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ პირადი ჰიგიენის ნივთების დასახელება და მსჯელობა ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე; ირგვლივ არსებული სხეულების აღწერა და საუბარი მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე; მასალების ამოცნობა/დასახელება; მასალების ადვილად დაკვირვებადი თვისებების მიხედვით დახასიათება; ერთნაირი მასალისაგან დამზადებული სხეულების დაჯგუფება.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე (მაგ., მაკრატელი – რკინა, რვეული – ქალაღი, საშლელი – რეზინი); ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს; აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებულ სხეულებს.
საჭირო მასალა:	ფერადი ფანქრები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სამუშაო რეჟული მუშაობა – ავეჯის გაცნობა (7-9 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს ყოფს მცირე ჯგუფებად და სთხოვს წარმოიდგინონ, რომ თითოეული ჯგუფი ერთი ოჯახია; ოჯახი გადადის ახალ სახლში, ამიტომ მათ საოჯახო ნივთებიც უნდა გადაიტანონ.

მოსწავლეებმა უნდა გადაშალონ სამუშაო რვეული იმ გვერდზე, რომელზეც მოცემულია „ავეჯი და პირადი ნივთები“; ჯგუფები აკვირდებიან ფურცლის ზედა ნაწილში მოცემულ სურათებს, – „თითოეულმა ოჯახმა“ (ანუ ჯგუფმა) უნდა შეარჩიოს 4 ნივთი, რომელიც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და რომლის გადატანაც უპირველესად სურს (სხვა ნივთების გადატანის საშუალება მხოლოდ სამი დღის შემდეგ ექნებათ). ბავშვები უნდა შეთანხმდნენ ჯგუფებში და გააფერადონ მათ მიერ შერჩეული 4 ნივთი.

პრეზენტაციის დროს თითოეული ჯგუფი ასახელებს მათ მიერ შერჩეულ ნივთებს და განმარტავს, თუ რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი (ანუ რატომ მიიჩნიეს, რომ ეს ნივთები ყველაზე მეტად საჭირო იქნება მათთვის). პარალელურად, მოსწავლეები მსჯელობენ თითოეული ნივთის დანიშნულებაზე და მნიშვნელობაზე ოჯახისათვის.

სავარაუდოდ, ჯგუფების მიერ გაკეთებული არჩევანი ერთნაირი არ იქნება და ყველა მოცემული ნივთის დასახელება და დახასიათება იქნება საჭირო. თუ, ვთქვათ, რომელიმე ნივთი არცერთ ჯგუფში არ მოხვდა, მაშინ მასწავლებელი სვამს შეკითხვას, თუ რატომ არავინ აირჩია ის – საერთოდ არ სჭირდებათ სახლში ეს ნივთი, თუ შემდეგ ჯერზე წაიღებენ?

აქტივობის დასასრულს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ ნივთების – სკამი, მაგიდა, საწოლი, კარადა, დივანი, სავარძელი – საერთო სახელი. თუ ვერაფერს უპასუხა, მაშინ უხსნის, რომ ეს ყველაფერი არის ავეჯი.

2. მსგავსი დანიშნულების ნივთების ჰოვანა საკლასო ოთახში (2-3 წთ)

მასწავლებელი სვამს კითხვას: რომელი ავეჯი გვაქვს ჩვენს საკლასო ოთახში?

მოსწავლეები ათვალისწინებენ საკლასო ოთახს და ასახელებენ იქ არსებულ ავეჯს. თუ რაიმე გამოჩნდება, მასწავლებელი ხელით მიაჩვენებს და ეკითხება, ეს რა ნივთია? როგორ გგონიათ, ესეც ავეჯს მიეკუთვნება თუ არა?

3. თამაში – „ამოვიცნოთ ხმით“ (5-6 წთ)

თამაში იმართება ორ დიდ ჯგუფს შორის. ერთი ჯგუფის წევრები მიტრიალდებიან კედლისკენ, მათ ვერ უნდა დაინახონ, საკლასო ოთახში მდებარე რა ნივთს აჩვენებს მასწავლებელი მეორე ჯგუფს. მასწავლებელი მეორე ჯგუფის მოსწავლეებს აჩვენებს რაიმე ნივთს – მათ შეუძლიათ სხვადასხვა ხერხით გამოხატონ და აღწერონ, თუ როგორია იგი – დიდი და მძიმე, თუ პატარა და მსუბუქი. დაასახელონ რისგან შედგება, რა ნაწილები აქვს, იღება თუ არა, რა ფერია, როგორი ზედაპირი აქვს, აქვს თუ არა სუნი, დრეკადია და ა.შ. პირველი ჯგუფის მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რა საგანი აჩვენა მასწავლებელმა (მაგ. თუ კარადა აჩვენა – ბავშვებმა უნდა გამოიცნონ არა მარტო ის, რომ ეს კარადაა, არამედ – ეს არის დიდი და მძიმე საგანი; თუ წიგნი აჩვენებდა – მოსწავლეებმა უნდა დაახასიათონ ნივთი მანამ, სანამ პირველი ჯგუფის წევრები არ გამოიცნობენ.

თამაშის შემდეგ სასურველია, ბავშვებმა ახსნან, როგორ აღიქვამდნენ და რა წარმოდგენები ექმნებოდათ თამაშის დროს და რას განიცდიდნენ.

4. სამუშაო რვეულში მუშაობა – პირადი ნივთების გაცნობა (5-7 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ისე დაუბრუნდნენ სამუშაო რვეულს და დააკვირდნენ სამუშაო გვერდის ქვედა ნაწილს:

- რა ნივთებია აქ დახატული?
- შეგვიძლია მათ ვუნოდოთ პირადი ნივთები?
- რატომ ვუნოდებთ, რას ნიშნავს პირადი ნივთები?

დავალება წყვილებში სამუშაოდ:

მასწავლებელი განმარტავს, რომ ზოგიერთი პირადი ნივთის თხოვება არ შეიძლება, ზოგის – შესაძლებელია. მოსწავლეებმა წყვილებში უნდა შეათანხმონ და ამოიცნონ, მოცემული ნივთებიდან რომლის თხოვება არ შეიძლება და ნახატები გააფერადონ და შემოხაზონ (ასეთია სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი და ცხვირსახოცი, საპონი).

მასწავლებელი მორიგეობით შეამოწმებს წყვილებში შესრულებულ დავალებას – ბავშვებმა უნდა დაასახელონ მათ მიერ შერჩეული ნივთები და დაასაბუთონ, თუ რატომ თვლიან, რომ ამ ნივთების თხოვება (ანუ სხვების მიერ ხმარება) არ შეიძლება.

მასწავლებელი გამოკითხავს რამდენიმე წყვილს, შემდეგ კი დანარჩენ ნივთებსაც (მაკრატელი, მზის სათვალე, ტანსაცმლის ჯარგისი, სუნამო) ასახელებინებს მოსწავლეებს და სთხოვს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები – რატომ შეიძლება მათი თხოვება, უფრო სწორად, სხვის მიერ გამოყენებაც.

5. სახელმძღვანელო მუშაობა – „ვასწავლოთ ჩვენს მეგობარს თაყვის მოვლა“ (5-7 წთ)

დავალება ჯგუფებში სამუშაოდ:

სახელმძღვანელოს შემდეგ გვერდზე მოცემულია ბიჭის სურათი (ქვემოთ ჩანს მისი კბილები და ხელის თითები). მასწავლებელი: რა მოსვლია ბიჭს, რატომ გამოიყურება ასე?

ჯგუფებმა უნდა მოიფიქრონ, თუ როგორ დაეხმარონ თანატოლს, რომ გასუფთავდეს და მოწესრიგდეს (სჭირდება ხელ-პირის დაბანა, კბილების გახეხვა თმის დავარცხნა, ტანსაცმლის გამოცვლა და ფრჩხილების დაჭრა.).

ჯგუფის წევრები თავიანთ გამოსვლებში ურჩევენ თანატოლს, რა გააკეთოს და როგორ.

შემდეგ მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ ამ ბიჭმა შეიძლება არ იცის, როგორ გაიხეხოს კბილები. „ამიტომ ვავარჯიშოთ იგი კბილების წმენდაში“.

მასწავლებელი ბავშვებს უხსნის, თუ როგორ უნდა მოიხმარონ კბილის ჯაგრისი. ამისთვის ის იღებს საკუთარ ჯაგრისს და (ან მოცემულ სურათზე) აჩვენებს ჯაგრისის ყველა მიმართულებით მოძრაობას: ზემოთ, ქვემოთ, მარცხნივ, მარჯვნივ, შიდა მხრიდან. შემდეგ უხსნის, რომ ჯაგრისი მოხმარების შემდეგ კარგად უნდა გარეცხონ და ისე შეინახონ.

დასასრულ, მასწავლებელი გამოთქვამს იმედს, რომ ამის შემდეგ წიგნის პერსონაჟი და მისი მოსწავლეები დღეში ორჯერ, დილა-სალამოს, სწორად გაიხეხავენ კბილებს და თეთრი, ჯანსაღი კბილები ექნებათ.

6. საკლასო დისკუსია (3-5 წთ)

მასწავლებელი სვამს სადისკუსიო კითხვებს:

- კიდევ რა შეიძლება მივაკუთვნოთ პირად ნივთებს?
- თუ შეიძლება ფეხსაცმლის (შარვლის, ქუდის...) თხოვება? რატომ?
- როგორ მოვეუაროთ პირად ნივთებს? როგორ შევინახოთ ისინი სუფთად?..

7. გააკვეთილის შეჯამება (3-5 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=DEWGBw95bJw>

გაკვეთილი 17

თემა: შემოდგომა

გაკვეთილის სათაური: შემოდგომა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ შესასწავლ ობიექტზე დაკვირვება; პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა; ცოცხალი სხეულების დაჯგუფება; წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა; მცენარეებისთვის დამახასიათებელი ცვლილებების აღწერა და შესაბამისი არგუმენტირება; ცოცხალი სხეულების ძირითადი ნიშან-თვისებების აღწერა და მათი არაცოცხალისგან განსხვავება; ორგანიზმებზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების გამოკვლევა.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის

შედგენიდან და ინდიკატორები: ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა,

თუ მოსწავლე:

სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;

აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“);

ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი);

აჯგუფებს ცოცხალ სხეულებს მცენარეებად და ცხოველებად, ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას;

ამოიცნობს და ჩამოთვლის სასწავლო გარემოში (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ტუალეტი, ბუფეტი, ექიმის კაბინეტი, ადგილი, სადაც უნდა დაელოდოს უფროსს) არსებულ ობიექტებს და საუბრობს მათ დანიშნულებაზე;

ასახელებს და ადარებს ერთმანეთს წელიწადის დროებს, მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, საუბრობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე;

ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლცვენა) მაგალითებს.

წებო, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ფოთლები.

საჭირო მასალა:

გაკვეთილის მსვლელობა:

1. ექსპურსია სკოლის ეზოში (25-30 წთ)

მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებისთანავე აცნობს ბავშვებს გეგმას:

– დღეს გაკვეთილი სკოლის ეზოში ჩაგიტარდებათ, ამიტომ ყურადღებით უნდა იყოთ და დაიცვათ ეზოში ქცევის წესები (არ გაიფანტოთ, არ იხმაუროთ და ყურადღებით მომისმინოთ...) ექსპურსია-გაკვეთილი დაკავშირებულია წელიწადის შესაბამის დროსთან – შემოდგომასთან.

მასწავლებელს ბავშვები ორგანიზებულად გაჰყავს სკოლის ეზოში და ათვალეურებინებს ნარგავებს. ხემცენარეებს, ბალახებსა და ბუჩქებს უკვე ეტყობა შემოდგომის კვალი: ზოგის ფოთლები წარინჯისფერ-ყვითლად შეფერადებულია, ზოგს უკვე დასცვენია. მასწავლებელი კითხვებით ცდილობს დაანახვოს ბავშვებს ეს მოვლენა; თუ სკოლის ეზოში ყურძენი ან სხვა ხილი მწიფს, აუცილებლად ამაზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება, აღნიშნოს და განმარტოს, რომ შემოდგომაზე ბევრი ხილი მწიფდება.

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, ეს ქვა თუ განიცდის რაიმე ცვლილებას შემოდგომაზე?
- რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელია ცოცხალი, ხე თუ ქვა? ბუჩქი თუ ქვა? ჭიანჭველა თუ ქვა?
- კიდევ რას ხედავთ ცოცხალს თქვენ ირგვლივ?
- ქვის გარდა რას ხედავთ ისეთს, რაც არაცოცხალია?

(ამ და მსგავსი კითხვების მეშვეობით, ბუნებაზე დაკვირვებით, ბავშვები თავად შეძლებენ ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების ძირითადი ნიშან-თვისებების აღწერასა და შედარებას).

მასწავლებელი ბავშვებს უხსნის, რომ შემოდგომის გავლენა არაცოცხალ ბუნებასაც ეტყობა: დავაკვირდეთ ცას – ზაფხულთან შედარებით, შემოდგომაზე ღრუბლები უფრო მუქი და პირქუშია. თუ მზე ანათებს, ზაფხულისგან განსხვავებით აღარა აქვს მწველი სხივები, ამიტომ საგრძნობლად გრილია; თუ წვიმს – ეს არაა ზაფხულის შხაპუნა წვიმა, დიდხანს, გადაუღებლად და მოსაწყენად წვიმს, ჭექა-ქუხილიც იშვიათად ისმის.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ჩამოცვენილი ფოთლებიდან ამოარჩიონ რამდენიმე და აღწერონ. აღმოჩნდება, რომ ყველა ფოთოლი ერთი ფერის არაა – ფოთლებს მრავალნაირი შეფერილობა აქვთ, თუმცა ყვითელი ჭარბობს.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, შეადარონ ერთმანეთის ფოთლები ფორმის, სიდიდის, ფერის მიხედვით – იპოვიან ზუსტად ერთნაირ ორ ფოთოლს?

ამ დავალების შესრულების შემდეგ ბავშვებმა უნდა დაასკვნან, რომ ორი ერთნაირი ფოთლის მოძებნა შეუძლებელია. მასწავლებელი კი დასძენს, რომ ბუნებაში ასეთი რამ არ არსებობს – ფოთლები შეიძლება ძალიან ჰგავდეს ერთმანეთს, მაგრამ ორი ზუსტად ერთნაირი არ იქნება, ყველა განუმეორებელია. მოსწავლეებმა ფოთლები თან უნდა წაიღონ საკლასო ოთახში.

ეზოში ყოფნისას მასწავლებელი ბავშვებს შეაყოვნებს იმ ადგილას (თუ ასეთი არსებობს), სადაც დანაგვიანებული გარემოა. – დააკვირდით, რა ხვდება ცუდად თქვენს თვალს? რა აუშნოებს გარემოს. მასწავლებელმა ბავშვები უნდა მიიყვანოს იმ აზრამდე, რომ ნაგავი და ნარჩენები აუშნოებს და უსუფთაოს ხდის გარემოს. აუცილებელია მათი სანაგვე ურნაში მოთავსება. მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს ჰიგიენური ხელთათმანები ნარჩენების შესაგროვებლად. იგი მოსწავლეებს ურიგებს ხელთათმანებსა და ნაგვისთვის განკუთვნილ პოლიეთილენის პარკებს და სთხოვს ეზოში აღმოჩენილი ნაგვის შეგროვებასა და სანაგვე ურნაში გადაყრას. მასწავლებელი ბავშვების ყურადღებას ამახვილებს ჩამოცვნილ ფოთლებზე და სვამს კითხვას: მიგაჩნიათ თუ არა ფოთლები საყოფაცხოვრებო ნაგვად და სთხოვს პასუხის დასაბუთებას.

თამაში – ფოთოლცვინა (5-6 წთ)

მასწავლებელი ეზოში (ან შეუძლიათ საკლასო ოთახში დაბრუნდნენ და იქ ითამაშონ) ბავშვებს ყოფს მცირე ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა ჟესტ-მიმიკის საშუალებით უნდა განასახიეროს ყვითელი ფოთოლი (გაითამაშოს ვარდნის ან ჰაერში ქარით ბზრილის სცენა: რას გრძნობს, რას განიცდის, რისი ეშინია, უხარია თუ არა ხიდან ჩამოვარდნა, და ა.შ. – ბავშვების ფანტაზია ამ მხრივ უსაზღვროა). შეიძლება თამაშში მთელმა ჯგუფმა მიიღოს მონაწილეობა – სასურველია, არცერთი მსურველი არ დარჩეს უყურადღებოდ და ყველას მიეცეს თამაშის საშუალება.

2. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სამუშაო რვეული და გააფერადონ შემოდგომის ფოთლები.

3. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს – მოსწავლეები იხსენებენ, რა ნახეს და გაიგეს ამ დღეს ახალი და საინტერესო, რა დაამახსოვრდათ, რა მოეწონათ ან რა არ მოეწონათ...

რეკომენდაცია:

ასეთი მეცადინეობის დროს ბავშვებს მრავალი კითხვა უჩნდებათ. შეძლებისდაგვარად მიეცით საშუალება ყველა მსურველმა იკითხოს, რაც აინტერესებს და შეეცადეთ ამ კითხვების პასუხები მაშინვე არ უთხრათ, არამედ ხელი შეუწყვეთ, თავად მივიდნენ სასურველ პასუხამდე.

თუ ეზოში ყოფნის დროს ფრინველების გადაფრენა ან გადაფრენისთვის მომზადება შენიშნეთ, აუცილებლად მიაქცევინეთ ყურადღება მოსწავლეებსაც – დააკვირდნენ, იფიქრონ, იმსჯელონ მათ ქცევაზე და დაუკავშირონ იგი წელიწადის შესაბამის დროს.

სარეკომენდაციო მასალა: <https://www.youtube.com/watch?v=wq-CxSiOnJE>

გაკვეთილი 18

თემა:	შემოდგომა
გაკვეთილის სათაური:	შემოდგომის ფერები
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ წელიწადის დროების მონაცვლეობასთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა/შედარება; ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვება და მათი აღწერა; დღე-ღამის განმავლობაში დაკვირვებადი ცვლილებების დასახელება და ამასთან დაკავშირებული საკუთარი საქმიანობის აღწერა; წელიწადის დროების მიხედვით ტანსაცმლის დახარისხება; პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა; კოლაჟის შექმნა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში; იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას. ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში; ასახელებს და აღარებს ერთმანეთს წელიწადის დროებს, მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, საუბრობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე;
საჭირო მასალა:	თაბახის ფურცლები, ნებო, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ფოთლები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი წინა გაკვეთილის თემაზე და სკოლის ეზოში ექსკურსიით მიღებულ შთაბეჭდილებებზე (4-5 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ წინა გაკვეთილი.
რა ფერები სჭარბობდა გარემოში?
რა დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

2. კითხვა-პასუხი (4-5 წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს ნაუკითხავს საბავშვო ლექსს (სასურველია ასწავლოს ზეპირად):
„გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი,
ესეც შენი ოთხი დრო,
წელიწადი მზად არის“.
გიორგი წერეთელი

3. სახელმძღვანელო მუშაობა (5-6 წთ)

მასწავლებელი მიუთითებს სახელმძღვანელოში მოცემულ შესაბამის გაკვეთილს და სთხოვს, აღწერონ ნელინადის დროები მოცემული სურათების მიხედვით.

შემდეგ კი სვამს კითხვებს:

- რამდენი დროა ნელინადში?
- იცვლება თუ არა ბუნება ამ დროების მიხედვით?
- მოქმედებს თუ არა ბუნების ცვალებადობა ადამიანების ცხოვრებასა და შრომაზე?
- ცხოველებზე?
- მცენარეებზე?

4. თემატური საუბარი (4-5 წთ)

შემოდგომა სექტემბრით იწყება. მას მოსდევს ოქტომბერი და ნოემბერი. საქართველოში შემოდგომის დასაწყისში, ბუნების ცვალებადობა თითქოს არ იგრძნობა, თუმცა სექტემბრის ბოლოდან ღამის ხანგრძლივობა იმატებს, დღე კი – იკლებს. მზის სხივები იმდენად ცხელი და მწველი აღარ არის, როგორც ზაფხულში იყო. ოქტომბრის ბოლოდან კი საგრძნობლად გრილა.

თუ ზაფხულის მონმენდილი ცა სილურჯით და ხანდახან თეთრი ღრუბლებით იწონებდა თავს, შემოდგომის ცაზე ნაცრისფერი ღრუბლები ჭარბობს, ხშირად წვიმს, გვიან შემოდგომით კი – განუწყვეტლივ ცრის ხოლმე. მინა გვიან შრება. შესაბამისად, მინა და ჰაერი სულ უფრო და უფრო ცივდება.

საოცარი ფერებია ირგვლივ, შემოდგომის ფერები... თითქოს ხეები სადღესასწაულოდ ემზადებიან: სხვადასხვაფერ სამოსს იცვამენ, მაგრამ ირგვლივ მაინც სევდანარევი სიჩუმე და სიმყუდროვეა. ყვითელი, წითელი, ოქროსფერი, ალაგ-ალაგ მწვანე, ყავისფერი ფოთლები ქარის დაბერვისას ჰაერში ფრიალებენ, ბზრიალებენ, ტრიალებენ და უღონოდ მინაზე ეცემიან. ბოლოს ფოთოლმცვენი ხეები და ბუჩქები სულ მთლად შიშვლდებიან, თითქოს ბუნება დაიღალა და ხანგრძლივი ძილისთვის ემზადება.

5. კოლაჟის შექმნა (15-20 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად, მოსწავლეებს ურიგებს წინა გაკვეთილზე შეგროვებულ ფოთლებს და აძლევს დავალებას, რომ თაბახის ფურცელზე შექმნან შემოდგომის სურათი. ამისთვის მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ მათ მიერ მოტანილი ფოთლები, სამუშაო რვეულის ბოლოში არსებული ფერადი ფურცლები; შეუძლიათ სხვადასხვა ფერის ფიგურების გამოჭრა და ფოთლებთან ერთად ჩანებება. მოსწავლეებს შეუძლიათ, დიდი ზომის ფოთლები დაჭრან და ისე გამოიყენონ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ გაიმართება პრეზენტაცია. ბავშვებს (ან წყვილებს) უნდა მიეცეთ საშუალება, მთელ კლასს უჩვენონ ნამუშევრები და აღწერონ, გამოთქვან თავიანთი განცდები და ჩანაფიქრი.

მასწავლებელი ყოველ გამოსულ მოსწავლეს მორიგეობით გამოართმევს ნამუშევარს და დაამაგრებს კედელზე. ასე შეიქმნება საერთო სურათი, კოლაჟი.

6. გაკვეთილის შეჯამება (2 წთ)

მოკლედ შეაჯამეთ ჩატარებული გაკვეთილი.

რეკომენდაცია:

ასეთი მეცადინეობა ხმაურს და გამოცოცხლებას იწვევს. მოსწავლეებს მიეცით საშუალება, საკუთარი შთაბეჭდილებები და ფანტაზია შეზღუდვის გარეშე გადმოსცენ.

ყურადღება გაამახვილეთ, რომ ის ნარჩენები, რომელიც დაგროვდება მოსწავლეთა მერხებზე და საკლასო ოთახში, თითოეულმა მოსწავლემ თავად მოათავსოს ურნაში.

თუ ყველა კოლაჟის ნახვა-განხილვა არ ესწრება, მათი გამოფენა კედელზე ან ბანერზე აუცილებლად მოაწყვეთ და აუხსენით ბავშვებს, რომ ეს ყველაფერი აქ დიდხანს დარჩება და ყველას ექნება დათვალიერების საშუალება.

ბაკვეთილი 19

თემა: შემოდგომა

გაკვეთილის სათაური: რთველი

გაკვეთილის მიზნები: მოსწავლეებმა შეძლონ წელიწადის დროებთან, კერძოდ, შემოდგომასთან დაკავშირებული ადამიანის საქმიანობის (რთველი, მოსავლის აღება, მცენარეების დარგვა) აღწერა; შემოდგომის თვეების სახელწოდებების დამახსოვრება; მოვლენების ილუსტრაციაზე ამოცნობა და აღწერა; პირადი მოსაზრებების და დაკვირვების შედეგების დაფიქსირება; მცენარეების ძირითადი ნაწილების დასახელება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები: ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი);

ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლცვენა) მაგალითებს.

საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საქართველო მევენახეობის ქვეყანაა – მინილექცია (3-5 წთ)

ჩვენი ვაზი უძველესია მსოფლიოში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი კაცი მევენახეობას ოდითგანვე მისდევდა.

ვაზის ნაყოფის კრეფას რთველი ჰქვია. ჩვეულებრივ, ყურძნის დაკრეფა და დაწურვა საქართველოში ოქტომბერში იწყება. ოქტომბერს ძველად სთველის თვე ეწოდებოდა, ამას გარდა, მას ღვინობისთვესაც ეძახდნენ.

ყურძნის დაწურვისთვის განკუთვნილ ადგილს მარანი ჰქვია, ხოლო ჭურჭელს, რომელშიც ყურძენს ჭყლეტდნენ ან წურავდნენ – სანახელი. ძველად და ახლაც ყურძნის დაწურულ წვენს ქვევრში ასხამენ.

ქართველი კაცი ღვინოს ჭირსა და ლხინში მოიხმარს.

2. „რთველი“ – სურათის აღწერა (5-8 წთ)

საქართველოში შემოდგომაზე ტარდება ტრადიციული ზეიმი – რთველი, ანუ ყურძნის კრეფა.

რთველში მონაწილეობა ყველასთვის დიდი სიამოვნებაა – ხარობს ქალიც და კაციც, ბავშვიც და მოზარდიც.

მასწავლებელი:

- თქვენგან ვინმეს თუ მიუღია მონაწილეობა რთველში?
- რა ჰქვია მცენარეს, რომელიც ყურძენს ისხამს?
- როგორი ღერო აქვს მას? ფოთოლი?
- რა ფერის ნაყოფი აქვს?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ის შთაბეჭდილებები და განცდები, რომლებიც რთველს უკავშირდება. შემდეგ კი გადაშალონ ნიგნები და დააკვირდნენ სურათებს, რომლებზეც კახეთის რთველისთვის დამახასიათებელი ეპიზოდებია ასახული. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, წყვილებში გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები და შეეცადონ აღწერონ, რა არის სურათებზე გადმოცემული; წელიწადის რომელი დროა ასახული...

შემდეგ რამდენიმე მოსწავლე აღწერს სურათებზე გამოსახულ მოქმედებებს, სასურველია, მათ შეავსონ ერთმანეთის ნათქვამი, მასწავლებელიც ეხმარება კითხვებით და ბავშვებს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა ექმნებათ რთველის შესახებ.

3. როლური თამაში „რთველში“ (6-7 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს ყოფს მცირე ჯგუფებად და აძლევს დავალებას: თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს და წარმოადგინოს რთველის რომელიმე ეპიზოდი პანტომიმით, სიტყვების გარეშე. სხვა ჯგუფებმა კი უნდა ამოიცნონ, რა ეპიზოდი გააცოცხლეს, განასახიერეს მისმა მეგობრებმა. ინსცენირებას მორიგეობით დადგამს ყველა ჯგუფი.

4. თამაში „შემოდგომის თვეები“ (4-5 წთ)

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- ვინ იცის, ახლა შემოდგომის რომელი თვეა?
- შემოდგომის კიდევ რომელი თვეები იცით?
- ვინ ჩამოთვლის შემოდგომის სამივე თვეს თანმიმდევრობით?

ამ კითხვებზე შესაძლებელია მასწავლებელმა სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღოს, თუმცა, შეიძლება იყოს ისეთი მოსწავლეც, რომელმაც არ იცოდა თვეების თანმიმდევრობა. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი სთავაზობს ასეთ თამაშს:

სექტემბრის აღმნიშვნელია 1 ტაში.

ოქტომბრის – 2 ტაში.

ნოემბრის – 3 ტაში.

მასწავლებელი რამდენჯერმე არეულად დაუკრავს ტაშს – ხან ერთხელ, ხან სამჯერ, ორჯერ, ისევ სამჯერ და ა.შ. ბავშვებმა კი უნდა გამოიცნონ თვეები და დაასახელონ. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, მეტი ყურადღებით მოუსმინონ, ის ჯერ 1 ტაშს შემოჰკრავს, შემდეგ – 2-ს, ბოლოს 3-ს და ამბობს, რომ შემოდგომის თვეები სწორედ ამ თანმიმდევრობით მისდევს ერთმანეთს და კვლავ იმეორებს სამივე ტაშს.

მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ თანმიმდევრობა ასეთია: სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი.

5. სამუშაო რეჟიმი მუშაობა – „დავეხმაროთ თანატოლებს“ (4-5 წთ)

ჯგუფებში მუშაობა:

სამუშაო რეჟიმში მითითებული გვერდის ზედა ნაწილში კვლავ ჩნდებიან ჩვენი მეგზურები. ისინი ჩაფიქრებულნი შესცქერიან ორ კვადრატს, რომელთა უჯრებში ნახატებია, თითო უჯრა კი – ცარიელი. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა უნდა იყოს ჩახატული ამ უჯრებში და ჩახატონ. (ვინაიდან თითოეულ კვადრატში სამ-სამი ერთნაირი საგანია, ცარიელ უჯრაში უნდა ჩაიხატოს სწორედ ის მესამე საგანი, რომელიც აკლია; ერთ შემთხვევაში ფოთოლი და მეორეში – ვაშლი).

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, იმუშაონ დამოუკიდებლად.

შესრულებული დავალებების ჩვენების შემდეგ აღმოჩნდება, ვინ ამოიცნო სწორად, ბავშვებმა უნდა ახსნან, როგორ მიხვდნენ, როგორ დაადგინეს სწორი პასუხი.

6. „რა შეეშალა მხატვარს?“ (4-5 წთ)

იმავე გვერდის ქვედა ნაწილში დახატულია გვიანი შემოდგომის ამსახველი სურათი – ცივი ამინდი, ფოთოლდაცვენილი ხეები...

მოსწავლეებმა ჯგუფებში უნდა იმუშაონ და აღმოაჩინონ, რა შეუსაბამობაა ამ ნახატში: I. მერცხალი ბარტყებთან ბუდეში და II. იის ყვავილი ჩამოცვენილ ფოთლებში. ბავშვებმა უნდა ახსნან, თუ რატომ ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში მხატვარი შეცდა.

7. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მეცადინეობის დაწყებამდე, სასურველია, კარგად გაიაზროთ, რომელ აქტივობას რამდენ დროს მოანდომებთ ისე, რომ კარგად ჩაეტიოთ გაკვეთილის დროში;

მოსწავლეთა კითხვების მოფიქრების დროს, შეეცადეთ ისე ნახებართოთ, რომ მათი შეკითხვები სასწავლო თემას – შემოდგომას არ გასცდეს.

თუ დრო დაგრჩათ, გაკვეთილის ბოლოს კიდევ გაამეორებინეთ შემოდგომის თვეები და მათი თანმიმდევრობა.

8. საშინაო დავალება

მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს სთხოვს, შემდეგი გაკვეთილისთვის მოიტანონ რაიმე ხილი (ერთი ცალი).

გაკვეთილი 20

თემა:	შემოდგომა
გაკვეთილის სათაური:	ჩვენ გვიყვარს ხილი
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ სხეულის აღწერა სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით; მცენარის ნაყოფის, კერძოდ ხილის როგორც სასარგებლო საკვები პროდუქტის გაცნობიერება; სხვადასხვა ხილის ამოცნობა/დახასიათება; შეგრძნების ორგანოების დახმარებით დაკვირვება; სხეულის ამოცნობა ილუსტრაციაზე და რეალობაში; კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება. ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი,

ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“);

მსჯელობს ადამიანისთვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობაზე (მაგ., მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასალამაზებლად; ცხოველებისა და ადამიანების მეგობრობა; საკვები პროდუქტები, რომლებსაც გვაძლევენ ცხოველები);

საჭირო მასალა:

სხვადასხვა ხილი, კალათა, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, პლასტელინი.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელოზე მუშაობა (5-6 წთ)

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე, ზედა ნაწილში, ბაზრის სურათია, დახლზე მრავალნაირი ხილია – თითქმის ყველაფერი, რაც შემოდგომაზე გვხვდება საქართველოში: ატამი, მსხალი, ვაშლი, ყურძენი და სხვა მრავალი. ჩვენი მეგობრებიც აქვე არიან, ისინი ბაზარში წამოუყვანიათ ხილის ასარჩევად და საყიდლად.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წყვილებში დააკვირდნენ სურათს და შემდეგ აღწერონ. სურათის აღწერის დროს მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ხილი და დაასახელონ.

მასწავლებლის დამატებითი კითხვები:

– თქვენ რომელი ხილი გიყვართ?

– როგორ ფიქრობთ, რატომ ამბობენ, რომ ხილი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის?

სურათის გარჩევისა და ამ საუბრის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გადაშალონ სამუშაო რვეული შესაბამის გვერდზე, დაასახელონ იქ დახატული ხილი და შემდეგ გააფერადონ. შეახსენებს ბავშვებს, რომ არსებობს (მათ ბუნებაში ერთხელ უკვე განასხვავეს) ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება.

– თქვენი აზრით, ცოცხალი ბუნება იძლევა ხილს თუ არაცოცხალი?

– მცენარეებს უნდა მივაკუთვნოთ ხილი თუ ცხოველებს?

– თუ იცით, რა ჰქვია იმ ხეებს, რომელიც ხილს ისხამს? (*ხეხილი*)

– იმ ადგილს, სადაც ასეთი ხეებია დარგული? (*ხეხილის ბაღი*)

2. კითხვა-პასუხი (3-5 წთ)

მასწავლებელი აგრძელებს საუბარს შემოდგომაზე და დასძენს, რომ შემოდგომა წელიწადის ის დროა, როცა გლეხი მთელი წლის მოსავალს იღებს და აბინავებს, თუ შემოდგომა ბარაქიანი და უხვია, შესაბამისად, ზამთრის მას არ ეშინია – ბაზარიც სავსეა და ოჯახიც უზრუნველყოფილი.

– როგორ გგონიათ, იცვლება თუ არა ფრინველებისა და ცხოველების ქცევა შემოდგომაზე? დაასაბუთე შენი მოსაზრება (გადამფრენი ფრინველები, ცხოველების მზადება და ა.შ.).

3. ხილის გამოფენის მოწყობა (6-8 წთ)

დავალბა ჯგუფებში სამუშაოდ:

მოსწავლეებს ამ გაკვეთილისთვის დავალბებული ჰქონდათ შინიდან ერთი ცალი ნებისმიერი ხილის წამოღება. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და სთხოვს ბავშვებს, ამოიღონ მოტანილი ხილი და დაალაგონ მაგიდებზე – ჯგუფებმა უნდა მოაწყონ ხილის გამოფენა.

დავალბა ასეთია: ჯგუფიდან ერთი მოსწავლე დგება, სათითაოდ იღებს მათ მაგიდაზე არსებულ ხილს, მთელ კლასს აჩვენებს და ასახელებს. სასურველია, მას ჯგუფის მეორე მოსწავლეს ეხმარებოდეს – დასახელებულ ხილს ის მოკლედ ახასიათებს (ტკბილია, მჟავა, წვნიანია, რბილია,

მაგარია, დიდი კურკა აქვს, სუნი აქვს...) ასე, მორიგეობით, მონაწილეობას მიიღებს ყველა ჯგუფი. მასწავლებელს შეუძლია ხილის დასახასიათებლად გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული სურათებიც.

4. თამაში – „დავინახოთ ხელაბით“ (10-12 წთ)

მასწავლებელს მომზადებული აქვს დიდი კალათა ან ყუთი, რომელშიც მოტანილ ხილს ჩაანყო-ბენ, ზემოდან მასწავლებელი ნაჭერს გადააფარებს. თითოეული ჯგუფიდან მასწავლებელი იძა-ხებს ერთ მოსწავლეს. მან ხელი უნდა ჩაყოს კალათაში, რომელიმე ხილი თითებით მოსინჯოს და დაასახელოს. შემდეგ ამოიღებს მის მიერ შერჩეულ ხილს და გამოჩნდება, სწორად ამოიცნო თუ არა. ასე მორიგეობით ყველა ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას (აუცილებელი არაა ყველა ბავშვი სათითაოდ ჩაერთოს თამაშში, ეს ძალიან დიდ დროს ნაიღებს). ხილი მასწავლებელმა უნდა შეი-ნახოს მომდევნო გაკვეთილისთვის.

რეკომენდაცია:

თუ გაკვეთილზე დრო დარჩება, სასურველია სხვადასხვა ხილის გამოძივნა და შემდეგ გამოფე-ნის მოწყობა. თუ არა, იგივე დავალება შესაძლოა შესრულდეს ხელოვნების (ხატვის) გაკვეთილზე.

გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: https://www.youtube.com/watch?v=7mH75_KM0mU

გაკვეთილი 21

თემა:	შემოდგომა
გაკვეთილის სათაური:	ხილია თუ ბოსტნეული?
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ სხეულის აღწერა სხვადასხვა მახასია-თებლის მიხედვით; მცენარის ნაყოფის, კერძოდ ბოსტნეულის, როგორც სასარ-გელო საკვები პროდუქტის განხილვა; ხილისა და ბოსტნეულის ამოცნობა/დახარისხება; ნაცნობი სხეულის თვისებების აღწერა; წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის ჩამოთ-ვლა.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.

ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“);

ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლცვენა) მაგალითებს. მრავალნაირი ხილი და ბოსტნეული, კალათა ან ყუთი, ფანქრები ან ფლომასტერები.

საჭირო მასალა:

გაკვეთილის მსვლელობა:

1. ზღაპრის „თალგამი“ გახსენება (5-7 წთ)

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

– იცით ზღაპარი „თალგამი“? ბაბუამ (პაპამ) ბოსტანში რომ დათესა და ძალიან დიდი გაიზარდა? თუკი მოსწავლეებს ეს ზღაპარი გაგონილი აქვთ, მაშინ მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ და მოყვნენ მისი შინაარსი. თუ აღმოჩნდება, რომ კლასში ზღაპარი არავინ იცის, მასწავლებელი თავად მოუთხრობს ზღაპარს. „ბოსტანში ეს თალგამი იმხელა გაიზარდა, რომ ბაბუამ ვერ ამოთხარა, ვერ მოერია. ბაბუამ ბებიას დაუძახა; მოსწიეს, მაგრამ ვერც ერთად ამოთხარეს. ბებიაშვილი უხმო. გოგონა ბებიას ჩააფრინდა, ბებია – ბაბუას, ბაბუა – თალგამს. მაინც ვერ ამოიღეს მიწიდან. გოგონამ ფინიას დაუძახა, ფინიამ – ფისოს. სწევინ, სწევინ, ვერ ამოუთხრიათ. ფისომ წრუნუნას დაუძახა და მისი დახმარებით ყველამ ერთად ძლივს ამოაგდეს ვეებერთელა თალგამი.

2. როლური თამაში (6-8 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს 2 ან 3 ჯგუფად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა დადგას მინი-სპექტაკლი ზღაპრის მიხედვით.

3. სახელმძღვანელოზე მუშაობა (3-4 წთ)

დავალება ჯგუფებში სამუშაოდ:

ზღაპრის გახსენების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს მოძებნონ სახელმძღვანელოში შესაბამისი გაკვეთილის გვერდი, სადაც ზღაპრის პერსონაჟების შუაში ხატია თალგამი და ჭარხალი.

დავალება ასეთია: ჯგუფებში უნდა იფიქრონ და ამოიცნონ, რომელია თალგამი, რომელი – ჭარხალი. აღწერონ და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება. ჯგუფებმა უნდა ახსნან, თუ როგორ მიხვდნენ რა რა იყო.

4. საუბარი – რა არის ბოსტნეული? (4-5 წთ)

მასწავლებელი წარმართავს საუბარს შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- როგორ ფიქრობთ, თალგამი ხილია? ჭარხალი?
- მაშ, რა არის?

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები ვერ პასუხობენ სწორად და ვერ ასახელებენ სიტყვა „ბოსტნეული“, მასწავლებელი დამხმარე კითხვების საშუალებით ეხმარება მათ:

- აბა გაიხსენეთ, სად დათესა ბაბუამ თალგამი? (ბოსტანში)
- კიდევ რას თესავენ ბოსტანში? (არც ის არის გამორიცხული, რომ ქალაქელმა ბავშვებმა ამ კითხვას ვერ უპასუხონ, მაშინ მასწავლებელი ეხმარება: ნიორს სად თესავენ? ხახვს? სტაფილოს?..).
- როგორ ფიქრობთ, რა საერთო სახელი აქვს ბოსტანში მოყვანილ ამ მცენარეებს?

მასწავლებელმა ამგვარი კითხვებით ბავშვები უნდა მიახვედროს, რომ ბოსტანში მოყვანილ საკვებ მცენარეებს ჰქვია ბოსტნეული. ბავშვებს სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებზე შეუძლიათ ნახონ როგორ მოყავთ პომიდორი.

5. სამუშაო რვეულში მუშაობა (6-7 წთ)

სამუშაო რვეულში დახატულია სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული.

დავალება ასეთია: ხელის აუღებლად ხილსა და ბოსტნეულს შორის მოსწავლემ ხაზი ისე უნდა გაავლოს, რომ მარცხენა მხარეს დარჩეს ხილი, მარჯვენა მხარეს – ბოსტნეული. შემდეგ წყვილ-

ბი ერთმანეთში ამონებენ ნამუშევარს და მასწავლებლის მოთხოვნით ბოსტნეულს ცალ-ცალკე ამოიცნობენ და ასახელებენ.

6. თამაში – ხილია თუ ბოსტნეული? (4-5 წთ)

ამ გაკვეთილისთვის მასწავლებელს კალათაში გამზადებული აქვს მრავალნაირი ხილი და ბოსტნეული (ბოსტნეულიდან სასურველია იყოს: თაღამი, ბოლოკი, ჭარხალი, ნიორი, ხახვი, კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, ლობიო, წინაკა, სტაფილო, კომბოსტო, სხვადასხვა მწვანელი...) მასწავლებელი აცნობს თამაშის პირობას – ბავშვებმა უნდა ამოიცნონ მის მიერ ნაჩვენები ხილი ან ბოსტნეული და ფრონტალურად დაიძახონ. ასე რომ, მასწავლებელი ყველას დასანახად ხან ერთს იღებს კალათიდან, ხან მეორეს. ბავშვები კი ადგილებიდან იძლევიან პასუხს: „ხილი“ ან „ბოსტნეული“.

შემდეგ თამაში ოდნავ რთულდება:

ყოველ ჯერზე თითოეული მერხიდან პასუხობს ორი ბავშვი (წყვილი) მორიგეობით. ერთი ასახელებს იმას, რასაც მასწავლებელი აჩვენებს, მეორე ამბობს ხილია თუ ბოსტნეული. მაგალითად, მასწავლებელმა კალათიდან ამოიღო ნიორი. დგება ორი მოსწავლე; ერთი ამბობს – ეს ნიორია, მეორე: ნიორი ბოსტნეულია.

7. გაკვეთილის შეჯამება (3-5 წთ)

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=j6lz8mbCVfU>

გაკვეთილი 22

თემა:	საკვები
გაკვეთილის სათაური:	ბოსტნეული – სასარგებლო საკვები
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ უსაფრთხოების წესების დაცვით, მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა; საკუთარი მოსაზრების ან კვლევის შედეგების სიტყვიერად წარდგენა/დასაბუთება; შეგრძნების სხვადასხვა ორგანოს დახმარებით კონკრეტული სხეულის აღწერა; სხეულების ამოცნობა, აღწერა, დახარისხება; მცენარის ძირითადი ნაწილების ამოცნობა/დასახელება ადამიანისათვის მცენარეული საკვების მნიშვნელობაზე მსჯელობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი);

მსჯელობს ადამიანისთვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობაზე (მაგ., მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასალამაზებლად; ცხოველებისა და ადამიანების მეგობრობა; საკვები პროდუქტები, რომლებსაც გვაძლევენ ცხოველები);

საჭირო მასალა:

ფანქარი, ბოსტნეული, ბოსტნეულის სალათა, სტუმრის მონვევა.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი ჯგუფებში – რითი ვიკვებებით? (3-4 წთ)

მასწავლებელი კლასს შეახსენებს, რომ ამ მეცადინეობაზე გაგრძელდება ბოსტნეულის თემა. კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მასწავლებელი ურიგებს სხვადასხვა ბოსტნეულს (3-4 ცალს ჯგუფზე).

მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ და შემდეგ განმარტონ, რომელი ბოსტნეულის რა ნაწილს იყენებს ადამიანი საკვებად. აქვე ჯგუფმა უნდა დაასახელოს ის კერძები, რომლებშიც ამ ბოსტნეულს იყენებენ.

2. სახელმძღვანელოზე მუშაობა – „რას ჭამენ ჩვენი წიგნის პერსონაჟები?“

(10 წთ)

სახელმძღვანელოში, გაკვეთილის შესაბამისი გვერდის ზედა ნაწილში ჩვენი წიგნის გმირები წვნიანს შეექცევიან. როგორც ჩანს, ერთი მათგანი მადიანად მიირთმევს წვნიანს, მეორე კი წვნიანს – ეტყობა, არ უყვარს წვნიანში მწვანილი, ხახვი, სტაფილო... ეს ბევრი ბავშვისა და მშობლის გადაუჭრელი პრობლემაა და სასურველია ითქვას, რომ ბოსტნეულით გაკეთებული წვნიანი აუცილებელია ბავშვის სხეულის ზრდისა და ჯანმრთელობისთვის. ამიტომ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ურჩიონ გოგონას და როგორმე დაუსაბუთონ, რომ მან აუცილებლად უნდა ჭამოს წვნიანი კერძი.

მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს გაკვეთილის ბოლოს მოცემულ ილუსტრაციაზე, სადაც ბოსტნეულის სურათებია და სთხოვს მათ, ჩამოთვალონ მათი სახელწოდებები. თუ გაუჭირდებათ, მასწავლებელი თავად შეახსენებს. შემდეგ კი სვამს შეკითხვას.

შეგიძლიათ დაასახელოთ, რა საერთო სახელი ჰქვია მარცხნივ მოცემულ ბოსტნეულს? (*მწვანილი*) ხშირად იყენებს დიასახლისი მწვანილს? დაასაბუთეთ, შენი აზრით, რატომ?

(*გემრიელს ხდის საკვებს, ვიტამინებით არის სავსე, ალამა ზებს და ა.შ.*)

3. სამუშაო რეჟიმში მუშაობა (4-5 წთ)

თუკი გოგონა წვნიანს, სამაგიეროდ ბაჭია არასოდეს ამბობს უარს ბოსტნეულზე. ახლაც, სამუშაო რეჟიმის მოცემულ გვერდზე, ცდილობს მიაკვლიოს სტაფილოს, მაგრამ ამისთვის ლაბირინთში გზის გაკვლევა სჭირდება.

მოსწავლეებმა ინდივიდუალურად უნდა შეასრულონ ეს დავალება და შემდეგ წყვილებში შეამოწმონ.

4. ბოსტნეულის ცოცხალი სალათა (10-12 წთ)

ამ გაკვეთილისთვის მასწავლებელი ბავშვებს სიურპრიზს უმზადებს. სასურველია, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალება არის, გაკვეთილის ბოლო აქტივობები ჩატარდეს სკოლის სასადილოში. მასწავლებელი წინასწარ შეთანხმებულია 4 ან 5 მშობელთან, ან სკოლის მზარეულთან, რომლებმაც ბოსტნეულისგან ცოცხალი სალათები უნდა მოამზადონ (ცალ-ცალკე) და მოიტანონ ამ გაკვეთილისთვის. მასწავლებელი კლასს ყოფს იმდენ ჯგუფად, რამდენი მშობელიც მიიღებს მონაწილეობას

ამ აქტივობაში. მშობლები შემოდინან, მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს მათი მოსვლის მიზეზს და ამბობს, რომ გაიმართება კონკურსი ჯგუფებს შორის.

თითოეული მშობელი თითო ჯგუფთან ნაწილდება, მათ წინასწარ მომზადებული ცოცხალი სალათა უნდა გაანყონ ლამაზად თევზზე და თან შეეცადონ, ამ საქმიანობაში ბავშვებსაც მიაღებინონ მონაწილეობა.

კონკურსის პირობები ასეთია:

I. ვინ (რომელი ჯგუფი) უფრო სწორად უპასუხებს კითხვას – რატომ ჰქვია ამ კერძს ცოცხალი სალათა?

II. რომელი ჯგუფის სალათაა ყველაზე ლამაზი და მიმზიდველი? (შეიძლება ჟიურის შედგენა: თითო ჯგუფიდან თითო მოსწავლე).

III. ვინ ჩამოთვლის შეუცდომლად – რა და რა ბოსტნეულია გამოყენებული არსებულ სალათაში?

IV. ვინ უფრო კარგად დაასაბუთებს – რატომ არის ცოცხალი ბოსტნეული სასარგებლო საკვები?

5. გააკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

გაკვეთილი 23

თემა:

საკვები

გაკვეთილის სათაური:

საკვები პროდუქტები

გაკვეთილის მიზნები:

მოსწავლეებმა შეძლონ ილუსტრაციებსა და რეალობაში სხეულების ამოცნობა-დახარისხება;

დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად დაკვირვების შედეგებსა და პირად მოსაზრებებზე დაყრდნობა;

სხეულის თვისებების აღწერა;

გრძნობის ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება საკვები პროდუქტების ვარგისიანობის დადგენაში;

მცენარეული და ცხოველური საკვების განსხვავება;

სწორად კვების აუცილებლობის გაცნობიერება მოზარდის ზრდა-განვითარებისათვის;

პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა;

ადამიანისთვის ცხოველური და მცენარეული საკვების მნიშვნელობაზე მსჯელობა;

დღე-ღამის მონაკვეთების განსხვავება და საკუთარი აქტივობის დაკავშირება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება. ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“);

მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა);

აჯგუფებს ცოცხალ სხეულებს მცენარეებად და ცხოველებად, ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას;

მსჯელობს ადამიანისთვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობაზე (მაგ., მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასაღამაზებლად; ცხოველებისა და ადამიანების მეგობრობა; საკვები პროდუქტები, რომლებსაც გვაძლევენ ცხოველები);

განასხვავებს დღე-ღამის მონაკვეთებს – დილა, შუადღე, საღამო, ღამე და უკავშირებს საკუთარ აქტივობას/საქმიანობას;

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები, თვალსაჩინოებისთვის: ხილი და ბოსტნეული, ბრინჯი, ნინიბურა, ვერმიშელი, მაკარონი, ხაჭო, არაჟანი, მანონი, მურაბა, ჯემი, ნიგვზის ლებნები და ა.შ.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სურსათის ამოცნობა და დასახელება (5-6 წთ)

წინა გაკვეთილზე საუბარი გვექონდა ხილსა და ბოსტნეულზე, შესაბამისად ის პროდუქტი დღესაც გამოვადგება. გარდა ამისა, მომარაგებული უნდა გვექონდეს ბრინჯი, ნინიბურა, ვერმიშელი, მაკარონი, ხაჭო, არაჟანი, მანონი, მურაბა, ჯემი, ნიგვზის ლებნები, თევზის კონსერვი და ა.შ.

მასწავლებელი აჩვენებს თითოეულ პროდუქტს და სვამს კითხვებს:

- რა არის ეს (მოსწავლეები ასახელებენ)?
- რომელ კერძში გამოიყენება?
- უმად მივირთმევთ, თუ მომზადება (შენვა, მოხარშვა, გამოცხობა) სჭირდება?
- ვის უყვარს მისგან დამზადებული კერძი? რატომ? როგორი გემო აქვს?
- კიდეც რომელი საჭმელი გიყვართ? რატომ?
- რისთვის სჭირდება ადამიანს კვება?

ამ აქტივობის დროს ბავშვები ხილ-ბოსტნეულსაც იმეორებენ და ახალ ცოდნასაც იღებენ.

2. ჯგუფში მუშაობა (5-10 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს 3 ან 4 ჯგუფად და უნანილებს მის ხელთ არსებულ პროდუქტებს ისე, რომ ყველა ჯგუფს შეხვდეს როგორც ცხოველური, ისე მცენარეული საკვები. დავალება ასეთია: ბავშვებმა უნდა დააჯგუფონ პროდუქტები. ერთ ჯგუფში გადაირჩეს მხოლოდ მცენარეული საკვები, მეორეში – მხოლოდ ცხოველური. მასწავლებელი სვამს კითხვებს:

რომელი საკვები მზადდება მხოლოდ მცენარისაგან?

რომელ საკვებს გვაძლევს ცხოველი?

ამის მიხედვით, გაყავით თქვენი სურსათი ორ ჯგუფად.

პრეზენტაციის დროს თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასახელოს მცენარეული და ცხოველური საკვები. სასურველი იქნება ახსნან კიდეც, რომელი ცხოველი გვამარაგებს ამა თუ იმ საკვებით.

3. ჯგუფი მუშაობა (4-5 წთ)

იმავე ჯგუფებს ეძლევათ ახალი დავალება:

მათ ხელთ არსებული პროდუქტები მოსწავლეებმა ისევ ორ ჯგუფად უნდა გაყონ. ოღონდ ამჯერად ერთ ჯგუფში ათავსებენ ყველა იმ პროდუქტს, რომლის ქამა ადამიანს უმად შეუძლია; მეორეში – იმ პროდუქტს, რომლებიც ქამამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს (მოიხარშოს, შეინვას, გამოცხვეს...).

მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ იგივე პროდუქტები სხვანაირად დაჯგუფდა, რადგან დავალების პირობა, მოთხოვნა შეიცვალა.

პრეზენტაციის დროს სასურველი იქნება, ყურადღება მიექცეს იმასაც, რომელი საკვები – ცხოველური თუ მცენარეული შეიძლება ვჭამოთ როგორც უმად, ისე დამუშავებული.

4. სამუშაო რვეულში მუშაობა (5-6 წთ)

მასწავლებლის დახმარებით ბავშვები სამუშაო რვეულში პოულობენ იმ გვერდს, რომელზეც მოცემულია სხვადასხვა პროდუქტი და კერძი. მუშაობა შეიძლება წარმართოს ინდივიდუალურად, ან წყვილებში. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელ პროდუქტს რომელ კერძში იყენებენ და ხაზებით დააკავშირონ ისინი. მაგ.: კვერცხი – ერბოკვერცხთან; ყველი – ხაჭაპურთან და ა.შ. არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი პროდუქტი ორ კერძს დაუკავშირონ. ყველა შემთხვევაში, პრეზენტაციის დროს მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე.

5. სახელმძღვანელოში მუშაობა (4-5 წთ)

სახელმძღვანელოში მოცემულ კომიქსებში ჩანს, რომ ჩვენი ნაცნობი პერსონაჟი დღის განმავლობაში საუზმობს, სწავლობს, სადილობს და ა.შ. მოსწავლეებმა თანმიმდევრობით უნდა აღწერონ სურათები, რომელთა მიხედვით მიხედუბიან, დღის რომელ მონაკვეთში საუზმობენ ადამიანები, როდის სადილობენ და როდის ვახშმობენ. ანუ აღწერის პროცესში გაიგებენ სიტყვების შინაარსს და დაიმახსოვრებენ, როდის უნდა გამოიყენონ შემდეგი სიტყვები: დილა – საუზმე, შუადღე – სადილი, საღამო – ვახშამი.

ნიგნზე მუშაობა შეიძლება წარმართოს ინდივიდუალურად ან წყვილებში.

6. საკლასო დისკუსია (3-4 წთ)

სასურველია, მასწავლებელმა გამართოს საკლასო დისკუსია. კითხვები დისკუსიისთვის:

- თქვენი აზრით, რომელი საკვები უფრო სასარგებლოა ბავშვისთვის?
- რა ზიანი მოაქვს ბევრი ტკბილეულის ჭამას?
- არის თუ არა სასარგებლო ბევრი საკვების მიღება?
- როგორ მივხვდეთ, ძველია თუ არა საკვები? გაფუჭებული ხომ არ არის? (სუნით, შეცვლილი გემოთი, ვიზუალურად...)

7. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

მოკლედ შეაჯამეთ გაკვეთილი.

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. თუ მასწავლებელი ყველა პროდუქტს ვერ მოიტანს, შეცვალოს იგი სურათებით.

ბაკვეთილი 24

თემა: საკვები
გაკვეთილის სათაური: სასმელი
გაკვეთილის მიზნები: მოსწავლეებმა შეძლონ დაკვირვების შედეგებსა და პირად მოსაზრებებზე დაყრდნობით კითხვებზე პასუხის გაცემა; ნივთიერების (წყალი) დახასიათება;

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები: ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;
ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.
ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.
ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);
ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“);
ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს;
ახასიათებს ნივთიერებებს/მასალებს ადვილად დაკვირვებადი თვისებების (მაგ., გამჭვირვალობა, დრეკადობა, ტივტივის უნარი, წყალგაუმტარობა) მიხედვით;
აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებულ სხეულებს.
საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები, პლასტმასის ჭიქები ყველა მოსწავლისთვის, სასმელი წყალი, ვიდეომასალა.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საკლასო დისკუსია (2-3 წთ)

მოსწავლებელი ბავშვებს შეახსენებს, რომ წინა მეცადინეობაზე მათ ბევრი იმუშავეს იმის დასადგენად, რომ ადამიანს საჭმელი სჭირდება ზრდა-განვითარებისა და სიცოცხლისათვის. ახლა მოსწავლებელი სვამს ასეთ შეკითხვას:

– როგორ გგონიათ, რატომ ვიყენებთ გამოთქმას საჭმელ-სასმელი?

მოსწავლეები ფიქრითა და მსჯელობით უნდა მივიღწინ დასკვნამდე, რომ სასმელი, განსაკუთრებით კი სასმელი წყალი, აუცილებელია ჩვენი არსებობისთვის. წყლის გარდა ყოველდღიურად მრავალ სხვადასხვა სასმელს მივირთმევთ (წვენები, ლიმონათი, მინერალური წყლები, რძე, კომპოტი...)

2. პრაქტიკული – ჯგუფური სამუშაო (5-7 წთ)

მოსწავლებელი კლასს ყოფს 4 კაციან ჯგუფებად, შემდეგ თითოეულ მოსწავლეს ურიგებს პლასტმასის გამჭვირვალე ჭიქებს და უსხამს ცოტაოდენ წყალს. შემდეგ კი სთხოვს მათ გამოიკვლიონ/

აღწერონ იგი (გემო, სუნი, გამჭვირვალობა, მდგომარეობა). პრეზენტაციის დროს თითოეული ჯგუფიდან ერთი მოსწავლე გააცნობს კლასს ჯგუფის დაკვირვების შედეგს. სასურველია, მასწავლებელმა კითხვების დახმარებით მიმართულება მისცეს პრეზენტატორს აზრის უკეთ ჩამოყალიბებაში.

3. ჯგუფი მუშაობა (3-4 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს 3 ჯგუფად და თითოეულს აძლევს განსხვავებულ დავალებას:

I ჯგუფმა უნდა მოიფიქროს, რისთვის იყენებს ადამიანი წყალს?

II ჯგუფმა – რა მნიშვნელობა აქვს წყალს მცენარეებისთვის?

III ჯგუფმა – რა მნიშვნელობა აქვს წყალს ცხოველებისთვის?

ჯგუფური პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია დასვას დამატებითი შეკითხვები, რათა მოსწავლეებმა უკეთ გააცნობიერონ წყლის მნიშვნელობა და საჭიროება ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის (მიხვდნენ, რომ წყალს ადამიანები და ცხოველები მარტო სასმელად არ ვხმარობთ, მას ბევრი სხვა დანიშნულებაც აქვს. ამიტომ წყალს ზომიერად ხარჯვა, გაფრთხილება და სისუფთავის დაცვა სჭირდება როგორც შინ, ისე სკოლაში, ბუნებაში).

4. სახელმძღვანელო მუშაობა (3-5 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გადაშალონ სახელმძღვანელო მითითებულ გვერდზე. მოსწავლეებმა თანმიმდევრობით უნდა აღწერონ სურათები, გვიჩვენონ სასმელი წყლის გზა წყაროდან დაფასოებულ ბოთლებამდე.

5. სამუშაო რეულში მუშაობა (5-7 წთ)

სახელმძღვანელოს პირველი დავალება წყვილებში მუშაობას ითვალისწინებს:

გვერდის ზედა ნაწილში კონტურებში მოცემულია სხვადასხვა საჭმელი და სასმელი. მოსწავლეებმა ჯერ უნდა ამოიცნონ, რა რა არის და გააფერადონ. შემდეგ ხაზი ისე უნდა გაავლონ, რომ ერთ მხარეს დარჩეს მხოლოდ საჭმელი, მეორე მხარეს – სასმელი. ბოლოს, სანიმუშოდ მასწავლებელი განიხილავს რამდენიმე წყვილის ნამუშევარს, რათა სხვებმაც შეამოწმონ, რამდენად სწორად შეასრულეს დავალება.

6. ჯგუფი მუშაობა (10-11 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს მცირე ჯგუფებად და ამუშავებს სამუშაო რეულის იმავე გვერდზე მოცემულ მეორე დავალებაზე (გვერდის ქვედა ნაწილში). აქ ბავშვები უნდა დაეხმარონ მეგობრებს დავალების შესრულებაში.

სამ რიგად მოცემულია ცხრილი. თითოეულ რიგში 5 უჯრაა. (მასწავლებელი: „დააკვირდით რიგში დახატულ საგნებს. რა რის შემდეგ ხატია? ამოიცანით, ცარიელ უჯრაში რა უნდა იყოს ჩახატული?“)

I რიგში ერთმანეთის მონაცვლეობით ხატია სტაფილო და კომბოსტო. ერთი უჯრა ცარიელია (მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ აქ აკლია კომბოსტო და ჩახატონ);

II რიგში პურისა და კვერცხების მონაცვლეობაა მოცემული, ოღონდ ორი ცარიელი უჯრით (აქაც უნდა ჩახატონ პური და კვერცხი ისე, რომ თანმიმდევრობა დაიცვან);

III რიგში ბავშვებმა რძისა და წვენი თანმიმდევრობა უნდა ამოიცნონ და ორი, ერთმანეთისგან დაშორებული ცარიელი უჯრა უნდა შეავსონ (მათ ერთი წვენი და ერთი რძის ჩახატვა მოუწევთ).

პრეზენტაციის დროს, უმჯობესია, ერთმა ჯგუფმა მხოლოდ ერთი რიგის შესრულებული ვარიანტი აჩვენოს. ამავე დროს, ყველა გამომსვლელობა უნდა ახსნას, რატომ შეასრულა დავალება ასე.

7. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

დამატებითი (ან ალტერნატიული) აქტივობა

როგორი სასმელებია ჩვენს სასაბუნკოში?

მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს შესვენებაზე შევიდნენ სკოლის სასაბუნკოში და მზარეულისგან შეაგროვონ ინფორმაცია, რა სახის სასმელებია სასაბუნკოში.

ორგანიზებულად მიდიან სასაბუნკოში, სადაც ბავშვებმა უნდა ამოიცნონ და დაასახელონ იქ

არსებული სასმელები, იმსჯელონ: ვის რომელი სასმელი უყვარს? რატომ? კიდევ რომელი სასმელები იციან, რაც იქ არ არის? როდის რომელ სასმელს იყენებს ხოლმე ადამიანი?

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მზარეულს, მოკლედ ესაუბროს ბავშვებს, როგორ მოიხმარს სასადილოში სასმელ წყალს დღის განმავლობაში. მას ასევე შეუძლია ურჩიოს ბავშვებს, რომელი სასმელია უფრო სასარგებლო ჯანმრთელობისთვის (ნატურალური წვენები, კომპოტები...) ცხადია, რომ მასწავლებელი წინასწარ არის შეთანხმებული მასთან ყველა ამ საკითხზე.

მასწავლებელს შეუძლია გამართოს საუბარი სასმელი წყლის მოპოვების ხერხებზე. საქართველოში არის ადგილები, სადაც ხალხი წყაროს ან ქის წყლით სარგებლობს, ზოგიერთ სოფელში – ნაკადულებსაც იყენებენ.

მასწავლებელმა აქვე ისიც უნდა იკითხოს, თუ სმენიათ რამე ისეთი ადგილების შესახებ, სადაც სასმელი წყლის მოპოვება ადამიანებს ძალიან უჭირთ? (ასეთი ადგილები საქართველოშიც ბევრია). ყველა შემთხვევაში გაკვეთილი იმის გამეორებით უნდა დამთავრდეს, რომ სასმელ წყალს გაფრთხილება სჭირდება.

გაკვეთილი 25

თემა:	ზამთარი
გაკვეთილის სათაური:	რას ვიცვამთ?
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ სხეულის ნაწილების ამოცნობა, აღწერა, დახარისხება. ტანსაცმლის დახარისხება წელიწადის დროების მიხედვით; მრავალფეროვანი აქტივობების მეშვეობით შემეცნების სხვადასხვა უნარის („მრავალმხრივი ინტელექტის“) განვითარების ხელშეწყობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორებთან:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით.
საჭირო მასალა:	მაკრატელი, ნებო, მუყაოს ყუთი, სხვადასხვა საბავშვო ტანსაცმელი (მათ შორის ახალი სიტყვებით გადმოცემული). ვიდეომასალა, ქართული სამოსი ან ილუსტრაციები.

1. ჯგუფიში მუშაობა (10-12 წთ)

მოსწავლეები გადაშლიან სამუშაო რვეულს ახალ გვერდზე – აქაც მათი ნაცნობი პერსონაჟები არიან, ოღონდ – ტანსაცმელი არ აცვიათ; ჩანს, რომ ცივი, ღრუბლიანი, წვიმიანი ამინდია. ფურცლის ქვედა ნაწილში დახატულია სხვადასხვა სეზონის და ამინდის შესაფერი ტანსაცმელი, მათგან ჩვენს პერსონაჟებს „ერგება“ მხოლოდ ამ ამინდისთვის დამახასიათებელი შარვლები, ქურთუკები და ფეხსაცმლები. მოსწავლეებმა სწორად უნდა ამოიცნონ, ამოჭრან საჭირო ნივთები და „ჩააცვან“ – დაანებონ გოგონასა და ბიჭის სურათებს; ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ ნამუშევრები და ახსნან, რატომ ჩააცვეს ბავშვებს ასე.

2. თამაში „დავინახეთ თითოჯი“ (7-9 წთ)

მოსწავლეები კვლავ ჯგუფებად არიან განაწილებულნი. მასწავლებელს გამზადებული აქვს მოყვას ყუთი, რომელშიც აწყვია: წინდები, მოკლე შარვალი, კაშნე, თავსაფარი, ხელთათმანი, ქამარი, წინსაფარი, ქურთუკი, ქუდი, ჟაკეტი, სვიტრი... მასწავლებელი იღებს სათითაოდ და აჩვენებს ბავშვებს. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ თითოეული ნივთი (რასაც ვერ დაასახელებენ, მასწავლებელი ეტყვის და ბავშვებსაც გაამეორებინებს), მიხვდნენ ცივ ამინდშია ჩასაცმელი თუ თბილში, ან სხვა რა დანიშნულება აქვს.

შემდეგ იწყება თამაში. ყოველი ჯგუფიდან ერთი მოსწავლე მორიგეობით გამოდის ყუთთან. მასწავლებელი უხვევს თვალს. თვალდახუჭულმა ყუთიდან უნდა ამოიღოს ერთი ნივთი, თითებით გასინჯოს და ამოიცნოს. თუ სწორად ამოიცნო, აგრძელებს თამაშს; თუ არასწორად – მასწავლებელი სხვა ჯგუფის მოსწავლეს გამოიძახებს.

3. კვლევა – რისგან კერავინ ტანსაცმელს? (7-9 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს ხელახლა გადაანაწილებს ჯგუფებში რაიმე ნიშნის მიხედვით (მაგ., შეიძლება ერთ ჯგუფში თავი მოიყარონ თეთრპერანგიანებმა, მეორეში – ჟაკეტიანებმა, მესამეში – ქამრიანებმა და სხვ.) შემდეგ თითოეულ ჯგუფს ეძლევა ტანსაცმლის ყუთიდან ერთი ან ორი ნივთი – მოსწავლეებმა უნდა გამოიკვლიონ და დაადგინონ, რა მასალაა გამოყენებული ამ სამოსში (მარტივად, როგორც შეძლებენ. საკმარისია იმის მიხედვად, რომ ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია ტყავი, სხვაგან – ბამბის ნაჭერი, ლითონი, პლასტიკის ლილები და ა.შ. ან ბენვი).

თავიანთ აღმოჩენებს ჯგუფები წარმოადგენენ კლასის წინაშე და საკუთარ მოსაზრებებს ასაბუთებენ. სასურველია, ისიც აღნიშნონ, „თბილია“ ესა თუ ის სამოსი თუ „გრილი“, ანუ თბილ ამინდში იცვამენ თუ ცივში (ან სხვა რა დანიშნულება აქვს).

4. გაკვეთილის შეჯამება (4-5 წთ)

მასწავლებელი აღნიშნავს, თუ რა ისწავლეს ამ დღეს, რომელი იყო ტანსაცმელთან დაკავშირებული ახალი სიტყვები; რომელი თამაში მოეწონათ, რატომ?

დამატებითი (ან ალტერნატიული) აქტივობა

თამაში „ტაში და ბაკუნი“

მასწავლებელი ბავშვებს იწვევს წრეში. თამაშის წესი ასეთია: შარვლიანმა მოსწავლემ (ბიჭი იქნება თუ გოგონა, სულერთია) უნდა შემოკრას ტაში ორჯერ, ხოლო კაბიანი – ფეხებს აბაკუნებს სამჯერ. ეს ხდება მორიგეობით. ამიტომ მასწავლებელი უნდა შეეცადოს ასევე მორიგეობით განაწილოს წრეში შარვალ-კაბიანი ბავშვები. მაშინ ტაში და ბაკუნი რიტმული და სახალისო გამოვა. (2 ტაში + 3 ბაკუნი). თამაში შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს, სანამ კარგად არ ააწყობენ.

მასწავლებელს გამზადებული აქვს ჩვენი წინაპრების ტრადიციული სამოსი – ჩოხა-ახალუხი ან კაბა (შესაძლოა ფოტო ან ვიდეომასალა). საუბრობენ ამ სამოსის დეტალებზე, დანიშნულებაზე, სილამაზეზე... დღეს თუ იყენებენ სადმე (მოცეკვავეები, ხალხური სიმღერების შემსრულებლები...), ვინმეს ხომ არ აქვს შინ ასეთი სამოსი – ვისია, მოიხმარს თუ არა? როდის? და ა.შ.

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მასწავლებელმა ბავშვები სივრცით წარმოდგენებზე (მარჯვნივ-მარცხნივ, შიგნით-გარეთ...) უნდა ავარჯიშოს ამ გაკვეთილზე და პერიოდულად მთელი წლის განმავლობაში. ამისთვის მასწავლებელი იყენებს როგორც სახელმძღვანელოს ილუსტრაციებს, ისე საკლასო ოთახს ან სხვა გარემოს.

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: https://www.youtube.com/watch?v=UA9joi_SEXg

ბაკვეთილი 26

თემა:	ზამთარი
გაკვეთილის სათაური:	ზამთარი
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ წელიწადის დროების დასახელება და ერთმანეთთან შედარება; წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა; მსჯელობა და საუბარი წელიწადის სხვადასხვა დროისთვის დამახასიათებელ ამინდზე; წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის აღწერა, ცხოველთა ქცევის გააზრება; წელიწადის დროების მიხედვით ტანსაცმლის დახარისხება; კლასში საახალწლო გარემოს შექმნაში მონაწილეობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება. ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“); აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“); ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში; განასხვავებს დღე-ღამის მონაკვეთებს – დილა, შუადღე, საღამო, ღამე და უკავშირებს საკუთარ აქტივობას/საქმიანობას; ასახელებს და ადარებს ერთმანეთს წელიწადის დროებს, მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, საუბრობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე; ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლცვენა) მაგალითებს. ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით.
საჭირო მასალა:	ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, მაკრატელი, ნებო, ვიდეოფილმი.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელო მუშაობა (4-5 წთ)

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე მოცემულია ზამთრის სცენები: ფოტო, რომელზეც გამოსახულია ზამთარი ქალაქში, სოფელში, გაყინული მდინარე და ზამთრის კურორტი. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დააკვირდნენ ამ სურათებს და აღწერონ.

2. საუბარი ზამთრის თემაზე (2-3 წთ)

ეს საუბარი მასწავლებლის მიერ დაახლოებით ასე უნდა წარიმართოს:

- თქვენ ამბობთ, რომ ამ სურათებზე ზამთარია გამოსახული. თქვენც სრიალებთ ხოლმე თხილამურებით ზამთარში? ხელი ასწიოს, ვისაც თხილამურებით სრიალი და ციგაობა უყვარს...
- ვინ მეტყვის, ახლა წელიწადის რა დროა? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე?
- სკოლაში სიარული რომ დაიწყეთ, წელიწადის რომელი დრო იყო? მაშ, შემოდგომას რა მოსდევს?
- ვინ გაიხსენებს და ჩამოთვლის შემოდგომის თვეებს?
- ახლა რომელი თვეა? (ჩვენი გათვლით, დეკემბერი ან იანვარი უნდა იყოს).
- ე.ი. დეკემბერი (ან იანვარი) ზამთრის თვეა. კიდევ რომელი თვეებია ზამთარში? (თუ ბავშვები ზამთრის თვეებს ვერ დაასახელებენ, მხოლოდ ამის შემდეგ ასახელებს მასწავლებელი.)
- რამდენი თვეა ზამთარში? შემოდგომაზე რამდენი თვე იყო?

3. თამაში „ზამთრის თვეები“ (2-3 წთ)

ზამთრის თვეების უკეთ დასამახსოვრებლად მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს იმის ანალოგიურ თამაშს, რაც მათ ადრე შემოდგომის თვეებზე ითამაშეს. ეს არის თამაში ტაშით:

- დეკემბრის აღმნიშვნელია 1 ტაში
- იანვრის – 2 ტაში
- თებერვლის – 3 ტაში

მასწავლებელი რამდენჯერმე არეულად უკრავს ტაშს – ხან ერთხელ, ხან სამჯერ, ორჯერ, ისევ სამჯერ და ა.შ. თითოეულ ჯერზე მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ თვე და დაასახელონ. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ, კარგად დაუკვირდნენ მისი ტაშების თანმიმდევრობას; ჯერ 1 ტაში, მერე – 2 ტაში, ბოლოს – 3 ტაში; უხსნის, რომ ზამთრის თვეები სწორედ ამ თანმიმდევრობით მოსდევს ერთმანეთს და კვლავ იმეორებს სამივე ტაშს. მოსწავლეებმა უნდა დაიმახსოვრონ ზამთრის თვეების თანმიმდევრობა: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი.

4. სამუშაო რეჟიმი მუშაობა (4-5 წთ)

სამუშაო სრულდება ნყვილებში. რვეულის მითითებულ გვერდზე კვლავ ჩვენი პერსონაჟები არიან. მათ შორის მოცემულია ორი ოთხკუთხედი და მათში ჩახატული საგნები. მოსწავლეები წიგნის პერსონაჟებს უნდა დაეხმარონ „ზედმეტი“ (უადგილო) საგნების ამოცნობაში (ერთ ოთხკუთხედში ხატია მოკლე შარვალი, ანუ შორტი, მეორეში – ზაფხულის ფეხსაცმელები). მათ უნდა შემოხაზონ ეს საგნები და ახსნან, რატომ ფიქრობენ, რომ სწორედ ესა თუ ის საგანია „ზედმეტი“ და არა სხვა. ნახატები უნდა გააფერადონ.

5. სახელმძღვანელო მუშაობა – „რა შეეშალა მხატვარს?“ (4-5 წთ)

ჯგუფებში მუშაობა:

სახელმძღვანელოს იმავე გვერდის ქვედა ნაწილში ზამთრის პეიზაჟია დახატული. თოვლიანი გარემოა. ერთ ხეზე ფოთლები და ლეღვებია. ბიჭი მოკლესახელოებიანი მაისურითაა; ბურჯზე ყვავილი ამოსულა; ცაში გადამფრენი ფრინველების გუნდი ჩანს. მოსწავლეებმა ეს „შეცდომები“ უნდა ამოიცნონ და შემდეგ ახსნან, „რა შეეშალა მხატვარს“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ და აღწერონ გარეულ ცხოველთა ქცევა ზამთარში. მოსწავლეები ამ შემთხვევაში გამოავლენენ წინარე ცოდნას (მაგ.: დათვი ზამთრის ძილს მისცემია, ციყვი ფულუროში იმარაგებს საკვებს და ა.შ.).

მასწავლებელს შეუძლია საუბარი გააგრძელოს და მოსწავლეებს უამბოს ადამიანის როლსა და

შესაძლო დახმარებაზე. მაგ., ფრინველებისთვის საკვებურების გაკეთება. გაიხსენოს, რომ თურმე ყოფილა შემთხვევები, როცა მკაცრი ზამთრის პირობებში შველი და ირემი ადამიანებთან ჩამოსულან დასუსტებულები და მათგან მიუღიათ საკვები, მათთან გამოუზამთრებიათ, ანუ უსარგებლიათ ადამიანების კეთილგანწყობით და ა.შ. სასურველია ვიდეოფილმის ჩვენება.

ამის შემდეგ მასწავლებელმა შესაძლოა საუბარი გააგრძელოს შინაური ცხოველების ქცევის შესახებ ზამთარში და სთხოვოს მოსწავლეებს, აღწერონ შინაური ცხოველების ქცევა დღე-ღამის განმავლობაში.

6. საკლასო ოთახის მორთვა (10-15 წთ)

სამუშაო რეგულის მომდევნო გვერდზე სხვადასხვანაირი ფიფქია დახატული. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში. მათ უნდა გამოჭრან ეს ფიფქები (არჩევით ან ყველა) და მასწავლებლის დახმარებით მიაკრან ფანჯრის მინებზე.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ისაუბრონ თავიანთ მოგონებებზე, ზამთარში გატარებული საუკეთესო დღეების შესახებ (მათი შთაბეჭდილებები თოვლში თამაშზე, ახალი წლის საჩუქრებზე და სხვ.).

მასწავლებელი ატარებს მოკლე საკლასო დისკუსიას:

– როგორია ბუნება ზამთარში? რით განსხვავდება ზამთრის ბუნება შემოდგომის ბუნებისგან? (უფრო მეტად აცივდა, ხშირად ყინავს, მალე ღამდება, დღე მოკლეა, ღამე – გრძელი, ხეები უფოთლოდაა, შიშველია, თოვს...)

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

– გაიხსენეთ, მკაცრი ზამთრის პირობებში, დღე-ღამის მონაკვეთში, როდის უფრო ცივა – დღისით, შუადღისას თუ საღამოს?

– როგორ გვაცვია ზამთარში და რატომ?

– რითი შევიგრძნობთ, რომ თოვლი ცივია?

– შეიძლება თუ არა შიშველი ხელებით გუნდის გაკეთება და რატომ?

– იყენებთ თუ არა ხელთათმანს და რატომ?

სასურველია მასწავლებელმა ბავშვები მიიყვანოს დასკვნამდე, რომ ადამიანი შეხებით აღიქვამს, საგანი ცივია თუ ცხელი.

7. გაკვეთილის შეჯამება (3-4 წთ)

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

თუ ახალი წლის ზეიმი ამ გაკვეთილამდე ტარდება, შეგიძლიათ ეს მეცადინეობა ჩაანაცვლოთ წინა კვირის თემასთან ისე, რომ ფიფქებით ოთახის მორთვა ახალი წლის ზეიმამდე მოესწროს.

გაკვეთილი 27

თემა:

ზამთარი

გაკვეთილის სათაური:

ახალი წელიც მოსულა

გაკვეთილის მიზნები:

მოსწავლეებმა შეძლონ შეგრძნების ორგანოებისა და მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით შესწავლის ობიექტზე დაკვირვება;

შეგრძნების ორგანოების და მათი ფუნქციების დასახელება; სხეულის თვისების აღწერა;

დაკვირვების უნარის განვითარება;

ხელი შეეწყოს მოსწავლეების შემეცნების სხვადასხვა უნარის („მრავალმხრივი ინტელექტის“) განვითარებას.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის
შედგენით და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში
მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების
დემონსტრირება;

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგროვების ორგანოების
მნიშვნელობის გაცნობიერება.

შედეგი თვალსაჩინოა,
თუ მოსწავლე:

აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგროვების ორგა-
ნოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ
პრაქტიკულ აქტივობებში;

აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო
მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);

ასახელებს ადამიანის შეგროვების ორგანოებს და მათ ფუნ-
ქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევი-
გრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრ-
ძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“);

აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი,
ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხ-
ვა შეგროვების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“,
„შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია –
თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და
ენა“);

იყენებს სხვადასხვა მარტივ ხელსაწყოს (ლუპა, ფონენდოსკო-
პი) შეგროვების გაძლიერების მიზნით და აღწერს სხეულის
თვისებებს, რომლებიც ამ ხელსაწყოების გამოყენებისას გახ-
და თვალსაჩინო.

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ლუპა.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი – როგორ შევხვდით ახალ წელს? (6-8 წთ)

მუშაობა უნდა წარიმართოს წყვილებში. ორ-ორი მოსწავლე ერთმანეთს უზიარებს ახალი წლის
შთაბეჭდილებებს – ვინ სად და როგორ შეხვდა ამ წლის მოსვლას, თოვლის პაპამ რა საჩუქრები
მოუტანა და სხვ.

შემდეგ ბავშვებმა უნდა გადმოსცენ ერთმანეთის ნაამბობი, ანუ თითოეულმა მოსწავლემ თანა-
ქცის მონაყოლი, დაიმახსოვროს და მოჰყვეს. სასურველია, მასწავლებელმა დრო დაუთმოს ყველა
მსურველს, თან დრო აკონტროლოს. აქვე მასწავლებელი რამდენჯერმე სვამს შეკითხვას: „როდის
დგება ახალი წელი?“ რათა მოსწავლეებმა ახალი წლის დადგომა ზამთარს, პირველ იანვარს დაუ-
კავშირონ.

2. სამუშაო რვეულში მუშაობა (5-6 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე მოცემულია დაუსრულებელი ნახატის კონტურები (თოვ-
ლის პაპა ხურჯინით, რომელიც ასაჩუქრებს ბავშვებს.), რომელიც ბავშვებმა უნდა დაასრულონ
(იგულისხმება ნაძვის ხის დასრულება) და გააფერადონ. შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს მიეცემა
შესაძლებლობა, ისაუბროს ნახატის შესახებ.

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (3-4 წთ)

იმავე გვერდის ქვედა ნაწილში ხატია ნაფეხურები (ქათმის, ძაღლის, ადამიანის). მასწავლებელი:
– თოვლზე სიარულის დროს რა ჩნდება თოვლზე? – ნაკვალევი, ნაფეხურები;
– შეგიძლიათ გამოიცნოთ, ეს ნაფეხური ვისია?

ბავშვებმა უნდა იმუშაონ წყვილებში. მათ უნდა ამოიცნონ, ვის ეკუთვნის ნაკვალევი და ხაზით დაუკავშირონ შესაბამის პერსონაჟს.

4. თამაში – „შეჯამატი ფიფქები“ (6-8 წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს აყენებს წრეში ხელჩაკიდებულებს და სთავაზობს, წარმოიდგინონ ფიფქი და შეეცადონ შექმნან იგი. (ანუ ბავშვები ისე უნდა განანილდნენ, რომ „ფიფქს“ ექვსი წვერო ჰქონდეს).

მასწავლებელი ართულებს თამაშს შეკითხვით:

– ოთხ ბავშვს თუ შეუძლია „ფიფქის“ შექმნა? ხუთს? ექვსს?

თან აჯგუფებს შესაბამისად მოსწავლეებს. ბავშვები ხვდებიან, რომ მინიმუმ ექვსი მოსწავლე მაინც არის ექვსწვეროიანი ფიფქის შესაქმნელად საჭირო. დასასრულს მთელი კლასი ერთიანდება წრეში და მასწავლებლის დავალებით ცდილობს, „თოვლის გუნდად“ შეიკრას (ეს ბევრად უფრო ადვილიცაა და სახალისოც).

5. ფიფქა ლუპით დაკვირვება (5-8 წთ)

მასწავლებელს ბავშვები გაჰყავს სკოლის ეზოში. თუ თოვს, მათ უნდა აღწერონ თოვლი და ფიფქი (ფერი, სუნი, გემო, ფორმა, ფაქტურა. დაუკავშირონ იგი შეგრძნების ორგანოებს. თოვლი თეთრია და ცივი. თვალი – კანი. შემდეგ ფიფქებს ლუპით დააკვირდნენ. ამისთვის არაა აუცილებელი ბევრი ლუპა, ერთი ან ორი ცალიც საკმარისია; მასწავლებელი თავისთან იხმობს მოსწავლეებს მორიგეობით და ხელთათმანზე ან სახელოზე დაცემულ ფიფქებს აკვირდებიან. მასწავლებელი ამ დროს სვამს შეკითხვას: რა ხდება ლუპით დაკვირვების დროს? (საგანს გადიდებულად ვხედავთ); რამდენი წვერო აქვს ფიფქს (ექვსი); ფიფქები ერთნაირია თუ განსხვავებული? (ყველა ფიფქი განსხვავებულია, თუმცა ჰგავანან ერთმანეთს). სხვა ბავშვები ამ დროს იქვე არიან და თავიანთ რიგს ელოდებიან, თან უსმენენ მასწავლებელს. (აქვე შეიძლება გადამონმება: მართლა რჩება თოვლზე ნაკვალევი?)

6. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

გაკვეთილი 28

თემა:	ზამთარი
გაკვეთილის სათაური:	სახიფათო ნივთები
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ უსაფრთხოების მთავარი მოთხოვნების გაცნობიერება; ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უსაფრთხოდ მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავება; შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება; მოვლენების ილუსტრაციაზე ან რეალობაში ამოცნობა; ლოკალურ გარემოში სწორად ქცევის წესების ჩამოყალიბება და დაცვა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება. ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

**შედგე თვალსაჩინოა,
თუ მოსწავლე:**

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“);

მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა);

მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელებთან ერთად აყალიბებს და იცავს ლოკალურ გარემოში (მაგ., კლასში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, სახლში) ქცევის წესებს (მაგ., იცავს სკოლის სისუფთავეს).

საჭირო მასალა:

ჭიქა, თოჯინა ან მანქანა, ფერადი ფანქრები, სახიფათო ნივთები: დანა, მაკრატელი, ნემსი, ლურსმანი.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. მუშაობა წრეში – „სახიფათო ნივთები“ (8-10 წთ)

მასწავლებელი აგრძელებს ახალ წელზე საუბარს და დასძენს, რომ ახალ წელს ახლავს მამბალები, ფიერვერკები, უამრავი მანათობლის ციმციმი და სხვ.

ეს ყველაფერი ლამაზია, თუმცა არცთუ უსაფრთხო. ხშირია უსიამოვნო ისტორიები (დამწვრობები, სხვადასხვა ტრავმა...). მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოებაზე და იმ ქცევაზე, რაც აუცილებელია ამგვარ ნივთებთან ურთიერთობისას.

მასწავლებელს გამზადებული აქვს ბასრი და წვეტიანი საგნები (დანა, მაკრატელი, ნემსი, ლურსმანი...) და არასახიფათო საგნები (ჭიქა, ნიგნი, კალამი, სათამაშო...). ყველაფერს ალაგებს იატაკზე და სთხოვს ბავშვებს ამ საგნების გარშემო შეკრან წრე (ან დასხდნენ, ან ჩაცუცქდნენ). მასწავლებელი განმარტავს, რომ საოჯახო ნივთებს შორის გვხვდება სახიფათო საგნებიც, რითიც შეიძლება ადამიანი დაშავდეს. „მოდით, ამოვიცნოთ სახიფათო ნივთები“, – ამბობს მასწავლებელი და ხელში იღებს ნიგნს ან სათამაშოს, – „ეს სახიფათო ნივთია?“ მოსწავლეები უპასუხებენ: – „არა“.

შემდეგ მასწავლებელი იღებს დანას და კვლავ სვამს შეკითხვას:

- ეს რა არის? სახიფათო ნივთია? (ბავშვები ეთანხმებიან.)
- რატომ არის, თქვენი აზრით, სახიფათო?
- რისთვის იყენებენ დანას ადამიანები?

მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დანით თამაშს დაიწყებს.

ამგვარადვე ისაუბრებენ ყველა სხვა სახიფათო ნივთის დანიშნულებასა და საშიშროებაზე. ამ საუბრებით მასწავლებელმა ბავშვები იმ დასკვნამდე უნდა მიიყვანოს, რომ არ შეიძლება ბასრი და წვეტიანი ნივთებით თამაში, ნემსის ან ლურსმნის პირში ჩადება, სავარძელზე ან დივანზე დატოვება და ა.შ.

2. სამუშაო რეჟიმი მუშაობა – „საოჯახო ელექტროტიქნიკა“ (5-6 წთ)

სამუშაო სრულდება წყვილებში:

სამუშაო რეჟელის შესაბამის გვერდზე მოცემულია ოთხი „ფანჯარა“. თითოეულ ფანჯარაში ჩახატულია ოთხი საგანი. მოსწავლეებმა წყვილებში უნდა ამოიცნონ, რომელი საგანია ზედმეტი თითოეულ ფანჯარაში და წითელი ფანქრით შემოხაზონ. გამოიკვეთება ელექტროტიქნიკის ოთხი საოჯახო ნივთი: უთო, ელექტროქურა, ტელევიზორი, წყლის მადულარა.

იმართება საუბარი შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- რა საერთო ნიშანი აქვთ თქვენ მიერ შემოხაზულ ნივთებს?
- კიდევ რომელ ნივთებს ხმარობთ სახლში, რომლებიც ელექტროდენზე მუშაობენ?
- რა საშიშროება ელის ბავშვს ამ ნივთებთან ურთიერთობისას?

მასწავლებელმა უნდა განმარტოს, რომ ელექტროსაგნებს ორი მთავარი მიზეზის გამო უნდა მოერიდონ ბავშვები:

1. ატარებს ელექტროდენს; ხელის შეხებამ შიშველ სადენზე შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს;
2. შეიძლება ხანძარი გამოიწვიოს, რის შედეგადაც დიდი უბედურებაა მოსალოდნელი (დამწვრობა, სახლის განადგურება, სიკვდილი).

ამიტომ უმჯობესია, ბავშვები ასეთ საგნებს საერთოდ მოერიდონ, არ შეეხონ ჩამრთველს, არ განმინდონ ჩართული ტელევიზორი ან სხვა ელექტროტექნიკა, სველი ხელით არ შეეხონ სადენს, ხელსაწყოს გამოსართავად არ მოქაჩონ სადენი და ა.შ.

მასწავლებელი ახსენებს ბავშვებს, რომ სახიფათოა გაზქურასთან ურთიერთობაც.

3. სამუშაო რვეულში მუშაობა – „რა ხიფათი ელით წიგნის პერსონაჟებს?“ (2-3 წთ)

სამუშაო რვეულის იმავე გვერდზე მოცემულია ჩვენი წიგნის პერსონაჟების სურათები. ერთი მათგანი ცდილობს ლურსმანი შეეყოს დენცქვიტაში, მეორე კი – ჩართულ უთოს ტოვებს საუთო-ებელ მაგიდაზე.

მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, თუ რა ხიფათი ელით წიგნის გმირებს და დროულად „გააფრთხილონ“ ისინი.

4. დისკუსია თემაზე – „რამ შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი სახლში?“ (3-5 წთ)

დისკუსიის პროცესში მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ ოჯახში ხანძრის მიზეზი შეიძლება იყოს სანთებელა, ასანთი, ჩართული უთო, გაზქურის არასწორად მოხმარება (გაზქურა შეიძლება აფეთქების მიზეზიც გახდეს), დენში ჩართული ელექტროტექნიკის (ტელევიზორი, მაცივარი, მაღულარა, მაგნიტოფონი, ელექტროქურა...) გაუმართაობა და სხვ. ამიტომ ასეთი საგნების გამოყენება უფროსების ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

5. სახელმძღვანელოში მუშაობა – „როგორ გადაურჩენ „წიგნი მებოძრები“ ხანძარს?“ (7-8 წთ)

სახელმძღვანელოში სურათებით გადმოცემულია ბავშვების მოქმედება ხანძარგაჩენილ სახლში. ბიჭმა, როგორც კი კვამლის სუნი იგრძნო, მაშინვე სანოლიდან იატაკზე ჩამოხობდა (ბოლი ოთახში ზემოთ იწყებს დაგროვებას), სასწრაფოდ მიხობდა კართან, კარი ფრთხილად შეაღო, როცა დარწმუნდა, რომ მეორე ოთახში არ იყო ხანძარი, იქ გავიდა და კარი გაიხურა, გზად დედა და მამა გააღვიძა, ყველანი ჩაცუცქულნი და თავდახრილნი გამოვიდნენ სადარბაზოში, შემდეგ კი – გარეთ, ეზოში. მათ მეზობლებს ხანძრის შესახებ შეატყობინეს და სთხოვეს, სასწრაფოდ დაერეკათ სახანძროში და პატრულთან.

გარეთ გამოსულმა ბიჭმა დაინახა ეზოში შეკრებილი მეზობლები. ამ დროს სახანძრო მანქანაც გამოჩნდა, მეხანძრეებმა ხანძარი წყლის ჭავლით ჩააქრეს.

მოსწავლეებმა ჯგუფებში უნდა დაათვალიერონ მოცემული ნახატები და ამავე თანმიმდევრობით შეეცადონ, აღწერონ მოქმედებები ხანძრის დროს.

6. როლური თემატიკა – „თავი დავაღწიოთ ხანძარს“ (3-4 წთ)

პრევენციის შემდეგ მასწავლებელი ჯგუფებს სთავაზობს, ამოირჩიონ რომელიმე სცენა მოცემული სურათებიდან და გაითამაშონ (დასაშვებია ყვირილიც, ძახილიც, პანტომიმაც და სხვ.) ჯგუფს, სურვილისამებრ, შეუძლია, სულ სხვა ეპიზოდი მოიგონოს და ის გაითამაშოს.

სხვა ჯგუფის წევრებმა (მაყურებლებმა) უნდა შეაფასონ, რამდენად სწორად და დროულად მოქმედებდნენ მათი ამხანაგები „აღმოდებულ სახლში“.

7. ახსანივითი ნივთები (2-4 წთ)

მასწავლებელი თავის სამუშაო მაგიდაზე აწყობს სხვადასხვანაირ ნამალს, სარეცხ ფხვნილს, მწერების სანიანალმდეგო აეროზოლს. მაგიდასთან მორიგეობით იძახებს თითოეული ჯგუფის წევრებს – მათ უნდა ამოიციონ „სახიფათო ნივთები“ და განმარტონ, მათი აზრით, რატომაა ესა თუ ის ნივთი სახიფათო ბავშვებისათვის (არასწორად, თვითნებურად მიღებული ნამალი შეიძლება სანამლაგად იქცეს, ასევე მომწამვლელია სარეცხი ფხვნილიც, მწერების სანიანალმდეგო აეროზოლი და სხვა საოჯახო ქიმიკატები).

8. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

გაკვეთილი 29

თემა:	შეგრძნების ორგანოები
გაკვეთილის სათაური:	როგორ ამოვიცინობთ საგნებს?
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ ადამიანის შეგრძნების ორგანოების დასახელება და მათი ფუნქციების გაცნობიერება; ნაცნობი სხეულის თვისებების აღწერა და სხვადასხვა შეგრძნების ორგანოებთან დაკავშირება; შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება; პირადი ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე მსჯელობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცინობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“); აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი ნითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავია – თვალი და ენა“); მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა); ასახელებს პირადი ჰიგიენის ნივთებს (მაგ., სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი), მსჯელობს ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე.
საჭირო მასალა:	თავსაფარი თვალის დასახვევად, საპონი, აუდიომასალა (ცხოველების ხმებით, ბუნებრივი მოვლენის: წვიმის, ქექა-ქუხილის, ზღვის ღელვის, ჩიტის გალობის და ა.შ.), ვიდეომა-სალა (ქუჩის სიტუაცია).

გაკვეთილის მსვლელობა:

1. თამაში „ღაჰინასოთ თითხვით“ (6-8 წთ)

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კითხვით: რით ხედავთ საგნებს? შემდეგ კი სთავაზობს თამაშს. თამაშის წესები ასეთია: მასწავლებელი მორიგეობით იძახებს თავისთან თითო-თითო მოსწავლეს, თვალს უხვევს და აძლევს რაიმე საგანს, მაგალითად, ფანქარს. მოსწავლე თითებით სინჯავს მას და ასახელებს. თუ გამოიცნობს, მასწავლებელი სხვა ნივთებსაც მისცემს (კალამს, საშლელს, წიგნს, ქუდს, სათამაშოს და სხვ.). თუ კლასში ბევრი მოსწავლეა, ორი-სამი საგნის ამოცნობის შემდეგ, მასწავლებელმა სხვა მოსწავლე უნდა გამოიძახოს, რათა ყველა მსურველს მიეცეს მონაწილეობის შესაძლებლობა.

მასწავლებლის შეკითხვები თამაშის შემდეგ:

– თითების შეხებით ყველა (თითქმის ყველა) საგანი ამოიცანით, კიდევ რას ხვდებით ხოლმე შეხებით? (ამ თამაშითა და დამატებითი კითხვების მეშვეობით მასწავლებელმა უნდა გააზრებინოს ბავშვებს, რომ შეხებით ვიგებთ, საგანი გლუვია თუ ხორკლიანი, ბასრია თუ წვეტიანი, ცივია თუ თბილი, რა ფორმისაა, მაგარია თუ რბილი).

შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

– რით ვეხებით საგნებს? (შეხების ორგანოა კანი, თუმცა ბავშვებმა შეიძლება დაასახელონ თითები, რადგან კანი თითებზე განსაკუთრებით მგრძობიარეა და თითებით აღქმა უფრო მოსახერხებელიც არის).

2. თამაში – „ღაჰინასოთ ყურებით“ (5-6 წთ)

მასწავლებელი: – „როგორც ხედავთ, საგნების გარჩევა შეგიძლიათ დანახვითაც და შეხებითაც. სმენით თუ შეგიძლიათ საგნების გარჩევა?“ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მასწავლებელი ბავშვებს ახალ თამაშს სთავაზობს:

მოსწავლეები დგებიან ფეხზე და მასწავლებლისკენ ზურგით ბრუნდებიან. მასწავლებელი ფანქრით, ჯოხით ან სახაზავით მორიგეობით აკაკუნებს სხვადასხვა საგანზე (მერხზე, ფანჯრის მინაზე, ლარნაკზე, ლითონისა და ხის საგნებზე). მოსწავლეებმა ხმით უნდა ამოიცნონ საგანი და დაასახელონ. ამ შემთხვევაში ისინი ერთობლივად პასუხობენ. შემდეგ მასწავლებელი სათითაოდ იძახებს მოსწავლეებს და თვალს უხვევს. მან ხმით უნდა ამოიცნოს ამხანაგი, რომელიც ეკითხება: „მე ვინ ვარ?“ რამდენიმე მოსწავლის ამოცნობის შემდეგ სხვისი ჯერი დგება და ასე გაგრძელდება, სანამ ყველა მსურველი მიიღებს მონაწილეობას. აქტივობა ამჯერად გრძელდება საათის გამოყენებით. მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

– როგორ გგონიათ, შეგიძლია, მოსმენით გამოვიცნოთ, მუშაობს თუ არა, მაგალითად, კედლის საათი? დაასაბუთეთ (წიკნიკებს, გამოსცემს ხმას).

– თუ არ მუშაობს, როგორ მივხვდებით?

– რა დასკვნა შეგიძლია გამოვიტანოთ ამ ორ შემთხვევაში? (თუ წიკნიკებს – მუშაობს, თუ არ გამოსცემს ხმას – არ მუშაობს).

სასურველია, თუ ამ აქტივობის მიმდინარეობისას მასწავლებელი თვალსაჩინოებისთვის, გარდა წიგნში მოცემული საათის ნახატისა, მოიტანს კედლის საათს.

სასურველია, მასწავლებელმა ამ გაკვეთილის მსვლელობისას გამოიყენოს აუდიო და ვიდეო-მასალა ჩიტების ან მხეცების ხმით.

თამაშის დასრულების შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლეები ასკვნიან, რომ თურმე ჩვენ საგნების გარჩევა და აღქმა შეგიძლია არა მარტო დანახვით და შეხებით, არამედ სმენითაც. მაგ., ქურჩაში საფრთხეს მანქანების ხმაურით და სიგნალის ხმითაც ვიგებთ.

3. სახელმძღვანელოზე მუშაობა (5-6 წთ)

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე ხატია თითი, ყური და თვალები. იქვე მოცემულია სამი ფრაზა:

- ეკალმა მიჩხვლიტა;
- ბურთი წითელია;
- ჩიტი გალობს.

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. მათ უნდა ამოიკითხონ ფრაზები და დაასახელონ, გრძნო-

ბის რომელი ორგანოს მეშვეობით შევიგრძნობთ: ეკლის ჩხვლეტას – თითის მეშვეობით, ბურთის სინთლეს – თვალის მეშვეობით და ჩიტის გალობას – ყურის.

დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, როგორ და რატომ შეასრულეს დავალება ასე.

4. ჯგუფი მუშაობა – როლური თამაში (8-10 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს 3 ჯგუფად და ავალებს ჯგუფის წევრებს, პანტომიმის მეშვეობით გაითამაშონ:

I ჯგუფი – ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ;

II ჯგუფი – ადამიანები, რომლებსაც არ ესმით;

აქტივობის მიზანია ბავშვებმა გამოიცნონ ჯგუფის „როლი“, რადგან მასწავლებელი პერსონალურ დავალებას აძლევს თითოეულ ჯგუფს ისე, რომ სხვებმა არ გაიგონ.

მეორე ჯერზე ჯგუფის წევრები თვითონ ირჩევენ მათთვის სასურველ როლებს ამ ორი ვარიანტიდან და ათამაშებენ პანტომიმით.

მასწავლებელი:

– როგორ გრძნობდით თავს ამ ადამიანების როლში?

– რატომ არის აუცილებელია გავუფრთხილდეთ თავლებს, ყურებს, კანს (შეგრძნების ორგანოებს)?

მასწავლებელმა საუბარი უნდა წარმართოს ჰიგიენური ნორმების დაცვის აუცილებლობაზე (ყურის მოვლა, თვალის გაფრთხილება და ა.შ.).

მასწავლებელი მიუთითებს სახელმძღვანელოში დახატულ კომპიუტერზე და მართავს დისკუსიას კომპიუტერით სარგებლობის წესების თაობაზე. შესაძლოა კლასმა თავად ჩამოაყალიბოს წესები, რომლის დაცვაც აუცილებელია კომპიუტერით სარგებლობის დროს (სავარაუდოდ: არ დაჯდე კომპიუტერთან დიდი ხნით, გააკონტროლე მანძილი შენსა და მონიტორს შორის და ა.შ.).

5. ხშირად დავიხანოთ ხელაბი! (4-5 წთ)

თუ გაკვეთილზე ამის დრო დაგვრჩება, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეები გაიყვანოს ისეთ ადგილას (მაგ., ტუალეტში), სადაც ონკანებია. მასწავლებელი 4 მოხალისეს წაუსვამს წინასწარმომზადებულ ნახშირს და თვალსაჩინოების მიზნით ერთს მხოლოდ ცივი წყლით დააბანინებს ჭუჭყს, მეორეს – ცივი წყლით და საპნით, მესამეს მხოლოდ თბილი წყლით, მეოთხეს კი – თბილი წყლითა და საპნით.

დანარჩენი მოსწავლეები თვალყურს ადევნებენ თანატოლებს, ბოლოს კი დაბანილ ხელებს შეადარებენ ერთმანეთს და აკეთებენ დასკვნას: როგორი წყალი ბანს უკეთ – ცივი თუ თბილი? საპნით უკეთესად შორდება ჭუჭყი თუ უსაპნოდ?

6. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

რეკომენდაცია:

თუ ბოლო აქტივობის ჩასატარებლად საგაკვეთილო დრო არ იქნება საკმარისი, მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობა შესვენებაზე ჩაატაროს.

გაკვეთილი 30

თემა:	შეგრძნების ორგანოები
გაკვეთილის სათაური:	ყნოსვა და გემო
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ ადამიანის შეგრძნების ორგანოების დასახელება და მათი ფუნქციების გაცნობიერება; ნაცნობი სხეულის თვისებების აღწერა და სხვადასხვა შეგრძნების ორგანოებთან დაკავშირება; მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომელია გემოსა და ყნოსვის ორგანოები; მოსწავლეების დაკვირვებისა და ანალიზის უნარის განვითარებას; შეგრძნების და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე მსჯელობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით; უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით). ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“); აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავია – თვალი და ენა“); მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა); იყენებს სხვადასხვა მარტივ ხელსაწყოს (ლუპა, ფონენდოსკოპი) შეგრძნების გაძლიერების მიზნით და აღწერს სხეულის თვისებებს, რომლებიც ამ ხელსაწყოების გამოყენებისას გახდა თვალსაჩინო.
საჭირო მასალა:	ფერადი ფაქტურები ან ფლომასტერები, ვარდი ან სხვა სურნელოვანი ყვავილი, ძმარი, ლიმონი, ცხელი ჩაი ქიქით, სათამაშო, რომელიც ხმაურობს (ხმას გამოსცემს).

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელოზე მუშაობა (5-7 წთ)

მასწავლებელი იხსენებს წინა გაკვეთილის თემას და შეახსენებს მოსწავლეებს, თუ რა დაეხმარა მათ გარემოს აღქმაში: როგორც დავრწმუნდით, საგნებს შევიცნობთ (აღვიქვამთ) თვალით – (დანახვით), ყურით – (მოსმენით), კანით – (შეხებით). – სხეულის კიდევ რომელი ნაწილით შეგვიძლია საგნის ამოცნობა?

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, მოსწავლეებმა უნდა გადაშალონ სახელმძღვანელოები შესაბამის გვერდზე, სადაც ხატია ჩვენი წიგნის გმირები. გოგონას კმაყოფილი სახე აქვს, ბიჭს – უკმაყოფილო, მათ წინ ხატია ლიმონი და შოკოლადი. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელმა რა შეჭამა და დაასახელონ.

მასწავლებლის კითხვები:

- რატომ დაუკავშირეთ შოკოლადი გოგონას?
- როგორი გემო აქვს შოკოლადს?
- რატომ დაუკავშირეთ ლიმონი ბიჭს?
- როგორი გემო აქვს ლიმონს?
- თქვენი აზრით, რითი ვგრძნობთ (ვიგებთ) გემოს?

თუ მოსწავლეებმა ენის ნაცვლად არასწორად პირი დაასახელეს, მაშინ მასწავლებელს გამოჰყავს ერთი ან ორი მოსწავლე, თვალს უხვევს და ტუჩზე (ისე რომ პირი არ გააღონ) აწვეთებს ლიმონის წვენს.

– იგრძენი გემო? – კითხულობს მასწავლებელი. მერე იმავე მოსწავლეს ენაზე აწვეთებს ან ადებს ლიმონს და ისევ უმეორებს შეკითხვას. ამ ცდის შემდეგ ბავშვები უნდა მიხვდნენ, რომ გემოს გრძნობენ მხოლოდ ენით.

2. თამაში – „ღაპინასოთ ცხვირით“ (5-6 წთ)

მასწავლებელს ამ გაკვეთილისთვის მოტანილი აქვს ვარდი ან სხვა სურნელოვანი ყვავილი, ბოთლით ძმარი (ან სხვა რამ მკვეთრი სუნის საგანი მაგ., ფრჩხილის ლაქი (მანიკური)); გამოიძახებს ორ-სამ მოსწავლეს, აუკრავს თვალს და ცხვირთან ახლოს მიუტანს ამ საგნებს, მათ ყნოსვით უნდა ამოიცნონ, რომელი საგნებია. მასწავლებლის კითხვები:

- საგნებს ერთნაირი სუნი აქვთ თუ განსხვავებული?
- მაშ, სხეულის კიდევ რომელი ნაწილით შეგვიძლია საგნის ამოცნობა? (ცხვირით).
- თქვენი აზრით, გაფუჭებულ საჭმელს ან ხილს ეცვლება თუ არა ფერი? სუნი?
- არასასიამოვნო სუნი თუ იგრძენით, ის საკვები ვარგისია თუ არა?
- ყნოსვა ადამიანზე უკეთ რომელ ცხოველს აქვს განვითარებული?
- მხედველობა რომელ ცხოველს აქვს კარგად განვითარებული? სმენა?

(მასწავლებელი და მოსწავლეები ასკვნიან, რომ როგორც ადამიანები, ისე ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები სამყაროს აღვიქვამთ თვალებით, ცხვირით, ყურებით, ენით და კანით – შეგვრძნობის ხუთი ორგანოთი).

3. მოთხრობა – ამოცანა (5-7 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს მოთხრობას:

„ერთხელ ადამიანის სხეულის ნაწილები გაებუტნენ ერთმანეთს. თვალებმა თქვეს: „მოგენყინდა თქვენი დარაჯობა, აღარ გვინდა თქვენ ნაცვლად ცქერაო!“ ყურებმა თქვეს: „ჩვენ რა, რითი ვართ თვალებზე ნაკლები, აღარც ჩვენ გვინდა ამდენი ხმის გაგონებაო!“ ენამაც წაიბუტბუტა: „ხან მწარესა ვჭამ, ხან ტკბილსა, აღარც მე გაუუსინჯავ გემოს არაფერსო!“ ამათ არც ცხვირი და კანი ჩამორჩნენ და ისინიც გაიბუტნენ. ასე წაიჩხუბნენ თვალები, ყურები, ენა, ცხვირი და კანი და შეწყვიტეს ერთმანეთის დახმარება. როგორ ფიქრობთ, რა მოუვიდოდა ამ ადამიანის სხეულს?“ (შედგენილია ი. გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით).

ბოლო შეკითხვის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია დამატებითი შეკითხვების დასმაც:

– რა დაემართებოდა ამ ადამიანს თვალების გარეშე? რა მოუვიდოდა ადამიანს ყურების გარეშე? რას ვერ იგრძნობდა ადამიანი ცხვირის გარეშე? რას ვერ იგრძნობდა იგი ენის გარეშე? რას ვერ გაიგებდა ადამიანი, თუ კანი არაფერს აგრძნობინებდა? მაშ, რომელია სხეულის ის ხუთი ნაწილი, რომლითაც საგნებს აღვიქვამთ?

4. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

ნასწავლი მასალის განსამტკიცებლად მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს, მათ სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე შეასრულონ მოცემული სავარჯიშო. ფურცელზე ხატია ჩვენი წიგნის პერსონაჟი, მის გარშემო წერია სიტყვები: სმენა, მხედველობა, გემო, ყნოსვა, შეხება.

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, მათ ეს სიტყვები უნდა ამოიკითხოთ და ბიჭის სურათი შესაბამის შეგრძნების ორგანოებს ხაზებით დაუკავშირონ.

5. სამუშაო რვეულში მუშაობა (3-4 წთ)

რვეულის იმავე გვერდის ქვედა ნაწილში ხატია სხვადასხვა სახის საჭმელი. მოსწავლეებმა უნდა ამოიციონ, მათ შორის რომელია ტკბილი და გააფერადონ.

ბავშვები მუშაობენ ინდივიდუალურად.

6. პრაქტიკული სამუშაო (3-4 წთ)

„როგორ გავიგონოთ და დავინახოთ უკეთ?“

მასწავლებელმა ადრეც გამოიყენა ლუპა და ახლაც გამზადებული აქვს ლუპა და ფონენდოსკოპი – სამედიცინო ხელსაწყო გულისა და ფილტვების მოსასმენად. ფონენდოსკოპით მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთის გულისცემის მოსმენა (ამისთვის ტანსაცმლის გახდა არ არის საჭირო), ხოლო ლუპით პატარა საგნების კარგად დანახვა და გარჩევა.

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ზოგიერთი ხელსაწყო დახმარებით უკეთ შეიძლება საგნების აღქმა.

7. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

გაკვეთილი 31

თემა:	შეგრძნების ორგანოები
გაკვეთილის სათაური:	შეგრძნების ორგანოები
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ ინსტრუქციის მიხედვით მარტივი კვლევითი აქტივობის უსაფრთხოდ ჩატარება; საკუთარი ორგანოებით სხეულებზე დაკვირვება; შედეგების ზეპირი ფორმით გადმოცემა; დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით კითხვებზე პასუხის გაცემა; სხეულის თვისებების აღწერა შეგრძნების ორგანოების მეშვეობით.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“);

აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“).

საჭირო მასალა:

ფოთლები, ლუბა, სურნელოვანი ყვავილი, შოკოლადის ფილა, ბამბა, ტომარა სხვადასხვა ფორმის საგნებით, ვიდეომასალა.

1. პროვოცირება (3-5 წთ)

ეს გაკვეთილი განვლილი მასალის ერთგვარი შეჯამებაა.

მასწავლებელი კითხვით მიმართავს კლასს:

– როგორ ფიქრობთ, რა გვეხმარება ჩვენ ირგვლივ არსებული გარემოს აღქმაში?

ამ კითხვაზე, შესაძლოა, მოსწავლეებმა სრულყოფილი პასუხი ვერ გასცენ, თუმცა ამგვარი შეკითხვები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პროვოცირებას.

2. პრაქტიკული სამუშაო (15-20 წთ)

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთს და სთხოვს მათ, დაასახელონ მითითებული საგნები. საბოლოოდ, ბავშვები მიდიან დასკვნამდე: მხედველობის დახმარებით ადამიანები და ცხოველები ხედავენ გარემოს.

– რა ეხმარება მათ ამაში?

თვალეები მხედველობის ორგანოა.

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სხვადასხვა ხმას: ჩიტების ჭიკჭიკს, მუსიკის ხმას, ბრაზუნს, კატის კნავილს, ძაღლის ყეფას...

საბოლოოდ ბავშვები ასკვნიან:

სმენის საშუალებით ადამიანებს და ცხოველებს ესმით, თუ რა ხდება მათ გარშემო.

– რა ეხმარება მათ ამაში? (*ყურები, სმენის ორგანო.*)

– რით აღვიქვამთ ყვავილის, სუნამოს სურნელს?

მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს ურიგებს ბამბის ფთილას და სთხოვს მათ, რამდენჯერმე ხელი მოუჭირონ მას. აღწერონ გრძნობა, რომელიც ბამბის შეხებისას გაუჩნდათ. როგორია იგი?

მასწავლებელი: ხელი გადაუსვით მერხის ზედაპირს, რას გრძნობთ, როგორია? (*სწორი, გლუვი...*)

მასწავლებელი ტომარაში წინასწარ ათავსებს სხვადასხვა ფორმის საგნებს (ბურთულას, ბურთს, კუბს, სამკუთხედს, სახაზავს, ფანქარს და ა.შ.). მოსწავლეებმა სათითაოდ უნდა ჩაყონ ხელი ტომარაში და გამოიცნონ, რა ფორმა აქვს საგანს და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიღონ და აჩვენონ იგი კლასს.

საბოლოოდ მოსწავლეებს დაკვირვების საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა:

– შეხებით შეგვიძლია ვიგრძნოთ საგნის ფორმა, ტემპერატურა, გლუვია თუ ხორკლიანი, რბილია თუ მაგარი.

კანი გრძნობის ორგანოა.

მასწავლებელი შოკოლადის ფილას იმდენ ნაწილად ყოფს, რამდენი ბავშვიცაა კლასში და სათითაოდ ურიგებს მათ დასაგემოვნებლად. შემდეგ კი სთხოვს, სიტყვით აღწერონ თავიანთი შეგრძნება (სავარაუდოდ: ტკბილია, გემრიელია და ა.შ.)

ენის საშუალებით ადამიანები და ცხოველები განასხვავებენ საკვებს. ენა გრძნობის ორგანოა.

სადისკუსიო კითხვა:

– როგორ გგონიათ, საჭიროა თუ არა ყველა ის შეგრძნების ორგანო, რომელიც ჩამოვთვალეთ? რაში გვეხმარებიან ისინი?

3. მიწი-ლექცია (3-5 წთ)

გარემოს მრავალფეროვნების აღქმა შესაძლებელია შეგრძნების ორგანოების – თვალის, ყურის, ცხვირის, ენისა და კანის საშუალებით. ყოველდღიურ ცხოვრებაში შეგრძნების ორგანოები ადამიანს ეხმარება აღიქვას და ამოიცნოს სხეულები მათი მახასიათებლების (ფერი, სუნი, ფაქტურა, ფორმა, ხმა) მიხედვით. შეგრძნებები იცავენ ადამიანს საფრთხისგან (მაგ., ქუჩაში მოძრაობისას) აძლევენ საშუალებას აღიქვან გარემოში მომხდარი ცვლილებები.

საჭიროა, ადამიანი გაუფრთხილდეს შეგრძნების ორგანოებს და დაიცვას ჰიგიენის ელემენტარული ნორმები, ეს უკანასკნელი კი აუცილებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

ცხოველებიც აღიქვამენ სამყაროს გრძნობის ორგანოების დახმარებით. მათთვის შეგრძნების ორგანოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტრისგან თავის დაღწევისა და საკვების მოპოვებისთვის.

თქვენი აზრით, რომელი გრძნობის ორგანო აქვთ განსაკუთრებულად განვითარებული ცხოველებს?

4. ვიდეომასალის ჩვენება და განხილვა (4-5 წთ)

5. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ჩამოათვლევინებს გრძნობის ორგანოებს და მათ მნიშვნელობას ცოცხალი ორგანიზმებისთვის.

6. საშინაო დავალება:

გამოჰკითხეთ მშობლებს, ბებია-ბაბუას, მეზობლებს ცხოველებთან დაკავშირებული რაიმე საინტერესო ამბავი და შემდეგი გაკვეთილისთვის გვიამბეთ.

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=1tTKLE72fJI>

გაკვეთილი 32

თემა:	შეგრძნების ორგანოები
გაკვეთილის სათაური:	ექიმი და ნამლები
გაკვეთილის მიზნები:	<p>მოსწავლეებმა შეძლონ ექიმის მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება;</p> <p>ინტერვიუს მომზადება (მკურნალობასთან, ჯანმრთელობასთან და ნამლებთან დაკავშირებული კითხვების მოფიქრება და ჩამოყალიბება);</p> <p>ნამლების მოხმარებისადმი სწორი, ფრთხილი დამოკიდებულების ჩამოყალიბება;</p> <p>მარტივი კითხვების დასმა (თემატიკიდან გამომდინარე);</p> <p>საჭირო ინფორმაციის მოგროვება;</p> <p>კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება.</p>
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	<p>ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;</p>

**შედეგი თვალსაჩინოა,
თუ მოსწავლე:**

სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;
უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;
აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);
იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.
ახალი სიტყვები: აბი, მალამო, რეცეპტი, დოლბანდი (ბინტი), სურდო, ანგინა
საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელო მუშაობა (7-8 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს აუწყებს, რომ სახელმძღვანელოს ერთ-ერთ პერსონაჟს რაღაც შეემთხვა და სთავაზობს მის „მონახულებას“. ამისთვის მათ უნდა მოძებნონ სახელმძღვანელოს ის გვერდი, სადაც ლოგინში მწოლიარე ბიჭი და ექიმი არის დახატული.

სურათის აღწერა და საუბარი უნდა წარიმართოს შემდეგნაირად:

- რა მოსვლია ჩვენს მეგობარს? რატომ წევს ლოგინში?
- ვინ არის მასთან მოსული?
- ვინ გამოიძახა (მოიწვია) ექიმი?
- როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცევა ექიმი?

იმავე გვერდზე (ქვედა ნაწილში) ხატია სხვადასხვა საგანი, მათ შორის: თერმომეტრი, ფონენდოსკოპი, რეცეპტის ფურცელი, აბები. მოსწავლეებმა წყვილებში უნდა გააგრძელონ მუშაობა, ამოიცნონ, რა საგნები დასჭირდება ექიმს ბიჭისთვის და გააფერადონ.

2. ჯგუფური მუშაობა – როლური თამაშები (8-10 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად და გასათამაშებლად (პანტომიმით) აძლევს შემდეგ სცენებს:

- I ჯგუფი – ბავშვი კბილის ექიმთან;
- II ჯგუფი – ბავშვი ყელ-ყურის ექიმთან;
- III ჯგუფი – ბავშვი კანის ექიმთან;
- IV ჯგუფი – ბავშვი თვალის ექიმთან.

თამაშის დროს ბავშვებმა შესტ-მიმიკით უნდა განასახიერონ, რომელი ექიმის მომსახურება სჭირდებათ. თითოეული ჯგუფი თავის სცენას გაითამაშებს, სხვებმა კი უნდა ამოიცნონ, რა „სჭირს“ ბავშვს და რომელი ექიმი სინჯავს (ან მკურნალობს) მას.

3. სახელმძღვანელო მუშაობა (5-6 წთ)

მასწავლებელი ამბობს, რომ ავადმყოფობასა და ექიმზე ლაპარაკის დროს რამდენჯერმე დაგვჭირდა სიტყვა „ნამლის“ გამოყენება.

- ყველამ ვიცით ნამლის ამოცნობა?

სახელმძღვანელოს იმავე გვერდზე მოსწავლეები ისევ აკვირდებიან ქვედა ნაწილში მოცემულ საგნებს, მათ უნდა ამოიცნონ ნამლები.

მასწავლებლის შეკითხვები:

- როგორ ამოიცანით ეს ნამლები?
- რით განსხვავდებიან ეს ნამლები ერთმანეთისგან?
(სახელმძღვანელოში მოცემულია აბები, მალამო და წვეთები).

4. საკლასო დისკუსია (6-7 წთ)

მასწავლებელი წამლის თემაზე აგრძელებს საუბარს და სადისკუსიოდ სვამს შემდეგ კითხვებს:
– შეიძლება თუ არა წამლის დაღვევა უფროსის ნებართვის გარეშე? რატომ?
მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, დისკუსიის ბოლოს კი მასწავლებელს შეუძლია კომენტარი გააკეთოს და შეაჯამოს დისკუსია.

5. ექიმის მოწვევა

მასწავლებელს ამ გაკვეთილზე მოწვეული ჰყავს ბავშვთა ექიმი (ეს შეიძლება იყოს მშობელი, სკოლის ექიმი ან მასწავლებლის ახლობელი), რომელიც წინასწარ ჰყავს გაფრთხილებული ამ გაკვეთილის შინაარსისა და აქტივობების შესახებ.

ექიმი გაცნობა ბავშვებს და საუბრობს თავისი პროფესიის აუცილებელ გარეგნულ ატრიბუტებზე: რატომ აცვიათ თეთრი ხალათი, რატომ იკეთებენ პირბადეს და სხვ.

შემდეგ ექიმი მოუთხრობს ამ პერიოდისთვის (ზამთრისთვის) დამახასიათებელ ვირუსულ ან სხვა სნეულებებზე და იმის შესახებ, თუ როგორ აირიდონ ისინი თავიდან.

სასურველი იქნება, თუკი ექიმი კლასიდან პირობითად გამოარჩევს რამდენიმე მოსწავლეს (რომელთაც ვითომ აქვთ სურდო, ხველება ან ავადმყოფობის სხვა ნიშანი) და იქვე გასინჯავს მათ, თან უნდა განმარტოს, რა მნიშვნელობა აქვს მის თითოეულ მოქმედებას (მაგალითად, რას იგებს ყელში ჩახედვით ან ფილტვების მოსმენით).


შემდეგ ექიმი ახსენებს სიტყვა „რეცეპტს“, ახსნის მის მნიშვნელობას და გასინჯულ ბავშვებს პირობითად „გამოუწერს“ წამლებსა და დანიშნულებას (ხდება ავადმყოფის გასინჯვის გათამაშება, სიმულაცია).

6. ჯგუფური მუშაობა – კითხვები ექიმს (4-6 წთ)

მუშაობა გრძელდება არსებულ 4 ჯგუფში. თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს მისთვის საინტერესო 2 შეკითხვა და დაუსვას ექიმს.

ექიმი შეძლებისდაგვარად მოკლედ პასუხობს ამ შეკითხვებს, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი, ვრცელი პასუხების გაცემას.

- მასწავლებელი დაფის ცენტრში წერს სიტყვას „წამალი“ და ბავშვებს სთხოვს, გაიხსენონ ყველა სიტყვა, რომელიც წამალთან დაკავშირებით ახსენდებათ, მასწავლებელი ამ სიტყვებსაც წერს დაფაზე და ქმნის ასოციაციური კავშირების რუკას. ეს სიტყვები შეიძლება იყოს წამლების დასახელებები, წამლის დანიშნულებები, საშიშროებები და სხვ. სავარაუდოდ, ამ ასოციაციური რუკის გამოყენება შემდეგ ეფექტური იქნება წამალზე დისკუსიის ჩატარების დროს:



7. გაკვეთილის შეჯამება (3-4 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=iFnRQn9bT8Y>

ბაკვეთილი 33

თემა:	ჯანმრთელობის სადარაჯოზე
გაკვეთილის სათაური:	გინდა ჯანმრთელი იყო?
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა გააცნობიერონ ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობა ჯანმრთელობისთვის; მოსწავლეებმა გამოიკვლიონ ორგანიზმში მიმდინარე ზოგიერთი ცვლილება (გულისცემა, სუნთქვა) ფიზიკური ვარჯიშის დროს; მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ დადებითი დამოკიდებულება ფიზიკური ვარჯიშისადმი; სხეულის თვისებების და მდგომარეობის აღწერა სხვადასხვა ხელსაწყოს დახმარებით.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; იყენებს სხვადასხვა მარტივ ხელსაწყოს (ლუპა, ფონენდოსკოპი) შეგრძნების გაძლიერების მიზნით და აღწერს სხეულის თვისებებს, რომლებიც ამ ხელსაწყოების გამოყენებისას გახდა თვალსაჩინო;
საჭირო მასალა:	სახელმძღვანელო, ფონენდოსკოპი ან სტეტოსკოპი, ფანქრები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელოზე მუშაობა (4-5 წთ)

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე მოცემულია ორი ფოტოსურათი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ ეს სურათები ერთმანეთს და უპასუხონ კითხვებს:

- რა განსხვავებაა ამ ადამიანების აღნაგობას შორის?
- რა განსხვავებაა მათ კუნთებს შორის?
- რომელი უფრო ძლიერია?
- რომლის სხეულია უფრო ლამაზი?
- რომელი ჩანს უფრო ჯანმრთელი?
- რომელია ნავარჯიშები და რომელი არა?

2. საკლასო დისკუსია (3-4 წთ)

მასწავლებელი წარმართავს საკლასო დისკუსიას შემდეგი კითხვებით:

- როგორ გამოიყურება ჯანმრთელი და ძლიერი ბავშვი?
 - რა უნდა აკეთოს ადამიანი იმისთვის, რომ ჯანმრთელი იყოს?
- (მასწავლებელს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი კითხვებიც, სანამ პასუხებს შორის არ

მოისმენს მისთვის სასურველ ვერსიას – იმას, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიში).

3. დაკვირვება გულისცემასა და სუნთქვაზე (10-11 წთ)

მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს, გამოიკვლიონ, რა ცვლილებები ხდება სხეულში ვარჯიშის დროს. ამისთვის ფონენდოსკოპით ან სტეტოსკოპით რამდენიმე მოსწავლეს მოასმენინებს 2-3 თანაკლასელის გულისცემას. შემდეგ მთელი კლასისთვის ატარებს 3-5 წუთიან ფიზიკურ ვარჯიშებს (ხტუნვა ადგილზე, ბუქნები...). ვარჯიშის შემდეგ იმავე მოსწავლეებს ისევ მოუსმენენ გულისცემას.

საუბარი უნდა წარიმართოს მასწავლებლის შემდეგი კითხვების მიხედვით:

- როდის უფრო ჩქარი იყო გულისცემა – ვარჯიშამდე თუ ვარჯიშის შემდეგ?
- სუნთქვა აგიჩქარდათ თუ შეგინელდათ?
- რა იგრძენით ვარჯიშის შემდეგ? (*სხეულის გათბობა, დაღლა, სიამოვნება...*)
- როგორ ხასიათზე დაგაყენათ ვარჯიშმა?
- რას გამოყოფს ადამიანის კანი ვარჯიშის დროს?
- რა სჭირდება გაოფლილ სხეულს? (*დაბანა, ოფლის მოშორება*)

4. მუშაობა ნყვილებში (5-6 წთ)

მასწავლებლის დავალებით მოსწავლეები ნყვილებში ერთმანეთს უყვებიან წინა დღის მოქმედებებს (ანუ იხსენებენ, რას აკეთებდნენ მთელი დღის განმავლობაში) გალვიძებიდან დაძინებამდე (ადგომა, საუზმე, სკოლაში წასვლა, მეცადინეობა, თამაში, ტელევიზორის ყურება...).

შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას: ვინმემ თუ ახსენა, რომ ივარჯიშა? ხელი ასწიოს იმ მოსწავლემ, რომელმაც გუშინ ივარჯიშა.

მასწავლებელი ამ ბავშვებს სთხოვს ფეხზე ადგნენ და უპასუხონ მის შემდეგ კითხვებს:

- როდის ვარჯიშობთ ხოლმე?
- რატომ ვარჯიშობთ?
- როგორ გრძნობთ თავს ვარჯიშის დროს? ვარჯიშის შემდეგ? (*ადამიანები, ჩვეულებრივ, ფიზიკური ვარჯიშის დროს და შემდეგ თავს ძალიან კარგად გრძნობენ და კარგ ხასიათზე არიან.*)
- როგორ ფიქრობთ, რომელი ადამიანია უფრო ძლიერი: ვინც ვარჯიშობს, თუ ვინც არ ვარჯიშობს?
- რომელი ადამიანია უფრო ჯანმრთელი: ვინც ვარჯიშობს თუ ვინც არ ვარჯიშობს?

5. სახელმძღვანელო მუშაობა (4-5 წთ)

სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდის ქვედა ნაწილში მოცემულია კითხვა – „რა მჭირდება ჯანმრთელობისთვის?“ მასწავლებელი კლასს უსვამს შეკითხვას და სთხოვს აღწერონ სამი სურათი: ბავშვები თამაშობენ ბუნებაში, ბავშვები ვარჯიშობენ და ბავშვები საჭმელს ჭამენ. შემდეგ კი გადაშალონ სამუშაო რვეული. სურათებს ქვემოთ მოცემულია შესაბამისი წარწერები. მოსწავლეებმა უნდა ამოიკითხონ ეს წარწერები და ხაზებით დაუკავშირონ შესაბამის სურათებს, სასურველია, მოსწავლეებმა ახსნან:

- რატომ არის აუცილებელი და სასარგებლო ბუნებაში, სუფთა ჰაერზე თამაში?
- რატომ არის სასარგებლო ფიზიკური ვარჯიში?
- რატომ არის სასარგებლო სწორი და მრავალფეროვანი კვება?

6. საკლასო დისკუსია (2-3 წთ)

მასწავლებელი ატარებს დისკუსიას შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- რას ნიშნავს სიტყვა „გაკაჟება“?
- რა არის საჭირო სხეულის გაკაჟებისთვის?

7. გაკვეთილის შეჯამება (3-4 წთ)

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ბაკვეთილი 34

თემა: ჯანმრთელობის სადარაჯოზე
გაკვეთილის სათაური: ვივარჯიშოთ ყველამ ერთად!
გაკვეთილის მიზნები: მოსწავლეებმა გააცნობიერონ სისტემატური ფიზიკური ვარჯიშების შესრულების აუცილებლობა;
მოსწავლეებმა შეძლონ მარტივი ფიზიკური ვარჯიშების სწორად შესრულება და დამახსოვრება;
მარტივი კითხვების დასმა;
პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა;
ინფორმაციის შეგროვება;
მარტივი ინსტრუქციების გაცემა, თავად შესრულება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები: ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;
ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;
უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;
აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);
ასრულებს და თავადაც გასცემს მარტივ ინსტრუქციებს, არა უმეტეს 1-2 მიმართულებისა (მაგ., წინ და მარჯვნივ) სკოლის ტერიტორიაზე ორიენტირებისთვის.

საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები და ფლომასტერები, ფოტოაპარატი.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი ვარჯიშის მნიშვნელობაზე (7-8 წთ)

მასწავლებელი საუბრობს სწორ კვებასა და ძილზე. აღნიშნავს, რომ არასწორი კვება, ბევრი ტკბილეულის მიღება აზიანებს კბილებს და ასევე ამბობს, რომ აუცილებელია გაუფრთხილდეთ მხედველობას. მასწავლებელი მიუთითებს კითხვის და მეცადინეობის დროს სწორად ჯდომის აუცილებლობაზე; აღნიშნავს, რომ კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა და თამაში მავნებელია თვალებისთვის, ხერხემლისა და ზოგადად, ორგანიზმისთვის.

მასწავლებელი საუბრობს ვარჯიშის მნიშვნელობაზე ჯანმრთელობისათვის.

2. სახელმძღვანელოზე მუშაობა (6-7 წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს მიუთითებს სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე, რომელზეც ჩვენი მეგობრები ვარჯიშობენ და ახლა ორ ვარჯიშს სთავაზობენ შესასწავლად მოსწავლეებს.

მართლაც, ბავშვები ნახავენ სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდს, რომელზეც წიგნის პერსონაჟები სხვადასხვა სავარჯიშო პოზაში არიან. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი მოძრაობებია მოცემული ნახატებზე და შეასრულონ.

3. ვარჯიშების შესწავლა (4-15 წთ)

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი დაადგენს ვარჯიშის მსურველი მოსწავლეების რაოდენობას, სთავაზობს სხვადასხვა ვარჯიშს. მასწავლებელი სთხოვს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ფიზიკურად ვარჯიშობენ (და ეს გამოვლინდა წინა მედიცინობაზე), მორიგეობით გამოვიდნენ და ერთი-ორი ვარჯიში ასწავლონ თანაკლასელებს. გამოსული მოსწავლე ასრულებს ვარჯიშს რამდენჯერმე და თან განმარტებებსაც იძლევა; სხვები კი იმეორებენ და ცდილობენ დაიმახსოვრონ (ვარჯიშის დროს ოთახში სარკმელი აუცილებლად უნდა გაიღოს). ვარჯიშები უნდა იყოს მსუბუქი და მარტივი, რათა ბავშვები არ გადაიღალონ.

4. სამუშაო რეჟიმი მუშაობა (5-6 წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ადამიანები სავარჯიშოდ ხშირად სხვადასხვა საგანს იყენებენ. რამდენიმე ასეთი საგანი მათ რვეულშიც არის მოცემული. ისინი უნდა დაუკვირდნენ ნახატებს, ამოიცნონ ეს საგნები და ხაზებით დაუკავშირონ შესაბამის სიტყვებს. შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ ნახატი გააფერადონ.

5. ნყვილები მუშაობა (2-3 წთ)

მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, გადანყვიტონ და მენყვილებს მოახსენონ, თუ როგორ შეცვლიან თავიანთ დღის განრიგს – დაიწყებენ თუ არა ფიზიკურ ვარჯიშს? თუ დაიწყებენ, დღის რომელ მონაკვეთში ივარჯიშებენ?

შემდეგ მენყვილები ამბობენ: ვისი მენყვილე აპირებს ფიზიკური ვარჯიშების შესრულებას და ვისი – არ აპირებს.

მასწავლებელი აჩვენებს და ასწავლის ვარჯიშთან დაკავშირებულ შემდეგ სიტყვებს: დოინჯი, განმკლავი, ბუქნი, ზნეკი (წელში გადალუნვა, გადაზნეკვა).

6. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

7. შეხვედრა სტუმართან (5-6 წთ)

მასწავლებელს ამ გაკვეთილისთვის სკოლაში მოწვეული ჰყავს იმ ქალაქში (სოფელში, რაიონში...) ცნობილი სპორტსმენი, რომელთანაც წინასწარ არის მოლაპარაკებული გაკვეთილის მიზნებსა და შინაარსზე. სტუმარი იხსენებს საინტერესო ეპიზოდებს თავისი ცხოვრებიდან, უყვება ბავშვებს, როგორ ვარჯიშობდა ბავშვობაში, როგორ იკაჟებდა სხეულს, როგორ დიდდება და ძლიერდება კუნთები სისტემატური ვარჯიშებით, როგორ უყალიბდება ადამიანს ვარჯიშით ლამაზი სხეული და იშორებს ზედმეტ ცხიმს, რამდენად აუცილებელია ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიში ჯანმრთელობისთვის და ა.შ.

მოსწავლეები უსმენენ, უსვამენ კითხვებს, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს... კარგი იქნება, თუ სახსოვრად სტუმართან ერთად ფოტოებსაც გადაიღებენ.

გაკვეთილი 35

თემა:	გაზაფხული
გაკვეთილის სათაური:	გაზაფხულის მობრძანება
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა; წელიწადის დროების დასახელება და მათ განმასხვავებელ ნიშნებზე მსჯელობა; თითოეული წელიწადის დროისთვის დამახასიათებელ ამინდზე საუბარი; წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის ჩამოთვლა;

ცხოველებისა და მცენარეების დამახასიათებელი ცვლილებების გააზრება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში;

განასხვავებს დღე-ღამის მონაკვეთებს – დილა, შუადღე, საღამო, ღამე და უკავშირებს საკუთარ აქტივობას/საქმიანობას;

ასახელებს და ადარებს ერთმანეთს წელიწადის დროებს, მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, საუბრობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე;

ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით.

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. მოთხრობის მოსმენა და წელიწადის დროის ამოცნობა (3-4 წთ)

მასწავლებელი კითხულობს მოთხრობას და სთხოვს ბავშვებს ამოიცნონ, წელიწადის რომელი დროა აღწერილი მასში.

„ქვეყანა თანდათან თბება. თოვლი მინდორსა და მთებში დნება... მდინარეები საშინლად ადიდდა. სითბომ მთელი დედამიწა გააღვიძა. გადნა თუ არა თოვლი, ველზე მაშინვე მწვანე ბალახმა ამოყო თავი. აქა-იქ ადრეული ყვავილებიც გაიშალა. სითბომ ხეებიც ზამთრის ძილიდან გამოაფხიზლა: ჯერ კოკორი გამოიჩანა ხეებმა, მერე თეთრი ყვავილები გადაიშალა და ბოლოს ხშირი ფოთლებით შეიმოსა.“

წელიწადის ამ დროს თან მრავალი ფრინველი მოსდევს. აგერ რაღაცამ მალლა ცაში დილით ზარივით სიმღერა შემოსძახა: ეტყობა, ტოროლა მოსულა. მალე მერცხლებიც გვეწვევიან. შროშანი, მოლალური, ღაღლა, მწყერი, გუგული ერთი მეორეს შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სიხარულით ბრუნდებიან. მინდორი, ტყე და ჭალა სხვადასხვა ფრინველით ივსება. ამათი გალობა და ჭიკჭიკი, ჭყვივლი და სტვენა მთელს ბუნებას აღვიძებს“.

(ი. გოგებაშვილის „გაზაფხულის“ მიხედვით).

2. საუბარი გაზაფხულზე (4-5 წთ)

მასწავლებელი წარმართავს საუბარს შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- როგორ მიხვდით, რომ ამ მოთხრობაში გაზაფხულია აღწერილი?
- წელიწადის რომელ დროს მოსდევს გაზაფხული?
- როგორ იცვლება ბუნება გაზაფხულზე?

(დათბა; დღე გაიზარდა, ღამე შემცირდა. მზე უფრო ხანგრძლივად არის ცაზე. თოვლი დნება (ან დადნა), მცენარეები იწყებენ შეფოთლვას და აყვავებას; ბალახით იფარება მინდორ-ველი; ფრინველები ბრუნდებიან ჩვენს ქვეყანაში და სხვ.).

- ვის ახსოვს, რომელი თვეებია ზამთარში? შემოდგომაზე?
- რომელია გაზაფხულის თვეები? (ახლა რა თვეა?)
- (მოსწავლეების კარნახის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს გაზაფხულის თვეებს).
- რამდენი თვე ყოფილა გაზაფხულზე?
- რომელი თვით იწყება გაზაფხული?

3. თამაში „გაზაფხულის თვეები“ (5-7 წთ)

გაზაფხულის თვეების კარგად დასამახსოვრებლად მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს იმის ანალოგიურ თამაშს, რომელიც მათ ადრე ზამთრის თვეებზე ითამაშეს. ეს არის თამაში ტაშით. მასწავლებელი დაფაზე მარტს მიუწერს ერთიანს, აპრილს – ორიანს და მაისს – სამიანს. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტს შეესაბამება 1 ტაში, აპრილს – 2 ტაში და მაისს – 3 ტაში.

მასწავლებელი რამდენჯერმე არეულად უკრავს ტაშს – ხან ერთხელ, ხან სამჯერ, ხან ორჯერ, ხან ისევ სამჯერ და ა.შ. თითოეულ ჯერზე მოსწავლეებმა უნდა გამოიციონ თვე და დაასახელონ.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კარგად დაუკვირდნენ ტაშის თანმიმდევრობას: ჯერ 1 ტაში, მერე – 2 ტაში, ბოლოს – 3 ტაში. მასწავლებელი დასძენს, რომ გაზაფხულის თვეები სწორედ ამ თანმიმდევრობით მისდევენ ერთმანეთს და მოსწავლეებს გაამეორებინებს გაზაფხულის თვეებს: მარტი, აპრილი, მაისი.

4. მუშაობა სამუშაო რვეულში (5-7 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე (ზედა ნაწილში) ხატია ჩვენი პერსონაჟები, რომლებიც გაზაფხულის მოსვლას გაუხარებია. მოსწავლეებმა ჯერ უნდა გააფერადონ გაზაფხულის პეიზაჟი და შემდეგ ნახატის მიხედვით აღწერონ. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილებინოს ფერთა სიჭრელზე და გაზაფხულისთვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებზე.

5. სახელმძღვანელო მუშაობა (4-5 წთ)

სახელმძღვანელოს მოცემული გვერდის ქვედა ნაწილში („გაზაფხულის მახარობლები“) ხატია ია და ენძელა. იქვეა დანერილი მათი სახელები. მოსწავლეებმა უნდა ამოიციონ, რომელია ია და რომელი ენძელა, ნახატები ხაზებით დაუკავშირონ შესაბამის წარწერებს. შემდეგ კითხვით მიმართავს კლასს: როგორ გეხმობა გამოთქმა „გაზაფხულის მახარობლები“.

6. ჯგუფური მუშაობა (4-5 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს სამ-სამ თაბახის ფურცელს. ერთ ფურცელს აწერია „შემოდგომა“, მეორეს – „ზამთარი“, მესამეს – „გაზაფხული“. მოსწავლეებმა თითოეული ფურცელი უნდა გააფერადონ (არაფერს არ ხატავენ, მხოლოდ ფერები დააქვთ) და შემდეგ ჯგუფებმა ახსნან, თუ რატომ შეურჩიეს ამა თუ იმ წელიწადის დროს ეს ფერები.

7. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=Vrz1Wz-usuk>

გაკვეთილი 36

თემა:	გაზაფხული
გაკვეთილის სათაური:	დღე და ღამე
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ დღე-ღამისა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა/ამოცნობა; დღე-ღამის განმავლობაში დაკვირვებადი ცვლილებების დასახელება; დღე-ღამის მონაკვეთების განსხვავება და საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირება;

კვირის დღეების დასახელებების ჩამოთვლა/დამახსოვრება და მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით დაყოფა; მიმართვითი ტერმინების გამოყენება; დაკვირვების საფუძველზე ნახატის შექმნა.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

იყენებს შესაბამის მიმართებით ტერმინებს (მაგ., შორს, ახლოს, ჩემგან მარჯვნივ, ჩემ ზემოთ, ქვემოთ) და განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობას საკუთარი თავის მიმართ;

დაკვირვების საფუძველზე ქმნის სკოლის ნახატს, საუბრობს იმ დეტალებზე, რომლებმაც მისი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია;

ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში;

განასხვავებს დღე-ღამის მონაკვეთებს – დილა, შუადღე, საღამო, ღამე და უკავშირებს საკუთარ აქტივობას/საქმიანობას;

ჩამოთვლის კვირის დღეებს, განასხვავებს კვირის დღეებს მათთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით (მაგ., სასწავლო დღე – უქმე დღე/დასვენების დღე).

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელოში მუშაობა (4-5 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დააკვირდნენ მითითებულ გვერდზე ორ ფოტოს: ერთზე ქალაქის უბანი დღისითაა გადაღებული, მეორეზე – ღამით, როცა ქუჩები და სახლები ელექტრონათურებითაა განათებული.

მასწავლებლის სავარაუდო შეკითხვები:

- რით არის განათებული ქალაქი I ფოტოზე? II ფოტოზე?
 - რა დროა I ფოტოზე – დღე თუ ღამე? მეორეზე?
 - რით განსხვავდება დღის ცა ღამის ცისგან ამ სურათებზე?
 - რა ჩანს ხოლმე ღამით მოწმენდილ ცაზე? დღისით?
- (დასკვნა: დღისით სინათლეს მზისგან ვიღებთ, მზე გვინათებს).

2. საუბარი დღე-ღამის მონაკვეთებზე (5-6 წთ)

მასწავლებელი: „იქ, სადაც სინათლე არ არის, ბნელა. ყოველი დღის ბოლოს მზის სინათლე იკლებს, სინათლის ადგილს სიბნელე იკავებს.“

ამ დროს ჩვენ ვამბობთ, რომ ღამეა. ღამით ცაზე ვარსკვლავები და მთვარე ჩანს ხოლმე. მათი ნათება ძალიან სუსტია, ამიტომ ჩვენთან, დედამიწაზე, ღამით ბნელა.

ღამის შემდეგ ახალი დღე იწყება, მზე ამოდის და არემარე ნათდება.“

– რა ჰქვია ამ დროს? (მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომ ამ დროს დილაა). სხვაგვარად – აისი, განთიადი, ალიონი, გარიჟრაჟი, ცისკარი.

– მთელი დღის განმავლობაში მზე გვათბობს და გვინათებს. დღის ბოლოს კი მზე „ჩადის“ და თანდათან ბნელდება. რა ჰქვია ამ დროს, სანამ სულ დაბნელდება? (სალამო). სხვაგვარად: დაისი, მწუხრი, შებინდება.

– ადამიანები რას აკეთებენ დილაობით? თქვენ რას აკეთებთ? (მოსწავლეებმა მორიგეობით უნდა გაიხსენონ, რას აკეთებენ დილაობით).

– შუადღისას რას საქმიანობთ?

– სალამობით რას აკეთებთ?

– ღამით რას აკეთებთ?

– თუ იცით, დაახლოებით რომელ საათზე ღამდება ახლა? (იანვარში სალამოს 6-7 საათზე უკვე ბნელა)

– ზაფხულშიც ასე ადრე ღამდებოდა?

– როდის უფრო გრძელი ღამეებია, ზამთარში თუ ზაფხულში?

(დასკვნა: ზამთარში ადრე ღამდება და ღამე გრძელია, ზაფხულში გვიან ღამდება და ღამე მოკლეა, დღე კი – გრძელი. დღე-ღამის დედამიწის ბრუნვასთან კავშირზე საუბარი ამ ასაკში არაა საჭირო, ამას მომდევნო კლასებში ისწავლიან).

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (5-6 წთ)

სამუშაო რვეულში მოცემულია სხვადასხვა მანათობელი და არამანათობელი საგანი. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. მათ უნდა ამოიცნონ, რომელი საგანი იძლევა შუქს და გააფერადონ. მასწავლებლის კითხვები:

– ამ საგნებიდან რომელია ადამიანის ხელით შექმნილი? (ყველა, მზისა და ვარსკვლავის გარდა).

– ამათგან რომელი იძლევა (ასხივებს) სინათლეს ბუნებრივად? (მზე და ვარსკვლავი).

4. საუბარი კვირის დღეებზე (4-5 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს უხსნის, რომ ყოველ დღეს თავისი სახელი აქვს და სვამს შემდეგ შეკითხვებს:

– დღეს რა დღეა?

– კიდევ რომელი დღეების სახელები იცით?

– აბა ერთად ჩამოვთვალოთ: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა.

(მასწავლებელი დაფაზე წერს ამ სიტყვებს და კიდევ რამდენჯერმე ამეორებინებს ფრონტალურად. მოსწავლეებს ასოებისა და სიტყვების ამოკითხვა ამ დროისთვის უკვე შეუძლიათ).

– სულ რამდენი დღე ყოფილა კვირაში?

– კვირის დღეები იმ თანმიმდევრობით მისდევს ერთმანეთს, როგორც დაფაზეა ჩამონერილი. ე.ი. რომელი დღით იწყება, თქვენი აზრით, ახალი კვირა?

– ორშაბათს რომელი დღე მოსდევს?..

– ხუთშაბათის შემდეგ რომელი დღეა?..

– რომელია შაბათის წინა დღე?

– კვირის 7 დღიდან რომელია ბოლო დღე?

– კვირის რომელ დღეებში ვსწავლობთ?

– რომელი დღეებია უქმე ანუ დასვენების დღეები!

მასწავლებელს შეუძლია ამგვარი კითხვები რამდენჯერმე გაიმეოროს, რათა ბავშვებმა კარგად დაიმასხვრონ დღეების სახელები.

5. თამაში კვირის დღეების დასამახსოვრებლად (8-10 წთ)

მასწავლებელი ფეხზე აყენებს ერთ მოსწავლეს და ეუბნება, რომ ის არის „ორშაბათი“. შემდეგ მეორე მოსწავლეს ააყენებს და ამბობს: „შენ მომდევნო დღე ხარ, რომელი დღე ყოფილხარ?“ (სამშაბათი) და ასე გააგრძელებს, სანამ ყველა მოსწავლეს არ შეხვდება თავისი რიგი და დღე. ამრიგად, პირველი შვიდი მოსწავლის შემდეგ, მერვე მოსწავლე, კვლავ „ორშაბათი“ იქნება, შემდეგ – „სამშაბათი“ და ა.შ. ყველამ უნდა დაიმასხვროს, რომელი დღე შეხვდა. ახლა მასწავლებელი სთხოვს,

ისე დაჯგუფდნენ, რომ ერთად დადგნენ – „ორშაბათები“, „სამშაბათები“, „ოთხშაბათები“... თუ კლასში 14 მოსწავლეა, თითო ჯგუფში 2 ბავშვი მოხვდება, თუ მეტნი არიან, ჯგუფში 2-ზე მეტი მოსწავლე იქნება.

მასწავლებელი აძლევს ბავშვებს შემდეგ დავალებას:

I დავალება: ყველა მოსწავლე უნდა ჩადგეს წრეში ისე, რომ კვირის დღეები თანმიმდევრობით განაწილდეს (ბავშვები უნდა მიხვდნენ, რომ „სამშაბათი“ „ორშაბათის“ შემდეგ დადგეს, მას უნდა მოჰყვეს „ოთხშაბათი“. „კვირის“ შემდეგ თანმიმდევრობა ისევე „ორშაბათით“ იწყება და ა.შ. გრძელდება, სანამ წრე არ შეიკვრება (ბოლოში შეიძლება დღეები არ „მიებას“ ერთმანეთს, ამიტომ პირველ და ბოლო მოსწავლეს შორის დროებით მასწავლებელი ჩადგება).

II დავალება: მასწავლებელი სვამს შეკითხვას, თუ იციან, რას ნიშნავს გამოთქმა „უქმე დღე“. (ანუ დასვენების დღეები – შაბათი, კვირა). უქმე დღეები უნდა გამოვიდნენ წრიდან და წრის შიგნით შექმნან პატარა წრე (მცირე წრე მხოლოდ „შაბათებმა“ და „კვირებმა“ უნდა შეკრან).

III დავალება: ორივე წრეში ბავშვები ხელჩაკიდებულები დგანან.

მასწავლებელი სთავაზობს მათ, რომ დღეები გამოხატონ ტაშით და ბაკუნით:

ორშაბათი – 1 ტაში

სამშაბათი – 2 ტაში

ოთხშაბათი – 3 ტაში

ხუთშაბათი – 4 ტაში (რიტმში 2+2)

პარასკევი – 5 ტაში (რიტმში 2+3)

შაბათი – 2 ბაკუნი

კვირა – 3 ბაკუნი

როცა მასწავლებელი ერთ ტაშს შემოჰკრავს, „ორშაბათები“ უნდა ჩაცუცქდნენ და ისევე წამოდგნენ; ორ ტაშზე ჩაცუცქდებიან „სამშაბათები“ და ა.შ. ყოველ ტაშსა თუ ბაკუნზე შესაბამისი „დღეები“ რეაგირებენ.

6. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

შეჯამების შემდეგ მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას: მათ სამუშაო რვეულში მოცემულია ორი ცარიელი ჩარჩო: დღე და ღამე. ჩარჩოში „დღე“ ჩახატონ მათი ფანჯრიდან დანახული ცა (ლრუბლიანი, ლურჯი, რუხი და ა.შ.), ღამით კი, დაძინებამდე, უნდა გაიხედონ ფანჯარაში, დააკვირდნენ ცას და ქვედა ჩარჩოში ჩახატონ ღამის ცა.

დამატებითი (ან ალტერნატიული) აქტივობა

ჯგუფებში მუშაობა; მასწავლებელი კლასს ყოფს მცირე ჯგუფებად და ურიგებს თითო-თითო ცარიელ ფურცელს. ფურცელზე სვეტად უნდა ჩამოწერონ კვირის დღეები. შემდეგ მოსწავლის რვეულის დანართის ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრან წრეები, ფერები შეურჩიონ თითოეულ დღეს და მათ გასწვრივ ჩააკრან (წიგნში მოცემულია 6 ფერის ქაღალდი, მეშვიდე იქნება თეთრი). ჯგუფებმა უნდა „ახსნან“, რატომ შეურჩიეს ესა თუ ის ფერი კვირის ამა თუ იმ დღეს (ეს სავარჯიშო შეასრულეთ იმ შემთხვევაში, თუ კლასს ანბანი სრულად აქვს გავლილი).

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: https://www.youtube.com/watch?v=aXD_L5pEOzk

<https://www.youtube.com/watch?v=SR0PBq1q68>

გაკვეთილი 37

თემა:

გაზაფხული

გაკვეთილის სათაური:

გაზაფხული ჩვენს ეზოში

გაკვეთილის მიზნები:

მოსწავლეებმა შეძლონ სეზონების მახასიათებლების მიხედვით ნელინადის დროების გარჩევა-განსხვავება;

ბუნებაში მიმდინარე ცვლილებების დაკავშირება საკუთარი შეგრძნების ორგანოებთან;

შესწავლის ობიექტზე დაკვირვება;

სხეულების ამოცნობა, აღწერა, დახარისხება;

ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარების ხელშეწყობა.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის

შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება. ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა,

თუ მოსწავლე:

სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;

აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავია – თვალი და ენა“);

აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად.

ექებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაცელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატი, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).

ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლცვენა) მაგალითებს.

საჭირო მასალა:

თეთრი ფურცლები, კალმები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები. აუდიომასალა: ვივალდის „წელიწადის დრონი“.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. ჯგუფური მუშაობა (3-4 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს შეახსენებს, რომ წინა მეცადინეობაზე შეისწავლეს გაზაფხულის თვეები. მოსწავლეები ასახელებენ გაზაფხულის თვეებს და იხსენებენ შემოდგომის და ზამთრის თვეებსაც.

2. სამუშაო რვეულში მუშაობა (8-10 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე მოცემულია გაზაფხულის ამსახველი ნახატი, რომელშიც მხატვარს შეცდომები „მოსვლია“. კერძოდ, ქალი ყურძენს კრეფს, ბიჭი ცივით მიდის, ხოლო სახლის მარჯვნივ მდგომ ხეს ფოთლები გაყვითლებია და სცვივა. მოსწავლეებმა წყვილებში უნდა დაათ-

ვალერონ ნახატი. აღმოაჩინონ ეს შეცდომები და შემოხაზონ; მათ უნდა განმარტონ, თუ რატომ თვლიან, რომ მხატვარს ამა თუ იმ შემთხვევაში შეცდომა „მოსვლია.“ შემდეგ კი ნახატი გააფერადონ.

3. ლექსების კითხვა გაზაფხულის თემაზე (10-12 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება, რომ გაზაფხულზე ბევრი ლექსია დაწერილი, ვინაიდან ადამიანებს გაზაფხულის მოსვლა ძალიან ახარებთ. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მათაც ისწავლეს ლექსები გაზაფხულზე. მასწავლებელი ბავშვებს ნააკითხებს ნასწავლ ლექსებს გაზაფხულზე; შემდეგ იმავე ჯგუფებს ურიგებს ერთ ან ორ სტროფს მათთვის უცნობი (ახალი) ორი ლექსიდან. ერთში გაზაფხული უნდა იყოს ასახული, მეორეში – ნელინადის სხვა რომელიმე დრო (მასწავლებელს ამისთვის შეუძლია გამოიყენოს შიო მღვიმელის ლექსები). მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი სტროფი ეძღვნება გაზაფხულს და ახსნან თავიანთი მოსაზრება.

4. მუშაობა სამუშაო რვეულში (4-5 წთ)

ბავშვებს მასწავლებელი ეუბნება, რომ სამუშაო რვეულში ერთი დავალება კიდევ აქვთ შესასრულებელი: ვეხმარებით მეგობრებს ცარიელი უჯრების შევსებაში – ისინი უნდა მიხვდნენ, თუ რა ჩახატონ ამ ცარიელ უჯრებში. სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე (ქვედა ნაწილში) მოცემულია მიმდევრობები ორ სხვადასხვა რიგში. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ამ მიმდევრობების კანონზომიერებები და ცარიელ უჯრებში ჩახატონ ოთხი ბალი (ზედა რიგში) და ორი ფოთოლი (ქვედა რიგში).

მასწავლებელი პერიოდულად ამგვარ კითხვებსაც იძლევა:

- რით გრძნობთ (აღიქვამთ), რომ ფოთლები მწვანეა? *(თვალებით)*
- რით გრძნობთ, რომ ყვავილს სუნს აქვს? *(ცხვირით)*
- რით გრძნობთ, რომ ჩიტები ჭიკჭიკებენ? *(ყურებით)*
- რით გრძნობთ, რომ ჰაერი თბილია? *(კანით)*

შემდეგ, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს გაახსენოს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ობიექტები; ამისთვის მან შესაბამისი კითხვები უნდა დასვას:

- ცოცხალ ბუნებას განეკუთვნება თუ არაცოცხალს ხე, ჭიანჭველა, ფრინველი, მინა, ქვა, ფოთოლი, წყალი, მზე?

აქ, შესაძლოა, არაცოცხალ ბუნებას მოსწავლეებმა მიაკუთვნონ ისეთი თვალსაჩინო საგნები, როგორცაა ფანჯარა, შენობა, ქუთუთი, ქუდი და სხვ. ამ შემთხვევაში მასწავლებელს ეძლევა კარგი შესაძლებლობა, განმარტოს, რომ საგნები ჩვენ გარშემო არის როგორც ბუნებრივი, ისე – ადამიანის მიერ შექმნილი, დამზადებული. ადამიანის მიერ შექმნილ საგნებს არ მიაკუთვნებენ ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას.

5. ბუნებაზე დაკვირვება სკოლის ეზოში (5-7 წთ)

მასწავლებელს სკოლის ეზოში გაჰყავს მოსწავლეები. ეზოში გასვლის მიზანია ბუნებაზე დაკვირვება. მოსწავლეები უნდა დაუკვირდნენ და ამოიცნონ გაზაფხულზე, ცოცხალ ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები; ასევე, მოსწავლეები უნდა დაუკვირდნენ და ამოიცნონ არაცოცხალ ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები. ისინი ეზოში ბევრ რამეს შეიძლება დააკვირდნენ: როგორ დაბერილან და დამსკდარან კვირტები ხის ტოტზე თუ ბუჩქზე, როგორ იფოთლება მცენარე, როგორ იწყებს ყვავილი გაშლას, როგორი ყვილ-ხივილი აქვთ ფრინველებს, როგორ ათბობს მზე გარემოს, მინის ნაკვეთზე როგორ ამოსულა ახალი, ნორჩი ბალახი, მწერებიც გამოცოცხლებულან, ჰაერში სასიამოვნო სურნელი იგრძნობა და სხვ.

6. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

მასწავლებელს მოძიებული აქვს ვივალდის სიმფონია „ნელინადის დრონი“. ასმენინებს მოსწავლეებს და სთხოვს, ამოიცნონ ნელინადის დროები.

გაკვეთილი 38

თემა:	მცენარეები
გაკვეთილის სათაური:	მცენარეთა სამყარო
გაკვეთილის მიზანი:	მოსწავლეებმა შეძლონ ძირითადი ნაწილების ამოცნობა და დასახელება; ფრაგმენტებისგან მცენარის მოდელის აწყობა; მსჯელობა ადამიანისთვის მცენარის მნიშვნელობის შესახებ; ლოკალურ გარემოში მცენარეზე დაკვირვებისა და და ამ დაკვირვების შედეგების სხვადასხვა სახით გადმოცემის უნარის განვითარება; საჭირო მონაცემების შეგროვება/ჩანიშვნა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.ი.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.ი.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება. ბუნ.ი.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“); ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი); მსჯელობს ადამიანისთვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობაზე (მაგ., მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასაღამაზებლად; ცხოველებისა და ადამიანების მეგობრობა; საკვები პროდუქტები, რომლებსაც გვაძლევენ ცხოველები); აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მოხინაღრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად. ექვს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატით, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).
საჭირო მასალა:	ვიდეომასალა მცენარეთა მრავალფეროვნების და მათი ზრდა-განვითარების შესახებ;

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელო მუშაობა: (5-6 წთ)

მასწავლებელი:

ყურადღებით დაუკვირდი ამ სამ სურათს.

- რით გვანან და რით განსხვავდებიან ეს მცენარეები ერთმანეთისგან?



მცენარეები იყოფა ხემცენარეებად, ბუჩქებად, ბალახად.

ამოიცანი მცენარეები და განმარტე რატომ დაახარისხეს ასე.

სავარაუდოდ: ხეს ერთი მთავარი, მყარი ღერო აქვს, ბუჩქს – რამდენიმე, ბალახის ღერო რბილი და ნორჩია.

მასწავლებელი წიგნში მიუთითებს ხეზე და უჩვენებს მის ნაწილს.

2. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)



მასწავლებელი მიუთითებს რვეულის შესაბამის გვერდს, რომელშიც ისეთივე კონტურია, როგორც მასწავლებელმა დაფაზე დახატა. მოსწავლეებმა უნდა გააფერადონ კონტური და ნახატის მიხედვით უპასუხონ კითხვებს:

- რა ნაწილებისგან შედგება მცენარე? (ფესვი და ღერო ყავისფრად გააფერადონ, ფოთოლი – მწვანედ, ყვავილი და ნაყოფი/თესლი – ფერადად)
- მცენარეები მრავალგვარია, თუმცა ყველა მათგანს, ერთნაირი აგებულება აქვს.

3. დისკუსია (2-3 წთ)

მასწავლებელი კლასს მიმართავს კითხვით:

– როგორ გგონიათ, რა სჭირდება მცენარეებს არსებობისთვის?

მოსწავლეები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ მცენარეებს არსებობისთვის სჭირდებათ ჰაერი, სითბო, საკვები, სინათლე, წყალი.

4. შამეცნებითი ვიდეოფილმის ჩვენება მცენარეთა ზრდა-განვითარების შესახებ (5-7 წთ)

მასწავლებელი ვიდეომასალის ჩვენების პარალელურად მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე ხსნის მცენარის ზრდა-განვითარების პროცესს. შემდეგ კი კითხვებით მიმართავს მოსწავლეებს:

- სად რგავენ მცენარეებს?
- თუ გამოიცნობთ, წელიწადის რომელ დროს რგავენ მათ?

მოსწავლეები ალბათ ამ კითხვებზე მეტ-ნაკლებად ამომწურავ პასუხს გასცემენ. სასურველია, მასწავლებელმა მათი პასუხი განაგრძოს და მოსწავლეებთან ახსენოს სიტყვა ნიადაგი და განმარ-

ტოს (ნიადაგი ჰქვია მიწის ზედა ფენას, რომელშიც არის მცენარისთვის აუცილებელი საკვები).

რაც შეეხება მცენარეთა დარგვას, სასურველია, მასწავლებელმა მოიძიოს სურათი ან ვიდეო მასალა, რომელშიც ნათლად ჩანს ნელინადის დრო. მოსწავლეებს კი შემდეგი შინაარსის კითხვები დაეხმარებათ, ზუსტად განსაზღვრონ სწორი პასუხები:

- როგორ გგონიათ, შესაძლებელია თუ არა ზამთარში მცენარის დარგვა? (დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება)
- ზაფხულში? დაასაბუთეთ (ცხელა და არ არის ხელსაყრელი).
- ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი მცენარეთა დასარგავად, ძირითადად, გაზაფხულია (რგავენ შემოდგომაზეც). როგორ გგონიათ, რატომ? დაასაბუთეთ.

5. სახელმძღვანელოზე მუშაობა (2-5 წთ)

ყურადღებით დააკვირდით ნიგნში მოცემულ სურათებს:

- სად იმალება პომიდვრის, ბაბუნაწვერას, ვაშლის, ატმის, ლიმონის, ბლის, საზამთროს თესლი?



6. სახელმძღვანელო მუშაობა (4-5 წთ)

მასწავლებელი მიუთითებს სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებზე და სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ – რომელია ზედმეტი? დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება.

რა ნაწილებისგან შედგება მცენარე? (ფესვი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი/თესლი). მასწავლებელი დაფაზე ხატავს მცენარის კონტურს და ავსებს მას მოსწავლეთა პასუხებით.



არყის ხე



ტიტა



ნაბლი



მუხა



ჟოლო



მოცხარი



ნარგიზი



ხურტკმელი



ნეკერჩხალი



გვირილა



შროშანი



ასტრა

7. გაკვეთილის შეჯამება (2-4 წთ)

საშინაო დავალება:

შემდეგი გაკვეთილისთვის დააკვირდით თქვენი ეზოს ნარგავებს, დაახარისხეთ ისინი და შეავსეთ სამუშაო რვეულში მოცემული ცხრილი:

მცენარე	რაოდენობა
ხე	
ბუჩქი	
ბალახოვანი (ყვავილი)	

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=0TAmgYIBkFk>
https://www.youtube.com/watch?v=H_0dAUgC-Xs

ბაკვეთილი 39

თემა:	მცენარეები
გაკვეთილის სათაური:	რა ამშვენებს მინდორს?
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ მცენარეების ძირითადი ნაწილის ამოცნობა და დასახელება; ფრაგმენტებისაგან მცენარის მთლიანი მოდელის აწყობა; ფრაგმენტებისაგან აპლიკაციების შექმნა და კედლის გაზეთის გაკეთება; შეგრძნების ორგანოების დახმარებით დაკვირვება; სხეულის აღწერა; მოსწავლეებში ესთეტიკური გემოვნების განვითარების ხელშეწყობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება. ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას. აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავა – თვალი და ენა“); ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ლერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი); აწყობს ფრაგმენტებისაგან მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის მთლიანი სხეულის მოდელს;
საჭირო მასალა:	ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, მინდვრის ყვავილების თაიგული (ვარდი, ია, იასამანი ფოთლებით), სხვადასხვა ნაყოფი, სხვადასხვანაირი ფოთოლი, მაკრატელი, ნებო, დანართის ფერადი ფურცლები, თაბახის ფურცლები, ბუჩქის ტოტები, ხის ტოტი.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელოზე მუშაობა – სურათის აღწერა (4-5 წთ)

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე (ზედა ნაწილში) მოცემულია ფერადი სურათი: ჩვენი წიგნის პერსონაჟი, სხვა ბიჭებთან ერთად ბურთს თამაშობს მინდორში; აქვე ახლოს გოგონა ყვავილებს კრეფს. მოსწავლეებმა სურათი უნდა აღწერონ და დაახასიათონ მინდორი (მასწავლებლის დამხმარე კითხვები: როგორი ადგილია მინდორი – სწორი თუ უსწორმასწორო? ბალახიანი თუ

ქვიანი? თქვენგან ვინ ყოფილა მინდორში? რატომ გიყვართ მინდორში თამაში? გაზაფხულზე რა ამშვენებს მინდორს?..)

2. პრაქტიკული სამუშაო (5-7 წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სხვადასხვა მცენარეს/მათ ნაწილებს და სთხოვს გამოიკვირონ ისინი, შეადარონ ერთმანეთს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით (ფოთლები – ფორმის მიხედვით, ღეროები – სისქის, სიმაღლისა და სიმაგრის მიხედვით, ყვავილი და ნაყოფი – ფერის, ფორმის, ზომის და ა.შ.).

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

სამუშაო რვეულის მომდევნო გვერდზე მოცემულია ყვავილოვანი მცენარეები: ენძელა, ყაყაჩო, ტიტა, ზამბახი, მიხაკი და გვირილა. იქვე მოცემულია ამ მცენარეების სახელები. მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ წყვილებში. მათ უნდა ამოიციონ ყვავილები და ხაზებით დაუკავშირონ შესაბამის სიტყვებს. შემდეგ ფრონტალურად უნდა მოხდეს დავალების შემოწმება.

შემდეგ იწყება თამაში. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, იძახებს ერთ ნარმომადგენელს, აჩვენებს რამდენიმე ყვავილს, მოსწავლე უნდა დააკვირდეს მათ, დაეცნოს და ხელით შეეხოს. შემდეგ ამ მოსწავლეს თვალს უხვევს, მან მხოლოდ ხელის შეხებითა და ყნოსვით უნდა შეძლოს ყვავილის დასახელება.

4. ჯგუფური მუშაობა (8-10 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ურიგებს თაბახის ფურცლებს, რომლებზეც ჯგუფებმა აპლიკაციები უნდა შექმნან. მასწავლებელი უხსნის ბავშვებს, რომ ფერადი ფურცლებისაგან მათ უნდა გამოჭრან ბალახოვანი მცენარეები, დააკრან თაბახის ფურცელზე და შექმნან აპლიკაცია – „მინდორი გაზაფხულზე“.

პრეზენტაციის დროს მოსწავლეები განმარტავენ, რომელი ყვავილები შეარჩია მათმა ჯგუფმა, რატომ მოსწონთ ეს ყვავილები, რა ფერებია მათ მინდორში და სხვა.

სასურველია, კედელზე მონახოს ადგილი, სადაც ბავშვების ნამუშევრები გაიკვრება და დარჩება. თუ მასწავლებელს დრო დარჩა, სასურველია, მოსწავლეებს წაუკითხოთ ლექსები ყვავილებზე, რომელიც ქართულ პოეზიაში უხვადაა.

5. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

6. საშინაო დავალება

მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, შემდეგ მეცადინეობაზე მიიტანონ მინდვრის ყვავილები. სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=rIT-5hnUxY4>

გაკვეთილი 40

თემა:	მცენარეები
გაკვეთილის სათაური:	ოთახის მცენარეები
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ მცენარის სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობების დასახელება/გააზრება; მცენარეებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულების გამო- მუშავება; სხეულის ამოცნობა, აღწერა, ილუსტრაციაზე და რეალობაში; პირად მოსაზრებებზე დაყრდნობით კითხვაზე პასუხის გაცემა; მცენარის ძირითადი ნაწილების ამოცნობა; მცენარეებზე დაკვირვება და შედეგების სხვადასხვა ფორმით გადმოცემა; საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა-დასაბუთება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის

შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი);

აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მოზინადრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად.

ეძებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატი, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).

საჭირო მასალა:

სხვადასხვა ყვავილი, წვრილი მავთულები ან ძაფები თაიგულებისთვის, თაბახის ფურცლები, მაკრატილი, ნებო, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი – როგორ მოვეუაროთ ყვავილებს? (6-8 წთ)

მასწავლებელი ატარებს საკლასო საუბარს შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- გაიხსენეთ, რა სჭირდება მცენარეს სიცოცხლისათვის?
- რა ნაწილით შეიწოვს მცენარე წყალს?
- რა მოუვა მცენარეს უწყლოდ?
- თუ სჭირდება მცენარეს სითბო და სინათლე? რატომ ფიქრობთ ასე?..
- ვის გაქვთ შინ ოთახის მცენარეები?
- როგორ უვლით ოთახის მცენარეებს?..

2. თამაში ყურადღების გასაპარჯიხებლად (5-7 წთ)

მასწავლებელი ლარნაკში დებს 4-5 სხვადასხვა ყვავილს და აჩვენებს კლასს. მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ ნახევარი წუთის განმავლობაში. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთაგან დაფარულად ლარნაკში ცვლის ყვავილებს (აკლებს ან უმატებს ერთ ყვავილს) და ეკითხება ბავშვებს: „რა შეიცვალა ლარნაკში?“ მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ცვლილება და დაასახელონ. თამაში შეიძლება განმეორდეს რამდენჯერმე.

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (15-17 წთ)

სამუშაო რვეულის მოცემულ გვერდზე, ქვედა ნაწილში ხატია ყვავილი. მასწავლებელი აძლევს დავალებას, გააფერადონ ყვავილი შესაბამისი ფერებით, ფოთოლი – მწვანედ, ყვავილი – ლურჯად და ა.შ.

რვეულის შესაბამის გვერდზე მოცემულია კომიქსები ჩვენი წიგნის პერსონაჟების მონაწილეობით. ოღონდ ეს ექვსი სურათი არათანმიმდევრულად არის დალაგებული.

მუშაობა უნდა წარიმართოს ჯგუფებში. მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ფურცლებს, რომლებზეც მოცემულია ამ კომიქსების თანმხლები წინადადებები. ესენია:

1. დედამ გოგონას ყვავილების თესლი უყიდა.
2. ჩვენმა მეგობრებმა ეზოში მიწა დაბარეს.
3. გოგონამ დაბარულ ნიადაგში თესლი მიმოაბნია.
4. შემდეგ სარწყავით დათესილი ადგილი მორწყა.
5. რამდენიმე დღეში მიწიდან მცენარეების ყლორტი გამოჩნდა.
6. ცოტა ხანში ბავშვებს ამ ადგილას ლამაზი ყვავილები დახვდათ.

მოსწავლეებმა ნახატები უნდა გამოჭრან, ამოიციონ რომელი წინადადება რომელ ნახატს აღწერს, თაბახის ფურცელზე კომიქსები სწორი თანმიმდევრობით განალაგონ (ჩაანებონ და შესაბამისი წინადადებებიც დააკრან ან მიუწერონ). ბოლოს კი გააფერადონ.

4. ჯგუფებში მუშაობა

დავალების თანახმად, მოსწავლეებს ამ მეცადინეობისთვის მოტანილი უნდა ჰქონდეთ ყვავილები. მასწავლებელი ამ ყვავილებს ათავსებს ერთ ყუთში. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად შემდეგი მეთოდით: სხვადასხვა სახეობის ყვავილებს (თითო-თითო ყვავილს) დებს ოთხ მაგიდაზე (მაგალითად, ესენი შეიძლება იყოს ია, ზამბახი, მიხაკი, გვირილა). შემდეგ ყუთით ჩამოივლის მოსწავლეებთან, ბავშვები ხელს ყოფენ ყუთში და იღებენ ამა თუ იმ ყვავილს. ვისაც რომელი შეხვდება, იმ ყვავილის მაგიდასთან ჯდება. ასე შეიქმნება იების, ზამბახების, მიხაკებისა და გვირილების ჯგუფები (მასწავლებელს შეუძლია გარკვეული კორექტივის შეტანა, რათა მოსწავლეები თანაბარი რაოდენობით განაწილდნენ).

ჯგუფების სამუშაო დავალება ასეთია:

მათ უნდა აღწერონ ყვავილი (გარეგნობა, ფერი, სუნი და ა.შ.).

მასწავლებელს შეუძლია ბავშვები გაიყვანოს სკოლის ეზოში ყვავილოვან მცენარეებზე დასაკვირვებლად. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ყვავილი უფითარდება როგორც ბალახოვან მცენარეებს, ისე ბუჩქებს (მაგალითად, ვარდი, იასამანი) და ხეებს (ამასაც აკვირდებიან თუ, რა თქმა უნდა, ამ დროს სკოლის ეზოში რომელიმე ხე ყვავილობს).

5. შეჯამება (2-3 წთ)

გაკვეთილი 41

თემა:	მცენარეები
გაკვეთილის სათაური:	ჩვენი ტყე
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ განიხილონ ტყე, როგორც მცენარეების, ცხოველებისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების საარსებო გარემო, ე.წ. სახლი; წინვოვანი და ფოთლოვანი ხეების ამოცნობა, შედარება და მარტივად დახასიათება; სხეულის ამოცნობა, აღწერა, დახარისხება; კითხვაზე პასუხის გასაცემად პირად მოსაზრებებზე დაყრდნობა; კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება; ტყისადმი დადებითი და მზრუნველობითი დამოკიდებულების გამომუშავების ხელშეწყობა; მცენარეების მნიშვნელობის გაცნობიერება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის

შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენი

ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ლერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი);

მსჯელობს ადამიანისთვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობაზე (მაგ., მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასაღამაზებლად; ცხოველებისა და ადამიანების მეგობრობა; საკვები პროდუქტები, რომლებსაც გვაძლევენ ცხოველები);

ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს;

აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებულ სხეულებს.

საჭირო მასალა:

დიდი ფორმატის ქალაღი, მაკრატელი, ნებო, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი ტყის შესახებ (5-7 წთ)

მასწავლებელი:

- სად იზრდება ხეები? რა ჰქვია ბუნებაში იმ ადგილს, სადაც ბევრი ხე ერთად იზრდება?
- რომელი თქვენგანი ყოფილა ტყეში?
- ხეების გარდა, კიდევ რა იზრდება ტყეში? (*ბალახები, ბუჩქები, სოკოები*).
- ცხელ ამინდში რატომ გრილა ტყეში?
- რატომ არის ტყეში ბევრი ჩრდილი?
- სად გვხვდება სოკოები? (*მინაზე, ხეებზე*)
- ვის სურს გაიხსენოს შთაბეჭდილება, რომელიც მასზე ტყემ მოახდინა?

ამ კითხვის შემდეგ მასწავლებელი საშუალებას აძლევს მსურველებს, გაიხსენონ და გადმოსცენ ტყესთან დაკავშირებული მოგონებები.

2. მუშაობა სამუშაო რეჟიმში (10-12 წთ)

რვეულის შესაბამისი გვერდის ზედა ნაწილში მოცემულია ნაძვისა და მუხის კონტურული სურათები. იქვეა დაწერილი მათი აღმნიშვნელი სახელები. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ სურათებზე ხეები და ხაზებით დაუკავშირონ შესაბამის სიტყვებს.

აქვე მასწავლებელი ადარებინებს ამ ორ ხეს ერთმანეთს და სვამს შეკითხვას:

- რა განსხვავებას ხედავთ მუხასა და ნაძვს შორის?
- რა მსგავსებას ხედავთ ამ ორ მცენარეს შორის?
- ვინ იცის, რა ჰქვია მუხის ნაყოფს? (*რკო*)

- როგორ ფიქრობთ, რომელს მეტი ჩრდილი აქვს – მუხას თუ ნაძვს? რატომ?
- კიდევ რომელ წინვოვან ხეებს იცნობთ? რომელ ფოთლოვან ხეებს იცნობთ?

3. პრაქტიკული სამუშაო (12-13 წთ)

იმავე გვერდის ქვედა ნაწილში მოცემულია ფიჭვის წიწვებისა და მუხის ფოთლების სურათები. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ ისინი და ხაზებით დაუკავშირონ შესაბამის სიტყვებს, რომლებიც ცალკეა მოცემული. („რა განსხვავებაა ფოთოლსა და წიწვს შორის?“)

მასწავლებელი ბავშვებს უსვამს უცნაურ კითხვას: – გინდათ, ჩვენს კლასშიც გავაშენოთ ტყე? ბავშვების დიდ ნაწილს, ალბათ გაუკვირდება (როგორ?), სხვები კი სიხარულით დათანხმდებიან.

მასწავლებლის მითითებით ყველა მოსწავლე იღებს სამუშაო რვეულის იმავე გვერდს, რომელზეც ჩვენთვის უკვე ნაცნობი ორი ხის კონტურია დახატული (ერთი – ფოთლოვანი, მეორე – წიწვოვანი). მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ინდივიდუალურად. მათ ამ ხეებიდან უნდა აარჩიონ ერთ-ერთი, გააფერადონ და გამოჭრან. შემდეგ კედელზე გაკრულ დიდი ფორმატის ქაღალდზე დაანებონ (თუ მრავალრიცხოვანი კლასია, მასწავლებელს 2 ასეთი ფორმატი მაინც დასჭირდება).

ვინაიდან ბავშვები სხვადასხვა დროს ანდომებენ გაფერადებასა და გამოჭრას, იმედია, ყველას ერთად არ მოუწევს კედელთან მუშაობა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა მათ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. ის ბავშვები, რომლებიც ადრე დაამთავრებენ სამუშაოს, რვეულს უნდა დაუბრუნდნენ და მასში მოცემული მეორე ხის კონტურიც გააფერადონ, ოღონდ აღარ გამოჭრან.

ასე იქმნება კლასის ტყე. თუ დრო დარჩა, მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- რას ნიშნავს, თქვენი აზრით, დაბურული ტყე? მეორენაირად რას უწოდებენ დაბურულ ტყეს? (*უღრანი ტყე*).
- რას ნიშნავს, თქვენი აზრით, მეჩხერი ტყე?
- როგორი ტყე გამოვიდა ჩვენს კედელზე – მეჩხერი თუ დაბურული?
- ჩვენს ტყეში ხეები ხმელია თუ ცოცხალი? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ გგონიათ, სჭირდება თუ არა ტყეს გაფრთხილება? (იმსჯელონ ტყის მოვლისა და გაფრთხილების აუცილებლობაზე).
- როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება გაანადგუროს ტყე?

4. საუბარი „რას ამზადებენ ხისგან?“

ამ თემაზე ადრეც ისაუბრეს, მაგრამ ახლაც სასურველი იქნება ამ საუბრის გამეორება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ კლასში არსებული საგნებიდან რომელია ხისგან დამზადებული. მოსწავლეებმა მაქსიმალურად უნდა შეეცადონ ჩამოთვალონ ყველა საგანი და განმარტონ, მათი აზრით, რატომ ამზადებენ ამ საგნებს ხისგან.

5. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

გაკვეთილი 42

თემა:	მცენარეები
გაკვეთილის სათაური:	ტყის ბინადრები
გაკვეთილის მიზნები:	<p>მოსწავლეებმა შეძლონ ტყისადმი დადებითი და მზრუნველობითი დამოკიდებულების გამომუშავების ხელშეწყობა.</p> <p>ტყის ბინადრებისა და მათი საცხოვრებელი გარემოს გაცნობა; შხამიანი და სასარგებლო სოკოების არსებობა და მათთან ურთიერთობის წესების დაცვის აუცილებლობა;</p> <p>სხეულების ამოცნობა, აღწერა, დახარისხება;</p> <p>სხვადასხვა ცხოველის აღწერა-შედარება;</p>

ცოცხალი სხეულების დაჯგუფება – შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთება;

ე.წ. „კლასის ტყეში“ ნადირის დაბინავება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავია – თვალი და ენა“);

იყენებს სხვადასხვა მარტივ ხელსაწყოს (ლუპა, ფონენდოსკოპი) შეგრძნების გაძლიერების მიზნით და აღწერს სხეულის თვისებებს, რომლებიც ამ ხელსაწყოების გამოყენებისას გახდა თვალსაჩინო;

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, მაკრატელი, ნებო. ვიდეომასალა – სოკოებზე.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სამუშაო რეჟიმი მუშაობა – „რა შეეძალა მხატვარს?“ (5-7 წთ)

სამუშაო რეჟიმის შესაბამის გვერდზე (ზედა ნაწილში) ხატია ზაფხულის ტყე: კოდალა შეფოთილი ხეზე, სოკოები ხის ქვეშ, ჩვენი წიგნის პერსონაჟები კალათით სოკოებს აგროვებენ. იქვე, მინაზე, ალაგ-ალაგ თოვლია.

მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომ თოვლი არ უნდა ეხატოს, რადგან გვიანი გაზაფხული ან ზაფხულია. მოსწავლეებმა ნახატი უნდა გააფერადონ და შეეცადონ მხატვრის შეცდომის გამოსწორებას. მასწავლებელი ეკითხება მათ: – როგორ შეიძლება მხატვრის შეცდომის გასწორება? მოიფიქრეთ და იმუშავეთ (ამ შეცდომის გასწორება ადვილია – მიწის თოვლიანი ზედაპირი მწვანედ უნდა გაფერადდეს – ბალახებით მოიხატოს).

2. სახელმძღვანელოში მუშაობა (8-10 წთ)

სახელმძღვანელოში მოცემულია ოთხი სხვადასხვა სოკოს ფოტო. ესენია: მჭადა, მიქლიო, წითელი შხამა და თავჭედილა. მათ მიწერილი აქვთ თავიანთი სახელები. მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს ეს სოკოები და აუხსნას, რომ შხამიანი სოკოები საჭმელად უვარგისია და მონამვლას იწვევს, ხშირ შემთხვევაში სიკვდილსაც, მათი ამოცნობა არცთუ ისე ადვილია და გამოცდილი უფროსების მეთვალყურეობის გარეშე სოკოს დაკრეფა არ შეიძლება.

მასწავლებელმა უნდა დაავალოს მოსწავლეებს, სამუშაო რეჟიმში აირჩიონ მხოლოდ ის სოკოები, რომლებიც საკვებად ვარგისია, გამოჭრან, სურვილისამებრ, ერთ-ერთი და წინა მეცადინეობაზე შექმნილ „კლასის ტყეში“ დააბინაონ (ჩააკრან).

აქვე მასწავლებელი სვამს რამდენიმე შეკითხვას:

- რატომ უნდა გამოვიჩინოთ სოკოს შეგროვებისას სიფრთხილე?
- თუ გსმენიათ, რა შედეგები მოჰყვება სოკოთი მონამვლას?
- როგორ უნდა მოვიქცეთ საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

3. ჯგუფი მუშაობა – „ნადირის დაბინავება ტყეში“ (13-15 წთ)

რვეულის მომდევნო გვერდზე მოცემულია ტყის ნადირი: დათვი, ირემი, მგელი, მელა, ციყვი, გარეული ღორი.

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებებს. მოსწავლეებმა უნდა გააფერადონ ნადირის სურათები. შემდეგ ჯგუფში ინანილებენ დახატულ ცხოველებს ისე, რომ ყველა მოსწავლეს განსხვავებული ნადირი შეხვდეს გამოსაჭრელად (მაგალითად, თუ ჯგუფში 6 მოსწავლეა, ექვსივეს თითო ნადირი შეხვდება, თუ ექვსზე ნაკლები მოსწავლეა, შეეძლება აირჩიონ, რომელი ცხოველები სურთ, რომ გამოჭრან). შემდეგ თითოეული მოსწავლე გამოჭრის იმ ნადირს, რომელიც მას ერგო და დააბინავებს (ჩააკრავს „კლასის ტყეში“).

შემდეგ მოსწავლეებმა მეორე დავალება უნდა შეასრულონ: თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს რაიმე ამბავი, რომელიც მათ ტყესთან იქნება დაკავშირებული. პრეზენტაციის დროს მოსწავლეებს შეეძლება მათ მიერ შექმნილი ტყის თვალსაჩინოებად გამოყენება და ამბის გადმოცემა.

(მასწავლებლის დამატებითი კითხვები:

- რა და რა ნადირი ბინადრობს ჩვენს ტყეში?
- რომელია მათგან მტაცებელი ცხოველი?
- რომელი ნადირი იკვებება მხოლოდ მცენარეებით?..)

4. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

დამატებითი (ან ალტერნატიული) აქტივობა

მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს ტექსტს სოკოებზე რ. ავალიანის ნიგნიდან „ტყის ბილიკებით“:

„ძნელია წარმოიდგინო ტყე სოკოს გარეშე. როგორ ტყეში არ შეხვდები მას: ფოთლოვანში, წიწვიანში თუ შერეულში. სოკოს ძებნაში ისე გაივლი მრავალ კილომეტრს, რომ დაღლას არ იგრძნობ. მესოკოვებს მთავარი იარაღი კალათი და ჯოხია. იგი სოკოს საკრეფად დილით ადრე, მზის ამოსვლამდე მიდის, როცა ცვარი ჯერ კიდევ არ გამშრალა. ამ დროს სოკო უკეთესად ჩანს, მისი ქუდი დროდადრო ბზინავს, თუმცა არავინ იცის, სად რომელი სოკო შეხვდება.

თუ წვიმების შემდეგ თბილი ამინდი დაიჭირა, ტყეში, ხის ძირას, ბალახებში, ბუჩქებში, ხეებზე თუ მორებზე შეამჩნევთ ნიყვს, ქამას, მჭადას, არყას, მიქლიოს, აბედას, შხამას თუ სხვა სოკოებს. ზოგი მათგანი თასს წააგავს, ზოგი ჯამს, ზოგი უცხო ყვავილს, ზოგი ბურთს. ფერი? ძალზე მდიდარია სოკოების ფერთა „პალიტრა“ – თეთრიდან შავამდე ყველა ფერისა და ელფერის ჩათვლით.

საქართველოში 100-ზე მეტი საჭმელი და 15-მდე შხამიანი სოკოა. მართალია, ჩვენს ტყეებში შხამიანი სოკო ბევრი არაა, მაგრამ ისინი მაინც შეიძლება აღმოჩნდნენ კალათში და ადამიანი მოინამლოს. ყოველ წელს სოკოთი მონამვლის და სიკვდილის არაერთი შემთხვევა ხდება.

ტყეში, სოკოს ძებნისას, ჩვეულებრივ ქვემოთ იცქირებიან, მიწაზე. მაგრამ რამდენი სოკო ხარობს ხეებზე! აქ იპოვით ხეთამხალს, რომელიც ასე უყვართ კახეთში, აბედა სოკოს. აბედა სოკოს ცეცხლი ეკიდება და ქარშიც ადვილად არ ქრება. ბევრს უნახავს იგი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ისინი საჭმელი სოკოებია. მათ მსუბუქი, სასიამოვნო სუნის რბილობი აქვთ. აბედა სოკო ხეზეა შეზრდილი და მას წვეს სწოვს. როდესაც ხეს აბედა სოკოები აქვს, ეს იმის ნიშანია, რომ ხე შიგნიდან მთლიანად ღებება“.

რეკომენდაცია:

ამ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ (არ არის აუცილებელი ყველა აქტივობის გამოყენება), კლასის განწყობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

გაკვეთილი 43

თემა:	ცხოველთა სამყარო
გაკვეთილის სათაური:	ჩვენი ოთხფეხა „მეგობრები“
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ შინაური და გარეული ცხოველების განსხვავება. შინაური ცხოველების (ძუძუმწოვრების) ამოცნობა და დასახელება; გარეული ნიშან-თვისებებით (ქცევა, ხმა) შინაური ცხოველების ერთმანეთისგან გარჩევა. სხეულების ამოცნობა, აღწერა, დახარისხება; ცხოველთა დაჯგუფება; ადამიანისთვის ცხოველების მნიშვნელობაზე საუბარი.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის
შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;
ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.

შედეგი თვალსაჩინოა,
თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;
ამოიცნობს, აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი ნითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მჟავია – თვალი და ენა“);
ასახელებს პირადი ჰიგიენის ნივთებს (მაგ., სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი), მსჯელობს ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე.

საჭირო მასალა:

მაკრატელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, აუდიომა-სალა ცხოველთა ხმებით.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სამუშაო რვეულში მუშაობა (12-15 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე ხატია შემდეგი ცხოველები: ძაღლი, კატა, ცხენი, ღორი, ვირი, ძროხა, თხა და ცხვარი. ქვემოთ აქვს წარწერა: „შინაური ცხოველები“, „გარეული ცხოველები“.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წყვილებში დაათვალიერონ ეს სურათები და წაიკითხონ წარწერები; ერთობლივად იმსჯელონ და მიიღონ გადაწყვეტილება: დატოვონ ის წარწერა, რომელიც ამ ცხოველებისთვის შესაფერისად მიაჩნიათ, მეორე კი გადახაზონ.

დავალების შემონმების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება როგორ ესმით ბავშვებს, რას ნიშნავს „შინაური ცხოველები“? რატომ ვუნოდებთ ამ სახელს? რისთვის უვლის და ჰყავს ადამიანს შინაური ცხოველი? რაში იყენებს მათ?

შემდეგ მოსწავლეებმა ცხოველთა ნახატები უნდა გააფერადონ და გამოჭრან.

2. ცხოველების დაჯგუფება (8-10 წთ)

წინა აქტივობაში გამოჭრილი შინაური ცხოველების სურათების დახმარებით მოსწავლეები რამდენიმე დავალებას ასრულებენ. ისინი კვლავ წყვილებში მუშაობენ.

1. რამდენიმე მოსწავლე მორიგეობით აჩვენებს კლასს ყველა ამ ცხოველს და ასახელებს მათ სახელს;

II. წყვილები აჯგუფებენ:

ა) ცხოველებს, რომლებიც ჭამენ ბალახს;

ბ) ცხოველებს, რომლებიც ჭამენ ხორცს;

III. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ და აჩვენონ ის ცხოველები, რომლებსაც აქვთ ბრჭყალები; (ძალი და კატა);

IV. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ და აჩვენონ ის ცხოველები, რომლებსაც აქვთ ჩლიქები (ყველა, გარდა ძაღლისა და კატისა).

V. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ და აჩვენონ ის ცხოველები, რომლებსაც აქვთ რქები (ძროხა, ცხვარი, თხა).

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (5-6 წთ)

სამუშაო რვეულის მომდევნო გვერდზე (ზედა ნაწილში) ხატია რამდენიმე შინაური ცხოველი, იქვე ცალკე წერია სიტყვები: ჭიხვინებს, კნავის, ღრუტუნებს...

მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ცხოველის ხმიანობას რომელი სიტყვა შეესაბამება და ხაზებით დაუკავშირონ.

4. ჯგუფებში მუშაობა (3-5 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, შემდეგ ყველა ბავშვს (დროებით) ჩამოართმევს გამოჭრილ სურათებს და აძლევს ასეთ დავალებას: ჯგუფის წევრებმა პანტომიმით უნდა განასახიერონ ის შინაური ცხოველები, რომლის სურათსაც მასწავლებელი ამ ჯგუფს მაგიდაზე დაუდებს. სხვა ჯგუფების მოსწავლეებმა კი უნდა გამოიცნონ, რას ასახიერებენ. ნათელია, რომ აქცენტი ამ შემთხვევაში კეთდება ცხოველთა ქცევებზე და არა ხმებზე.

5. აბა, გამოიცანი! (2-3 წთ)

მასწავლებელს მომზადებული აქვს შინაური ცხოველების ხმების ჩანაწერი. ასმენინებს ბავშვებს და მათ ხმით უნდა გამოიცნონ თითოეული ცხოველი.

6. რამდენია? (2-3 წთ)

მეცადინეობა მთავრდება რვეულში (გვერდის ქვედა ნაწილში) მოცემული კიდევ ერთი სავარჯიშოთი. რამდენიმე სხვადასხვა შინაური ცხოველის კონტური ერთმანეთზე დადებული, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, სულ რამდენი ცხოველია და დაასახელონ ისინი (ძროხა, ცხენი, ძაღლი...).

7. გააკვიტილის შეჯამება (1-2 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=HgP34DdyYU>

<https://www.youtube.com/watch?v=HwPeYXwXk>

<https://www.youtube.com/watch?v=9uO3u7JoUIk>

გაკვიტილი 44

თემა: ცხოველთა სამყარო

გაკვიტილის სათაური: შინაური ფრინველები

გაკვიტილის მიზნები: მოსწავლეებმა შეძლონ ფრინველების შედარება ძუძუმწოვრებთან და თვალსაჩინო განმასხვავებელი ნიშნების დასახელება; შინაური ფრინველების ამოცნობა და დასახელება; ხმიანობის მიხედვით შინაური ფრინველების გარჩევა; სხეულების ამოცნობა, აღწერა, დახარისხება; პირად მოსაზრებებზე დაყრდნობით კითხვაზე პასუხის გაცემა; კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება; სხვადასხვა ცხოველის სხეულის ნაწილების აღწერა/შედარება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის

შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება;

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველს სხეულის ნაწილების (მაგ., თავი, კიდურები, კუდი, ყურები, ნისკარტი, ფრთები, ხორთუმი) მიხედვით;

აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად. ეძებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატით, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).

საჭირო მასალა:

პატარა ნებოვანი ფურცლები (სტიკერები), ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები; მამლის, დედლის, ბატის და ინდაურის სურათები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

რვეულში შესაბამის გვერდზე ხატია შინაური ფრინველები და იქვე მოცემულია სიტყვები: ინდაური, ბატი, ქათამი, იხვი.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ ნახატები და შესაბამის სიტყვებთან დააკავშირონ ხაზებით.

შემდეგ მასწავლებელი საუბრობს, თუ რით განსხვავდებიან ფრინველები იმ ცხოველებისგან, რომლებიც წინა კვირას შეისწავლეს (ანუ – ძუძუმწოვრებისგან). მოსწავლეები სურათებზე დაკვირვებით უნდა მიხვდნენ, რომ ფრინველების განმასხვავებელი ნიშნებია: ფრთები, ნისკარტი, ბუმბული, ორი ფეხი...

2. სახელმძღვანელოზე მუშაობა (13-14 წთ)

მოსწავლის სამუშაო რვეულში მამლის კონტურია, რათა მოსწავლეები უფრო დანვრილებით გაეცნონ ფრინველის აგებულების თავისებურებებს.

თავდაპირველად მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს ი. გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით შედგენილ პატარა ტექსტს მამალზე:

„ინათა თუ არა, მამალი მაშინვე ჩამოფრინდა ქანდარიდან და გარეთ მედიდურად გამობრძანდა. უკან გამოჰყვინენ ვარიები და კრუხები თავიანთი წინილებით.

მიუძღვის წინ მამალი ქათმებს ყელმოღერებული, თავმოწონებული და ოცნებობს: საკვირველი ფრინველი ვარ მე: ჩემოდენა ტანი, ახოვანება და სილამაზე აბა ვისა აქვს? რომელი ქათმის

ბიბლიო შეედრება ჩემს მაღალს და ბრონეულივით წითელ ბიბილოსა? რომელ ქათამს აქვს ისეთი ფერად-ფერადი და ლამაზი ბუმბული, როგორიც მე? რომელ ქათამს ასხია ფეხებზე ისეთი კოხტა დეზები, როგორიც მე? ვისა აქვს ჩემსავით დიდი და ძლიერი ნისკარტი? რომელი ფრინველი გებულობს პირველად გათენების მოახლოებას და აღვიძებს ადამიანებს? მხოლოდ მე და სხვა არავინ.“

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს რამდენიმე სიტყვას ამ ტექსტიდან, რომლებიც შესაძლოა უცნობი იყოს ბავშვებისთვის. ესენია: ვარია, კრუხი, ნისკარტი, დეზი, ბიბილო. ამ სიტყვების კარგად გასაზრებლად მოსწავლეებს აწყვილებს და აძლევს დავალებებს სამუშაო რვეულში:

ა) მამლის მოცემულ ნახატზე ამოიცნონ ბიბილო, დეზები, ნისკარტი და ხაზებით დაუკავშირონ შესაბამის სიტყვებს (მასწავლებლის დამატებითი კითხვები: სად ჰქონია მამალს ბიბილო? დეზი? ნისკარტი?);

ბ) გააფერადონ მამლის სურათი (უნდა გამოიკვეთოს მამლის ბუმბულების ფერადოვნება);

გ) დაფიქრდნენ, ერთმანეთში იმსჯელონ და უპასუხონ კითხვებს:

– რომელ ქათამს ჰქვია კრუხი? (რომელსაც წინილები ჰყავს);

– რომელ ქათამს ჰქვია ვარია? (ზრდადაუმთავრებელ ქათამს, სანამ კვერცხის დებას დაიწყებდეს).

3. საკლასო დისკუსია (2-3 წთ)

მასწავლებელი ისევ იშველიებს სახელმძღვანელოში მოცემულ შინაური ფრინველების სურათებს, სთხოვს ბავშვებს დააკვირდნენ და შემდეგ კითხვებზე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები:

– რომელმა შინაურმა ფრინველებმა იციან წყალში ცურვა?

– როგორ ეხმარება ფეხები ამ ფრინველებს ცურვაში?

4. ჯგუფი მუშაობა (9-10 წთ)

მასწავლებელს მომზადებული აქვს 4 ფოტოსურათი ან ნახატი: მამლის, დედლის, ბატის და ინდაურის, რომლებსაც ამაგრებს კედელზე ან დაფაზე (თუ სურათებს ვერ მოიპოვებს, მაშინ პლაკატზე განცალკევებით უნდა დაწეროს ეს 4 სიტყვა და გააკრას კედელზე).

შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს მცირე ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს ოთხ პატარა ნებოვან ქაღალდს (ე.წ. სტიკერებს) წარწერებით (ერთ ფურცელზე – ერთი სიტყვა): ყივილი, კაკანი, კივივი, სისინი.

მოსწავლეებმა ჯგუფებში უნდა იმსჯელონ და ამოიცნონ, რომელი სიტყვა რომელი ფრინველის მიერ გამოცემულ ბგერებს (ხმიანობას) გამოხატავს და სიტყვები (ფურცლები) მიაკრან შესაბამის სურათებს პლაკატზე.

ბოლოს უნდა შეჯამდეს აქტივობა: მამალი – ყივილი, დედალი – კაკანი, ბატი – სისინი, ინდაური – კივივი.

მასწავლებელი უნდა დაინტერესდეს: პასუხების რა ვარიანტები ჰქონდათ ჯგუფებს და რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი.

5. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

დამატებითი (ან ალტერნატიული) აქტივობა

სასურველია მასწავლებელს მოძიებული ჰქონდეს შინაური ფრინველების ხმების ჩანაწერი. ასმენინებს ამ ჩანაწერს ბავშვებს და მათ ხმით უნდა ამოიცნონ თითოეული ფრინველი.

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=z4pavVM-fM0>

გაკვეთილი 45

თემა:	ცხოველთა სამყარო
გაკვეთილის სათაური:	ზოგი დადის, ზოგიც დახობავს
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ ცოცხალი სხეულის აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით; ქვენარმავლების და ძუძუმწოვრების განსხვავების აღმოჩენა და დასახელება; სხვადასხვა ცხოველის შედარება სხეულის ნაწილების მიხედვით; მოსწავლეების ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარების ხელშეწყობა.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველს სხეულის ნაწილების (მაგ., თავი, კიდურები, კუდი, ყურები, ნისკარტი, ფრთები, ხორთუმი) მიხედვით;

აჯგუფებს ცოცხალ სხეულებს მცენარეებად და ცხოველებად, ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას;

აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად. ეძებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატით, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).

საჭირო მასალა:

მაკრატელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ფურცლები ცხოველთა სახელებით.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. შესავალი საუბარი (2-3 წთ)

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს შემდეგი კითხვების გამოყენებით:

– ჩვენ შევისწავლეთ შინაური ცხოველები; შინაურის გარდა კიდევ როგორი ცხოველები არსებობენ?

– თქვენი აზრით, რატომ ჰქვიათ მათ გარეული ცხოველები?

– რომელი გარეული ცხოველები იცით?

2. სახელმძღვანელო მუშაობა (3-5 წთ)

მასწავლებელი მიუთითებს სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე და სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ სურათებზე გამოსახული გარეული ცხოველები, შემდეგ ქვენარმავლები, იპოვონ მათ შორის მსგავსება და განსხვავება.

3. სამუშაო რვეული მუშაობა (12-16 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამისი გვერდის ქვედა ნაწილში ხატია რამდენიმე ცხოველის კონტური ორ რიგად. ესენია: ვეფხვი, შველი, ზღარბი, კენგურუ, ხვლიკი, ნიანგი, გველი, კუ. მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ინდივიდუალურად.

მათ ეძლევათ შემდეგი დავალებები:

- ა) გააფერადონ მოცემული კონტურები;
- ბ) გამოჭრან ჩარჩოს ხაზებზე ყველა ნახატი;
- გ) დაასახელონ მოცემული ცხოველები (ეს შეიძლება მოხდეს ფრონტალურადაც).
- დ) ფურცლები უკანა მხრიდან დანომრონ ასე:

ხვლიკი – 1

ზღარბი – 2

ნიანგი – 3

ვეფხვი – 4

კუ – 5

გველი – 6

შველი – 7

კენგურუ – 8

4. თამაში მოცემული ფიგურებით (6-8 წთ)

მოსწავლეები კვლავ ინდივიდუალურად აგრძელებენ მუშაობას (თამაშს).

ამ ლოტოსმაგვარი თამაშის პირობა ასეთია. სამუშაო რვეულის მოცემული გვერდის ზედა ნაწილში წარმოდგენილია ცხრილი ორ რიგად (თითოში – 4 უჯრა). უჯრებში ჩანერილია ცხოველების სახელები. მასწავლებელი არეულად და მორიგეობით კითხულობს ამ ცხოველების სახელებს. მოსწავლეებმა მათ ხელთ არსებული ბარათებიდან უნდა ამოიციონ დასახელებული ცხოველი და დადონ ცხრილის შესაბამის უჯრაზე. როცა ყველა უჯრა შეივსება და თამაში დასრულდება, მასწავლებელი ბავშვებს ასწავლის, თუ როგორ შეამოწმონ სწორად შეასრულეს თუ არა დავალება. მოსწავლეებმა ადგილებზევე უნდა გადმოატრიალონ ბარათები და დააკვირდნენ რიცხვთა თანმიმდევრობას. თუ რიცხვთა მიმდევრობა სწორია (1, 2, 3; 4, 5, 6, 7, 8), დავალება სწორად ყოფილა შესრულებული.

ამ თამაშს არ ეყოლება ერთი გამარჯვებული, მასწავლებელს შეუძლია შეაქოს ყველა მონაწილე.

5. მუშაობა ნყვილებში (4-5 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს ნყვილებში სამუშაოდ აძლევს დავალებებს:

- ა) მოცემული ბარათები კვლავ აკრიფონ, დააკვირდნენ ცხოველებს და დააჯგუფონ ისინი ცხოველებად, რომლებიც დადიან (ერთი ჯგუფი) და ცხოველებად, რომლებიც დახოხავენ (მეორე ჯგუფი);
- ბ) მასწავლებელი სვამს კითხვას, ხომ არ გაუგიათ, რა საერთო სახელი ჰქვია მხოხავ ცხოველებს (გველი, ნიანგი, ხვლიკი, კუ)? (ქვენარმავლები). მასწავლებელი ამ სიტყვას წერს დაფაზე და ამეორებინებს.

6. ჯგუფური მუშაობა

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად (სასურველია იყოს 4 ან 5 ჯგუფი). ჯგუფებიდან თითო წარმომადგენელი გამოჰყავს ოთახის თავისუფალ სივრცეში, სადაც იატაკზე წრიულად დალაგებული აქვს ფურცლები. ფურცლებზე წერია გარეულ ცხოველთა სახელები (ლომი, დათვი, შველი, კურდღელი, გველი). მუსიკის ან სიმღერის თანხლებით მოსწავლეები იწყებენ ფურცლების წრეზე სიარულს. მელოდიის შეწყვეტისთანავე ისინიც უნდა გაჩერდნენ. მოსწავლეები თავისთვის კითხულობენ წარწერებს (ცხოველის სახელს) იმ ფურცელზე, რომელიც შეხვდათ და ბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებში. ჯგუფმა უნდა იფიქროს ამ ცხოველზე, მოკლედ დაახასიათოს იგი და შეე-

ცადოს ისიც თქვას, თუ რა ჰქვია ამ ცხოველის ნაშიერს (ლომისას – ბოკვერი, დათვისას – ბელი, შვლისას – ნუკრი, კურდღლისას – ბაჭია, გველისას – ნინილი).

მასწავლებელს მოძიებული აქვს ზოგიერთი გარეული ცხოველის ხმის ჩანაწერი. ასმენინებს მოსწავლეებს, რომლებმაც ხმიანობით უნდა ამოიცნონ ცხოველები.

7. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

გაკვეთილი 46

თემა:	ცხოველთა სამყარო
გაკვეთილის სათაური:	წყლის ბინადრები
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ წყლის ბინადარი ზოგიერთი ცხოველის ამოცნობა და დასახელება; დაკვირვების უნარის განვითარება; მარტივი კვლევის საფუძველზე დასკვნების გამოტანა (ქერცლების, ფარფლების მნიშვნელობის დადგენა); ფრაგმენტებისგან ცხოველის მთლიანი მოდელის შექმნა; წყლის ბინადრების გადაადგილების საშუალებებზე მსჯელობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება. ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას. აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველს სხეულის ნაწილების (მაგ., თავი, კიდურები, კუდი, ყურები, ნისკარტი, ფრთები, ხორთუმი) მიხედვით; აწყობს ფრაგმენტებისგან მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის მთლიანი სხეულის მოდელს; აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად. ეძებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატით, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).
საჭირო მასალა:	მაკრატიელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, წებო, ფერადი ფურცლები დანართიდან, თაბახის ფურცლები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელო მუშაობა (10-12 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება, რომ ამ გაკვეთილზე ისევ ცხოველების შესახებ ისაუბრებენ, ოღონდ ამჯერად – წყალში მოზინადრე ცხოველებზე.

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე ხატია წყალში მცურავი თევზები, მედუზა, დელფინი და ვეშაპი, ფსკერზე ჩანან მოლუსკები. იქვე ნახატზე წერია სიტყვები: თევზი, მედუზა, მოლუსკი, დელფინი, ვეშაპი, თავიანთი პირობითი ნიშნებით.

დავალება ასეთია: მუშაობა სრულდება ინდივიდუალურად ან წყვილებში. მასწავლებელი კითხულობს მოკლე ტექსტებს, ბავშვები უსმენენ და ამოიცნობენ დახასიათებულ ცხოველს და დაასახელებენ მის რიგით ნომერს. მასწავლებლის ინფორმაციები:

I. „წყლის ამ ცხოველის მოგრძო სხეულის კანი ქერცლით არის დაფარული, თვალები მუდამ გახელილი აქვს, ვინაიდან ქუთუთოები არა აქვს. მისი წვრილი კვერცხებიდან – ქვირითიდან – პანანინა ნაშიერები, ლიფსიტები, იჩეკებიან. ისინი მაშინვე სწრაფად და მარდად იწყებენ ცურვას.“ (თევზი)

II. „ეს მოზრდილი ცხოველი თევზს წააგავს, მაგრამ თევზი არ არის. ის თავის ნაშიერებს ცოცხლად შობს და რძით კვებავს. ის ადამიანისთვის უხიფათო და გონიერი არსებაა, რის გამოც ადამიანები მას ადვილად წვრთნიან.“ (დელფინი)

III. „ეს კი დედამიწის უდიდესი ცხოველია. ის სპილოზე ბევრად დიდია... თავის ნაშიერებს ისიც რძით კვებავს. ნახატებზე მას ხშირად შადრევნით გამოსახავენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ამოსუნთქვისას ეს ვეებერთელა წყლის ცხოველი ჰაერთან ერთად წყლის შხეფებსაც ამოისვრის ხოლმე.“ (ვეშაპი)

IV. „ეს პატარა რბილტანიანი ცხოველები ნიჟარებში ცხოვრობენ. ნიჟარა მათ მტრებისგან იცავს. წყლის ქვეშ, ფსკერზე ან კლდეზე წვანან და ძალიან ნელა გადაადგილდებიან.“ (მოლუსკი)

V. „ამ უცნაურ ცხოველს არც ძვალი აქვს, არც თვალები, არც პირი... ჟელესავით რბილია და თითქმის მთლიანად წყლისგან შედგება. მისი გამჭვირვალე სხეული გაშლილ ქოლგას წააგავს. ადამიანები მას ხშირად ხვდებიან ზღვაში, ნაპირთან ახლოს.“ (მედუზა)

2. ჯგუფი მუშაობა (14-16 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე მოცემული დავალების შესრულებას (ბავშვები უნდა დაეხმარონ ნიგნის პერსონაჟებს დავალების შესრულებაში). ფურცლის ზედა ნაწილში ჩვენი ნიგნის პერსონაჟებს თევზებისთვის ქერცლები აქვთ დასანებებელი. ანუ ხატია თევზის კონტური ქერცლების გარეშე. იმავე გვერდის ქვედა ნაწილში მოცემულია ფერადი ქერცლები. მოსწავლეებმა უნდა გამოჭრან ეს ფერადი ქერცლი და კუდიდან დაიწყონ თევზის კონტურზე მათი დანებება.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს:

- გაუსვით ხელი თევზს თავიდან კუდამდე და პირიქით. რა განსხვავება იგრძენით?
- როგორ ფიქრობთ, რატომ მისრიალებს თევზი წყალში თავისუფლად?

3. საკლასო დისკუსია (3-4 წთ)

მასწავლებელი ატარებს დისკუსიას შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- თქვენი აზრით, რით იკვებებიან თევზები?
- რით იკვებებიან დელფინები?

4. მუშაობა აპლიკაციაზე

მასწავლებელი ბავშვებს ავალებს, წყვილებში იმუშაონ აპლიკაციების შესაქმნელად. იგი წყვილებს ურიგებს თაბახის ცარიელ ფურცლებს. მოსწავლეებმა სამუშაო რვეულის დანართის ფერადი ფურცლებისგან უნდა გამოჭრან სხვადასხვა ზომისა და ფერის სამკუთხედები. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „როგორ შეიძლება სამი სამკუთხედიდან თევზის ფიგურის მიღება?“ თუ ბავშვები ვერ მიხვდებიან, მასწავლებელი თავად ხატავს დაფაზე. ამის მსგავსად, ბავშვები მუშაობენ თაბახის ფურცლებზე, აწებებენ სამკუთხედებს და ქმნიან თევზების ფიგურებს. სამუშაოს დასრულების შემდეგ, სასურველია, ნამუშევრების კედელზე გაკვრა და დათვალიერება.

5. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

გაკვეთილი 47

თემა: ცხოველთა სამყარო
გაკვეთილის სათაური: ფრინველთა ხმები
გაკვეთილის მიზნები: მოსწავლეებმა შეძლონ ზოგიერთი გარეული ფრინველის ამოცნობა და დასახელება;
ხმიანობის მიხედვით ზოგიერთი ფრინველის გარჩევა;
ფრინველთა გადაადგილების საშუალებებზე მსჯელობა.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები: ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;
ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.
აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველს სხეულის ნაწილების (მაგ., თავი, კიდურები, კუდი, ყურები, ნისკარტი, ფრთები, ხორთუმი) მიხედვით.

საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელოზე მუშაობა (10-12 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს გაახსენებს, რომ შინაური ფრინველების გარდა (რომლებიც შეისწავლეს), არსებობენ კიდევ გარეული ფრინველები. ზოგიერთი მათგანის გაცნობას ისახავს მიზნად სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდი, სადაც მოცემულია გარეული ფრინველები (კოდალა, ბუ, ოფოფი, წერო, ხოხობი...) და წერია მათი აღმნიშვნელი სახელები.

მასწავლებელი ავალებს ბავშვებს, იმუშაონ წყვილებად. წყვილებმა უნდა ამოიცნონ ფრინველები ნაიკითხონ შესაბამისი წარწერა, დაასახელონ და შეძლებისდაგვარად აღწერონ შემდეგ შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რომელი ფრინველი უფრო მოსწონთ და რატომ.

2. სამუშაო რვეულში მუშაობა (6-8 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამისი გვერდის ზედა ნაწილში მოცემულია ორი ჩარჩო. ერთში (ანერია „შინაური ფრინველები“) დახატულია ქათამი, ბატი, იხვი და მერცხალი, მეორეში (წარწერით „გარეული ფრინველები“) – ბუ, არწივი, ოფოფი და ინდაური.

მოსწავლეებმა ინდივიდუალურად უნდა ამოიცნონ, თუ რომელ ჩარჩოში რომელი ფრინველია „ზედმეტი“ (პირველში მერცხალი, მეორეში – ინდაური), შემოხაზონ და განმარტონ, თუ რატომ ფიქრობენ ასე; ნახატები გააფერადონ.

3. მუშაობა დაფაზე (10-12 წთ)

მასწავლებელი დაფაზე ან დიდი ფორმატის ქაღალდზე (რომელსაც აკრავს კედელზე) ერთ სვეტად ჩამოწერს შემდეგი ფრინველების სახელებს: მტრედი, ყვავი, მერცხალი, ბელურა, ბულბული. მის გვერდით, მეორე სვეტად, წერს სიტყვებს: გალობს, ჭიკჭიკებს, უღურტულებს, ყრანტალებს და ლულუნებს.

მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება, რომ ფრინველები სხვადასხვანაირ ბგერებს გამოსცემენ, ზოგი გალობს, ზოგი ჭიკჭიკებს, ზოგი ჟღერტულებს და ა.შ. ზოგიერთი ხმა ძალიან სასიამოვნო მოსასმენია (გალობა, ჭიკჭიკი...), ზოგი ფრინველის ხმა არასასიამოვნოდ ჟღერს.

„როგორ ფიქრობთ, ჩამონერილი ფრინველებიდან რომელი ჭიკჭიკებს?“ – ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეებს და პასუხის მიღების შემდეგ მერცხალს ხაზით აკავშირებს სიტყვა „ჭიკჭიკთან“. ასე იქცევა იგი ყველა სხვა შემთხვევაშიც. თუ ბავშვებმა ვერ ამოიცნეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ეხმარება მათ მასწავლებელი. საბოლოოდ უნდა დაადგინონ, რომ მტრედი ლულუნებს, ყვავი ყრანტალებს, ბულბული გალობს და ბელურა ჟღერტულებს.

4. გამოცანების ამოხსნა (2-3 წთ)

მოსწავლეები კვლავ იმავე ჯუფებში რჩებიან. მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს გამოცანებს ფრინველებზე (ამოღებული ზ. დანელიას ნიგნიდან „ჩვენი მთა-ბარის ფრთოსნები“). რომელი ჯგუფიც მეტ გამოცანას გამოიცნობს, გამარჯვებულიც ის არის.

5. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

სასურველია ამ გაკვეთილისთვის მასწავლებელს მომზადებული ჰქონდეს ფრინველთა ხმების ჩანაწერები და მოასმენინოს ბავშვებს. მათ ხმით უნდა გამოიცნონ, გალობს თუ ჭიკჭიკებს ფრინველი, ჟღერტულებს, ყრანტალებს თუ სხვა ხმას გამოსცემს. მოსწავლეები უნდა შეეცადონ, ხმების მიხედვით თვითონ ფრინველების სახეობებიც ამოიცნონ.

გაკვეთილი 48

თემა:	ცხოველთა სამყარო
გაკვეთილის სათაური:	პატარა ექვსფეხა ცხოველები
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ სასარგებლო და ზიანის მომტანი მწერების დასახელება და მარტივად დახასიათება; შესწავლის ობიექტზე დაკვირვება მარტივი ხელსაწყოების დახმარებით; ილუსტრაციაზე სხეულის ამოცნობა და დასახელება; მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება. ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი); აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მოხინაძრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად. ექებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკო-

ლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატით, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ასანთის ღერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელო მუშაობა (7-8 წთ)

ამჯერად მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ ცხოველთა ის მრავალფეროვანი ჯგუფი, რომლებთა შეხვედრაც ადამიანებს თითქმის ყოველდღიურად გვინევს. ესენი არიან მწერები.

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე ხატია მწერები: კალია, ხოჭო, ბუზი, ტარაკანი, პეპელა, ფუტკარი, ნემსიყლაპია, ჭიანჭველა, კოლო. მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ნყვილებში, ამოიციონ მწერები და დაასახელონ.

ბოლოს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ დააკვირდნენ მწერებს და დაადგინონ, რამდენი ფეხი აქვს მწერს (ყველა მწერს 6 ფეხი აქვს. სწორედ ეს არის მათი დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი).

2. სამუშაო რვეულში მუშაობა (7-8 წთ)

მოცემულია ორი ჩარჩო. ერთ ჩარჩოში, რომელსაც ანერია „რომელია ფრინველი“, ხატია პეპელა, ბუზი, მერცხალი და ნემსიყლაპია; მეორე ჩარჩოში (წარწერით, რომელი არ არის „მწერი“) – ფუტკარი, ხოჭო, ჭიაყელა, ჭიანჭველა. მოსწავლე ამჯერად ინდივიდუალურად მუშაობს, მან პირველ ჩარჩოში უნდა ამოიციოს ფრინველი (მერცხალი) და შემოხაზოს. მეორე ჩარჩოში უნდა ამოიციოს რომელი არ არის მწერი (ჭიაყელა) და შემოხაზოს. შემდეგ კვლავ ფრონტალურად უნდა შემოწმდეს დავალება და იმსჯელონ. ბოლოს მოსწავლეები ნახატებს აფერადებენ.

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (2-3 წთ)

თუ მასწავლებელს დრო დარჩება (სხვა შემთხვევაში საშინაო დავალებად მისცემს) მიუთითებს მოსწავლეებს იმავე გვერდზე ქვემოთ მოცემულ კონტურზე. სთხოვს მათ, შეაერთონ წერტილები და მიღებული ნახატი გააფერადონ. მასწავლებელი საუბრობს მწერის შესახებ, რომელიც ამ ნახატზეა მოცემული: როგორია იგი; რა ფერისაა და ა.შ. ბოლოს, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: ხომ არ იცით, რას ეკითხებიან ჩვენი მეგობრები ჭიამაიას. სავარაუდოდ: „ჭია, ჭია, მაია, ხვალ როგორი დარია?“

4. სახელმძღვანელო მუშაობა (ჯგუფი მუშაობა) (7-9 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს, წიგნში მოცემული ორი სურათის მიხედვით შეადგინონ პატარა მოთხრობა.

პირველ სურათზე ხატია მეფუტკრე, რომელიც პირბადით მუშაობს სკებთან. მას უახლოვდებიან ბავშვები. მეორე სურათზე ჩანს, რომ ბავშვები უკან მორბიან და ფუტკრების გუნდი მოსდევთ. მასწავლებელი იწყებს საუბარს ამავე თემაზე. ამისთვის ის იყენებს შემდეგ კითხვებს:

- რა სარგებლობა მოაქვთ ფუტკრებს ადამიანებისთვის?
- რა არის სკა? ფიჭა? ცვილი?..
- რას ამზადებენ ცვილისგან? (*სანთელს*)
- რატომ უყვარს ფუტკარს სურნელოვანი ყვავილები?
- რისთვის სჭირდება შხამიანი ნესტარი ფუტკარს?

მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად გამოაქვს დასკვნა, რომ არსებობენ სასარგებლო და ზიანის მომტანი მწერები. იგი სვამს დაახლოებით ასეთ კითხვებს:

- „რომელი მწერი/ები ბინადრობენ ადამიანთა სახლებში?“

- „რომელი მწერი იბუდებს ხოლმე თმებში?“
- „რომელი მწერი კბენს ადამიანს და სწოვს სისხლს?“
- „რომელი მწერი ჭამს და აფუჭებს ტანსაცმელს?“
- „რომელი მწერები ავრცელებენ დაავადებებს?“

5. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

ამჯერად მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად. მომდევნო გვერდზე ერთმანეთს ადევს პეპლის, კალიის, ნემსიყლაპიის და ხოჭოს კონტურები. იქვე წერია 6 სიტყვა (ფუტკარი, ხოჭო, კალია, ჭიანჭველა, პეპელა, ბუზი, ნემსიყლაპია). მოსწავლემ უნდა ამოიცნოს, ნახატზე რომელი მწერებია მოცემული და ხაზი გაუსვას შესაბამის სიტყვებს.

6. ღაკვირვება

მწერების ხმების ამოცნობა

მასწავლებელი ავარჯიშებს ბავშვებს მწერების ხმების ამოცნობაში.

კარგი ამინდის პირობებში მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები გაიყვანოს სკოლის ეზოში და მცენარეებზე ან ნიადაგზე დააკვირდნენ მწერების ქცევებს; ყველაზე მოსახერხებელი ჭიანჭველებზე დაკვირვებაა. სასურველია პატარა მწერებს ლუპით დააკვირდნენ.

ამ დროს მასწავლებელმა უნდა დაუსვას კითხვები:

- რომელ მწერს ხედავთ?
- რამ მიიქცია თქვენი ყურადღება?
- როგორ ფიქრობთ, რატომ იქცევინ ასე? (საით მოძრაობენ, რას აკეთებენ?..)
- თქვენი აზრით, ეს მწერები განმარტოებულად ცხოვრობენ თუ მრავალრიცხოვან ოჯახებად?..

7. გაკვეთილის შეჯამება (1-2 წთ)

8. საშინაო დავალება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შემდეგი გაკვეთილისთვის შინიდან წამოიღონ სათამაშო ცხოველები.

გაკვეთილი 49

თემა: ცხოველთა სამყარო

გაკვეთილის სათაური: ზოოპარკში

გაკვეთილის მიზნები: მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ ზოოპარკის გაღიებში ძირითადად ათავსებენ გარეულ ცხოველებს და არა შინაურს; მოსწავლეებმა შეძლონ „ზოოპარკის“ ცხოველების დასახელება და მათი მარტივად დახასიათება; სხეულის ამოცნობა, აღწერა, დახარისხება; კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება; სხვადასხვა ცხოველის აღწერა, დაჯგუფება და შედარება. ხელი შეეწყოს მოსწავლეების შემეცნების სხვადასხვა უნარის („მრავალმხრივი ინტელექტის“) განვითარებას.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის

შედგენიდან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

ბუნ.1.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

**შედეგი თვალსაჩინოა,
თუ მოსწავლე:**

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;
ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.
აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველს სხეულის ნაწილების (მაგ., თავი, კიდურები, კუდი, ყურები, ნისკარტი, ფრთები, ხორთუმი) მიხედვით;
აჯგუფებს ცოცხალ სხეულებს მცენარეებად და ცხოველებად, ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას;
აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად.
ექებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატით, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).
საჭირო მასალა: სათამაშო ცხოველები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. ჯგუფი მუშაობა (15-18 წთ)

ამ მეცადინეობისთვის ბავშვებს შინიდან უნდა მოეტანათ სათამაშო ცხოველები. მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ამ ჯგუფებში დაახლოებით თანაბარი რაოდენობით ანაწილებს სათამაშოებს. მოსწავლეებს ეძლევათ რამდენიმე დავალება:

I. მოცემული ცხოველებიდან გამოყოფნა ფრინველები;

II. ცხოველები უნდა დააჯგუფონ შინაურ და გარეულ ცხოველებად;

III. მოსწავლეების თითოეულ ჯგუფს საკლასო ოთახში კედლის გასწვრივ მასწავლებელმა უნდა გამოუყოს ერთი მონაკვეთი. ამ მონაკვეთზე ბავშვებმა უნდა განლაგონ სკამები და ზედ მოათავსონ თავიანთი „ცხოველები“. ყველა ჯგუფის მუშაობის შედეგად შეიქმნება ერთი დიდი „ზოოპარკი“. ბავშვები უნდა მიხედნენ, რომ შინაური ცხოველები (მაგალითად: ძაღლი, კატა, ძროხა, ცხვარი, ქათამი... თუ ურევია მათ სათამაშოებში) ზოოპარკში არ განათავსონ.

შემდეგ იწყება „ზოოპარკის“ დათვალიერება, თითოეული ჯგუფის მოსწავლეები საკუთარ მონაკვეთზე მასპინძლობას უწევენ სხვა ჯგუფებს, წარუდგენენ ცხოველებს, უსახელებენ და შეძლებისდაგვარად უხასიათებენ (მაგალითად, ეს სპილოა, სპილო ძალიან დიდი ცხოველია. მას ცხვირის ადგილას გრძელი ხორთუმი აქვს; სპილო ხორთუმით ბალახს იღებს და პირში იღებს. სპილოსთან ახლოს მისვლა სახიფათოა...).

2. სამუშაო რეჟიმი მუშაობა (8-10 წთ)

რვეულის შესაბამის გვერდზე, ზედა ნაწილში, მოცემულია თევზები და ფრინველები. მოსწავლეებმა ხელის აუღებლად, ხაზის გასმით უნდა განაცალკევონ თევზები და ფრინველები ერთმანეთისგან.

მასწავლებლის კითხვები:

– რა ცხოველებია გამოსახული ამ ნახატზე?

– სად ბინადრობენ თევზები?

– რა ჰქვია სახლში არსებულ ჭურჭელს, სადაც ადამიანი თევზებს ათავსებს და უფლის? (აკვარიუმი)

- თქვენ შორის ვის აქვს (ვის უნახავს) აკვარიუმი?
- როგორია იგი?

რვეულში მოცემული გვერდის ქვედა ნაწილში ხატია ჟირაფი, ნიანგი და სპილო. იქვე ხატია სამი სხვადასხვანაირი გალია. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, რომელი გალია რომელი ცხოველისთვის არის განკუთვნილი და ხაზებით დააკავშირონ. შემდეგ ნახატი უნდა გააფერადონ.

3. როლური თამაში (5-7 წთ)

მოსწავლეები ყოფს კლასს ჯგუფებად და სთავაზობს როლურ თამაშს. ჯგუფებიდან თითო-თითო (ან რამდენიმე) მოსწავლე განასახიერებს რომელიმე ცხოველს ზოოპარკის გალიაში. სხვა მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი ცხოველია მათ წინაშე. შემდეგ ყოველი ჯგუფიდან მოსწავლეები ამ „ცხოველს“ უსვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და ეს „ცხოველიც“ პასუხობს.

4. შეჯამება (2-3 წთ)

ბაკვეთილი 50

თემა:	კოსმოსი
გაკვეთილის სათაური:	ტელესკოპი, მიკროსკოპი
გაკვეთილის მიზნები:	<p>მოსწავლეებმა შეძლონ ციურ სხეულებზე დაკვირვება;</p> <p>მარტივი კითხვების დასმა და ვარაუდების გამოთქმა;</p> <p>მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით შესწავლის ობიექტზე დაკვირვება;</p> <p>შესასწავლი მოვლენის შესახებ მარტივი კითხვების დასმა;</p> <p>მარტივი ხელსაწყოების დახმარებით დაკვირვება;</p> <p>პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა;</p> <p>ადამიანის შეგრძნების ორგანოების (თვალი) მნიშვნელობის გააზრება;</p> <p>შედეგების ზეპირი ან მისთვის სასურველი ფორმით გადმოცემა.</p>
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	<p>ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.</p> <p>ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.</p>
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	<p>სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;</p> <p>აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;</p> <p>უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;</p> <p>ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;</p> <p>იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.</p> <p>ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნ-</p>

ქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“); მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა);

იყენებს სხვადასხვა მარტივ ხელსაწყოს (ლუპა, ფონენდოსკოპი) შეგრძნების გაძლიერების მიზნით და აღწერს სხეულის თვისებებს, რომლებიც ამ ხელსაწყოების გამოყენებისას გახდა თვალსაჩინო.

საჭირო მასალა:

ლუპა, ფოთოლი – ყველა მოსწავლისთვის, 1 მიკროსკოპი, ვიდეოფილმი.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. მიცნობა და ტექნიკა (4-5 წთ)

მასწავლებელი მიმართავს კლასს:

– ალბათ, გაინტერესებთ, რა ხდება სამყაროში, რომელიც უზარმაზარია და ჩვენ, დედამიწელები, მხოლოდ მისი ერთი პანანინა ნაწილი ვართ. სამყაროს შესწავლა ყოველთვის აინტერესებდათ ადამიანებს. ამისთვის საუკუნეების განმავლობაში იგონებდნენ ხელსაწყოებს, შეიქმნა სპეციალური მეცნიერება, რომელსაც ასტრონომია ჰქვია და ა.შ. ყურადღებით დააკვირდი შენს ნიგნში მოცემულ სურათებს. ყველაფერი, რასაც ხედავ, ადამიანმა გამოიგონა, შექმნა. როგორ გგონია, რატომ? რაში გვეხმარება თითოეული მათგანი?

2. კვლევითი სამუშაო: სამუშაო ნაწილებში (10-20 წთ).

მასწავლებელს მოტანილი აქვს გამაძიდებელი შუშა – ლუპა. თითოეულ მოსწავლეს ურიგებს საკვლევ მასალას, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ფოთოლი.

ა) მოსწავლეები 1 წთ-ის განმავლობაში უნდა დააკვირდნენ ფოთლის ზედაპირს. აღწერონ, რას ხედავენ.

ბ) შემდეგ თითოეულ წყვილს ურიგებს გამაძიდებელ შუშას – ლუპას, რომლის დახმარებით მათ კიდევ ერთხელ ყურადღებით უნდა დაათვალიერონ ფოთლები. ისინი აღმოაჩენენ, რომ შეუიარაღებელი თვალისგან განსხვავებით, ლუპის დახმარებით, მათ შეძლეს დაენახათ ფოთლის უწვრილესი ხაზებიც კი.

გ) მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს მიკროსკოპს და განუმარტავს, რომ ადამიანმა გამოიგონა ხელსაწყო, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა უმცირესი ნაწილაკების დანახვაც კი. მასწავლებელი მსურველებს შესაძლებლობას აძლევს, ჩაიხედონ მიკროსკოპში. შესაძლოა გამოსაკვლევი მასალა კვლავ ფოთოლი იყოს. მოსწავლეები შეძლებენ, შეადარონ გამაძიდებელი შუშისა და მიკროსკოპის შესაძლებლობები, გამოიტანონ დასკვნა.

3. სახელმძღვანელო მუშაობა (5-7 წთ)

მასწავლებელი:

– დაჰკვირვებოხარ თუ არა ღამის ცას? რას ხედავ ღამით ცაზე?

გარდა იმ ვარსკვლავებისა, რომლებსაც ჩვენ შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ, ცაზე უამრავი სხვა ვარსკვლავიცაა, რომელთაც ვერ ვხედავთ. მათ დანახვაში ტელესკოპი გვეხმარება.

4. ტელესკოპი და მისი მიზანი (3-5 წთ)

– დაიმახსოვრეთ, ტელესკოპი არის ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ციურ ობიექტებზე დაკვირვებისთვის.

ტელესკოპი მიკროსკოპს ჰგავს, ორივე ადამიანს ეხმარება თვალისთვის შეუმჩნეველი სხეულების დანახვაში.

თქვენ მიკროსკოპის საშუალებით ნახეთ ფოთლის უნცირესი ნაწილაკები, რომელსაც შეუიარაღებელი თვალით ვერც კი ამჩნევდით.

ტელესკოპის გამოგონებით კი ადამიანმა დიდი ხნის ოცნება აისრულა, შეძლო ციური სხეულების, რომლებიც ჩვენგან ძალიან შორსაა, მოახლოება და მათზე დაკვირვება.

ამ თემას მომდევნო გაკვეთილზე უფრო დანვრილებით განვიხილავთ.

5. გაკვეთილის შეჯამება (2-3 წთ)

მასწავლებელი მოკლედ შეაჯამებს გაკვეთილზე გავლილ თემას და შემდეგი გაკვეთილისთვის სთხოვს მოსწავლეებს ძილის წინ ყურადღებით დაათვალიერონ ცა, დააკვირდნენ ვარსკვლავებს, მთვარეს და დაიმახსოვრონ ან უმჯობესია დახატონ ღამის ცა.

გაკვეთილი 51

თემა:	კოსმოსი
გაკვეთილის სათაური:	ციური სხეულები
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ ციურ სხეულებზე დაკვირვება; მარტივი კითხვების დასმა და ვარაუდების გამოთქმა; მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით შესწავლის ობიექტზე დაკვირვება; შესასწავლი მოვლენის შესახებ მარტივი კითხვების დასმა.
გაკვეთილის მსვლელობა:	მოსწავლეებმა შეძლონ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა; მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით დაკვირვების უნარის განვითარება; ციური სხეულების ამოცნობა და აღწერა; პირადი მოსაზრებების/ დაკვირვების შედეგების გადმოცემა/ დასაბუთება.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება. ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით. ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ; აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით; ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე (მაგ., მაკრატილი – რკინა, რვეული – ქალაღი, საშლელი-რეზინი);

აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებულ სხეულებს;

იყენებს შესაბამის მიმართებით ტერმინებს (მაგ., შორს, ახლოს, ჩემგან მარჯვნივ, ჩემ ზემოთ, ქვემოთ) და განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობას საკუთარი თავის მიმართ;

დაკვირვების საფუძველზე ქმნის სკოლის ნახატს, საუბრობს იმ დეტალებზე, რომლებმაც მისი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

საჭირო მასალა:

თოკი, ვიდეომასალა კოსმოსზე (მზესა და დედამიწაზე), ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი (10-15 წთ)

მასწავლებელი:

ალბათ ყველას გინახავთ ცა ღამით. განსაკუთრებით მაშინ არის ის საინტერესო, როცა მონმენდილია.

– რას ხედავთ ცაზე?

თქვენ წარმოიდგინეთ, გარდა იმ ვარსკვლავებისა, რომლებსაც ვხედავთ, არის უამრავი სხვა ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი თვალისთვის უხილავია. მათ დანახვაში გვეხმარება ხელსაწყო, რომელსაც ტელესკოპი ჰქვია.

საქართველოში ყველაზე დიდი ტელესკოპი აბასთუმნის ობსერვატორიაშია.

ობსერვატორიაში ტელესკოპის დახმარებით აკვირდებიან მზის, მთვარის, ვარსკვლავებისა და პლანეტების მოძრაობას და ცის თაღზე მათ გადაადგილებას. ობსერვატორიებს უმეტესად მთაში აგებენ, სადაც ჰაერი უფრო სუფთაა, გამჭვირვალეა და ხილვადობაც უკეთესია. დღეს ობსერვატორიები მონყობილია კოსმოსურ ხომალდებზეც.

დაიმახსოვრეთ, ტელესკოპი არის ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ციურ ობიექტებზე დასაკვირვებლად.

სამყაროში მილიარდობით ვარსკვლავია. ვარსკვლავები პლანეტებისაგან განსხვავდებიან. ისინი სულაც არ არიან ისეთივე მყარი, როგორც მინაა, რადგან მათი შემადგენლობა განსხვავებულია. ვარსკვლავი შედგება გავარვარებული გაზებისაგან, რომლებიც ნააგავს გახურებულ ჰაერს, ორთქლს. სწორედ ამ დიდი სიმზურვალის ნყალობით ვარსკვლავები ანათებენ, უფრო სწორად ციმციმებენ და სითბოს ასხივებენ. თუმცა, ეს სითბო ჩვენამდე ვერ აღწევს. თუ გამოიცნობთ, რატომ? (შორსაა).

ვარსკვლავი, ცოცხალი ორანიზმის მსგავსად, ჩნდება (იბადება), არსებობს და კვდება.

პლანეტები კიდევ იმით განსხვავდება ვარსკვლავებისგან, რომ ისინი ზომით ბევრად მცირეა და არც ისეთი ცხელია, როგორც ვარსკვლავი. ისინი არც სინათლეს ასხივებენ.

დედამიწის გარდა მზის გარშემო სხვა პლანეტებიც მოძრაობენ.

ზოგიერთ პლანეტას გარს აკრავს ერთგვარი წრე (4 პლანეტა). რაც უფრო შორს არის პლანეტა, მით უფრო ნაკლებ სითბოს იღებს მზისგან, უფრო ცივია.

მზე ვარსკვლავია, რომელიც ჩვენთან ყველაზე ახლოს იმყოფება. ისიც, სხვა ვარსკვლავების მსგავსად, გავარვარებულია და ამიტომაც ანათებს. მზე ერთადერთი ვარსკვლავია, რომელსაც დღისით ვხედავთ. უფრო მეტიც, დედამიწა სწორედ მისგან იღებს სითბოსა და სინათლეს, რაც მასზე სიცოცხლის არსებობის აუცილებელი პირობაა. მზის სინათლე ჩვენამდე დაახლოებით 8 წუთში აღწევს.

ადამიანები ციურ სხეულებს უძველესი დროიდან აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ. დღეს, ტექნიკის განვითარებასთან ერთად, პლანეტებსა და ვერსკვლავებს დედამიწიდან ტელესკოპით აკვირდებიან. გარდა ამისა, კოსმოსში ხომალდებსაც უშვებენ, საიდანაც შესაძლებელია მათთვის ახლო მანძილიდან ფოტოების გადაღება, დაკვირვება, კვლევა და ა.შ.

კოსმოსიდან დედამინა ცისფერი ჩანს, რადგან მისი ზედაპირის დიდი ნაწილი წყლით არის დაფარული.

დედამინა პლანეტაა, რომელიც მზის გარშემო მოგზაურობს.

ინფორმაციის უკეთ გააზრებასა და გაგებაში მოსწავლეებს დაეხმარებათ ვიდეომასალა პლანეტებზე, რომელიც მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს მოძიებული.

მოსწავლეებს სახელმძღვანელოში შეუძლიათ ნახონ პლანეტების განლაგება, როგორია ტელესკოპი და ა.შ.

2. თემატური თამაში „დედამინის ბრუნვა“ (4-5 წთ)

მასწავლებელს ამ გაკვეთილისთვის სასურველია მომზადებული ჰქონდეს თოკი. აქტივობის დასაწყისში მასწავლებელი გამოიყვანს 2 მოხალისეს. პირობითად ერთი მზე იქნება, მეორე დედამინა. „მზე“ დაიჭერს თოკის ერთ ბოლოს, „დედამინა“ – მეორეს. მასწავლებლის ნიშანზე მოძრაობას იწყებს „დედამინა“, რომელიც ბრუნავს მზის გარშემო, „მზე“ კი ერთ ადგილზე დგას. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს გზა, რომელსაც დედამინა მზის ირგვლივ გადის, უცვლელია. შესაძლოა, მასწავლებელმა ახსენოს სიტყვა „ორბიტაც“, რომლის დამახსოვრება ბავშვებისთვის აუცილებელი არაა. თუმცა ტერმინი მათთვის სხვა დროს უცხო აღარ იქნება. მასწავლებელმა პარალელურად უნდა ისაუბროს იმ დროზეც, რომელსაც დედამინა ანდომებს მზის ირგვლივ ერთი წრის შემოვლას. პერიოდულად იცვლება წყვილებიც.

3. კითხვა-პასუხი (3-5 წთ)

- როგორ ფიქრობ, მზესთან ახლოს მყოფ პლანეტაზე იქნება მეტი სითბო, თუ შორს მდებარეზე?
 - შენი აზრით, რომელ პლანეტაზე არის შესაძლებელი სიცოცხლე, სადაც ძალიან ცივა, ძალიან ცხელა, თუ ზომიერი ტემპერატურაა?
 - რა ჰქვია ადამიანს, რომელიც კოსმოსური ხომალდით მოგზაურობს?
 - როგორ გგონიათ, შესაძლებელია სხვა პლანეტაზეც არსებობდეს სიცოცხლე?
 - გარდა სითბოსი, კიდევ რა არის აუცილებელი სიცოცხლისათვის?
- ჩამოთვალეთ ყველაფერი, რაც სიცოცხლისთვის აუცილებელია (სითბო, წყალი, ჰაერი). საბოლოოდ მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ დასკვნა, რომ ყველაფერი ეს დედამინაზე არსებობს.
- ყურადღებით დააკვირდი შენს წიგნში მოცემულ სურათს და უპასუხე კითხვებს:
- ხომ არ იცით, რამდენ ხანს უნდება დედამინა მზის ირგვლივ შემოვლას? (1 წელიწადი.)
 - ზამთარში ნაკლებ თბილა, გამოიცანით რატომ? გაზაფხულზე?

4. რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გადაშალონ სახელმძღვანელო შესაბამის გვერდზე:

- რომელი აღჭურვილობით ვის სად გაუშვებდით სამოგზაუროდ?
- შეაერთე ხაზებით

5. რვეულში გააფერადე (3-5 წთ)

მასწავლებელი მიუთითებს სამუშაო რვეულში მოთავსებულ რუკაზე, მოსწავლეები წინა გაკვეთილებზე მოსმენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით თავად უნდა მიხვდნენ, რა ფერი სჭირდებათ რუკის დასასრულებლად, დედამინის ზედაპირის აღსადგენად.

6. შეჯამება (2-3 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=XdGQMgF-BSA>

გაკვეთილი 52

თემა: კოსმოსი
გაკვეთილის სათაური: მოგზაურობა კოსმოსში
გაკვეთილის მიზნები: მოსწავლეებმა შეძლონ შესწავლის ობიექტზე დაკვირვება; მის ირგვლივ არსებული სხეულების აღწერა; მიმართებითი ტერმინების გამოყენება; ილუსტრაციასა და რეალობაში სხეულების ამოცნობა, აღწერა, დახარისხება; დაკვირვების საფუძველზე კითხვებზე პასუხის გაცემა; მოსწავლეებმა შეძლონ სიდიდის მიხედვით მზის, დედამიწისა და მთვარის შედარება.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

ბუნ.1.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.

ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;

აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე (მაგ., მაკრატელი – რკინა, რვეული – ქალაღი, საშლელი – რეზინი);

იყენებს შესაბამის მიმართებით ტერმინებს (მაგ., შორს, ახლოს, ჩემგან მარჯვნივ, ჩემ ზემოთ, ქვემოთ) და განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობას საკუთარი თავის მიმართ.

საჭირო მასალა:

სამი სხვადასხვა ზომის ბურთი (დიდი, საშუალო, პატარა), ვიდეომასალა კოსმოსზე.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელოზე მუშაობა (6-7 წთ)

მასწავლებელი აგრძელებს წინა გაკვეთილზე დაწყებულ თემას, ესაუბრება კოსმოსის შესახებ, უხსნის რა არის კოსმოსი, კოსმოსური ხომალდი და აჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს: თანამედროვე კოსმოსური ხომალდი და ადამიანი მთვარეზე.

სახელმძღვანელოში მოცემულია კოსმოსიდან გადაღებული მზის, მთვარისა და დედამიწის ფოტოები.

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები აკვირდებიან ამ ფოტოებს და პასუხობენ მასწავლებლის კითხვებს:

- თქვენც ასე წარმოგედგინათ მზე, მთვარე, დედამინა?
- როგორი ყოფილა დედამინა სინამდვილეში (ან - მართლაც, როგორი ყოფილა დედამინა? - მოსწავლეებმა ტერმინი „სფერო“ ჯერ არ იციან, ამიტომ ვამბობთ, რომ ბურთისებურია, ბურთის ფორმისაა).
- როგორი ყოფილა მზე? მთვარე?
- რა დაინახეთ ისეთი, რაც არ იცოდით?

2. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-6 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე ხატია კოსმოსური ხომალდი, რომელშიც სხედან ჩვენი პერსონაჟები. „რას დაინახავენ ბავშვები კოსმოსში?“ მოსწავლეებმა უნდა ჩახატონ მზე, დედამინა, მთვარე, ვარსკვლავები.

სამუშაოს დასრულებისა და ნახატების დათვალიერების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება რამდენიმე მოსწავლეს:

- როგორი ფორმისაა დედამინა შენს ნახატზე - კუთხებიანი? აბა როგორი?
- მზე როგორი ფორმისაა? მთვარე?
- შენი აზრით, დედამინა უფრო დიდია, თუ მთვარე? მზე თუ დედამინა?
- როგორ ფიქრობ, ვარსკვლავები მართლა ასეთი პატარები არიან?

3. საუბარი (5-7 წთ)

ბავშვების ნახატებსა და კოსმოსურ ფოტოებზე დაყრდნობით მასწავლებელი წარმართავს საუბარს შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- რომელი ასხივებს სინათლეს: მზე, დედამინა თუ მთვარე? რატომ ფიქრობთ ასე?
- თქვენი აზრით, რატომ არის მთვარე განათებული?
- რატომ არის დედამინა განათებული?
- დედამინაზე ის ადგილი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ყოველთვის განათებულია?
- როცა დედამინა განათებულია, რას ვამბობთ - დღეა თუ ღამე?
- როცა დედამინა ჩაბნელებულია, რას ვამბობთ - დღეა თუ ღამე?
- თქვენი აზრით, ვარსკვლავებსაც მზე ანათებს თუ ისინი თვითონ ასხივებენ შუქს? (ვარსკვლავები თვითონ ანათებენ).
- სინათლის გარდა, რა მოაქვს მზეს დედამინაზე? (სითბო)

4. თამაში ფორმების შესაქმნელად (10-12 წთ)

მასწავლებლის დავალებით ბავშვები დგებიან და მერხებს დგამენ კედელთან ახლოს, რათა თათბი გამოთავისუფლდეს. შემდეგ ეძლევათ დავალება, რომ:

1. ხელები ჩაჰკიდონ ერთმანეთს და შექმნან მზე (დიდი წრე);
2. შექმნან დედამინა (უფრო მომცრო წრე);
3. შექმნან მთვარე (შეუძლიათ შეჯგუფდნენ პატარა წრეში);
4. შექმნან ვარსკვლავები (შეუძლიათ „დაიფანტონ ვარსკვლავებად“).

აქვე გრძელდება თამაში ახალი დავალებით:

1. ყველანი მოვხვდით მზეზე, გამოხატეთ, რას გრძნობთ?
2. ყველანი მოვხვდით მთვარეზე (სადაც ძლიერი ყინვებია), რას გრძნობთ?
3. ყველანი დავბრუნდით დედამინაზე, როგორ გრძნობთ თავს?

5. ილუსტრირება ბურთებით

მასწავლებელი თავის მაგიდაზე დებს 3 ბურთს: ერთი - ფეხბურთის ან კალათბურთის ბურთია, მეორე - ჩოგბურთის ან ასეთივე ზომის სხვა ბურთი, მესამე - კიდეც უფრო პატარა ბურთულა (მაგალითად, მაგიდის ჩოგბურთის ბურთი). თანხმდებიან: პირობითად ერთი რომელიმე უნდა იყოს მზე, ერთი - დედამინა და ერთიც - მთვარე. მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი ბურთია მზე, რომელი - დედამინა და მთვარე და განმარტონ, რატომ ფიქრობენ ასე.

ამით უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ მზე დედამინაზე ბევრად დიდია, მთვარე კი დედამინაზე პატარაა.

იმის გასაგებად, თუ როგორ ასხივებს სითბოს მზე, მასწავლებელი ანთებს მაგიდის ლამპას. მასწავლებლის მითითებით რომელიმე მოსწავლეს ხელი მიაქვს ანთებულ ნათურასთან ახლოს და გრძნობს მისგან წამოსულ სითბოს. რაც უფრო შორდება ხელი ნათურას, მით ნაკლებ სითბოს ღებულობს ის. დიდი მანძილიდან ნათურის სითბო აღარ იგრძნობა, თუმცა მის ნათებას მაინც ვხედავთ. ასევეა ვარსკვლავებიც, მათგან სინათლე აღწევს ჩვენამდე, სითბო კი სიშორის გამო ვერ აღწევს. მზისგან კი მუდმივად ვიღებთ სითბოსაც და სინათლესაც.

6. გააკეთილის შიჯამება (2-3 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=PPME-JnwrAA>

გაკვეთილი 53

თემა:	კოსმოსი
გაკვეთილის სათაური:	რა მოხდება, მზე რომ „ჩაქრეს“?
გაკვეთილის მიზნები:	<p>მოსწავლეებმა შეძლონ დღე-ღამის განმავლობაში დაკვირვებადი ცვლილებების დასახელება;</p> <p>წელიწადის დროების დასახელება, შედარება;</p> <p>მიმართებითი ტერმინების გამოყენება;</p> <p>პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა;</p> <p>სხეულების და მოვლენების ილუსტრაციასა და რეალობაში ამოცნობა, აღწერა;</p> <p>კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება;</p> <p>ხელი შეეწყოს მოსწავლეებში წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარის განვითარებას.</p>
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	<p>ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.</p> <p>ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.</p> <p>ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.</p>
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	<p>უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;</p> <p>ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;</p> <p>ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;</p> <p>იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას;</p> <p>იყენებს შესაბამის მიმართებით ტერმინებს (მაგ., შორს, ახლოს, ჩემგან მარჯვნივ, ჩემ ზემოთ, ქვემოთ) და განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობას საკუთარი თავის მიმართ;</p> <p>ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში;</p> <p>ასახელებს და ადარებს ერთმანეთს წელიწადის დროებს,</p>

მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, საუბრობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე.

საჭირო მასალა:

ფანარი, ბურთი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, თაბახის ფურცლები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. სახელმძღვანელო გეგმა (5-6 წთ)

მოსწავლეებმა წინა მეცადინეობებიდან უკვე იციან, რომ მზე თავისი სხივებით ათბობს დედამიწას. ახლა მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

– ყოველთვის ერთნაირად ათბობს მზე დედამიწას? (ანუ წელიწადის ყველა დროს ერთნაირად თბება ჩვენი ქვეყანა მზის სხივებით?).

ამ კითხვაზე სასურველია გაიმართოს დისკუსია, გამოიკვეთოს აზრი, რომ გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში ჩვენი ქვეყანა მზის სხივებით ერთნაირად არ თბება (ამის მიზეზებზე ახლა არ ვსაუბრობთ).

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე მოცემულია ოთხი სურათი და წარწერები: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა იმუშაონ ამ დავალებაზე, გაიაზრონ წელიწადის რომელ დროს გამოხატავს თითოეული სურათი. ახსნან და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება.

2. თამაში გურთით და ფარნით (8-10 წთ)

მასწავლებელი სვამს ახალ კითხვას:

– რატომ ენაცვლება ერთმანეთს დღე და ღამე დედამიწაზე (ანუ რატომ მოსდევს დღეს ღამე, ღამეს კი – დღე)?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მოდელირებას ფანრისა და ბურთის გამოყენებით. ანთებული ფარანი არის მზე, ბურთი – დედამიწა. „დედამიწის“ განათებულ მხარეს დღეა, ჩაბნელებულ მხარეს – ღამე. როგორ ენაცვლება დღე და ღამე ერთმანეთს?

ბურთს თუ მოვატრიალებთ, აღმოჩნდება, რომ მისი განათებული მხარე სიბნელებში მოექცევა (დალამდება), ჩაბნელებული მხარე კი – სინათლეში (გათენდება). აი, სწორედ ასეა სინამდვილეშიც: დედამიწა ამ ბურთივით ტრიალებს, ამიტომ, როცა მის ერთ მხარეს დღეა, სანინალმდეგო მხარეს ღამეა. ტრიალის გამო კი დღე და ღამე ენაცვლება ერთმანეთს (ეს დასკვნები, უმჯობესია, მოსწავლეებმა თავად გამოიტანონ). ადამიანებს კი ეჩვენებათ, რომ მზე მოძრაობს ცის თაღზე – ამოდის და ჩადის.

ამავე მოდელის მეტი თვალსაჩინოების მიზნით, მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს, თავად გაითამაშონ დღე და ღამე. მოსწავლეები დგებიან წრეში – ოლონდ, პირით გარეთ. მათი წრე „დედამიწა“. მასწავლებელი მიანათებს ფარანს (პირობითად, რამდენიმე მოსწავლე აღმოჩნდება განათებული, ანუ წრის წინა, განათებულ მხარეს დღეა) და ამბობს: „სად არის დღე? ხელი ასწიეთ იმ ბავშვებმა, რომლებსაც ფანარი ანათებს“. ბავშვები თავად მიდიან დასკვნამდე, რომ ამ მხარეს დღეა. „ახლა, მათ ასწიონ ხელი, ვინც ვერ ხედავს „მზის“ სინათლეს“, ე.ი. სადაც ღამეა“.

შემდეგ წრე დატრიალდება და შესაბამისად, „დღე და ღამე“ შეცვლის ერთმანეთს.

3. საკლასო დისკუსია (3-4 წთ)

მასწავლებელი აწყობს საკლასო დისკუსიას თემაზე:

– რა მოხდება დედამიწაზე, მზე რომ „ჩაქრეს“?

4. ჯგუფური გეგმა (7-8 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად. ჯგუფებს ურიგებს თითო თაბახის ფურცელს, ერთს აწერია მზე, მეორეს – მთვარე, მესამეს – ვარსკვლავები, მეოთხეს – დედამიწა. შესაბამისად, ერთი ჯგუფი მზეა, მეორე – მთვარე, მესამე – ვარსკვლავები, მეოთხე – დედამიწა.

შემდეგ მორიგეობით თითოეულ ჯგუფს სხვა ჯგუფების მოსწავლეები უსვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და პასუხებს ისმენენ (მაგალითად, „მთვარეს“ უსვამენ კითხვებს მთვარეზე, „მთვარის ბავშვები“ კი თავიანთ წარმოსახვაზე დაყრდნობით ორიგინალურ პასუხებს იძლევიან).

5. სამუშაო რვეული მუშაობა (4-5 წთ)

სამუშაო რვეულის მოცემულ გვერდზე ჩვენს მეგობრებს დახმარება სჭირდებათ, რათა დავალე-
ბა შეასრულონ. მოსწავლეები მათ უნდა დაეხმარონ ამ ნახატებში გარკვეული კანონზომიერების
აღმოჩენასა და ცარიელი უჯრების შევსებაში.

6. ის საინტერესოა! (1-2 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს ან მოკლედ უყვება ძველ ბერძნულ მითს ჰელიოსზე.

„მორს აღმოსავლეთით, ცის კიდესთან იდგა მზის – ჰელიოსის ოქროს სასახლე. ყოველ დილას,
როცა აღმოსავლეთი ნითლად შეფერადდებოდა, გასხვიოსნებულ ოქროს ჭიმკარში გამოჩნდებოდა
ჰელიოსის ოქროს ეტლი, რომელშიც შებმული ჰყავდა თოვლივით ქათქათა ოთხი რაში. ჰელიოსს
საიმედოდ ეჭირა შმაგი ცხენების სადავეები. მისი სამოსი და ოქროს გვირგვინი დამაბრმავებელ
შუქს აფრქვევდა და არემარეს ეფინებოდა.“

სულ უფრო მალა ადიოდა ჰელიოსის ეტლი ციურ აღმართზე და მთელ დედამიწას ანათებდა,
სითბოს და სიცოცხლეს უგზავნიდა. ცის შუაგულს რომ მიაღწევდა, მერე ნელ-ნელა ძირს ეშვებო-
და დასავლეთისკენ და ბოლოს ოკეანის წყლებში ეშვებოდა. იქ ჰელიოსს უკვე ელოდა ოქროს ნავი.
ამ ნავში ჩაჯდებოდა თავის ეტლიან-ცხენებთან და ისევ თავის ოქროს სასახლეს მიაშურებდა;
სასახლეში გაათევდა ღამეს, დილაადრიან კი ისევ მოველინებოდა ქვეყნიერებას და სიხარული
მოჰქონდა ყველასთვის“.

ანგელ ბონოვის „მითებისა და ლეგენდების...“ მიხედვით

მუშაობა ხატოვან გამოთქმებზე

მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება, რომ ქართულ ენაში მრავალი გამოთქმა დაკავშირებულია
სიტყვა „მზესთან“. ზოგიერთ ასეთ გამოთქმას ის დაფაზე დანერს, მოსწავლეებმა კი უნდა გამო-
იცნონ, რა იგულისხმება. მართლაც, მასწავლებელი მორიგეობით ჩამოწერს ქვემოთ მოყვანილ
გამოთქმებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ახსნის, თუ ბავშვებმა თავად ვერ გამოიცნეს:

- ცხრათვალა მზე (*მცხუნვარე მზე*);
- მზე პირს იბანს (*როცა მზე ანათებს და წვიმს კიდევც*);
- დღისით-მზისით (*სააშკარაოდ, ყველას თვალწინ*);
- მასზე მზე და მთვარე ამოსდის (*ამბობენ დედაზე, რომელსაც შვილი ძალიან უყვარს*);
- მზეჭაბუკი (*ღამე ზი, ტანადი ვაჟკაცი*);
- მზეთუნახავი (*განსაკუთრებულად ღამე ზი ქალი*);
- მზე ქალი (*მშვენიერი ქალი*);
- მზე იკბინება (*მზის სხივები ისეთი მზურვალეა, რომ კანს წვავს*).

(თუ მასწავლებელს სურვილი და დრო აქვს, შეუძლია ამ გამოთქმებს მისთვის ცნობილი სხვა
გამონათქვამებიც დაუმატოს).

7. შეჯამება (1-2 წთ)

გაკვეთილი 54

თემა:	ზაფხული
გაკვეთილის სათაური:	ზაფხულიც მოვიდა
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ ზაფხულის, როგორც წელიწადის ერთ- ერთი დროის დახასიათება; მოვლენების ილუსტრაციაზე და რეალობაში ამოცნობა/ აღწერა; შეგრძნების ორგანოების დასახელება და მათი ფუნქციების გაცნობიერება; დაკვირვებადი ცვლილებების დასახელება; ტანსაცმლის დახარისხება წელიწადის დროების მიხედვით;

ზაფხულის თვეების ჩამოთვლა და ბუნებაში მიმდინარე თვალსაჩინო ცვლილებების აღწერა;

ხელი შეეწყოს მოსწავლეების ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებას.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.

ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორკლიან ზედაპირს“);

მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა);

ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში;

განასხვავებს დღე-ღამის მონაკვეთებს – დილა, შუადღე, საღამო, ღამე და უკავშირებს საკუთარ აქტივობას/საქმიანობას;

ასახელებს და ადარებს ერთმანეთს წელიწადის დროებს, მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, საუბრობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე;

ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლცვენა) მაგალითებს. ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით.

საჭირო მასალა:

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. მოთხრობის მოსმენა და წელიწადის დროის ამოცნობა (4-5 წთ)

მასწავლებელი ბავშვებს აძლევს ასეთ დავალებას: მათ უნდა მოისმინონ მასწავლებლის წაკითხული ტექსტი და ამოიცნონ, წელიწადის რომელი დროა აღწერილი.

„ამ დროს უდიდესი დღეებია: თოთხმეტი საათის განმავლობაში მზე ცას არ შორდება. აი, შუადღემ მოატანა, მზე მაღლა ავიდა და დედამიწას სწორედ შუა ციდან დაჰყურებს. ამ დროს არა თუ კაცი მზეს თვალს ვერ გაუხსნორებს, განათებული ცისა და დედამიწის ყურებაც კი ძნელია. ცაც, მინდორიც, მდინარეებიც, ჰაერიც მეტად ბრწყინვალე ნათელით არის მოფენილი. საშინელი სიცხეა, პაპანაქებაა. ტყესა და ქალაში სიცხისაგან დაქანცულ ფრინველებს ენა გამოუყვიათ და საცოდავად ქაქანებენ.“

მთელი მინდორი ამ დროს სხვადასხვა მწერით არის მოფენილი, მრავალი ჭრელი პეპელა საამუ-
რად დაფრინავს. ოქროსფერი ფუტკარი ამ დროს მუყაითად ირჯება ცაცხვის ხეზე და სურნელოვან
ყვავილებზე, საიდანაც ტკბილ წვენს სწუნის თაფლის გასაკეთებლად... ბუდრუგანა ჭიანჭვე-
ლა მინის ქვეშ საზამთროდ საზრდოს აგროვებს; ციყვი გამხმარ კაკალს დაუზოგავად ზიდავს და
ზიდავს ფულუროში. ასე ხარობს, შრომობს და სიამოვნებს ყოველი სულდგმული“.

(ი. გოგებაშვილის „ზაფხულის“ მიხედვით)

მოსწავლეები ათვალეიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ფოტოებს და მასწავლებელი
უამბობს, როგორ შეიძლება ზაფხულში დასვენება.

2. საუბარი ზაფხულზე (4-5 წთ)

მასწავლებელი წარმართავს საუბარს შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- როგორ მიხვდით, რომ ამ მოთხრობაში ზაფხულია აღწერილი?
 - წელიწადის რომელ დროს მოსდევს ზაფხული?
 - როგორ იცვლება ბუნება ზაფხულში?
 - ვინ ჩამოთვლის შემოდგომის თვეებს?
 - ვინ ჩამოთვლის ზამთრის თვეებს?
 - ვინ ჩამოთვლის გაზაფხულის თვეებს?
 - ახლა რომელი თვეა? (იგულისხმება, რომ გაკვეთილი ტარდება ივნისში);
 - კიდევ რომელი თვეებია ზაფხულში?
- (მასწავლებელი დაფაზე წერს ზაფხულის თვეებს).

3. ჯგუფიში მუშაობა (5-7 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად და თითოეულს ურიგებს თითო ფურცელს წარწერით:
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. მოსწავლეებმა ჯგუფებში მათთვის განკუთვნილ
ფურცელზე უნდა ჩამოწერონ შესაბამისი დროის თვეების სახელები სწორი თანმიმდევრობით.
შემდეგ კი თითოეულმა ჯგუფმა უხმოდ, მიმიკითა და ჟესტებით ისე უნდა განასახიეროს წელი-
წადის მოცემული დრო, რომ სხვა ჯგუფებმა შეძლონ გამოცნობა.

შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს:

გაიხსენეთ წელიწადის რომელ დროს არის თქვენი დაბადების დღე. არ დაასახელოთ, მხოლოდ
აღწერეთ ისე, რომ ჩვენ გამოვიცნოთ.

შემდეგ კი მასწავლებელი კითხვებით წარმართავს საუბარს:

- როგორი ამინდია შენს დაბადების დღეზე?
- რა გაცვიათ შენ და შენს მეგობრებს?
- ყოფილა თუ არა წვიმა/თოვლი?
- ბევრი ყვავილია? ხეები აყვავებულია?
- როგორ გაცვიათ ხოლმე (თბილად, გრილად)?

4. სამუშაო რვეულში მუშაობა (8-10 წთ)

სამუშაო რვეულის შესაბამის გვერდზე (ზედა ნაწილში) მოცემულია კონტურული ნახატი,
რომელზეც გამოსახულნი არიან ჩვენი წიგნის პერსონაჟები შავი ზღვის სანაპიროზე (პლაჟზე).
მოსწავლეებმა ნახატი უნდა გააფერადონ და შემდეგ აღწერონ.

(მასწავლებლის დამხმარე კითხვები: – თქვენი აზრით, რომელ ზღვაზე არიან ბავშვები?)

- რომელი ზღვის პირას მდებარეობს ჩვენი სამშობლო?
- რომელი თქვენგანი ყოფილა ზღვაზე?
- რას აკეთებენ ხოლმე ადამიანები ზღვის სანაპიროზე?..).

5. სამუშაო რვეულში მუშაობა (4-5 წთ)

იმავე გვერდის ქვედა ნაწილში თქვენს თანატოლებს ლოგიკური ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი –
უნდა ამოიცნონ და შეავსონ ცარიელი უჯრა მოცემულ კვადრატში. მასწავლებელი მოსწავლეებს
სთხოვს, დაეხმარონ ჩვენი წიგნის პერსონაჟებს დავალების შესრულებაში (სამუშაო შეიძლება
შესრულდეს წყვილებში ან ინდივიდუალურად).

6. როლური თამაში (2-3 წთ)

მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად და სთავაზობს მათ ყუთში ჩაყრილი ფერადი ფურცლებიდან ამოიღონ ერთი და დაუკავშირონ იგი წელიწადის დროს. ახსნან, რატომ დაუკავშირეს იგი წელიწადის ამ დროს. შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს და მორიგეობით დადგას სცენა ამ დროზე. ყოველ ჯერზე სხვა ჯგუფის მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ წარმოდგენის შინაარსი.

7. შეჯამება (2-3 წთ)

სარეკომენდაციო ვიდეომასალა: <https://www.youtube.com/watch?v=Z7S2Ay-pDhw>
<https://www.youtube.com/watch?v=1E54pW2kn44>

გაკვეთილი 55

თემა:	ზაფხული
გაკვეთილის სათაური:	ჩვენი სოფელი
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ ქალაქისა და სოფლის გარემოს შედარება, აღწერა, დახასიათება; სოფლისა და ქალაქის საცხოვრებელი სახლების შედარება და აღწერა; ქალაქის მცხოვრებთა და სოფლის მკვიდრთა საქმიანობის აღწერა; სხეულების ამოცნობა და აღწერა ილუსტრაციის მიხედვით; საჭირო ინფორმაციის შეგროვება; პირად მოსაზრებებზე დაყრდნობა; კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება; დაკვირვების საფუძველზე ნახატის შექმნა; წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის აღწერა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება. ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება. ბუნ.1.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ღამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში; აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას. დაკვირვების საფუძველზე ქმნის სკოლის ნახატს, საუბრობს იმ დეტალებზე, რომლებმაც მისი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია; ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმი-

ანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლცვენა) მაგალითებს. ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, თაბახის ან დიდი ფორმატის ფურცლები.

საჭირო მასალა:

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი სოფლის შესახებ (5-6 წთ)

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ამგვარი კითხვების გამოყენებით:

- ზაფხულობით ქალაქიდან ბავშვები სად მიჰყავთ ხოლმე დასასვენებლად?
- თქვენგან ვინ არის ნამყოფი სოფელში?
- რით არის მიმზიდველი სოფელი ზაფხულში?
- რა განსხვავებაა ქალაქსა და სოფელს შორის?

- ვინ გაიხსენებს სასიამოვნო შთაბეჭდილებებს სოფლის შესახებ? (მასწავლებელმა უნდა მისცეს საშუალება მსურველებს, გადმოსცენ თავიანთი მოგონებები სოფელში გატარებული დღეების შესახებ. თუ გაკვეთილი სოფლის სკოლაში ტარდება, კითხვებში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რით განსხვავდება ზაფხული სოფელში გაზაფხულისგან? ზაფხულში რა სამუშაოებით არიან დაკავებულები ადამიანები? და ა.შ.).

2. სახელმძღვანელოზე მუშაობა (7-8 წთ)

სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე (ზედა ნეანილში) მოცემულია ორი ტიპის საცხოვრებელი სახლი: ქალაქის და სოფლის. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ და დაახასიათონ („ქალაქის სახლი“, „სოფლის სახლი“).

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ ეს ორი ტიპის სახლი ერთმანეთს და უპასუხონ კითხვებს:

- რა მსგავსებაა ქალაქის და სოფლის სახლებს შორის?
- რა განსხვავებაა მათ შორის?
- როგორ ამოიცანით ქალაქის სახლი?

შემდეგ გადაშალონ სამუშაო რვეული და გააფერადონ.

3. სამუშაო რვეულში მუშაობა (15-17 წთ)

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გააგრძელონ მუშაობა სამუშაო რვეულში, სადაც (ქვედა ნეანილში) ჩვენი ერთ-ერთი პერსონაჟი კომიქსებშია მოცემული. სულ დახატულია 4 სურათი არათანმიმდევრობით.

მუშაობა უნდა გაგრძელდეს არსებულ ჯგუფებში. მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ამ კომიქსების თანმხლებ დანომრილ წინადადებებს. ესენია:

1. დედამ ნიკოლოზი ზაფხულში სოფელში წაიყვანა;
2. ბებია ნიკოლოზს სთხოვა, ბოსტანში პომიდორი დაეკრიფა;
3. ნიკოლოზმა მწიფე პომიდვრები შეარჩია და დაკრიფა;
4. ბებომ პომიდვრისგან სალათა დაამზადა.

მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელია ამ წინადადებების შესაბამისი ნახატები და დანომრონ; შემდეგ სურათები გააფერადონ.

4. საუბარი თემაზე „ვინ რას აკეთებს სოფელში?“ (3-4 წთ)

მასწავლებელი დამხმარე კითხვების მეშვეობით ატარებს საუბარს იმ მიზნით, რომ გაირკვეს მოსწავლეთა წარმოდგენებით (შეხედულებით) რა საქმიანობას ეწევიან ზაფხულობით გლეხები (კაცები, ქალები, ბავშვები) სოფლად. რა აცვიათ?

5. ჯგუფებში მუშაობა

მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და დაფაზე სვეტში ჩამოწერს სიტყვებს: ქობი, ნისქვილი, გომური, ღობე, ორღობე, ბოსტანი, თივის ზვინი, ჭა, წყარო, მდინარე, გუბე, ხეხილი, შინაური ცხოველები.

თავდაპირველად გაარჩევენ ამ სიტყვებს, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი შესაძლოა უცნობი იყოს ბავშვების ნაწილისთვის.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, რომ თაბახის (ან 3 ფორმატის) ფურცელზე დახატონ სოფელი, რომელშიც ასახული იქნება დაფაზე მოცემული სიტყვები (ყველა ან ნაწილობრივ).

პრეზენტაციის დროს ყველა ჯგუფი წარმოადგენს თავის ნახატს და აღნიშნავს, თუ რომელი საგნები გადაიტანეს დაფიდან ფურცელზე.

5. შეჯამება (3-4 წთ)

გაკვეთილი 56

თემა:	ზაფხული
გაკვეთილის სათაური:	ექსკურსია კლასის „ტყეში“
გაკვეთილის მიზნები:	მოსწავლეებმა შეძლონ ბუნებაში ექსკურსიისთვის საჭირო ნივთების სწორად შერჩევა; გარემოში სისუფთავის დაცვის მოთხოვნილების გამომუშავება; მარტივი კითხვების დასმა; კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემების შეგროვება, ჩანიშვნა.
კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	ბუნ. I.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ; აგროვებს და ჩანიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით); ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად; იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას (მაგ. ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.
საჭირო მასალა:	თაბახის ფურცლები, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ზურგჩანთა, ერთჯერადი თეფშები, ჭიქები და კოვზები, წყლის მათარა, ფოტოაპარატი, ხელსახოცები, პირსახოცი, ბამბა, ბინტი, იოდი, ბურთი, კანფეტები, საჭმელი პარკით, სახატავი ფუნჯი, კბილის პასტა, უთო.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. საუბარი ექსკურსიის შესახებ (4-5 წთ)

ჯგუფებში მუშაობა

მასწავლებელი მიუთითებს შესაბამის სურათებზე, რომლებზეც ტყე და ბუნებაში ექსკურსიაზე მყოფი მათი თანატოლები არიან გამოსახული და სვამს შეკითხვას: გინდათ ექსკურსიაზე წასვლა? მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს ამ თემაზე საუბარს.

2. მზადება ექსკურსიისათვის (8-10 წთ)

ზაფხული ბუნებაში ექსკურსიისათვის საუკეთესო დროა. ბუნებაში გასვლას ცოდნა და მომზადება სჭირდება. მასწავლებელს ამ გაკვეთილისათვის კლასში მოტანილი აქვს ზურგჩანთა და ექსკურსიისათვის საჭირო ნივთები: ერთჯერადი თეფშები, ჭიქები და კოვზები; წყლის მათარა ან პლასტმასის ბოთლი, მზის ქუდი, ფოტოაპარატი, ხელსახოცები, ბამბა, ბინტი, სანვიმარი ქურთუკი, იოდი, რაიმე საგზალი პოლიეთილენის პარკით, ბურთი, პირსახოცი... აგრეთვე „ზედმეტი“ ნივთები: ნიგნი, სახაზავი, ფუნჯი, კბილის პასტა, მაკრატელი, უთო, ყვავილი ქოთნით...

თავდაპირველად, მასწავლებელი ზემოთ ჩამოთვლილ ნივთებს სათითაოდ აჩვენებს ბავშვებს და მაგიდაზე დებს: მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რა საგანი დაინახეს. მას შემდეგ, რაც ყველა გაეცნობა აქ შეგროვებულ ნივთებს, მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებას. თითოეულ ჯგუფს ურიგებს ნივთების ჩამონათვალს, რომელიც სქემის სახით შეიძლება წარმოადგინოს. შემდეგ სთხოვს მათ მონიშნონ „+“-ით ის საგნები, რომელთაც ზურგჩანთაში ჩაალაგებენ ექსკურსიაზე წასვლის წინ.

ნასაღები ნივთები

ჭიქა	+
კოვზი	
ერთჯერადი თეფში	+

პრეზენტაციის დროს მოსწავლეებმა მართლაც უნდა ჩაალაგონ ზურგჩანთაში ის ნივთები, რომლებიც დაწერილი ექნებათ და თან ახსნან, რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი (ანუ რაში გამოადგებათ თითოეული ნივთი). გავსებული ზურგჩანთა ხელშიც უნდა აიღონ, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი საკმაოდ მძიმეა და ზედმეტი ნივთების ტარება ნამდვილად არ ღირს. შემდეგ მასწავლებელი ზურგჩანთას დააცარიელებს, რათა სხვა ჯგუფმაც შეძლოს პრეზენტაცია.

პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელი ფრონტალურად იძლევა დამატებით კითხვებს:

- რა უნდა ჩაიცვათ ექსკურსიის დროს ფეხზე? ტანზე? რატომ?
- როგორ ამინდში ჯობს ექსკურსიის მოწყობა? რატომ?
- როდის არის ექსკურსიაზე წასვლა სასურველი (დილით, შუადღეს, საღამოს). რატომ?

3. წარმოსახვითი მოგზაურობა „კლასის ტყეში“ (5-8 წთ)

მას შემდეგ, რაც ბავშვები საექსკურსიოდ საჭირო ნივთების შერჩევაში გაინაფებიან, მასწავლებელი სთავაზობს მათ, მოაწყონ ექსკურსია „კლასის ტყეში“, რომელიც წინა მეცადინეობებზე შექმნეს.

მუშაობა გრძელდება არსებულ ჯგუფებში. თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს პატარა ამბავი საკლასო ექსკურსიის შესახებ. სანამ ჯგუფებში ბავშვები ფიქრობენ და მსჯელობენ, მასწავლებელი ტყის პლაკატზე ამაგრებს კანფეტის ქალაქებს, პოლიეთილენის პარკის ნაგლეჯებს, ერთჯერად ჭიქებსა და კოვზებს.

მასწავლებელი: – ბავშვებო, ტყეში რომ შეხვედით, ასეთი სურათი დაგხვდათ. თქვენს ამბავში ესეც გაითვალისწინეთ და მოიფიქრეთ, რას იზამთ.

პრეზენტაციების შემდეგ ან მსვლელობის პროცესში მასწავლებელს შეუძლია დასვას დამხმარე კითხვები:

- როდის უფრო მიმზიდველი იყო ჩვენი ტყე – დანაგვიანებამდე თუ ახლა?
- როგორ დანაგვიანდა ბუნება? ვინ ანაგვიანებს მას?
- რა არ მოგწონთ ასეთ გარემოში?
- მამ, როგორ მოვიქცეთ, რომ ბუნება არ დავანაგვიანოთ? სად წავილოთ ეს ნაგავი?

მოსწავლეების დახმარებით მასწავლებელი „ნარჩენებისაგან“ ათავისუფლებს, ასუფთავებს კლასის ტყეს და აგროვებს ერთ დიდ პოლიეთილენის პარკში („ეს ნაგავი თან წავილოთ და სანაგვე ბუნკერში დავტოვოთ“).

4. ჩანახატების შესრულება – „ჩემი საყვარელი ბუნების ფირები“ (8-10 ნთ)

მასწავლებელი ბავშვებს ინდივიდუალური მუშაობისათვის სთხოვს გაიხსენონ თავიანთი შთაბეჭდილებები ბუნებასთან დაკავშირებით. როგორი ბუნება დარჩა ლამაზად მათ მეხსიერებაში, ან როგორი წარმოუდგენიათ და გააკეთონ ჩანახატები.

ნახატების განხილვის დროს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ბავშვს სუფთა ბუნება მოსწონს, სუფთა ბუნება მიმზიდველია, ამიტომ არის მათი ნახატებიც ასეთი ლამაზი.

5. შეჯამება (2-3 ნთ)

გაკვეთილი 57

თემა:	ზაფხული
გაკვეთილის სათაური:	ბუნებაში ქცევის წესები
გაკვეთილის მიზნები:	<p>მოსწავლეებმა შეძლონ ბუნებაში ქცევის წესების შემუშავება;</p> <p>ბუნებაში ქცევის წესების პრაქტიკაში გამოყენება;</p> <p>საყოფაცხოვრებო ნარჩენების სწორად განთავსება და გარემოს სისუფთავეზე ზრუნვა;</p> <p>მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა;</p> <p>პირად მოსაზრებებზე დაყრდნობით კითხვებზე პასუხის გაცემა;</p> <p>საკვების ვარგისიანობის დადგენაში შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება;</p> <p>ჰიგიენის წესების დაცვაზე მსჯელობა.</p>

კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან და ინდიკატორები:	<p>ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.</p> <p>ბუნ.1.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.</p>
---	--

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:	<p>უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;</p> <p>ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;</p> <p>მსჯელობს შეგრძნებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა);</p> <p>ასახელებს პირადი ჰიგიენის ნივთებს (მაგ., სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი), მსჯელობს ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე.</p>
----------------------------------	--

საჭირო მასალა:	დაფა, ცარცი, ჰიგიენური ხელთათმანები, ზურგჩანთა, საექსკურსიო ნივთები, პოლიეთილენის პარკები, ფოტოაპარატი.
----------------	---

გაკვეთილის მსვლელობა:
1. ჯგუფეზი მუშაობა (8-10 ნთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ექსკურსიის დროს აუცილებელია ქცევის წესების შემუშავება და დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ჯგუფი დაიფანტოს და ბავშვებს რაიმე

ხიფათი შეხვედრით. (ნადირთან შეხვედრა, ტყეში დაკარგვა, ხევში ჩაგორება და მრავალი სხვა). ეს რომ არ მოხდეს, მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს შეიმუშაონ ბუნებაში სიარულისა და ქცევის წესები. ამისათვის პედაგოგი კლასს ჰყოფს ჯგუფებად და ავალებს, თითოეულმა ჯგუფმა 1 ან 2 წესი მოიფიქროს.

შემდეგ მასწავლებელი ყველა ჯგუფში მოფიქრებულ წესებს ჩამოწერს დაფაზე ან პლაკატის ფურცელზე, ერთად განიხილავენ და შეაჯერებენ.

ამის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს სთავაზობს ბუნებაში გასვლას და ამ წესების მიხედვით მოძრაობას, შესაძლოა ბუნებაში ყოფნისას ზოგიერთი სხვა წესის დამატებაც დასჭირდეთ.

2. მცირე ექსკურსია ბუნებრივ გარემოში (10-15 წთ)

მასწავლებელს ბავშვები გაჰყავს გარეთ (ეზოში, სკოლასთან ახლოს პარკში ან სხვა ბუნებრივ გარემოში) და ატარებენ პრაქტიკულ ვარჯიშებს ბუნებაში ქცევის წესების გამოსამუშავებლად. გარდა ამისა, რაც კლასში შეიმუშავეს, მასწავლებელი ავარჯიშებს შემდეგ ქცევებში:

ა) ერთად სიარული – ყველამ უნდა იაროს ერთმანეთთან ახლოს, ბილიკით ან გზით; ჯგუფი არ უნდა გაინელოს;

ბ) ყურადღებით სიარული – ყველა უნდა ხედავდეს მის წინ მიმავალ ამხანაგს და იმასაც უნდა ხედავდეს, თუ სად ადგამს ფეხს;

გ) სიძნელეების გადალახვა – მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ, როგორ გადალახონ უსაფრთხოდ და ერთმანეთის დახმარებით მცირე დაბრკოლებები (წაქცეული ხე, ნაკადული, ხევი, ეკლიანი ადგილები...);

დ) ადგილის შერჩევა დასასვენებლად და წასახემსებლად (ჩრდილი, წყალთან სიახლოვე, კუნძები ან ლოდები ჩამოსასხომად...);

ე) საჭმლის ნარჩენების შენახვა – როგორ გადაირჩეს ის, რაც შეიძლება კიდევ გამოდგეს საკვებად; როგორ შეინახონ ნარჩენები ისე, რომ არ დაანაგვიანონ გარემო.

ექსკურსიის ბოლოს დაათვალიერონ ტერიტორია და დაასუფთაონ. ამისათვის მასწავლებელს მომზადებული აქვს ჰიგიენური ხელთათმანები, რომლებსაც ურიგებს მოსწავლეებს. შეგროვებულ ნაგავს ათავსებენ პოლიეთილენის დიდ პარკებში, რასაც შემდეგ გადაყრიან სანაგვე ურნაში.

კარგი იქნება, თუ სამახსოვროდ ფოტოსურათებსაც გადაიღებენ და ჩააკრავენ სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე.

3. გაკვეთილის შეჯამება და სკოლაში დაბრუნება (8-10 წთ)

ბოლოს, მეცადინეობის შეჯამების დროს, უნდა გაანალიზდეს ისიც, თუ ჰქონდათ წაღებული ყველაფერი, რაც ექსკურსიაზე დასჭირდათ; ხომ არ ჰქონდათ ზედმეტი ნივთები; რა გამოცდილება შეიძინეს, რა ისწავლეს და სხვ.

გაკვეთილი 58

თემა:

ჩემი სამშობლო

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეებმა შეძლონ მარტივი შეკითხვების დასმა;

შესწავლის ობიექტებზე დაკვირვება;

სხეულის/მოვლენის ამოცნობა, აღწერა, დახარისხება;

პირად მოსაზრებებზე დაყრდნობით და დაკვირვებით კითხვებზე პასუხი;

იმ დეტალებზე საუბარი, რომლებმაც მისი ინტერესი გამოიწვია.

კავშირი ესგ-ის სტანდარტის

შედგენთან და ინდიკატორები:

ბუნ.1.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

ბუნ.1.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

**შედეგი თვალსაჩინოა,
თუ მოსწავლე:**

სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;

აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელსაწყოების გამოყენებით;

ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რეალობაში;

ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;

დაკვირვების საფუძველზე ქმნის სკოლის ნახატს, საუბრობს იმ დეტალებზე, რომლებმაც მისი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

საჭირო მასალა:

ვიდეოფილმები საქართველოს შესახებ. საქართველოს ჰიმნი – აუდიო ჩანაწერი.

1. თემატური საუბარი (5-8 წთ)

ქვეყანა, ეს არის დამოუკიდებელი ტერიტორია, ადგილი დედამიწაზე, სადაც ცხოვრობს ძირითადად ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხი, რომელსაც ჰყავს თავისი მთავრობა, აქვს სახელმწიფო ენა, თავისი ფული.

ყველა ქვეყანას აქვს თავისი სახელწოდება და საზღვრები, რომელსაც აღიარებს დანარჩენი ქვეყნები. ქვეყანას აქვს თავისი დროშა და ჰიმნი (მელოდია). აქვს საკუთარი კანონები და წესები, რომლებსაც იცავენ ამ ქვეყნის მოქალაქეები.

ზოგი ქვეყანა ტერიტორიულად დიდია, ზოგი კი ბევრი მოსახლეობით გამოირჩევა. ქვეყნების რაოდენობა უცვლელი არ არის, ზოგი იშლება/იყოფა, ზოგიც ერთიანდება.

– როგორ გგონიათ, არის თუ არა დედამიწაზე ხმელეთის ის ნაწილი, სადაც ქვეყნები არ არის, შესაბამისად ადამიანებიც არ ცხოვრობენ?

რა თქმა უნდა არის. ეს ანტარქტიდაა. იქ არც მთავრობაა, არც დროშა. უფრო მეტიც, ბევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი კანონს იმის შესახებ, რომ ანტარქტიდა დარჩეს ხელუხლებელი ბუნების სახედ, რომელიც მხოლოდ მეცნიერული კვლევებისთვისა და დაკვირვებებისთვის იქნება.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგი ქვეყნის მოსახლეობა რაოდენობრივად დიდია, ზოგის – მცირე.

სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა ზოგჯერ გარეგნობითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. სადაც ძალიან ცხელა, ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად შავკანიანი ან ყვითელკანიანია.

– თქვენი აზრით, სჭირდებათ აფრიკაში თბილი ტანსაცმელი? რატომ?

– როგორ გგონიათ, რატომ მიფრინავენ შემოდგომაზე ჩიტები თბილ ქვეყნებში?

– ყველა ჩიტი მიფრინავს?

– თუ გაგიგიათ გამოთქმა „პირველი მერცხალი“? რას უკავშირებენ ამ გამოთქმას?

(გაზაფხულის დადგომას)

სხვადასხვა ქვეყანაში და მხარეში, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, განსხვავებული მცენარეები, ცხოველები და ფრინველები გვხვდება.

2. სახელმძღვანელოზე მუშაობა (4-5 წთ)

ყურადღებით დააკვირდი სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს :

– როგორ გგონია, რომელი ჯგუფის ცხოველები ბინადრობენ ჩვენს ტყეებში?

– შესაბამისად, როგორი ბუნებრივი პირობებია ჩვენს ქვეყანაში?

– რას ნიშნავს ზომიერი პირობები, მეორენაირად ზომიერი ჰავა?

– დაასახელე, რა მცენარეები ხარობს ჩვენს ქვეყანაში?

იმსჯელე სხვადასხვა საარსებო გარემოზე, რომლის ფოტოებიც გაკვეთილის მომდევნო გვერდზეა მოცემული, რომელი ცხოველები შეიძლება ბინადრობდნენ თითოეულ მათგანში?

3. აუდიო და ვიდეომასალა (10-15 წთ)

მასწავლებელს ამ გაკვეთილისთვის შერჩეული აქვს აუდიო და ვიდეომასალა. ბავშვებს თავდაპირველად, სასურველია, მოვასმენინოთ საქართველოს ჰიმნი. შემდეგ ვაჩვენოთ ვიდეომასალა საქართველოს ხედვებით.

საბოლოოდ, მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილს, რომელიც წლის ბოლო გაკვეთილია: მოგეწონათ ფილმი, რომელსაც ვუყურეთ? გარემო, რომელიც ფილმშია, შენი სამშობლოა. შენს სამშობლოს გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება. დაიცავი შენი სამშობლო!

9. გუნების მატყველების სწავლების მეთოდები

მცირე ჯგუფებსა და წყვილებში მუშაობა

სასკოლო განათლების სისტემაში მოსწავლეზე ორიენტირებულმა მიდგომამ ძლიერი ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებას და დღეს ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებს შორის აღსანიშნავია წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა. ტრადიციული გაკვეთილის დროს, როცა ჭარბობს ფრონტალური გამოკითხვა, ძირითადად აქტიურობენ ძლიერი მოსწავლეები. ისინი ახალ მასალას ადვილად იგებენ, სწრაფად ითვისებენ და მასწავლებელიც მათ ეყრდნობა. სუსტი მოსწავლე კი ჩრდილშია და ჩამორჩენა გარანტირებული აქვს, ვინაიდან დრო არ ჰყოფნის, რომ ყველაფერი ნათლად წარმოიდგინოს და ვერც იმას ბედავს, რომ კითხვებით მიმართოს მასწავლებელს; თუ შეეკითხებიან, სწრაფად ვერ პასუხობს ან არასწორად პასუხობს და... მოკლედ, აფერხებს გაკვეთილის მსვლელობას.

ახლა განვიხილოთ მეორე ვარიანტი, როცა მოსწავლეს ინდივიდუალურ დავალებებს ვაძლევთ და ის თავისთვის მეცადინეობს. ხშირად ის თავისი წარმატებებითა თუ წარუმატებლობით საკუთარ ნაჭუჭში რჩება. მას ნაკლებად ანაღვლებს, თუ როგორ აქვს საქმე მის ამხანაგს და ძირითადად საკუთარი პრობლემებით არის დაკავებული.

თანამშრომლობითი პედაგოგიკა კი გვთავაზობს სხვაგვარად სწავლას – როცა მოსწავლეს გვერდით ამხანაგები ჰყავს, რომელთაც უნდა დაეხმაროს ან დაეკითხოს, გაარკვიოს ის, რაც გაუგებარია; შეუძლიათ, ერთობლივად იმსჯელონ და დასკვნები გამოიტანონ. როცა შენზეა დამოკიდებული ჯგუფის წარმატება, შეუძლებელია, არ გააცნობიერო პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და ჯგუფის წინაშე, არ ისწავლო, არ იმუშაო, იზარმაცო და ა.შ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთობლივად სწავლა არამარტო უფრო იოლი და საინტერესოა, არამედ ეფექტიანია. აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტიანობა ეხება როგორც აკადემიურ წარმატებებსა და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე – ზნეობრივ ზრდას.

თანამშრომლობითი სწავლება თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად იყენებს კლასში წყვილებსა და ჯგუფური მუშაობის (მეცადინეობის) მეთოდს. ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების განხორციელებაც ხშირ შემთხვევაში ჯგუფური მუშაობის მეთოდთან არის დაკავშირებული.

წყვილებში მუშაობა

წყვილებში მუშაობისთვის მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად და აძლევს დავალებას (თუ რომელიმე მოსწავლე მარტო რჩება, მასწავლებელს შეუძლია, თვითონ დაუნწყვილდეს მას ან სამი ბავშვი დასვას ერთად). მუშაობის ხანგრძლივობას მასწავლებელი განსაზღვრავს და წინასწარ აფრთხილებს მოსწავლეებს. სამუშაოს დასრულების შემდეგ თუ მასწავლებელი რომელიმე წყვილის ნამუშევარს შეაფასებს, ეს შეფასება ორივე მენწყვილეს ერთნაირად უნდა ეხებოდეს. ამით ბავშვები გაიგებენ, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან მენწყვილის მიმართ და შეეცდებიან ერთმანეთს დაეხმარონ სწავლაში. ისინი ერთად აკვირდებიან, ფიქრობენ, მსჯელობენ, მუშაობენ, ხატავენ... შემდეგ კი ერთმანეთის ნამუშევრებსაც ამოწმებენ-აკონტროლებენ. ამგვარი თანამშრომლობა საფუძველს უქმნის უკონფლიქტოდ მუშაობას მცირე ჯგუფებში.

ჯგუფებში მუშაობა

ჩვენ ჯგუფურ მეცადინეობას სკოლაში განვიხილავთ როგორც კოლექტიურ ინტელექტუალურ მუშაობას, რაც ბავშვის გონებრივი განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის.

ურთიერთობათა თვალსაზრისით ჯგუფური მეცადინეობის დანიშნულება ის კი არაა, რომ ჯგუფი ემორჩილებოდეს მასწავლებელს, რამდენადაც ის, რომ ჯგუფის თითოეული მოსწავლე

თავს კომფორტულად გრძნობდეს, მაქსიმალურ შედეგებს აღწევდეს და ამხანაგებთან და მასწავლებელთან თანამშრომლობდეს. ასეთ პირობებში ჯგუფური მუშაობა შემდეგ ზემოქმედებას ახდენს მოსწავლის პიროვნების განვითარებაზე:

- ჯგუფი ქმნის ინტელექტუალური დაძაბულობის ველს;
- ჯგუფი ქმნის ემოციური დამუხტვის ველს;
- ჯგუფი აძლევს ადამიანს ქცევის გამოცდილებას;
- ჯგუფში მოსწავლე ეჩვევა ამხანაგებთან თანამშრომლობას;
- ჯგუფი ხელს უწყობს მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობის უნარის განვითარებას;
- ჯგუფი უვითარებს ადამიანს პასუხისმგებლობის გრძნობას და ა.შ.

პედაგოგის მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ მეცადინეობას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როცა ხდება მოსწავლეთა პიროვნული განვითარება. ჯგუფი საუკეთესო საშუალებას იძლევა ისეთი შემოქმედებითი გარემოს შესაქმნელად, რომელიც ჯგუფის წევრების განვითარებას უზრუნველყოფს.

გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი თავისებურებებია:

- 1) კონკრეტული სასწავლო ამოცანების გადასაწყვეტად კლასი იყოფა 3-6 ბავშვიან ჯგუფებად;
- 2) თითოეულ ჯგუფს ეძლევა კონკრეტული დავალება (დავალება ყველა ჯგუფისათვის შეიძლება იყოს ერთი ან სხვადასხვა), რომელსაც ჯგუფი ერთობლივად ასრულებს ლიდერის ან მასწავლებლის ხელმძღვანელობით;
- 3) ჯგუფში დავალება მოსწავლეებზე ისეთიანად ნაწილდება და სრულდება, რომ შესაძლებელია ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური წვლილის დაფიქსირება და შეფასება;
- 4) თავიდან ჯგუფების შემადგენლობა ცვალებადია, მათი დაკომპლექტება ხდება იმის გათვალისწინებით, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზაციას და პიროვნული ხასიათების უმტკივნეულოდ შეთავსებას;
- 5) ჯგუფი ყალიბდება იმ პრინციპით, რომ გაერთიანდნენ სხვადასხვა სიძლიერისა და ცოდნის დონის, განსხვავებული ხასიათების მოსწავლეები, რაც მათ ურთიერთშევესებისა და გამდიდრების საშუალებას აძლევს;
- 6) ჯგუფი უნდა მუშაობდეს შეთანხმებულად, უკონფლიქტოდ, არ უნდა ითრგუნებოდეს არც ერთი ბავშვი;
- 7) სამუშაო უნდა შესრულდეს მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში;
- 8) ჯგუფი მუშაობს ერთ მაგიდასთან;
- 9) გუნდებად ჩამოყალიბებული ჯგუფები შეიძლება პერიოდულად ვცვალოთ ან უცვლელად დავტოვოთ გარკვეული დროის განმავლობაში (ერთი ან ორი თვე, სასწავლო სემესტრი).

ჯგუფური მუშაობის დროს უნდა წავაქეზოთ სამუშაოს მსვლელობისა და შედეგების ერთობლივი განხილვა, რჩევისთვის ერთმანეთთან მიმართვა და ურთიერთდახმარება.

ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება ყველა საჭირო შემთხვევაში მოსწავლეების მიერ ამხანაგების დახმარება. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დამხმარე მოსწავლე არანაკლებ სარგებლობას იღებს, ვინაიდან მისი ცოდნა კონკრეტდება, აქტიურდება, მტკიცდება თანაკლასელისთვის ახსნის პროცესში.

ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს: ამონმებს სამუშაოს მსვლელობას, რეაგირებს კითხვებზე, არეგულირებს კამათსა და მუშაობის თანმიმდევრობას, აუცილებლობის შემთხვევაში ეხმარება ცალკეულ მოსწავლეს ან მთლიან ჯგუფს. ამასთანავე, მაქსიმალურად უწყობს ხელს შედეგების განხილვასა და ურთიერთკონსულტაციებს.

მასწავლებელი უნდა აკონტროლებდეს მთელი კლასის მუშაობას, მაგრამ არ უნდა იქმნებოდეს შთაბეჭდილება, რომ ის რომელიმე ჯგუფს თავზე ადგას. მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს ჯგუფის მუშაობაში გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსწავლეები ითხოვენ რაიმეს განმარტებას.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს (ჯგუფის რომელიმე წევრი შესრულებულ დავალებას განმარტავს ან იყენებს კომენტარისათვის). მასწავლებელს შეუძლია თვითონ შეარჩიოს პრეზენტატორი (გამომსვლელი) ან ჯგუფს მისცეს ამის უფლება. პრეზენტაციის დროს კამათი დაუშვებელია, რათა აზრი არ გავანწყვეტინოთ მოპასუ-

ხეს. შეკითხვები უნდა დაისვას მხოლოდ პრეზენტაციის შემდეგ (პრეზენტაციის შესახებ უფრო დანვრებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

ჯგუფური მეცადინეობის წარმატებით ჩასატარებლად პედაგოგი კლასს კარგად უნდა იცნობდეს (იგულისხმება არამარტო მოსწავლეთა ცოდნის დონე, არამედ მათი ხასიათებისა და ურთიერთობების თავისებურებანი), ჯგუფური მეცადინეობას წინასწარ მომზადება და დაგეგმვა სჭირდება. მართალია, ამგვარი მუშაობა მასწავლებლისაგან დამატებითი დროის ხარჯვას მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, პედაგოგიური ეფექტი საგრძნობლად მაღალია.

ჯგუფური მუშაობის წარმატებით გამოყენება შეიძლება, როგორც ახალი მასალის გადაცემის დროს, ისე შესწავლილი მასალის შემოწმებისა და შეფასებისას. მთავარია, მასწავლებელს არ აერიოს, რომ ჯგუფური მუშაობა მიზანი კი არ არის, არამედ – ქმედითი საშუალება გაკვეთილი მიზნის მისაღწევად და დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

შემდეგ ეტაპზე, სასურველია, დისკუსიის მოწყობა. დისკუსიის საჭიროება თავისთავად ჩნდება, ვინაიდან პრეზენტაციის პროცესში მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც კითხვები უჩნდებათ. შეკითხვების დასმა პრეზენტაციის დროს არასასურველია. ვინაიდან მსჯელობის წყვეტა პრეზენტაციას მთლიანობასა და სიმწყობრეს უკარგავს. პრეზენტაციის დამთავრების შემდეგ კი წამოჭრილი კითხვების ირგვლივ უნდა ჩატარდეს დისკუსია. საკითხის სიღრმისეული წვდომის გარდა, დისკუსია ხელს უწყობს ბევრი სასარგებლო უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის გამოხატვა და მისი არგუმენტაცია, კამათის დროს ავტორიტეტის წინაშე გაჩენილი შიშის დაძლევა, მსჯელობა და სხვისი ნააზრევის შეფასების უნარი, განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლობა. დისკუსიის პროცესი ამ თვისებების ჩამოყალიბებას მაშინ უწყობს ხელს, როცა თვითონ მასწავლებელი არის ნიმუში იმისა, რისი სწავლისკენაც სხვებს მოუწოდებს.

დისკუსია ყოველთვის მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც თავიდანვე ერთობლივად შემუშავდა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. დისკუსიის წესები, ზოგადად, ასე უნდა გამოიყურებოდეს:

- როცა ერთი ლაპარაკობს, დანარჩენები უსმენენ;
- ასწიე ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურს;
- არ გაანწყვეტინო სხვას სიტყვა;
- არ გაიცინო, როცა სხვა ლაპარაკობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხუმრობენ;
- კამათში ყველა მონაწილეობს.

დისკუსიის შემდეგ, ჩვეულებრივ, ხდება შეფასება (დანყებით კლასებში ნიშნებით შეფასება არ ხდება).

შეფასება მეტად ფაქიზი პროცესია და საჭიროებს ობიექტურ და ფრთხილ მიდგომას. მასწავლებელი აფასებს უნიშნოდ.

მოსწავლე ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად სერიოზულად და მონდომებით მოეკიდა მოცემულ დავალებას, როგორ „დაიხარჯა“, თავისი შესაძლებლობების რამდენი პროცენტი გამოავლინა.

ჯგუფების პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი დაფას ყოფს იმდენ ნაწილად, რამდენი ჯგუფიც არის და ნომრავს. ფასდება ჯგუფური და არა ინდივიდუალური ნამუშევარი. აფასებენ ჯგუფების წევრები და არა მასწავლებლები. შეფასებაში მონაწილეობს ყველა, ყოველი მოსწავლე გამოთქვამს თავის აზრს და ასახელებს იმ ჯგუფის ნომერს, რომელსაც საუკეთესოდ მიიჩნევს (საკუთარი ჯგუფის გარდა). მასწავლებელი დაფაზე შესაბამისი ჯგუფის ნომრის ქვეშ აკეთებს აღნიშვნას. ჯგუფის ნომრის დასახელებასთან ერთად, მოსწავლემ, სასურველია, ახსნას, თუ რატომ მიანიჭა მას უპირატესობა. დასასრულ, აღნიშვნების რაოდენობის მიხედვით გამოვლინდება საუკეთესო ჯგუფი.

ჯგუფური მუშაობის დასასრულს მიზანშეწონილია ე.წ. რეფლექსიის ჩატარება.

ტერმინი „რეფლექსია“ („რეფლექსირება“) ნიშნავს საკუთარი აზრებისა და განცდების

ანალიზს, ფიქრს საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, როდესაც დაკვირვება მიმართულია ცნობიერების შინაგან მოქმედებაზე. მოკლედ, პედაგოგიური რეფლექსია შეიძლება განიმარტოს როგორც საკუთარი ქცევის, ამ შემთხვევაში, სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის გააზრება. პირველ კლასში რეფლექსიის დროს საკმარისია მოსწავლეთა მიერ იმის გააზრება, თუ რა შეისწავლეს ამ გაკვეთილზე, რა იყო მათთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი, რისი გაგება გაუჭირდათ და სხვ.

მეცადინეობის დასკვნით ეტაპზე გაკვეთილის მსვლელობის გახსენება და მონაწილეთა რეფლექსირება უმნიშვნელოვანესი სასწავლო და აღმზრდელობითი ფუნქციის მატარებელია.

10. როგორ შევაფასოთ მოსწავლე?

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლების I საფეხურზე (1-4 კლასებში), ნიშნით შეფასება არ არის რეკომენდებული. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ ვაფასებთ მოსწავლეებს. პირიქით, უნიშნო შეფასებისას, ვფიქრობთ, გაცილებით მეტი შესაძლებლობაა მოსწავლეთა ცოდნისა და შემოქმედებითობის წარმოსაჩენად.

ჩვენი აზრით, მოსწავლეები, სასურველია, შევაფასოთ იმ მიზნებიდან გამომდინარე (ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულება), რომლებსაც ამ საგნის სწავლება გულისხმობს და იმ კონკრეტული (ლოკალური) მიზნების მიხედვით, რომელთა მიღწევასაც უშუალოდ გაკვეთილზე ვგეგმავთ (ანუ სწავლების პროცესში ვაფასებთ იმას, თუ როგორ გაართვა მოსწავლემ თავი კონკრეტულ დავალებებს).

მასწავლებელმა წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმების მიხედვით შეაფასოს მოსწავლე. ამ კრიტერიუმებში დანვრილებით უნდა აისახოს მოსწავლის მიერ საგნის შესწავლა-ათვისების დონე და ხარისხი.

მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა შეაფასოს ხშირად და სხვადასხვა მიმართულებით. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მასწავლებლის თითოეულ მოსწავლეზე დაკვირვების შედეგად დაგროვილ მონაცემებს.

შესაძლოა, შეფასება მოიცავდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- რამდენად სწორად ამოიცნობს და ასახელებს მოსწავლე საგნებსა თუ მოვლენებს;
- რამდენად მკაფიოდ შეუძლია მას აზრის ჩამოყალიბება;
- მსგავსი და განსხვავებული ნიშნების მიხედვით საგნების ან მოვლენების დაჯგუფება;
- ცხრილებისა და დიაგრამების შედგენა-შეცვლა;
- შესასწავლ საკითხთან მიმართებით ადეკვატური კითხვების ჩამოყალიბება;
- პრეზენტაცია – ცოდნისა და უნარების წარმოჩენა;
- ლოგიკური დასკვნების გამოტანა.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ „საგნების ამოცნობა და დასახელება“ მოსწავლის ცოდნის ხარისხის შედარებით დაბალი, I დონის მაჩვენებელია;

უფრო მაღალი, II დონის კრიტერიუმებია: „აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება“, „საგნებისა და მოვლენების დაჯგუფება“ და „პრეზენტაცია“;

ყველაზე მაღალი, III დონის კრიტერიუმებია: „ცხრილების შევსება“, „ადეკვატური კითხვების ჩამოყალიბება“ და „ლოგიკური დასკვნების გამოტანა“.

ამასთან, იგულისხმება, რომ ყოველი მომდევნო დონე ითვალისწინებს წინა დონის კრიტერიუმების მოთხოვნებსაც.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ წყვილებსა და ჯგუფებში შესრულებული აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობის ჩვევის გამომუშავებას. ამგვარი მუშაობის დროს მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთის მოსმენას, სხვისი აზრის გაზიარებას, კრიტიკულ, შემოქმედებით და ლოგიკურ აზროვნებასა და შეფასებას, საკუთარი აზრის გამოთქმა-დასაბუთებას და ა.შ. ისინი ეჩვევიან ფუნქციების განაწილებასა და დროის რაციონალურ გამოყენებას.

მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობის შეფასების დროს, სასურველია, დადებით მხარეებს მიაქციოს ყურადღება: ზოგს წერა უფრო ეხერხება, ზოგს – კითხვა, ზოგს – ხატვა. მასწავლებელმა შეფასებისას არ უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რაც ბავშვს არ გამოსდის. პირიქით, მან ყოველთვის უნდა აღნიშნოს ის ღირსება, რომელიც მოსწავლეს განსაკუთრებულად წარმოაჩენს. ამით იგი სტიმულს მისცემს მას, უკეთ აკეთოს საქმე, უკეთ ისწავლოს, მაგალითის მიმცემი გახდეს სხვებისთვის. საბოლოოდ კი, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ბავშვების თვითდამკვიდრებასა და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებას.

მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ჯგუფური ნამუშევრების შეფასების ფორმა. ჯგუფური მუშაობის დროს, სასურველია, ბავშვებმა თავად შეაფასონ სხვა ჯგუფის ნამუშევრები. პრეზენტაციის მსვლელობისას აუცილებელია, ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ნამუშევარი გაიკრას დაფაზე და მიენეროს შესაბამისი ჯგუფის ნომერი, რათა მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ, შეაფასონ ერთმანეთის ნამუშევარი: თითოეული მოსწავლე ასახელებს, მისი აზრით, საუკეთესო ჯგუფურ ნამუშევარს (გარდა თავისი ჯგუფისა) და ასაბუთებს, რატომ ფიქრობს ასე. ყოველი გამომსვლელის აზრს მასწავლებელი დაფაზე, ჯგუფის ნომერთან, აფიქსირებს „+“ ნიშნით. პლუსების რაოდენობა გამოავლენს გამარჯვებულ ჯგუფს.

შესაძლოა, მასწავლებელმა შემოიღოს შეფასების ერთიანი პირობითი ნიშნები (მზე, ვარსკვლავი, მომღიმარი კაცუნა და ა.შ.) ან გამოიყენოს ისეთი ხერხი, როგორიცაა მოკლე კომენტარი. ამ შემთხვევაში მასწავლებელი სათითაოდ (სიტყვიერად ან წერილობით) აფასებს თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებულ ნამუშევარს (ტესტს, სქემას, აპლიკაციას, ჩანახატს და ა.შ.). მას შეუძლია თითოეულ ნამუშევარს მოკლედ მიანეროს თავისი შეფასება, სადაც ლაპარაკი იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულებაზე და ნაკლოვანებებზე. სასურველია, მოსწავლეებს იქვე მიეცეთ საჭირო რჩევებიც:

მაგალითად:

– თათია! შენ წარმატებით გაართვი თავი დავალებას: სწორად გაანანიღე დრო, მეგობრებთან შეთანხმებით მუშაობდი და ეძებდი პრობლემის გადაწყვეტის გზებს. ყოჩაღ!

– გიგა! შენ კარგად შეასრულე დავალება. თუმცა ვფიქრობ, დრო რომ არ დაგეკარგა, მჯერა, თავადვე აღმოაჩენდი შეცდომას და შეძლებდი მის გასწორებას. გირჩევ, უფრო ყურადღებით ნაიკითხო ხოლმე დავალების პირობა, ასე მეტ წარმატებას მიაღწევ. შენი დიდი იმედი მაქვს!

ამგვარი შემაჯამებელი კომენტარი სასურველია, მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლეს სემესტრის დასრულების დროსაც დაუწეროს, სადაც იგი დაახასიათებს მოსწავლის მუშაობას მთელი სემესტრის განმავლობაში და მისცემს რჩევებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. სასურველია, მასწავლებელმა თავი შეიკავოს მკვეთრად უარყოფითი შეფასებისაგან, რათა არ დაუკარგოს მოსწავლეს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. ამის საპირისპიროდ უფრო ეფექტური იქნება, მოსწავლეებს შევთავაზოთ მუშაობის გაუმჯობესების გზები, დავარწმუნოთ ისინი თავიანთ შესაძლებლობებში, ჩავუხახოთ რწმენა და რამდენადაც შესაძლებელი იქნება, გავამხნევოთ, წავახალისოთ ხოლმე.

შესაძლოა სკოლამ თავად შეიმუშაოს და შემოიღოს ერთიანი პირობითი ნიშნები განსაკუთრებული წარმატების აღსანიშნავად, ან მასწავლებელმა თავად დაადგინოს შეფასების სქემა. გთავაზობთ შეფასების მარტივ სქემას:

სახელი, გვარი	მისაღწევი შედეგი	მისაღწევი შედეგი	მისაღწევი შედეგი	მისაღწევი შედეგი
	1	2	3	4
1 საბა ზაალიშვილი	სრულად დაფარა	სრულად დაფარა	ნაწილობრივ დაფარა	სრულად დაფარა
2 მარიამ ჩოხელი	სრულად დაფარა	საჭიროებს გაუმჯობესებას	სრულად დაფარა	ნაწილობრივ დაფარა